K 167104/3

ჩიდ თეთრაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემები საბჭოთა საქართველოში

თბილისი
1976

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ თეთრაული

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემები საბჭოთა საქართველოში

K 167104
3

სპეგ-2000
შემოწმებულია

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1976

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
თბილისი

33 . 043 + 338 (С 41)
33 ს + 338 (47 . 922)
თ 425

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომში გამოკვლეულია გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების რეგიონალური თავისებურებანი მოკავშირე რესპუბლიკებში, სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიური საკითხები; შესწავლილია საქართველოში გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და მისი ეფექტიანობის, სახალხო მეურნეობის სტრუქტურის ძირითადი საკითხები; გამოკვლეულია საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების დარგთა მთლიანი და წმინდა პროდუქციის წარმოების ზრდის და სტრუქტურულ ცვლილებათა კანონზომიერებანი; მოცემულია პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის ანალიზი.

სპეგ-2000
ბიბლიოთეკა

თ $\frac{10807}{М\ 607\ (03) - 76}$ 162 — 76 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

სკკპ XXV ყრილობამ დასახა სსრ კავშირში კომუნიზმის შემდგომი მშენებლობის დიადი პროგრამა, განსაზღვრა მეათე ხუთწლედის ამოცანები და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის შემდგომი პერსპექტივები. მეათე ხუთწლედი ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში, სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარებაში. ეს საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერების, ნაციონალური სიმდიდრის გადიდებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის სახალხო მეურნეობის შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენების პერიოდია.

„მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა თანამიმდევრულად განვახორციელოთ კომუნისტური პარტიის კურსი, რათა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საფუძველზე ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე“[1].

ამის საფუძველზე უნდა უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წარმოების განუხრელი ზრდა და მისი სტრუქტურის სრულყოფა; განვახორციელოთ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემა; უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივი ზრდა, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, გავაძლიეროთ მომჭირნეობის რეჟიმი სახალხო მეურნეობაში; დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-

[1] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 7 მარტი, № 56.

რესი, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გადამწყვეტი პირობა; სრულვყოთ სახალხო მეურნეობის მართვა განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის უპირატესობათა და შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენების მიზნით.

მეათე ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა ის, რომ იგი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედია. ამასთანავე მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის ჭეშმარიტად უდიდესი მასშტაბები. მეათე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქციის აბსოლუტური ზრდა უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე გასულ ხუთწლედში. მრეწველობის პროდუქციის მატების ყოველი პროცენტი ახლა ნიშნავს მისი მოცულობის გადიდებას ხუთი მილიარდი მანეთით და მეტით, 1,4-ჯერ, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. თუ გასულ ხუთწლედში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაბანდებული იყო 500 მილიარდ მანეთზე მეტი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ერთნახევარჯერ გაგვედიდებინა ძირითადი წარმოებრივი ფონდები, სამაგიეროდ ახალ ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შეადგენს დაახლოებით 630 მილიარდ მანეთს, ანუ გაიზრდება 24—26 პროცენტით. გათვალისწინებულია 1980 წელს ნაციონალური შემოსავალი გაიზარდოს 457,5 მილიარდ მანეთამდე, ესე იგი გადიდდეს 96 მილიარდით. მრეწველობის პროდუქცია გაიზრდება თითქმის 197 მილიარდით და გადააჭარბებს 720 მილიარდ მანეთს[2].

მეათე ხუთწლედში წამოყენებულია ფართო სოციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო ხელფასის გადიდებას 16—18 პროცენტით, საზოგადოებრივი მეურნეობებიდან — კოლმეურნეთა შემოსავლის მატებას 24—27 პროცენტით, მოსახლეობისათვის დახმარებებისა და შეღავათების გაცემის გადიდებას მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე 28—30 პროცენტით. ახალ ხუთწლედში აშენდება 545—550 მილიონი კვადრატული მეტრი ახალი ბინები[3], განხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლებისა და კულტურის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ პარტიის ეკონომიკური

---

[2] გაზ. «Правда», 1976 წლის 8 მარტი.

[3] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები, გაზ. „კომუნისტი", 1976 წ. 7 მარტი, № 56.

სტრატეგიის ღერძი, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც მეათე ხუთწლედს, ისე ხანგრძლივ პერსპექტივასაც, ის არის, რომ კიდევ უფრო გავზარდოთ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, გავაფართოოთ და ძირფესვიანად გავაახლოთ წარმოებრივი ფონდები, უზრუნველვყოთ მძიმე მრეწველობის ეკონომიკის საძირკველის მყარი გაწონასწორებული ზრდა.

ჩვენი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „...ქვეყნის წინაშე მდგომი მრავალფეროვანი ეკონომიური და სოციალური ამოცანების წარმატებითი გადაწყვეტის ერთადერთი გზაა შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება. მთელი ჩვენი ეკონომიური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ის, რომ მთავარი ყურადღება დავუთმოთ ეფექტიანობას“[4].

მეათე ხუთწლედში შრომის მწარმოებლურობის გადიდებამ უნდა უზრუნველყოს ნაციონალური შემოსავლის წარმოების მატების 85—90 პროცენტი, მრეწველობის პროდუქციის მატების ლაახლოებით 90 პროცენტი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მთელი მატება, და რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთზიდვის მოცულობის მატების სულ ცოტა 95 პროცენტი[5].

სკკპ XXV ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია დაგეგმვისა და მართვის მთელი მეურნეობრივი მექანიზმის შემდგომი სრულყოფის გზები. დასახულია ამოცანა გავაძლიეროთ გეგმის, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების, მართვის მთელი სისტემის კომპლექსური გავლენა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტია-

---

[4] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ., 1976, გვ. 59.

[5] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 7 მარტი, № 56.

ნობის ამაღლებაზე, საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევაზე; გეგმებში უფრო სრულად გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და მხედველობაში მივიღოთ ძათი დაკმაყოფილება შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენებით; უზრუნველვყოთ გეგმების შეწონასწორება ნატურალური და ღირებულებითი ბალანსების წარმოებრივი სიმძლავრეებისა და შრომითი რესურსების ბალანსების საფუძველზე.

ეხებოდა რა დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის საკითხს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნა: „...დღეს ჩვენს წინაშეც დადგა ამოცანა — ავამაღლოთ გეგმიანი მუშაობის დონე, შევუსაბამოთ იგი ჩვენი მეურნეობის ახალ მასშტაბსა და დღევანდელ სახეს, დროის ახალ მოთხოვნებს.

აქ მდგომი ამოცანები ცხადია. ეს არის ძალებისა და რესურსების კონცენტრაცია უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამების განხორციელებისათვის, დარგობრივი და ტერიტორიული განვითარების, პერსპექტიული და მიმდინარე პრობლემების უფრო გონივრული შეხამება, ეკონომიკის შეწონასწორების უზრუნველყოფა. ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის ბევრი რამ უნდა გააკეთონ საგეგმო და სამეურნეო ორგანოებმა. აქ ფართო ასპარეზია გაშლილი იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ეკონომიკის მეცნიერების საშუალებანი, დავნერგოთ თანამედროვე მეცნიერული მეთოდები, მათ შორის ეკონომიურ-მათემატიკური, გამოვიყენოთ მართვის ავტომატიზებული სისტემები“[6].

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები ითვალისწინებენ მწარმოებლური ძალების გაადგილების შემდგომ გაუმჯობესებას, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების მეურნეობის კომპლექსურ განვითარებასა და სპეციალიზაციას, შრომისუნარიანი მოსახლეობის უფრო სრულად ჩაბმას წარმოებაში, ტერიტორიული დაგეგმვის სწორ შეხამებას სახალხო მეურნეობის მართვის დარგობრივ პრინციპთან.

პარტიის XXV ყრილობის მიერ დამტკიცებული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად

---

[6] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ., 1976, გვ 81.

მიმართულებებში" აღნიშნულია, რომ უნდა „ავამაღლოთ მოკავშირე რესპუბლიკების როლი და პასუხისმგებლობა საწარმოო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში; სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებაში, ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების გაფართოებაში, ამასთან გავითვალისწინოთ ადგილობრივი და ეროვნული თავისებურებანი, ბუნებრივი, შრომითი და სხვა რესურსების რაც შეიძლება სრული გამოყენება.

უზრუნველყოთ ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკასა და ეკონომიურ რაიონში, ავტონომიურ ოლქსა და ეროვნულ ოკრუგში"[7].

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები ითვალისწინებენ გავაადგილოთ მრეწველობის შრომატევადი წარმოებანი შრომითი რესურსების ხელსაყრელი ბალანსის მქონე მოკავშირე რესპუბლიკებსა და ეკონომიკურ რაიონებში; გავაუმჯობესოთ ადგილობრივი კვალიფიციური კადრების მომზადება. გათვალისწინებულია, აგრეთვე, კვლავაც შევზღუდოთ დიდი ქალაქების ზრდა, განვავითაროთ ეკონომიკურად პერსპექტიული პატარა და საშუალო ქალაქები და გავაადგილოთ იქ უმთავრესად პატარა საწარმოები, მოქმედი გაერთიანებების, ფაბრიკებისა და ქარხნების ფილიალები და სპეციალიზებული საამქროები. დასახულია ამოცანა, რათა სრულად განვახორციელოთ შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებები; განვავითაროთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოები და სარეწები, რომლებიც გადაამუშავებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, გამოუშვებენ ადგილობრივი ნედლეულით საშენ მასალებსა და სახალხო მოხმარების საქონელს.

დიდი მნიშვნელობა აქვს მწარმოებლური ძალების რაციონალურ, რაც შეიძლება ეფექტიან გადაადგილებას მოკავშირე რესპუბლიკებსა და საერთოდ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებში, შრომის ტერიტორიული დანაწილების ეფექტიანობის ამაღლებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებს, რომ „დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, აგრეთვე, ჩვენ ქვეყანაში საწარმოო ძალების განლაგების დაგეგმვა, რომელსაც ლენინი უდი-

---

[7] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები, გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 7 მარტი, № 56.

დეს მნიშვნელობას ანიჭებდა. საქმე ეხება თითოეული რაიონის ყველაზე უფრო რაციონალურ, ეკონომიურად ეფექტიან განვითარებას მისი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით"[8].

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეათე ხუთწლედში განხორციელდება ჩვენი ქვეყნის მწარმოებლური ძალების გაადგილების შემდგომი სრულყოფა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა პარტიის XXV ყრილობაზე თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „სსრ კავშირის ერთიანი მეურნეობის ფარგლებში მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკებისა და რაიონების ეკონომიკური ურთიერთობა, გაიზრდება შრომის ტერიტორიული დანაწილების ეფექტიანობა, გადიდდება თითოეული რესპუბლიკის, თითოეული რაიონის წვლილი საერთო-სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტაში. პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნება ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ეკონომიკური რაიონის, ავტონომიური ოლქისა და ეროვნული ოკრუგის ეკონომიკის მნიშვნელოვანი აღმავლობა.

ჩვენი საგეგმო სოციალისტური ეკონომიკის ერთიანობისა და რესპუბლიკების ფართო ინიციატივის საფუძველზე მეათე ხუთწლედში გაგრძელდება მათი განვითარების დონეთა შემდგომი გათანაბრება"[9].

აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე აუცილებელია თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების კონკრეტულ კანონზომიერებათა ყოველმხრივი გამოკვლევა, გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების პრობლემების კომპლექსური, სისტემური შესწავლა, აღწარმოების ეფექტიანობისა და რეგიონალურ თავისებურებათა ანალიზი, სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხების, პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის შესწავლა და ანალიზი.

---

[8] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს, მოხსენება 1970 წლის 21 აპრილის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე, გაზ. „კომუნისტი", 1970 წლის 22 აპრილი, № 94.

[9] ა. ნ. კ ო ს ი გ ი ნ ი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, თბ., 1976, გვ. 61.

ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში კომუნისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბების ზრდის, მოკავშირე რესპუბლიკების სამეურნეო ორგანოების ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გაფართოების, ტერიტორიული დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობის შედეგად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მოკავშირე რესპუბლიკებში გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების კანონზომიერებათა გამოკვლევას, სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის პრობლემების, რესპუბლიკის დარგთაშორისი კავშირების შესწავლას.

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემების რეგიონალურ ასპექტში გამოკვლევა ქმნის მყარ საფუძველს მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მეცნიერული დონის შემდგომი ამაღლებისა და წარმოების მართვის სრულყოფისათვის, სახალხო მეურნეობის განვითარების სათანადო პერსპექტივების დასახვისათვის.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივი ფაქტორების სრულად გამოყენებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას, გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ტემპების დაჩქარებას. საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის ამაღლება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარი მიმართულებაა. ეს ამოცანა წყდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების, კაპიტალურ დაბანდებათა და ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, ეკონომიის რეჟიმის განხორციელების საფუძველზე. აქედან გამომდინარე აუცილებელია მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და მისი ეფექტიანობის, სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიური პრობლემების მეცნიერული გამოკვლევა. ამასთან კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღნიშნული პრობლემების კომპლექსურ, სისტემურ შესწავლას, კონკრეტულ კანონზომიერებათა რეგიონალურ ასპექტში გამოკვლევას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადგანაც გაფართოებული სოციალისტური აღ-

წარმოების პროცესი წარმოადგენს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, მუშაძალისა და სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა აღწარმოების ერთიან პროცესს, ამიტომ აუცილებელია მისი შესწავლა და განხილვა მათ ორგანულ ერთიანობაში.

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის ძირითადი საკითხების საქართველოს სსრ მაგალითზე გამოკვლევისათვის საჭიროა გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და მისი ეფექტიანობის, სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების, სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხების დამუშავება და გადაჭრა, რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის მოძრაობის მთლიანი პროცესის სისტემური ანალიზი, ძირითადი ფონდების ბალანსისა და შრომის ბალანსის, პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისო ბალანსის ძირითადი საკითხების საფუძვლიანი გამოკვლევა.

უკანასკნელ პერიოდში დაიბეჭდა საყურადღებო მეცნიერული ნაშრომები, რომლებშიც გამოკვლეულია, როგორც საერთოდ გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების თეორიის და სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემები, ისე სპეციალურად მოკავშირე რესპუბლიკებში გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიური საკითხები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის წვლილი, რომელიც აღნიშნული პრობლემების დამუშავებაში შეიტანეს ცნობილმა საბჭოთა მეცნიერებმა ა. ნოტკინმა, ი. კრონროდმა, ლ. სტრუმილინმა, მ. ბორმა, შ. ტურეცკიმ, ვ. სობოლმა, ი. მოროზოვმა, მ. ეიდელმანმა, პ. პავლოვმა, ე. კაგანოვმა, მ. კოლგანოვმა, ვ. მედვედევმა, ა. კორიაგინმა, დ. ალახვერდიანმა, ა. ზვერევმა, ბ. პლიშევსკიმ, ი. იარომენკომ, ს. შატალინმა, ი. კაცმა, ე. ფრეიმუდტმა, გ. სოროკინმა, ლ. ალექსანდროვმა, ა. ანჩიშკინმა, ვ. კულეშოვმა, პ. მოსკვინმა, ა. პაშკოვმა, ნ. მოისენკომ, ვ. კოსოვმა, ვ. კაცმა, ა. ვიკენტიევმა, ლ. ევსტინგეევმა, მ. სონინმა, ვ. კოსტაკოვმა, პ. ლიტვიაკოვმა, ვ. ბადერმა, ვ. ვიოდენტიევმა, ხ. გულანიანმა, ი. მარაჩკოვსკაიამ, მ. საკიევმა, ს. პუტიატომ, ი. ზაიცევამ, ი. ჟუკოვსკიმ, ი. მალიშევმა, ვ. იაგოდკინმა[10] და სხვ.

---

[10] А. Ноткин, Очерки теории социалистического воспроизводства, М., 1948; его же, Темпы и пропорции социалистического воспроизводства, М., 1961; Я. Кронрод, Социалистическое воспроизводство, М., 1955;

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაცხოველდა და გაღრმავდა ტერიტორიულ ჭრილში გაფართოებული სოციალისტური ადგილწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემების

его же, Общественный продукт и его структура при социализме, М., 1958; С. Струмилин, К схеме баланса народного хозяйства СССР, «Ученые записки по статистике», т. I, 1955; М. Бор, Вопросы методологии планового баланса народного хозяйства СССР, М., 1960; Ш. Турецкий, Расширенное социалистическое воспроизводство и баланс народного хозяйства, М., 1964 (в соавторстве); В. Соболь, Очерки по вопросам баланса народного хозяйства, М., 1960; И. Морозов, Баланс народного хозяйства и методы его построения, М., 1961; М. Эйдельман, Межотраслевой баланс общественного продукта, М., 1966; П. Павлов, Е. Каганов, Социалистическое воспроизводство на современном этапе, М., 1963; М. Колганов, Национальный доход (очерки по истории и теории вопроса), М., 1959; В. Медведев; Социалистическое воспроизводство и структурные сдвиги в экономике, М., 1973; А. Корягин, Социалистическое воспроизводство, М., 1961; Д. Аллахвердян, Национальный доход СССР, М., 1958; А. Зверев, Национальный доход и финансы СССР, М., 1961; Б. Плышевский, Ю. Яроменко, Закономерности движения общественного продукта и национального дохода, М., 1963; С. Шаталин, Пропорциональность общественного производства, М., 1968; Я. Кац, Схема воспроизводства и межотраслевой баланс, «Вопросы экономики», № 12, 1966; Е. Фреймундт, Совокупный общественный продукт и его исчисление в СССР, М., 1958; Г. Сорокин, Проблемы воспроизводства в период развитого социализма, «Вопросы экономики», № 8, 1974; Л. Александров, Особенности социалистического расширенного воспроизводства на современном этапе, жур. «Экономические науки», № 6, 1975, А. Анчишкин, Темпы и пропорции экономического развития, М., 1967; В. Кулешов, Социалистическое воспроизводство, М., 1961; П. Москвин, О сопоставлении темпов роста общественного продукта и национального дохода, «Вестник статистики», № 5, 1962; его же, Вопросы статистики национального дохода, М., 1955; Н. Моисенко, Очерки теории индивидуального воспроизводства при социализме, М., 1971; А. Пашков, Экономический закон преимущественного роста производства средств производства, М., 1958; В. Косов, Межотраслевой баланс, М., 1966; В. Кац, Воспроизводство экономических отношений в системе социалистических стран, М., 1970; А. Викентиев, Развитие экономики СССР и проблемы пропорциональности, М., 1963; Л. Евстигнеева, Фондоемкость и структура общественного продукта, М., 1959; М. Сонин, Воспроизводство рабочей силы в СССР и баланс труда, М., 1959; В. Костаков, П. Литвяков, Баланс труда, М., 1970; В. Бадер, Социалистический продукт, М., 1967; Э. Виолектов, Социалистическое воспроизводство в период строительства коммунизма, М., 1962; Х. Гуланян, Расширенное социалистическое воспроизводство в период развер-

კვლევა, რომლის შედეგები უკვე გამოქვეყნდა მრავალ სამეცნიერო ნაშრომში. ამ პრობლემების გამოკვლევას მიეძღვნა საბჭოთა ეკონომისტების ვ. რუტგაიზერის, კ. ციპეს, ა. სემიონოვის, მ. ბელოვის, ა. ნეველოვის, ვ. პავლენკოს, ბ. ორლოვის, რ. შნიპერის, ს. სიტარიანის, ფ. ამიკიშიევის, ე. მატევოსოვის, ა. მოსკვინის, ა. აბდუგანიევის, უ. მირზახოჯაევის, ვ. ოსმინინის, ა. ბულატის[11] და სხვათა ნაშრომები.

აღნიშნული საკითხების შესწავლასა და დამუშავებაში თავისი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმა: პ. გუგუშვილმა, ა. გუ-

---

нутого строительства коммунизма в СССР, 1964; М. Марачковская, Развитие Лениним теории воспроизводства, М., 1960; М. Сакиев, Темпы роста основных производственных фондов и совокупного общественного продукта, М., 1972; С. Путято, Социалистическое воспроизводство, М., 1959; И. Зайцева, Факторы роста общественного продукта, в книге «Баланс общественного продукта союзной республики», М., 1962; Я. Жуковский, О категории совокупного общественного продукта, жур. «Вопросы экономии», № 6, 1962; И. Малышев, Социалистическое воспроизводство и баланс народного хозяйства, «Коммунист», № 4, 1955; В. Ягодкин, Социалистическое воспроизводство, 1960.

[11] В. Рутгаизер, Региональные особенности общественного воспроизводства, М., 1972; К. Ципе, Система межотраслевых балансов союзной республики, М., 1971; А. Семенов, Межотраслевой баланс республики, М., 1972; М. Белов, Межотраслевые балансы сельского хозяйства союзной республики, М., 1973; А. Невелев, Разработка межотраслевых балансов в союзной республике, М., 1971; В. Павленко, Территориальное и отраслевое планирование, М., 1971; Б. Орлов, Р. Шнипер, Экономическая реформа и территориальное планирование, М., 1969; С. Ситарян, Национальный доход союзной республики, М., 1961; Ф. Амикишиев, Современные проблемы расширенного воспроизводства общественного продукта в союзных республиках СССР (на материалах Азербайджанской ССР), Автореферат докторской диссертации, Баку, 1970; Э. Матевосов, Национальный доход и его использование в Армянской ССР, Ереван, 1968; А. Москвин, Вопросы производства, распределения и использования общественного продукта и национального дохода Украинской ССР, кандидатская диссертация, Киев, 1963; А. Абдуганиев, У. Мирзаходжаев, В. Осминин, Общественный продукт и национальный доход Узбекской ССР, Ташкент, 1960; А. Булат, Вопросы исчисления показателей валовой и чистой продукции сельского хозяйства союзной республики (на примере Белорусской ССР), Автореферат кандидатской диссертации, М., 1964.

ნიამ, ი. მიქელაძემ, ვ. მელქაძემ, ვ. ჩანტლაძემ, ა. ნუცუბიძემ, რ. ხარბედიამ, ი. ბაჯაძემ, გ. ჭანუყვაძემ, ბ. ხასიამ, ვ. დათუკიშვილმა, ვ. გველესიანმა, ვ. ტრაპაიძემ, მ. კეკელიძემ, ვ. ლებანიძემ, ლ. ჩიქავამ, ა. კაკაბაძემ, თ. ლობჯანიძემ, დ. ქორიძემ, გ. ადეიშვილმა, ვ. ადვაძემ, ლ. ხარაზმა, ო. სალარეიშვილმა, გ. მშვილდაძემ, ს. ინწკირველმა, ნ. ხურციძემ, ვ. ჯიბლაძემ, დ. დიასამიძემ, რ. ვოგოხიამ, ლ. ხაბურზანიამ, თ. ჭიაბრიშვილმა, ი. ქადარიამ, ზ. სულთანიშვილმა, ნ. სულავამ, გ. ყუფუნიამ, კ. ელიზბარაშვილმა, ი. მესხიამ, გ. ფირცხალავამ, ვ. ვეფხვაძემ, ქ. კოპალეიშვილმა, ც. ბუხსიანიძემ, მ. გველესიანმა[12] და სხვ.

---

[12] პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, თბ., 1973, მისივე, Теоретические аспекты планирования и прогнозирования, Тб., 1972; А. Гуния, Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР, Тб., 1961; მისივე, О темпах и пропорциях социалистического воспроизводства в экономике Грузии, Тб., 1966; მისივე, К вопросу о темпах и пропорциях воспроизводства в экономике Грузии, Тб., 1969; ი. მიქელაძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები და პროპორციები, თბ., 1966; მისივე, Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, М., 1964; ვ. მელქაძე, სოციალისტური კვლავწარმოება საბჭოთა საქართველოში, საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი (წარმოება), თბ., 1966; მისივე, Закономерности воспроизводства национального дохода в Грузинской ССР, Тб., 1974; მისივე, საქართველოს ეროვნული შემოსავლის პირველი გაანგარიშებანი, ჟურნ. „მაცნე", № 6, 1964; მისივე, საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავლის პირველადი განაწილება, საქართველოს ეკონომიკის პრობლემები, შრომების კრებული, ტ. II, ნაკვეთი 2, თბ., 1967; მისივე, Опыт исследования региональной структуры общественного продукта и национального дохода Грузинской ССР, „მაცნე", № 1, 1971; ვ. ჩანტლაძე, საბჭოთა ფინანსების გამანაწილებლობითი ფუნქცია, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი", № 12, 1961. ა. ნუცუბიძე, რ. ხარბედია, ხალხის მატერიალური კეთილდღეობა საქართველოს სსრ-ში, თბ., 1972; ი. ბაჯაძე, საქართველოს სსრ ინდუსტრიული განვითარების ტემპების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 1947; გ. ჭანუყვაძე, სოციალისტური დაგროვების არსი და მნიშვნელობა, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1954; მისივე, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. IV, თბ., 1969, ბ. ხასია, გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ხასიათი, თბ., 1956; მისივე, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის შესახებ, ჟურნ. „მაცნე", № 3, 1960; ვ. დათუკიშვილი, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მთავარი მიმართულებები თანამედროვე პერიოდში, შრომების კრებული „სოციალიზმის ზოგიერთი აქტუალური ეკონომიური პრობლემა", თბ., 1975; Г. Гвелесиани, Развитие и размещение социалистического производства в Грузинской ССР; Тб., 1965; ვ. ტრაპაიძე, ბრუნვის გადასახადის მოქმედი სისტემა

საქართველოში გაფართებული სოციალისტური აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის საკითხებს ამა თუ იმ ასპექტით შეეხება აგრეთვე ქართველი ეკონომისტების მთელი რიგი სხვა სა-

---

და მისი გარდაქმნა მრეწველობის მართვის ახალი სისტემის შესაბამისად, თბ., 1957; მ ი ს ი ვ ე, მოგება საქართველოს სსრ მრეწველობის ომისშემდგომ პერიოდში, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1971; М. К е к е л и д з е, Анализ межотраслевых связей республики, М., 1968; მ ი ს ი ვ ე, Экономико-кибернетический аспект межотраслевого баланса республики, М., 1966 (Первая Всесоюзная конференция по экономической кибернетике, доклад); მ ი ს ი ვ ე, Методологические материалы по разработке систем межотраслевых балансов народного хозяйства Грузинской ССР, Тб., 1965; ვ. ლ ე ბ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სსრ წმინდა შემოსავალი და ბიუჯეტი, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1970; ლ. ჩ ი ქ ა ვ ა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, თბ., 1965; ა. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს სსრ სახალხო შემოსავლის შესწავლისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1946; თ. ლ ო ბ ჯ ა ნ ი ძ ე, რეალიზაციის საკითხები ლენინის ადრინდელ შრომებში, თბ., 1958; დ. ქ ო რ ი ძ ე, კომუნისტური საზოგადოების პოლიტიკური ეკონომია, თბ., 1970; ვ. ა დ ე ი შ ვ ი ლ ი, შრომითი რესურსების კვლავწარმოების პრობლემები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1971; ვ. ა დ ვ ა ძ ე. საქართველოს სსრ მრეწველობის ზრდის ტემპები და სტრუქტურა ომისშემდგომ პერიოდში, თბ., 1970; ლ. ხ ა რ ა ზ ი, დაგროვებისა და მოხმარების ზოგიერთი საკითხი კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე, გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება აკარის ასსრ-ში, თბ., 1972; ო. ს ა ღ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სოფლის მეურნეობის შრომის ბალანსი, თბ., 1975; გ. მ შ ვ ი ლ დ ა ძ ე, ძირითადი ფონდების კვლავწარმოების საკითხები, თბ., 1970; მ ი ს ი ვ ე, ძირითადი ფონდების გამოყენება და მისი გაუმჯობესების გზები საქართველოში, თბ., 1973; ს. ი ნ წ კ ი რ ვ ე ლ ი, აღწარმოების ნაციონალური ჭრილი და სახალხო მეურნეობის ბალანსის მეთოდოლოგიის საკითხები, „მაცნე", № 4, 1966; მ ი ს ი ვ ე, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ბალანსის ზოგიერთი ძირეული პრობლემა, ჟურ. „საქართველოს კომუნისტი", № 4; 1964; Н. Х у р ц и д з е, Проблемы производительности труда, Тб., 1975; ვ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ფაქტორთა ცვლილების გავლენა ეროვნულ შემოსავალზე, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა" № 4, 1968; დ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურისა და ზრდის ტემპების შესახებ, თბ., 1965; რ. გ ო გ ო ხ ი ა, სოფლის მეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაცია, თბ., 1975; ლ. ხ ა ბ უ რ ზ ა ნ ი ა, საქართველოს სსრ ეკონომიკის პერსპექტიული განვითარების კონცეფციისათვის (დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენების თეზისები, თბ., 1967); ი. ქ ა დ ა რ ი ა, საქართველოს სსრ მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავალის ბალანსის შესახებ, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", № 5, 1966; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სსრ მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსი, საკანდიდატო დისერტაცია, 1969; ზ. ს უ ლ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების პრობლემები, თბ., 1969, ნ. ს უ ლ ა-

ყურადღებო ნაშრომები, რომლებიც მიძღვნილია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების კანონზომიერებათა გამოკვლევისადმი. ამ ნაშრომების შესახებ მითითებულია ჩვენი ნაშრომის ტექსტში შესაბამისი საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის ზოგიერთი ძირითადი პრობლემა, კერძოდ ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ძირითადი კანონზომიერებანი სოციალიზმის დროს, გამოკვლეულია გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების რეგიონალური თავისებურებანი მოკავშირე რესპუბლიკებში, სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიური საკითხები, შესწავლილია საქართველოში გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების და მისი ეფექტიანობის, სახალხო მეურნეობის სტრუქტურის ძირითადი საკითხები. გამოკვლეულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების დარგთა მთლიანი და წმინდა პროდუქციის წარმოების ზრდისა და სტრუქტურულ ცვლილებათა კანონზომიერებანი; მოცემულია პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის ანალიზი.

ვ ა, საზოგადოებრივი პროდუქტის დარგთაშორისი ბალანსი, თბ., 1974; გ. ყ უ ფ უ ნ ი ა, მრეწველობის სტრუქტურა და საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფს შორის თანაფარდობა, საქართველოს ეკონომიკის პრობლემები, თბ., 1969; კ. ე ლ ი ზ ბ ა რ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები, თბ., 1975; ი. მ ე ს ხ ი ა, რეგიონის ეკონომიური განვითარების პროგნოზირება, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", № 11, 1973; გ. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე პრობლემები, ჟურნ. „მაცნე", № 4, 1975; ვ. ვ ე ფ ხ ვ ა ძ ე, შრომითი რესურსების აღწარმოების ძირითადი ტენდენციები, საქართველოს ეკონომიკის პრობლემები, თბ., 1968, ქ. კ ო პ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი, დაგროვების ფონდი საქართველოს სსრ ეროვნულ შემოსავალში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1964, მ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ბრუნების შესახებ, საქართველოს ეკონომიკის პრობლემები, თბ., 1965; მ. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი, ანაზღაურების ფონდისა და ეროვნული შემოსავლის თანაფარდობა საზოგადოებრივ პროდუქტში, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", № 9, 1969 წ. და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი I

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების კანონზომიერებანი

1. გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების არსი

ყოველ საზოგადოებაში წარმოების პროცესი მისი საზოგადოებრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად განუწყვეტლივ განახლებადი და განმეორებადი უნდა იყოს. საზოგადოებრივი წარმოების პროცესი განხილული მუდმივ კავშირში და მისი განახლების განუწყვეტელ დინებაში აღწარმოებას წარმოადგენს. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ „როგორიც უნდა იყოს წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ფორმა, ეს პროცესი უნდა იყოს განუწყვეტელი, ე. ი. მან პერიოდულად მუდამ ხელახლა ერთი და იგივე სტადიები უნდა გაიაროს. როგორც მოხმარების შეწყვეტა არ შეუძლია საზოგადოებას, ასევე არ შეუძლია მას წარმოების შეწყვეტაც. ამიტომ ყოველი საზოგადოებრივი წარმოების პროცესი, განხილული მუდმივ კავშირში და მისი განახლების განუწყვეტელ დინებაში, არის იმავე დროს კვლავწარმოების პროცესი“[1].

აღწარმოების პროცესი მოიცავს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, მუშაძალისა და წარმოებრივ ურთიერთობათა აღწარმოებას. საზოგადოებრივი აღწარმოება ხორციელდება მატერიალური დოვლათის წარმოების, მისი განაწილების, გაცვლისა და მოხმარების შინაგანი, ორგანული კავშირისა და დიალექტიკური ერთიანობის საფუძველზე. ამ ფაზათა შორის გადამწყვეტი როლი მიეკუთვნება წარმოებას, რომელიც განსაზღვრავს აღწარმოების ყველა დანარჩენი მომენტის ბუნებას და მათ ურთიერთდამოკიბულებას.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 713.

აღწარმოების სოციალურ-ეკონომიკური არსი განისაზღვრება მოცემული საზოგადოების ეკონომიკური წყობილებით, ობიექტური ეკონომიკური კანონების მთელი სისტემის მოქმედებით. „თუ წარმოებას კაპიტალისტური ფორმა აქვს, — წერდა კ. მარქსი, — მაშინ კვლავწარმოებაც ასეთ ფორმას ატარებს"[2]. სოციალისტური წარმოების წესს შეესაბამება აღწარმოების სოციალისტური ხასიათი.

აღწარმოების მეცნიერული თეორია პირველად დამუშავებულ იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ. კ. მარქსმა თავის გენიალურ ნაშრომში „კაპიტალი" მოგვცა საზოგადოებრივი აღწარმოების პრობლემების მეცნიერული გადაწყვეტა. ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა მარქსის თეორია აღწარმოების შესახებ და გაამდიდრა იგი ახალი დებულებებით. სოციალისტური აღწარმოება ემყარება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას, რის გამოც სოციალისტური ეკონომიკა წარმოადგენს ექსპლუატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობათა ერთობლიობას.

სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი აღწარმოება გამოდის როგორც მწარმოებლური ძალებისა და სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობების გეგმაზომიერი განვითარებისა და სრულყოფის პროცესი, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ამაღლება.

სოციალისტური აღწარმოების მთავარი ნიშანი ის არის, რომ იგი ემორჩილება მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებას. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სოციალისტური აღწარმოების პროცესში, მისი მასშტაბების გაფართოებასთან ერთად, განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, მაღლდება მათი კულტურულ-ტექნიკური დონე. სოციალიზმის დროს წარმოების მუშაკები დაინტერესებულნი არიან საზოგადოებრივი წარმოების მოცულობის მუდმივი გადიდებით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით.

სოციალისტური აღწარმოება ხორციელდება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების განუყოფელი ბატონობისა

---

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 713.

K167104 3

და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის ლიკვიდაციის საფუძველზე. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება აერთიანებს ყველა საწარმოს და დარგს, წარმოების ყველა სფეროს ერთიან მეურნეობრივ ორგანიზმად, სოციალისტური წარმოების პროცესს აძლევს უშუალო საზოგადოებრივ ხასიათს. საპირისპიროდ კაპიტალიზმის დროს წარმოების სტიქიური განვითარებისა, სოციალიზმის პირობებში წარმოიშობა ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარების ობიექტური აუცილებლობა და შესაძლებლობა.

ფ. ენგელსი წერდა, რომ წარმოების საშუალებათა საზოგადოების საკუთრებაში გადასვლის შემდეგ „შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი წარმოება წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით“[3].

სოციალიზმის პირობებში საზოგადოებრივი საკუთრება შრომის კოოპერაციას მთელი საზოგადოების მასშტაბამდე აფართოებს. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ მსხვილი სოციალისტური მეურნეობა ქვეყნის მასშტაბით ხდება, „ერთი კანტორა და ერთი ფაბრიკა, სადაც განხორციელებული იქნება შრომის თანასწორობა და გასამრჯელოს თანასწორობა“[4]. ასეთი სახალხო მეურნეობის სწორი ფუნქციონირება შეუძლებელია, თუ არ არის საზოგადოებრივი წარმოების გეგმაზომიერი განვითარება, მისი რეგულირება ერთიანი ცენტრიდან. სოციალისტურ წარმოებას არ შეუძლია ვითარდებოდეს გეგმაზომიერების, როგორც მუდმივი, შეგნებულად გატარებული პროპორციულობის გარეშე. სოციალიზმისათვის სპეციფიკურია გეგმაზომიერი პროპორციულობა. რამდენადაც გეგმაზომიერება გამოდის როგორც სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კატეგორია, ამდენად სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარება წარმოადგენს ობიექტურ ეკონომიკურ კანონს, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონს, რომელიც წარმოიშობა კონკურენციისა და კაპიტალისტური წარმოების ანარქიის კანონის საპირისპიროდ.

სოციალისტურ საზოგადოებას, რომელიც ემყარება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას და შეიცნობს და შეგნებულად იყენებს სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს

---

[3] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, თბ., გვ. 430.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 591.

და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკურ კანონს, შესაძლებლობა აქვს გეგმაზომიერად განავითაროს სოციალისტური ეკონომიკა, გაანაწილოს მატერიალური და შრომითი რესურსები დარგებისა და ეკონომიკური რაიონების მიხედვით, გაითვალისწინოს გაფართოებული აღწარმოების მზარდი მოთხოვნები, უზრუნველყოს აღწარმოების მაღალი ტემპები და აგრეთვე აუცილებელი პროპორციები საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფს შორის, წარმოებას და მოხმარებას შორის, დაგროვებას და მოხმარებას შორის, სახალხო მეურნეობის დარგებს შორის და სხვ. გეგმაზომიერება და პროპორციულობა სოციალისტური აღწარმოების განუყოფელი ნიშნებია.

სოციალისტური აღწარმოებისაგან განსხვავებით, კაპიტალისტური აღწარმოება ხორციელდება სტიქიურად, საზოგადოებრივი წარმოების ანარქიისა და კონკურენციის ეკონომიკური კანონის მოქმედების საფუძველზე. კაპიტალიზმის დროს კერძო საკუთრების არსებობა თვით თავისი ბუნებით გამორიცხავს წარმოების უშუალო რეგულირებას, მეურნეობის გეგმაზომიერად წარმართვის შესაძლებლობას მთელი საზოგადოების მასშტაბით. კაპიტალისტური მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ყოველგვარ ცდას, რომლებსაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში მიმართავენ, არ შეუძლია წარმოების განვითარების სტიქიური ფორმის, კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელი ანარქიისა და კონკურენციის თავიდან აცილება, არ შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკის გეგმაზომიერი, შეთანხმებული განვითარება მთელი საზოგადოების მასშტაბით, რადგან წარმოების საფუძველს კერძო კაპიტალისტური საკუთრება და დაქირავებული შრომის ექსპლუატაცია წარმოადგენს, ხოლო მიზანს მაქსიმალური მოგების მიღება.

სოციალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელია გაფართოებული აღწარმოება, რომლის დროსაც მიმდინარეობს ნაციონალური სიმდიდრის გეგმაზომიერი და განუხრელი ზრდა, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება, სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა. სოციალისტური აღწარმოების მასშტაბები წლიდან წლამდე განუწყვეტლივ ფართოვდება და იზრდება. სოციალიზმის დროს ეკონომიკური კრიზისების არარსებობა, საზოგადოებრივი წარმოების განუხრელი გეგმაზომიერი განვითარება ქმნის მყარ საფუძველს და შესაძლებლობას ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, წარმოების შინაგანი რეზერვების ფართოდ გამოყენებისათვის, ეკონომიკური პოტენციალის

შემდგომი ამაღლებისათვის, აღწარმოების ტემპების დაჩქარებისათვის.

სოციალისტური აღწარმოება ხორციელდება მაღალი და მყარი ტემპებით, რაც მიუღწეველია კაპიტალიზმისათვის. სოციალისტურ ქვეყნებში საზოგადოებრივი წარმოება იზრდება გაცილებით სწრაფად, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. სსრ კავშირში მრეწველობის პროდუქციის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 1951—1974 წლებში 9,7% შეადგინა, ხოლო აშშ-ში — 4,4%. ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპები ახასიათებს სხვა სოციალისტურ ქვეყნებსაც. 1974 წელს, 1950 წელთან შედარებით, მრეწველური წარმოების მოცულობა სოციალიზმის ქვეყნებში გაიზარდა 9,9-ჯერ, ხოლო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 3,4-ჯერ[5]. ომისშემდგომ წლებში მრეწველური წარმოების გაორკეცებისათვის სსრ კავშირს დასჭირდა 8,5, ხოლო აშშ-ს —18, ინგლისს —22, საფრანგეთს — 13, გფრ-ს — 11 წელი.

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების უპირატესობანი არ გამორიცხავს იმასაც, რომ აღწარმოების განვითარების პროცესში წარმოიშვას წინააღმდეგობანი. ეს განპირობებულია იმით, რომ წარმოებრივი ურთიერთობების ცალკეული მხარეები ზოგჯერ ჩამორჩებიან საზოგადოების სწრაფად მზარდ მწარმოებლურ ძალებთან შედარებით. მაგრამ კაპიტალისტური აღწარმოებისაგან განსხვავებით სოციალისტური აღწარმოების პროცესში წარმოშობილი წინააღმდეგობანი არ ატარებენ ანტაგონისტურ ხასიათს და მათი დაძლევა ხდება გეგმიანად, მწარმოებლური ძალების განუწყვეტელი განვითარების კვალობაზე და მის საფუძველზე ხორციელდება წარმოებრივ ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფა.

სოციალისტური აღწარმოების პროცესი, უწინარეს ყოვლისა, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნის პროცესია. სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი იწარმოება ექსპლუატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა შრომით და გამოიყენება საზოგადოების ინტერესებისათვის. სოციალისტურ საზოგადოებაში მშრომელები არა მარტო ანხორციელებენ მატერიალური დოვლათის წარმოებას, არამედ ისინი მონაწილეობენ საზოგადოებრივი სიმდიდრის განაწილებაში, სოციალისტური მეურნეობის მართვაში.

---

[5] Народное хозяйство СССР в 1974 году, стат. эжегод., М., 1975, стр. 99—102.

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების უმნიშვნელოვანესი მხარეა მუშაძალის აღწარმოება. კაპიტალიზმისაგან განსხვავებით სოციალისტურ საზოგადოებაში მუშაძალის აღწარმოება ხორციელდება არა სტიქიურად, არამედ გეგმიანად, უმუშევრობის ლიკვიდაციისა და მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების პირობებში. სოციალისტურ საზოგადოებას ახასიათებს მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება.

სოციალიზმის დროს სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად განუხრელად იზრდება მუშაკთა რაოდენობა. სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით ხორციელდება შრომითი რესურსების მომზადების სახელმწიფოებრივი სისტემის საშუალებით, სკოლების, კურსების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების სპეციალური ქსელის საშუალებით. სოციალიზმის დროს მუშაძალის აღწარმოების დამახასიათებელი ნიშანია მუშაკთა მთელი მასის კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური დონის მუდმივი ამაღლება.

კაპიტალიზმის დროს ბურჟუაზია მუშაძალის შევსებას იღებს უმუშევართა სარეზერვო არმიიდან, რომელიც წარმოიქმნება კაპიტალის აღწარმოების პროცესში და რომელიც განსაკუთრებით იზრდება კრიზისების პერიოდში. კრიზისს უბედურება მოაქვს მუშათა კლასისათვის, გლეხობისათვის, ყველა მშრომელისათვის, რადგან იგი იწვევს მასობრივ უმუშევრობას, რის გამო ასეულათასობით და მილიონობით ადამიანის ხვედრია იძულებითი უმუშევრობა და შიმშილი. კაპიტალისტები უმუშევრობას იყენებდნენ იმისათვის, რომ გააძლიერონ მუშათა კლასის ექსპლუატაცია, დააქვეითონ მშრომელი მასების ცხოვრების დონე. კრიზისი ყველაზე მკაფიო მაჩვენებელია იმისა, რომ კაპიტალიზმის მიერ შექმნილი მწარმოებლური ძალები გასცილდნენ ბურჟუაზიულ წარმოებრივ ურთიერთობათა ფარგლებს, რის გამოც ეს წარმოებრივი ურთიერთობანი მწარმოებლურ ძალთა შემდგომი განვითარების დაბრკოლება გახდა. „კრიზისი ცხადყოფს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ თანამედროვე საზოგადოება შეძლებდა გაცილებით მეტი პროდუქტების დამზადებას მთელი მშრომელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მიწა, ფაბრიკები, მანქანები და სხვ. ხელში რომ არ ჰქონდეს ჩაგდებული ერთ მუჭა კერძო მესაკუთრეებს, რომლებიც მილიონებს ხვეჭენ გაღატაკებული ხალხიდან“[6].

---

[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 104.

სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და მუშაძალის აღწარმოება ხორციელდება წარმოებრივ ურთიერთობებთან ორგანულ ერთიანობაში. სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა გაფართოებული აღწარმოების პროცესში მიმდინარეობს სოციალისტური საკუთრების განვითარება მისი ორი ფორმით — საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი და კოლმეურნეობრივ-კოპერაციული ფორმით, ხორციელდება ექსპლუატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობათა, აგრეთვე მატერიალური დოვლათის განაწილებით ურთიერთობათა სრულყოფა.

სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობები თავისუფალია კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ღრმა ანტაგონისტური წინააღმდეგობებისაგან. სოციალიზმის დროს წარმოებრივი ურთიერთობები შეესაბამებიან მწარმოებლური ძალების ხასიათს და წარმოადგენენ მათი განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას.

კაპიტალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა აღწარმოების პროცესში მიმდინარეობს კაპიტალის მიერ შრომის ექსპლუატაციის გაძლიერება, კლასობრივი ანტაგონისტური წინააღმდეგობების შემდგომი ზრდა და გაღრმავება. კაპიტალისტური წარმოების პროცესი თავისი საკუთარი მსვლელობით კვლავ აღადგენს წარმოების ფაქტორების გათიშვას, მუშაძალის გათიშვას შრომის პირობებისაგან, რითაც იგი კვლავ აღადგენს და ამარადისებს მუშის ექსპლუატაციის პირობებს. ამ ვითარებაში იგი განუწყვეტლივ აიძულებს მუშას გაყიდოს თავისი მუშაძალა, რათა იცხოვროს და განუწყვეტლივ აძლევს საშუალებას კაპიტალისტს იყიდოს იგი, რათა გამდიდრდეს. აქედან გამომდინარეობს, რომ კაპიტალისტური წარმოების პროცესი იმავე დროს კაპიტალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა აღწარმოების პროცესია. „...კაპიტალისტური წარმოების პროცესი, — წერდა კ. მარქსი, — განხილული მის უწყვეტ კავშირში, ანუ როგორც კვლავწარმოების პროცესი აწარმოებს არა მარტო საქონელს, არა მარტო ზედმეტ ღირებულებას, არამედ იგი აწარმოებს და აკვლავწარმოებს თვით კაპიტალისტურ ურთიერთობას: ერთ მხარეზე კაპიტალისტს, ხოლო მეორე მხარეზე — დაქირავებულ მუშას“[7].

სოციალისტური აღწარმოების ერთ-ერთი ძირეული თავისებურებაა ის, რომ მთელი წარმოებული და აღწარმოებული წარმოების

---

[7] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 729.

საშუალებები და მოხმარების საგნები, რომლებიც სოციალისტური საზოგადოების ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს შეადგენენ, ეკუთვნის მშრომელ მასებს და მათი ინტერესებისათვის გამოიყენება. სსრ კავშირში ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით $\frac{3}{4}$ გამოიყენება მოხმარებისათვის, ხოლო $\frac{1}{4}$ დაგროვებისათვის. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი ნაციონალური შემოსავლის ძირითადი ნაწილი გადადის ექსპლუატატორული კლასების განკარგულებაში. მშრომელი მასების წილად კი, რომლებიც მოსახლეობის დაახლოებით $\frac{9}{10}$ შეადგენენ, მაგალითად, ისეთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიც აშშ, ნაციონალური შემოსავლის 50%-ზე ნაკლები მოდის.

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების პროცესში მიმდინარეობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და კომუნისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა თანდათანობითი განვითარება.

გაფართოებული აღწარმოებას ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

ჩვენ ქვეყანაში საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომით აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, მიღწეულია სახალხო მეურნეობის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების, ფართო მასების კულტურის და შეგნებულობის განუზომლად მაღალი დონე. პარტიის XXIV ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომით აიგო განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელზეც 1918 წელს ვ. ი. ლენინი ლაპარაკობდა, როგორც ჩვენი ქვეყნის მომავალზე. ამან საშუალება მოგვცა შევდგომოდით იმ დიადი ამოცანის პრაქტიკულად გადაწყვეტას, რომელიც დასახეს პარტიის პროგრამამ, პარტიის უკანასკნელმა ყრილობებმა, — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას“[8].

---

[8] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, „სკკპ XXIV ყრილობის მასალები“, თბ., 1971, გვ. 49.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე, ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში ღრმად და ყოველმხრივაა გაშუქებული მოძღვრება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შესახებ.

სკკპ XXV ყრილობამ შემდგომ დააკონკრეტა და განავითარა მომავალი ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპული დებულებანი, განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემები, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზები და მეთოდები.

ეკონომიკის დარგში განვითარებული სოციალიზმისათვის დამახასიათებელია დინამიკური წარმოება, რომელიც ერთიანი გეგმით ვითარდება და საფუძვლად უდევს სოციალისტური საკუთრების განუყოფელი ბატონობა. „ჩვენს ქვეყანას, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე, — ჯერ არასოდეს არ ჰქონია ასეთი მძლავრი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. არასოდეს არ გვყოლია კვალიფიციური კადრების ასეთი დიდი არმია. არასოდეს არ ვეყრდნობოდით სამეურნეო მშენებლობის ესოდენ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც შემოქმედებითად აითვისა და განაზოგადა პარტიამ“[9].

სოციალურ-პოლიტიკურ დარგში განვითარებული სოციალიზმი წარმოდგენილია საერთო-სახალხო სახელმწიფოთი, რომელიც გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებსა და ნებას. განვითარებული სოციალიზმის სოციალური სტრუქტურა განუწყვეტლივ ვითარდება, ამასთან მის დინამიკაში გაბატონებული ტენდენციაა მოძრაობა კლასობრივი დიფერენციაციიდან სოციალურ ერთგვაროვნობისაკენ.

„ჩვენ, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე, — შევქმენით ახალი საზოგადოება, საზოგადოება, რომლის მსგავსიც კაცობრიობას არ ახსოვს. ეს არის უკრიზისო, მუდამ მზარდი ეკონომიკის, მომწიფებული სოციალისტური ურთიერთობის, ნამდვილი თავისუფლების საზოგადოება. ეს არის საზოგადოება, სადაც გაბატონებულია მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედ-

---

[9] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 25 თებერვალი, № 46.

ველობა. ეს არის მომავლის ნათელი კომუნისტური პერსპექტივე-ბისადმი მტკიცე რწმენის საზოგადოება. მის წინაშე გადაშლილია შემდგომში ყოველმხრივი პროგრესის უსაზღვრო სივრცეები"[10].

განვითარებული სოციალიზმი წარმოადგენს კომუნიზმის პირველი ფაზის განვითარების ისეთ ეტაპს, როცა სოციალიზმი საესებით განმტკიცდა და მიაღწია სრულ გამარჯვებას. ამ ეტაპის თავისებურება, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, არის „... საბოლოოდ გამარჯვებული და განმტკიცებული, სოციალიზმიდან სრულ კომუნიზმზე გადასვლა..."[11]

სსრ კავშირის თანამედროვე ეკონომიკა წარმოადგენს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკას, რომელიც 30-იანი წლების ეკონომიკასთან შედარებით თავისი სიმწიფის უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება და არა მარტო რაოდენობრივად, არამედ თვისობრივადაც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ პერიოდის ეკონომიკისაგან, თუმცა ორივე ერთი და იგივე ტიპის წარმოებრივ ურთიერთობებს ემყარება. სსრ კავშირის თანამედროვე ეკონომიკა ხასიათდება მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი თავისებურებებით. უწინარეს ყოვლისა, განვითარებული სოციალიზმის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა სახალხო მეურნეობის, საზოგადოებრივი წარმოების სრულიად ახალი მასშტაბები. სსრ კავშირში შექმნილია უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი, რომელსაც საფუძვლად უდევს მრავალდარგოვანი ინდუსტრია და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება, მუშების, სპეციალისტების, სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიციური კადრები. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა უკვე ერთ დღეში აწარმოებს თითქმის ორი მილიარდი მანეთის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს, ე. ი. 10-ჯერ მეტს, ვიდრე 30-იანი წლების დამლევს აწარმოებდა ყოველდღიურად. მრეწველობა ახლა თვეში იძლევა მეტ პროდუქციას, ვიდრე წარმოებული იყო მთელ 1940 წელს. რაოდენობრივ ცვლილებებთან ერთად მოხდა ღრმა თვისობრივი ცვლილებები, გაჩნდა და სწრაფად ვითარდება წარმოების ახალი დარგები.

---

[10] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 26 თებერვალი, № 47.

[11] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 174.

ამასთან ღრმა ცვლილებანი განიცადა სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ. თუ 30-იანი წლების შუა პერიოდში სოციალიზმი მნიშვნელოვანწილად ძველ წარმოებრივ ფონდებს ემყარებოდა, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში მკვეთრად შეიცვალა მდგომარეობა. 1970 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების ღირებულებამ კოლოსალურ სიდიდეს — 740 მილიარდ მანეთს მიაღწია, მათ შორის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულებამ 461 მილიარდი მანეთი შეადგინა, რაც 7-ჯერ და მეტად აღემატება ომამდელი პერიოდის შესაბამის მაჩვენებელს. ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულებამ 1975 წლის დამლევისათვის 800 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი წარმოებრივი ფონდები 1940—1974 წლებში გაიზარდა 10,4-ჯერ, მათ შორის მრეწველობაში — 15-ჯერ, შენებლობაში — 35-ჯერ, სოფლის მეურნეობაში — 6,3-ჯერ, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 8,4-ჯერ[12]. ძირითადი ფონდების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად დიდად ამაღლდა მათი ტექნიკური დონე. მარტო 1961—1970 წლებში ძირითადი წარმოებრივი ფონდები მთლიანად სახალხო მეურნეობაში დაახლოებით 75%-ით განახლდა. 1971—1975 წლებში განახლდა ძირითადი წარმოებრივი ფონდების დაახლოებით 40 პროცენტი მრეწველობაში და 56 პროცენტი სოფლის მეურნეობაში[13].

აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში გაფართოებული აღწარმოების პროცესი ხორციელდება სახალხო მეურნეობის უზარმაზარი მასშტაბებისა და უაღრესად რთული ეკონომიკური კავშირების პირობებში.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ახლებურად წყდება აღწარმოების ტემპებისა და პროპორციების, მისი წყაროს, სახალხო მეურნეობის სტრუქტურისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის პრობლემები.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში გაფართოებული აღწარმოების ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ იგი ხორციელდება განუწყვეტელი და სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის

---

[12] Народное хозяйство СССР в 1974 году, М., 1975, стр. 59.

[13] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 25 თებერვალი.

საფუძველზე, რომელმაც თანამედროვე პირობებში მიიღო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხასიათი, რაც არსებითად ცვლის საზოგადოებრივი აღწარმოების პირობებს, მისი განვითარების ტემპებსა და ტენდენციას. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია თვისობრივად ახალი ეტაპია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, რომელსაც ახასიათებს შრომის საშუალებებისა და საგნების, ენერგიის წყაროების, ტექნოლოგიის, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ძირფესვიანი გარდაქმნა.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თავისებურებაა მისი კომპლექსური ხასიათი. იგი ეხება წარმოებრივი საქმიანობის არა ზოგიერთ სფეროს, არამედ გარდაქმნის წარმოების მთელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მის ორგანიზაციასა და მართვას. სკკპ XXV ყრილობამ დასახა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა: ორგანულად შევუხამოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები სოციალიზმის უპირატესობებს.

სკკპ XXV ყრილობამ განსაზღვრა რა თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური განვითარების საკვანძო პრობლემები, მათ შორის პირველი რიგის ამოცანად დასახა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნავდა: „უპირველეს ამოცანად კვლავ რჩება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება... მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მხოლოდ სოციალიზმის პირობებში იძენს სწორ მიმართულებას, რომელიც შეესაბამება ადამიანისა და საზოგადოების ინტერესებს. თავის მხრივ, მარტო მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე შეიძლება გადაიჭრას სოციალისტური რევოლუციის საბოლოო ამოცანები — აშენდეს კომუნისტური საზოგადოება“[14].

✓ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში გაფართოებული აღწარმოების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ იგი ხორციელდება საზოგადოებრივი წარმოების სოციალისტური განსაზოგადოების მაღალი დონის პირობებში. ეს გამოიხატება წარმოების მასშტაბების გაფართოებით, წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციის, კოოპერირებასა და კომბინირების განვითარებით.

---

[14] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 25 თებერვალი, № 46.

თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს სოციალისტური წარმოების კონცენტრაციის გაძლიერებული პროცესი. სკკპ XXIV ყრილობამ განსაზღვრა, რომ წარმოებრივი გაერთიანებები უნდა გახდეს მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე მყოფი ძირითადი ერთეულები (დანაყოფები). პარტიის XXIV ყრილობის ამ მითითების კონკრეტული რეალიზაციაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“[15]. ჩვენ ქვეყანაში საზოგადოებრივი წარმოების კონცენტრაციის პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება წარმოების ინტენსიფიკაციის კვალობაზე. მიმდინარეობს გაერთიანებების, აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნა, სოფლის მეურნეობაში მკვეთრად გამოიკვეთა ხარისხობრივად ახალი, განუწყვეტლად განვითარებადი მიმართულება — მრეწველურ საფუძველზე ორგანიზებული მსხვილი სახელმწიფო მეცხოველეობის კომპლექსების შექმნის ტენდენცია. სკკპ XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეკონომიკის მართვის შემდგომ სრულყოფას, დროის მოთხოვნების შესაბამისი წარმოების ორგანიზაციის ფორმების — წარმოებრივი და მეცნიერულ-წარმოებრივი გაერთიანებების, ტერიტორიულ-წარმოებრივი და აგროსამრეწველო კომპლექსების შემდგომ ინტენსიურ განვითარებას.

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ სწრაფად განვითარებადი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაფართოებისა და გაღრმავების და ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა გავლენით მიმდინარეობს საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის პროგრესული ცვლილებები. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაძლიერების შედეგად ყველაზე მეტად მრეწველობის ის პროგრესული დარგები ვითარდება, რომლებიც განსაზღვრავენ ტექნიკურ პროგრესს მთელ სახალხო მეურნეობაში. ამ დარგებს მიეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა, ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა და ხელსაწყოთმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, რადიოელექტრონიკა; მნიშვნელოვნად იზრდება სახალხო მოხმარების საგნების წარმოება. გაფართო-

---

[15] «Правда», 3 апреля 1973 г.; «Общее положение о Всесоюзном и республиканском промышленных объединениях», «Экономическая газета», № 14, 1973.

ებული სოციალისტური აღწარმოება ხორციელდება იმ პირობებში, როდესაც მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და, უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, მომსახურების სფეროს და სხვ. დაჩქარებული განვითარება ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებაა წარმოების ინტენსიფიკაცია და მისი როლის გაძლიერება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებაში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ფართოდ ათვისება და დანერგვა, ქვეყნის ეკონომიკის სულ უფრო მეტად შემობრუნება ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების მიმართულებით.

აღწარმოების ინტენსიური ტიპი გულისხმობს, რომ გაფართოებული აღწარმოების გადამწყვეტი წყარო გახდა მისი ეფექტიანობის ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი წარმოება იზრდება, უწინარეს ყოვლისა, წარმოების ტექნიკის, ტექნოლოგიისა და სტრუქტურის განუწყვეტელი სრულყოფის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების გზით. აღწარმოების ინტენსიური ტიპი წარმოების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ამოუწურავი ფაქტორია მაშინ, როდესაც გაფართოებული აღწარმოების ექსტენსიური წყაროები შეზღუდულია. ამასთან, ხალხის მოთხოვნილებები იზრდება გაცილებით სწრაფად, ვიდრე ქვეყნის შრომითი რესურსები.

სკკპ XXV ყრილობამ ყოველმხრივ დაასაბუთა წარმოების ინტენსიფიკაციის აუცილებლობა. პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ წარმოების ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის ამაღლება უკავშირდება, ჯერ ერთი, შრომითი რესურსების პრობლემის გამწვავებას, რის შედეგადაც ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობა ხდება ხელის შრომის წილის მკვეთრი შემცირება, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია; მეორე, ენერგიასა და ნედლეულზე ქვეყნის მოთხოვნილების განუხრელ ზრდას, რაც მათი წარმოების მუდმივი გაძვირების დროს დაბეჯითებით მოითხოვს რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებას, კერძოდ, პროდუქციის მასალატევადობის შემცირების, უფრო იაფი

და ეფექტიანი მასალების გამოყენების, აგრეთვე მათი ეკონომიური ხარჯვის გზით; მესამე, სახალხო მეურნეობის განვითარების, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ზრდის კვალობაზე სულ უფრო მეტი სახსრების გამოყოფას გარემოს დასაცავად; მეოთხე, მომავალ პერიოდში სულ უფრო მეტი რესურსების გამოყენების აუცილებლობას ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მატერიალური მომარაგების სისტემის) დაჩქარებული განვითარებისათვის.

წინა პერიოდებში სსრ კავშირის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღებოდა ექსტენსიური ფაქტორების ხარჯზე — ახალ საწარმოთა აშენებლობის, წარმოებრივი სიმძლავრეების გადიდების, მატერიალურ წარმოებაში დამატებითი შრომითი რესურსების ჩაბმით. თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი გახდა წარმოების განვითარების ინტენსიური გზა. სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ქვეყნის წინაშე მდგომი მრავალმხრივი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის წარმატებას განსაზღვრავს შრომის მწარმოებლურობის სწრაფი ზრდა, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა მთელი ჩვენი ეკონომიკური სტრატეგიის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მეათე ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედია. მეათე ხუთწლედში შრომის მწარმოებლურობის გადიდების გზით მიღებულ იქნება ნაციონალური შემოსავლის წარმოების მატების 85—90 პროცენტი, მრეწველობის პროდუქციის მატების დაახლოებით 90 პროცენტი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მთელი მატება და რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთზიდვის მოცულობის მატების სულ ცოტა 95 პროცენტი[16].

სკკპ XXV ყრილობამ წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლების პრობლემა დააყენა პროდუქციის ხარისხის, მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის, ასევე მკვეთრი ამაღლების პრობლემასთან განუყოფელ კავშირში. ხარისხის საკითხს ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა, მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს

---

[16] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები, გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 7 მარტი, № 56.

რაოდენობრივ შედეგებს მიაღწია, ხარისხის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურ მნიშვნელობას იძენს.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი პრობლემა გახდა მუშაობის ხარისხის ამაღლება. მუშაობის ხარისხი უმნიშვნელოვანესი სინთეზური კატეგორიაა, რომელიც ახასიათებს მუშაობის შედეგებსა და გაწეულ დანახარჯებს შორის კავშირს და გამოხატავს ერთიანობაში ამა თუ იმ ეტაპზე მიზნის მიღწევის პროცესსა და იმ საშუალებათა ეფექტიანობას, რომლის მეოხებითაც იგი ხორციელდება. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებს, რომ „მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის მთავარი პრობლემა გახდა მთელი მუშაობის ხარისხის ამაღლება. ეს შეეხება ჩვენი გეგმების ხარისხსაც, ესე იგი მათ დასაბუთებასა და შეწონასწორებას. ეს შეეხება სამმართველო საქმიანობის ხარისხსაც — საწარმოო აპარატის პირველადი რგოლებით დაწყებული და ცენტრალური სამეურნეო ორგანოებით დამთავრებული. ეს შეეხება შრომის დისციპლინის განმტკიცებასაც, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასაც“[17].

განვითარებული სოციალიზმის პირობებში აღწარმოების ხასიათში მომხდარი ცვლილებები გამოიხატება თვით ადამიანის ახალ როლში, მისი განათლებისა და კვალიფიკაციის დონის განუხრელ ამაღლებაში.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში წარმოება არა მარტო ემსახურება საზოგადოების წევრთა ყოველმხრივ განვითარებას, არამედ თვითონაც სულ უფრო მეტად მოითხოვს ყოველმხრივ განვითარებულ მუშაკებს. სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი, 30-იანი წლების მეორე ნახევართან შედარებით, განსხვავდება მოსახლეობის განათლების დონის არსებითი ცვლილებებით. 1939 წლიდან 1970 წლამდე უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლების მქონეთა რიცხვი მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე (10 წლისა და მეტი ასაკის) 108-დან 483-მდე გაიზარდა. 1939 წლის აღწერის მონაცემებით, სსრ კავშირის მთელ მომუშავე ქალაქის მოსახლეობას შორის საშუალო (სრული და არასრული) და უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვი 24,2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო სოფლად — მხოლოდ 6,3

---

[17] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სიტყვა ქ. მოსკოვის ბაუმანის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, გაზ. „კომუნისტი“, 1975 წ.

პროცენტს. 1970 წლის მოსახლეობის აღწერამ გვიჩვენა, რომ საშუალო და უმაღლესი განათლება აქვს ქალაქის მშრომელთა სამ მეოთხედს და სოფლის მშრომელთა ნახევარს[18].

განვითარებული სოციალიზმის პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა მუშათა კლასის, როგორც საზოგადოების წამყვანი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ძალის როლი. მუშათა კლასი ჩვენი ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი გახდა. „დღეს მოწინავე მუშა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობაზე, — ეს არის ადამიანი, რომელსაც აქვს ღრმა ცოდნა, ფართო კულტურული ჰორიზონტი, შეგნებულად და შემოქმედებითად ეკიდება შრომას“[19].

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კულტურული დონის ზრდის ბაზაზე კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, საბჭოთა კავშირის ყველა ერის მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება შეუძლებელია ვითარდებოდეს მოწინავე მეცნიერების, კადრების მომზადების სრულყოფილი სისტემის გარეშე. იგი გულისხმობს ჰარმონიულ ეკონომიკას, მეურნეობის ყველა დარგის სრულყოფის სწრაფ ტემპს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა ყოველმხრივი გამოყენების გზით.

სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის დამახასიათებელი ნიშანია ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის, გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ტემპების დაჩქარება. ნაციონალური შემოსავალი, რომელსაც მშრომელები ქმნიან, იყო და რჩება იმ სახსრების წყაროდ, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივი წარმოების დასახული ზრდისა და დიდი სოციალური ღონისძიებების განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად შეიცვალა პროპორციები ნაციონალური შემოსავლის განაწილებაში. სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: „ეკონომიკის განვითარების შედეგებს ყველაზე სრულად ახასიათებს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი — სახალხო მოხმარე-

---

[18] Народное хозяйство СССР в 1970 году, М., 1971, стр. 25.

[19] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობის საბრძოლო პროგრამაა, თბ., 1972, გვ. 15.

ბის და ეროვნული დოვლათის გადიდების წყარო. მეცხრე ხუთწლედში ეროვნული შემოსავლის საერთო მოცულობა 34 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე მერვე ხუთწლედში. აქედან 75 პროცენტი იყო გამოყენებული მოხმარებისათვის, დანარჩენი — დაგროვებისათვის. თუ მიმდინარე მოხმარების ფონდთან ერთად დაგროვების იმ რესურსებსაც გავითვალისწინებთ, რომლებიც საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტული ნაგებობების, მოსახლეობის კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებას, საწარმოთა მშენებლობას მოხმარდა, მაშინ გამოდის, რომ ეროვნული შემოსავლის 80 პროცენტზე მეტი უშუალოდ ხალხის კეთილდღეობისათვის გამოგვიყენებია. მოხმარებისათვის გამოყოფილი ეროვნული შემოსავლის წილი უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა ხუთწლედში"[20]. ამრიგად, განვითარებული სოციალიზმის პირობებში სახალხო მეურნეობის ინტენსიურ განვითარებასთან ერთად მიღწეულია ხალხის ცხოვრების დონის სწრაფი ამაღლება.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ძირითადი გზა გახდა წარმოების გადიდება შრომის მწარმოებლურობის ზრდის ხარჯზე. სსრ კავშირის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ნამატის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი შრომის მწარმოებლურობის გადიდების შედეგად მიიღება. მეცხრე ხუთწლედში სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის მატების დაახლოებით ოთხი მეხუთედი საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გადიდების გზით არის მიღებული. შრომის მწარმოებლურობის ზრდის ხარჯზე მრეწველობაში მიღებულია პროდუქციის მატების 84 პროცენტი, მშენებლობაში — 78 პროცენტი, სოფლის მეურნეობაში — მთელი მატება.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოციალისტური აღწარმოების მაღალი ტემპების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის საფუძველზე მიღწეულ უნდა იქნას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

---

[20] ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 2 მარტი, № 51.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXIV ყრილობაზე აღნიშნავდა: „...ჩვენი მიზნებიც, გაზრდილი ეკონომიური პოტენციალიც, სახალხო მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებებიც შესაძლებელს და აუცილებელს ხდიან უფრო მკვეთრად შემოვაბრუნოთ ეკონომიკა იმ მრავალფეროვანი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც უკავშირდება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას"[21].

აქედან გამომდინარე, საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება იმით, რომ შეიქმნა შესაძლებლობა უფრო მკვეთრად შემოვაბრუნოთ ეკონომიკა იმ მრავალფეროვანი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც უკავშირდება ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას. ეს კურსი წარმოადგენს მეურნეობრივი განვითარების საერთო ორიენტაციას ხანგრძლივ პერსპექტივაში.

ამის შესაბამისად მეცხრე ხუთწლედში წარმატებით განხორციელდა ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები. ჩვენ ქვეყანაში ახალი სოციალური ღონისძიებების განხორციელებას მეცხრე ხუთწლედში მოხმარდა იმდენივე სახსრები, რამდენიც ორი წინა ხუთწლედის მანძილზე ერთად. რეალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 24 პროცენტით გადიდდა. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი მეცხრე ხუთწლედში გაიზარდა 20 პროცენტით და მიაღწია 146 მანეთს, ხოლო საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებისა და შეღავათების დამატებით — 198 მანეთს. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ხუთწლედში 25 პროცენტით გაიზარდა. ხუთწლედის განმავლობაში გაიზარდა ხელფასის მინიმუმი, გაუდიდდათ სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები მატერიალური წარმოების დარგების საშუალო ხელფასიანი კატეგორიების მუშა-მოსამსახურეებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. გაუდიდდათ ხელფასი ექიმებს, მასწავლებლებს, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების აღმზრდელებს, ბევრი კატეგორიის მუშაკებს გაუუქმდათ ან შეუმცირდათ ხელფასის გადასახადი. მოემატათ მოხუცებულობის მინიმალური პენსიები მუშებს, მოსამსახურეებს და კოლმეურნეებს, გაუმჯობესდა ინვალიდებისა და მარჩენალდაკარგული ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფა; დამატებითი შეღავათები დაუწესდათ დიდი სამამულო ომის ინვალიდებს და დაღუპულ სამხედრო

---

[21] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, „სკკპ XXIV ყრილობის მასალები", თბ., 1971, გვ. 54.

მოსამსახურეთა ოჯახებს. გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სტიპენდიების ოდენობა და განხორციელდა სხვა ღონისძიებანი[21ა].

სკკპ XXV ყრილობამ შეიმუშავა საბჭოთა საზოგადოების შემდგომი განვითარების ყოველმხრივი პროგრამა, რომელშიც ცენტრალური ადგილი უჭირავს პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას. უწინდებურად, პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლესი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. ამ მიზნის მიღწევის საშუალებები და გზებია საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მუშაობის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში. სწორედ ეს შეადგენს მეათე ხუთწლედის მთავარ ამოცანას.

მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანის შესაბამისად მშრომელთა თავდადებული შრომა მოხმარდება ეკონომიკის ყოველმხრივი პროგრესის უზრუნველყოფას, მის კომპლექსურ და ჰარმონიულ განვითარებას, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. „მეათე ხუთწლედის არსი, — აღნიშნა ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა თავის მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე, — გამოხატულია პარტიის მიერ შემუშავებული მოკლე და ყოვლისმომცველი ფორმულით, — ეს არის ხარისხისა და მაღალი ეფექტიანობის ხუთწლედი ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ახლა მთავარია უზრუნველვყოთ მტკიცე შემობრუნება, რათა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძლავრი საწარმოო-ტექნიკური პოტენციალი და გავზარდოთ ეროვნული შემოსავალი, საბოლოო პროდუქციის წარმოება, რომელიც უშუალოდ ხმარდება მოსახლეობას და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას“[22].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკა,

[21ა] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 7 მარტი, № 56 (16486).

[22] ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, მოხსენება სკკპ XXV ყრილობაზე 1976 წლის 1 მარტს, გაზეთი „კომუნისტი“, 1976 წ. 2 მარტი, № 51 (16481).

მისი მძლავრი წარმოებრივი და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი საშუალებას იძლევა მეათე ხუთწლედში განხორციელდეს სოციალური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ვრცელი პროგრამა. მეათე ხუთწლედში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 16—18 პროცენტით გადიდდება და 1980 წელს მიაღწევს სულ ცოტა 170 მანეთს. ხელფასის მასტიმულირებელი როლის ამაღლებას ხელს შეუწყობს სატარიფო სისტემის დასახული სრულყოფა. მეათე ხუთწლედში მთლიანად დამთავრდება ხელფასის მინიმუმის, აგრეთვე საშუალოხელფასიანი კატეგორიების მუშაკთა განაკვეთებისა და სარგოების გადიდება არაწარმოებრივი სფეროს დარგებში და დაიწყება მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასის, განაკვეთებისა და სარგოების გადიდების ახალი ეტაპი. მიმდინარე ხუთწლედში კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობებისაგან გადიდდება 24—27 პროცენტით, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის დახმარება და შეღავათები ხუთწლედში გადიდდება 28—30 პროცენტით და 1980 წელს მიაღწევს სულ ცოტა ას თხუთმეტ მილიარდ მანეთს[23].

სკკპ XXV ყრილობის მიერ დამტკიცებული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები" ითვალისწინებენ, რომ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება ყველა დარგში.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნავდა: „...მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება განუყოფელია მრავალფეროვან საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილებისაგან. თავისთავად ფულადი შემოსავლის ზრდა ხომ ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცხოვრების დონის რეალურ ამაღლებას, ამავე დროს მთელი რიგი საქონელის ნაკლებობა, მომსახურების შეზღუდული მოცულობა ამცირებს შრომის მატერიალური სტიმულირების შესაძლებლობას. აი, რატომ არის, რომ სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობასთან ერთად პარტია ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებსაც „ბ" ჯგუფს უწოდებენ.

---

[23] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები, გაზ. „კომუნისტი", 1976 წ. 7 მარტი, № 56 (16486).

პარტია არ აპირებს გადაუხვიოს მიღებულ კურსს. „ბ“ ჯგუფის დარგების ახლანდელი საგეგმო დავალებანი მინიმალურად მიგვაჩნია. წლიურ გეგმებზე მუშაობის დროს უნდა უზრუნველვყოთ ამ დარგების ზრდის დაჩქარება. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში არის დიდი რეზერვები; აქ უფართოესი ასპარეზია გადაშლილი რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების საწარმოებისა და სამინისტროების ინიციატივისათვის“[24].

სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა აღწარმოება განვითარებული სოციალიზმის პირობებში ხასიათდება წარმოების განსაზოგადოების დონის შემდგომი ამაღლებით, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებულ არსებითი განსხვავების შემცირებით, განაწილებით ურთიერთობათა სისტემის სრულყოფით, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განვითარებით, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველზე.

ამ ცვლილებებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს სოციალისტური საკუთრების ურთიერთობის სრულყოფა, მისი შემდგომი განვითარება და განმტკიცება. განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია სოციალისტური საკუთრების ორივე ფორმის — საერთო-სახალხო ანუ სახელმწიფო და კოლმეურნეობრივ-კოოპერაციული საკუთრების ფორმების განსაზოგადოების მაღალი დონე, მათი ურთიერთდაახლოების უფრო ღრმა პროცესი. განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ეკონომიკურად უფრო მომწიფებული ხდება კოლმეურნეობრივ-კოოპერაციული საკუთრება, რომელიც მნიშვნელოვნად უახლოვდება საერთო-სახალხო საკუთრებას.

კომუნისტური მშენებლობის პროცესში განუხრელად იზრდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განსაზოგადოება, რაც ხელს უწყობს სოციალისტური საკუთრების საერთო-სახალხო და კოლმეურნეობრივ-კოოპერაციული ფორმების დაახლოებას, მათი საზოგადოებრივი საკუთრების ერთიან კომუნისტურ ფორმაში თანდათანობით გადაზრდას.

ჩვენ ქვეყანაში სოციალისტური საკუთრების ურთიერთობის სრულყოფის პროცესის ასახვას წარმოადგენს დასაქმებულობის სტრუქტურის ცვლილებები საკუთრების ფორმების მიხედვით.

---

[24] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 25 თებერვალი, № 47 (16477).

სსრ კავშირში 30-იანი წლების ბოლოსათვის მუშათა კლასი შეადგენდა მთელი მოსახლეობის 33,5%, ხოლო კოლმეურნეები — 47,2%, ამჟამად მუშათა კლასის წილად, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების საერთო-სახალხო ფორმასთან, მოდის 60,9%, მოსამსახურეებთან ერთად კი — 82,9%, კოლმეურნეთა ხვედრი წონა კი 17,1%-მდე შემცირდა[25].

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ტემპებსა და პროპორციებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია.

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოება ხორციელდება მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის გაძლიერების პირობებში, რასაც საფუძვლად უდევს შრომის საერთაშორისო დანაწილების შემდგომი გაფართოება და გაღრმავება. სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობა ეყრდნობა თითოეულ მათგანში შექმნილ ერთი ტიპის ეკონომიკურ საფუძველს საზოგადოებრივი საკუთრების სახით, ერთი ტიპის სახელმწიფო წყობილებას — ხალხის ხელისუფლებას მუშათა კლასის სახით, ერთიან იდეოლოგიას — მარქსიზმ-ლენინიზმს. მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო 1971 წლის ივლისში შემდგარი ეუს-ს (ეკონომიკური ურთიერთდამხმარე საბჭოს) XXV სესია, რომელმაც მიიღო ეუს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის და სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს სოციალისტური ქვეყნების ურთიერთანამშრომლობის ძირითად მიმართულებას 15—20 წლის მანძილზე. ეკონომიკური ინტეგრაცია საშუალებას იძლევა უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული არსებული რესურსები, შეიქმნას ნაციონალური მეურნეობების პროგრესული და რაციონალური სტრუქტურა, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებას.

სსრ კავშირში სახალხო მეურნეობა ვითარდება მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის არსებობის, ორ მსოფლიო სისტემას შორის ეკონომიკური შეჯიბრების პირობებში, რაც გავლენას ახდენს გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ტემპებსა და პროპორციებზე.

---

[25] Народное хозяйство СССР в 1974 году, М., стр. 38.

სოციალისტურ ქვეყნებში გაფართოებული აღწარმოების მაღალი ტემპები განაპირობებს კაპიტალიზმთან ეკონომიკურ შეჯიბრებაში სოციალიზმის მსოფლიო სისტემის პოზიციების განმტკიცებას. 1917 წელს სოციალიზმი, რომელიც მარტო საბჭოთა რუსეთით იყო წარმოდგენილი, იძლეოდა მსოფლიო მრეწველური პროდუქციის წარმოების 3 პროცენტზე ნაკლებს, 1937 წელს სსრ კავშირის წილმა 10 პროცენტი შეადგინა, ხოლო 1974 წელს მსოფლიო სოციალისტური სისტემის წილმა მსოფლიო მრეწველური პროდუქციის წარმოებაში 40 პროცენტს მიაღწია[26].

სოციალიზმის კაპიტალიზმთან ეკონომიკური შეჯიბრების მსვლელობა მნიშვნელოვან წილად განისაზღვრება სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების ტემპით. სსრ კავშირზე მოდის სოციალისტური ქვეყნების მთელი მრეწველური წარმოების ნახევარზე მეტი და მსოფლიო მრეწველური პროდუქციის წარმოების 20 პროცენტი. მრეწველური წარმოების მოცულობა სსრ კავშირში ახლა მეტია, ვიდრე ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი, გფრ, იტალია ერთად აღებული.

სსრ კავშირსა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის სხვა ქვეყნებში სოციალისტური აღწარმოება ვითარდება განუხრელი და მაღალი ტემპებით, რაც დამაჯერებლად მოწმობს სოციალიზმის გადამწყვეტ და აშკარა უპირატესობებს კაპიტალიზმთან შედარებით.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში გაფართოებული აღწარმოების პროცესში სულ უფრო სრულად ვლინდება სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედება, რაც ადრე მწარმოებლური ძალების განვითარების არასათანადო დონის გამო გარკვეულად იზღუდებოდა. ამ პირობებში სულ უფრო ჰარმონიული ხდება გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების სხვადასხვა მხარის, ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგების, წარმოებრივი და არაწარმოებრივი სფეროების, ცალკეული რეგიონების შეფარდებები, ძლიერდება წარმოების განსაზოგადოების პროცესი.

ამრიგად, გაფართოებული აღწარმოება სოციალიზმის დროს წარმოადგენს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის მაღალი მყარი ტემპებით განუწყვეტელი და გეგმაზომიერი ზრდის, მუშაკთა დასაქმებულობის უზრუნველყოფისა და რიცხოვნობის გადიდების, მათი კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების, წარმოებრივი კვალიფიკაციის ამაღლების და ამასთან ერთად, სოციალის-

[26] Народное хозяйство СССР в 1974 году, стр. 98.

ტურ წარმოებრივ ურთიერთობათა განმტკიცებისა და განვითარების გეგმაზომიერ პროცესს. სოციალისტური გაფართოებული აღწარმოება ემორჩილება მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების ამოცანებს, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ამოცანას. განვითარებული სოციალიზმის პირობებში გაფართოებული სოციალისტური აღწარმოება ხასიათდება დინამიკური და პროპორციული განვითარებით, სახალხო მეურნეობის დარგების ჰარმონიული, დაბალანსებული (შეწონასწორებული) ზრდით, საზოგადოებრივი წარმოების კონცენტრაციის გაძლიერებით, ქვეყნის ეკონომიკის უფრო მკვეთრი შემობრუნებით იმ მრავალფეროვანი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც უკავშირდება ხალხის კერთილდღეობის გაუმჯობესებას; ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივი ფაქტორების როლის გაძლიერებით; ინტერნაციონალური კავშირების გაფართოებით; სოციალიზმის უპირატესობათა უფრო სრულად გამოვლენით.

2. მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციის საკითხისათვის

აღწარმოების პრობლემის მეცნიერული ანალიზისას მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური თეორია ემყარება იმას, რომ სახალხო მეურნეობის დარგები იყოფა მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებრივი სფეროს დარგებად.

მატერიალური წარმოების დარგების მეცნიერულ კლასიფიკაციას და წარმოებრივი სფეროს არაწარმოებრივი სფეროსაგან გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორიული თვალსაზრისით, ისე სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს შორის ოპტიმალური პროპორციების დამყარებისა და დარგთაშორისი კავშირების ანალიზისათვის. კომუნისტური მშენებლობის, მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების რაციონალური განაწილებისა და ეფექტიანი გამოყენების ინტერესები მოითხოვს მატერიალური წარმოების დარგების სწორ კლასიფიკაციას, წარმოებრივი სფეროს არაწარმოებრივი სფეროსაგან გამიჯვნას.

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია კითხვა: რა უდევს საფუძვლად მატერიალური წარმოების ცალკეულ დარგებად დაყოფას, რა ძირითადი ნიშნების მიხედვით უნდა მოხდეს მატერიალური წარმოებისა და, მაშასადამე, სახალხო მეურნეობის დარგების კლასიფიკა-

ცია? ამ საკითხებზე საბჭოთა ეკონომისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

საჭიროა შევჩერდეთ და რამდენადმე დეტალურად განვიხილოთ ეს საკითხები.

მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციისათვის გადამწყვეტია არა ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მატერიალური წარმოების სხვა დარგების შიგნით ჯგუფდება დარგები, არამედ ის საერთო ნიშნები, რაც არსებითად მრეწველობას სოფლის მეურნეობისაგან, ხოლო თითოეულ მათგანს კი ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა დარგებისაგან განასხვავებს.

ჩვენი აზრით, მართებულად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციისას განსაკუთრებული ყურადღება ბუნებრივ გარემოს, ბუნების ძალებსა და პროდუქციის შექმნის პროცესში მათი მონაწილეობის თავისებურებას უნდა მიექცეს. საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების ცნების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს გარემომცველი ბუნება, გეოგრაფიული გარემო წარმოადგენს. ბუნებრივი გარემო წარმოების ყოველგვარ პროცესში მონაწილეობს, თუმცა მისი როლი ყოველ მოცემულ მომენტში სხვადასხვაა.

მატერიალური წარმოების არსებითი დამახასიათებელი ნიშანია შრომის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანები ზემოქმედებენ რა ბუნების საგნებსა და ძალებზე, გარდაქმნიან მათ თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. „შრომა, — მიუთითებს კ. მარქსი, — არის უწინარეს ყოვლისა პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიც ადამიანი თავისი საკუთარი მოქმედებით მონაწილეობს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერებათა ცვლას თავისსა და ბუნებას შორის. ბუნების ნივთიერებას თვით ადამიანი უპირისპირდება, როგორც ბუნების ძალა. მას მოძრაობაში მოჰყავს თავისი სხეულის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი საკუთარი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს“[27].

კ. მარქსი საგანგებოდ აღნიშნავს სოფლის მეურნეობაში ბუნებრივი ფაქტორის მონაწილეობის შესახებ. კ. მარქსი მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობის, როგორც მატერიალური წარმოების

---

[27] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 221—228.

დარგის, ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორები მჭიდროდ არიან გადახლართული ურთიერთთან და დიდ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ეხებოდა რა აღწარმოების თავისებურებებს სოფლის მეურნეობაში და მის განსხვავებას აღწარმოების პროცესისაგან მატერიალური წარმოების სხვა დარგებში, კ. მარქსი წერდა: „კვლავწარმოების ეკონომიური პროცესი, როგორიც უნდა იყოს მისი სპეციფიკურად საზოგადოებრივი ხასიათი, ამ დარგში (მიწათმოქმედებაში) ყოველთვის გადაეხლართება კვლავწარმოების ბუნებრივ პროცესს“[28].

მიუხედავად იმისა, რომ მომავალში სოფლისმეურნეობრივი საწარმოები სულ უფრო გადავლენ მრეწველური წარმოების საწყისებზე, სოფლის მეურნეობა მაინც შეინარჩუნებს გარკვეულ თავისებურებებს მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან შედარებით. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „... არის მიწათმოქმედების თავისებურებანი, რომელთა თავიდან აცილება აბსოლუტურად შეუძლებელია (თუ განზე დავტოვებთ ცილეულისა და საკვების ლაბორატორული წესით მომზადების მეტისმეტად პრობლემურ შესაძლებლობას). ამ თავისებურებათა გამო მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას მიწათმოქმედებაში არასოდეს არ ექნება ყველა ის ნიშანი, რაც მას მრეწველობაში მოეპოვება“[29].

ისტორიულად სწორედ ბუნების ძალებთან დამოკიდებულებით თანდათანობით ყალიბდება პირობები მატერიალური წარმოების ამა თუ იმ დარგის გამოყოფისათვის.. აღნიშნულიდან გამომდინარე, მატერიალური წარმოების დარგების კლასიფიკაციისათვის საერთო ის თავისებური როლი იქნება, რომელსაც ბუნებრივი გარემო ასრულებს წარმოების პროცესში.

მატერიალური წარმოების ამა თუ იმ დამოუკიდებელი დარგის გამოყოფას საზოგადოებრივი ისტორიული განვითარების პროცესში, ზევით აღნიშნულ ნიშანთან ერთად, საფუძვლად უდევს, აგრეთვე მეორე უმნიშვნელოვანესი მომენტი — მწარმოებლური ძალების განვითარების გარკვეული დონე, რომელმაც მანქანური ტექნიკის დანერგვის შედეგად გააღრმავა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და აამაღლა შრომის განსაზოგადოების დონე. ამგვარად, საზოგადოების მწარმოებლური ძალების განვითარების კვალობაზე

---

[28] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 451.
[29] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 170.

წარმოიშობა მატერიალური წარმოების ახალი დარგები, ხოლო თვით მატერიალური წარმოების დარგებში მიმდინარეობს ახალი დარგებისა და ქვედარგების წარმოშობის ინტენსიური პროცესი. ეს გარემოება განსაკუთრებით შეეხება მრეწველობას, როგორც მატერიალური წარმოების წამყვან დარგს, რომელშიც ადგილი აქვს ახალი დარგებისა და ქვედარგების წარმოშობის ინტენსიურ პროცესს.

ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებულია საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ მწარმოებლური ძალების განვითარება, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. ამ შემთხვევაში მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციისას მთლიანად უგულებელყოფილია ბუნებრივი გარემოს, ბუნების ძალებისა და პროდუქციის შექმნის პროცესში მათი მონაწილეობის თავისებურება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს ზემოთ აღნიშნული ორივე ნიშანი და გათვალისწინებულ იქნას მათი ერთიანობის აუცილებლობა.

მრეწველობა წარმოადგენს მატერიალური წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგს, რომელიც იყოფა მომპოვებელ და გადამმუშავებელ დარგებად. მომპოვებელი მრეწველობისაგან გადამმუშავებელი მრეწველობა განსხვავდება იმით, რომ პირველი თავის შრომის საგანს პოულობს ბუნებაში (ე. ი. შრომის საგანს წინასწარ არ განუცდია ადამიანის შრომის ზემოქმედება), მაშინ, როცა მეორე შრომის საგანზე მოქმედებს, რომელშიც უკვე განივთებულია წინანდელი შრომითი დანახარჯები და წარმოადგენს ნედლ მასალას. აღნიშნული თავისებურებანი განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში იწვევენ მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობის გადაქცევას სახალხო მეურნეობის განსაკუთრებულ დარგებად. კაპიტალიზმის დროს მომპოვებელი მრეწველობის დარგების ეს თავისებურებანი დაკავშირებულია მათ საწარმოთა განსაკუთრებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, რაც პირობადებულია იმით, რომ აქ ზედმეტი ღირებულების წარმოება და მისი განაწილება მიმდინარეობს აბსოლუტური და დიფერენციული რენტის ურთიერთობათა პირობებში.

სოციალიზმის დროს აბსოლუტური რენტა ისპობა, ხოლო დიფერენციული რენტა, რომელიც მომპოვებელ მრეწველობაში იქმ-

ნება, წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას. ამის გამო მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობა სოციალიზმის დროს აღარ არიან სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელი დარგები, არამედ გაიყოფიან, როგორც მრეწველობის ორი განსაკუთრებული სფერო[30].

მატერიალური წარმოების მეორე უმნიშვნელოვანესი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელიც ისეთ საწარმოთა ერთობლიობაა, სადაც ბუნების ძალები მოქმედებენ შრომის საგანზე, ე. ი. გამოიყენება როგორც ფაქტორი შრომის საგნის მზა პროდუქტად გარდაქმნის პროცესში. სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითად საშუალებათა სისტემაში მთავარი და გადამწყვეტი საშუალება — მიწა მოცემულია ბუნების მიერ, ხოლო აღწარმოების ეკონომიკური და ბუნებრივი პროცესების ურთიერთ გადახლართვის შედეგად მიიღება წარმოების პროდუქტი.

სატყეო მეურნეობაში, ისევე როგორც სოფლის მეურნეობაში, აღწარმოების ეკონომიკური პროცესი გადაეხლართება აღწარმოების ბუნებრივ პროცესს. ამავე დროს სატყეო მეურნეობას, სოფლის მეურნეობისაგან განსხვავებით, აქვს თავისი სპეციფიკური თავისებურებაც, რაც ამ დარგში წარმოების პროცესის ხანგრძლივობაში მდგომარეობს. „წარმოების, — წერს კ. მარქსი, — ხანგრძლივი დრო (რომელიც შედარებით მხოლოდ მცირე ზომით შეიცავს სამუშაო დროს) და მასთან დაკავშირებული გადაბრუნების პერიოდების ხანგრძლივობა ტყის გაშენებას ხდის არახელსაყრელ დარგად კერძო, და მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოებისათვის...“[31] სატყეო მეურნეობას საერთოდ, მისი საზოგადოებრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად, ახასიათებს ზემოთ აღნიშნული თავისებურებანი, რის გამოც იგი სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და აღრიცხვის პრაქტიკაში გამოყოფილია მატერიალური წარმოების დამოუკიდებელ დარგად.

მატერიალური წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ტრანსპორტი. ტრანსპორტი არის ერთობლიობა საწარმოებისა, სადაც ბუნების ძალები წარმოადგენენ წარმოების პროგრესის პირობას და ამასთან ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც აუცილებელი სამუშაოს მოცულობას განსაზღვრავს.

---

[30] Я. Кронрод, Общественный продукт и его структура при социализме, М., 1958, стр. 48.

[31] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 304.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დიდი ხანია არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მატერიალური წარმოების სფეროს გამიჯვნისა და საერთო მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციის საკითხებზე. საბჭოთა ეკონომისტებს შორის აზრთა არსებითი სხვადასხვაობა ტრანსპორტის, როგორც მატერიალური წარმოების დარგის, ადგილის და როლის, მისი პროდუქციის ბუნების საკითხში. საბჭოთა ეკონომისტების უმრავლესობას პ. მოსკვინს[32], დ. ალახვერდიანს[33], ტ. რიაბუშკინს[34], ვ. სობოლს[35], ბ. პლიშევსკის[36], ვ. ოსმინინს[37] და სხვ. მიაჩნიათ, რომ სამგზავრო ტრანსპორტი არ მიეკუთვნება მატერიალური წარმოების სფეროს. ეს თვალსაზრისი დამკვიდრებულია აგრეთვე დაგეგმვისა და აღრიცხვის პრაქტიკაში. საბჭოთა ეკონომისტების მეორე ჯგუფი — ს. სტრუმილინი[38], ტ. ხაჩატუროვი[39], ი. კრონროდი[40], ლ. გლიაზერი და სხვ. მატერიალური წარმოების დარგს მიაკუთვნებს როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო ტრანსპორტს.

ჩვენი აზრით, უფრო მართებული უნდა იყოს იმ საბჭოთა ეკონომისტების თვალსაზრისი, რომლებიც მატერიალური წარმოების სფეროს მიაკუთვნებენ როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო ტრანსპორტს. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამგზავრო ტრანსპორტი იმ ნაწილში და იმდენად, რამდენადაც იგი ახორ-

---

[32] П. Москвин, Вопросы статистики национального дохода, М., 1955, стр. 25.

[33] Д. Аллахвердян, Национальный доход СССР, 1958, М., стр. 41—43.

[34] Т. Рябушкин, Проблемы экономической статистики, 1959, М., стр. 25—26.

[35] В. Соболь, Об основных методологических проблемах отчетного баланса народного хозяйства, «Всесоюзное совещание статистиков», М., 1959, стр. 444—446.

[36] Б. Плышевский, Распределение национального дохода СССР, М., 1960.

[37] В. Осминин, Общественный продукт и национальный доход Узбекской ССР, Ташкент, 1960 (в соавторстве).

[38] С. Струмилин, Выступление на Всесоюзном совещании статистиков, «Всесоюзное совещание статистиков», М., 1971.

[39] Т. Хачатуров, Железно-дорожный транспорт СССР, 1952, стр. 56.

[40] Я. Кронрод, Общественный продукт и его структура при социализме, М., 1958, стр. 62—69.

ციელებს ადამიანების ტერიტორიულ გადაადგილებას, რაც გამოწვეულია მატერიალური წარმოების მომსახურების საჭიროებებით, მაგალითად, მივლინებებში გაგზავნილი წარმოების მუშაკების გადაყვანა, რაც გამოწვეულია წარმოების საჭიროებებით, აგრეთვე მუშახელის დიდი მასის კოლექტიური გადაყვანა, მაგალითად, მოსავლის ასაღებად და სხვა წარმოებრივი საჭიროებისათვის და სხვ. და, ამგვარად, ხელს უწყობს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებას, იგი ასრულებს წარმოებრივ ფუნქციებს და არსებული წესის მიხედვით უნდა მიეკუთვნოს მატერიალური წარმოების სფეროს და, ბუნებრივია, რომ იგი ამდენად უდავოდ მონაწილეობს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში[41]. აღსანიშნავია, რომ წარმოების საჭიროებისათვის მივლინებთ გაგზავნილ პირთათვის სამგზავრო ტრანსპორტის მიერ გამოწვეული მომსახურება ჩვეულებრივ აღირიცხება მრეწველობის პროდუქციის ღირებულების შემადგენლობაში, როგორც მისი ელემენტი. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ იგი გათვალისწინებულიყო როგორც სამგზავრო ტრანსპორტის მიერ შექმნილი წმინდა პროდუქცია და ეს გარემოება სათანადოდ ასახულიყო შესაბამის ინსტრუქციაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მომენტის უგულებელყოფა სწორი არ იქნებოდა.

---

[41] ამ გარემოების შესახებ სამართლიანად მიუთითებს ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტი. იხ. В. Кулешов, Социалистическое воспроизводство, М., 1961, стр. 13; Н. Малашхиа, К вопросу статистического учета участия пассажирского транспорта в материальном производстве, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერმუშაკთა XIII სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენების შემოკლებული ტექსტები, თბ., 1962 წ. და სხვ. აღნიშნულ ნაშრომში ვ. კულეშოვი წერს: «К этой сфере (к сфере материального производства, ა. თ.) относятся прежде всего такие отрасли производства, как промышленность, строительство, сельское хозяйство, сюда же относится транспорт. Главным образом это грузовой транспорт. Однако, той мере, в какой транспорт осуществляет территориальное перемещение людей, вызываемое нуждами производства, к сфере метериального производства необходимо отнести также и пассажирский транспорт. Здесь имеется обеспечение проезда командированных, коллективная переброска больших масс рабочей силы, как например, на уборку урожая в районы освоения целинных земель, перевозка трудящихся по организованному набору рабочей силы в районы Дальнего Востока, Крайнего Севера и т. п.» (А. В. Кулешов, Социалистическое воспроизводство, М., 1961, стр. 23).

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ეკონომისტების მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნულ გარემოებას მსჯელობისა და მხედველობის გარეშე ტოვებს და ხშირად ეს მომენტი სათანადოდ არაა გათვალისწინებული და ასახული მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციისას და საერთოდ წარმოებრივი და არაწარმოებრივი სფეროების საკითხის განხილვისას. ეს გარემოება არ არის მითითებული და სათანადოდ ასახული, აგრეთვე, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსტრუქციაში, რომელიც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების მეთოდიკას.

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, სამგზავრო ტრანსპორტი საერთოდაც შეიძლება მიეკუთვნოს მატერიალური წარმოების სფეროს. კ. მარქსი იხილავდა რა მატერიალური წარმოების დარგების კლასიფიკაციის საკითხს, მიუთითებდა, რომ გარდა მომპოვებელი მრეწველობისა, მიწათმოქმედებისა და გადამუშავებული მრეწველობისა, არსებობს აგრეთვე მატერიალური წარმოების მეოთხე დარგი — ესაა სატრანსპორტო მრეწველობა, სულერთია გადაიყვანს იგი ადამიანებს, თუ გადაზიდავს საქონელს[42].

სამგზავრო ტრანსპორტის მატერიალური წარმოების სფეროდან გამოთიშვა გამოიწვევდა ტრანსპორტის, როგორც მატერიალური წარმოების დარგის ერთიანობის პრინციპის დარღვევას. ლოგიკური და, მაშასადამე, სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ სატრანსპორტო წარმოება ერთ შემთხვევაში, როცა იგი ტვირთებს გადაზიდავს, შეიძლება გამოვიდეს, როგორც მატერიალური წარმოება, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა ადამიანებს გადაიყვანს, როგორც არაწარმოებრივი სფერო.

ამ საკითხის აღნიშნულ ასპექტში განხილვის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მატერიალური წარმოების დარგებისათვის მთავარია არა ის, თუ რა ხასიათისა და სახის პროდუქცია იწარმოება, არამედ ის, რომ თუ როგორ, წარმოების რა საშუალებებითა და შრომით იწარმოება, ე. ი. არსებობს თუ არა წარმოების ბუნებრივი პროცესი. ამ თვალსაზრისით ტრანსპორტის ამ ორ სახეობას — სატვირთოსა და სამგზავროს შორის არსებითი განსხვავება არ არის.

სატრანსპორტო წარმოების პროდუქციას, ანუ როგორც კ. მარ-

---

[42] კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. I, 1966, გვ. 397.

ქსი უწოდებს „სასარგებლო ეფექტს“, წარმოადგენს ტვირთების გადაზიდვა ან მგზავრთა გადაყვანა. ტრანსპორტის, როგორც მატერიალური წარმოების დამოუკიდებელი დარგის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ მისი სასარგებლო ეფექტი განუყოფლად არის დაკავშირებული წარმოების პროცესთან. ეს სასარგებლო ეფექტი არ არსებობს, როგორც სატრანსპორტო წარმოების პროცესისაგან განსხვავებული სახმარი ნივთი, რასაც ადგილი აქვს მატერიალური წარმოების სხვა დარგებში. მისი გამოვლენა და მოხმარება უშუალოდ წარმოების პროცესში ხდება.

ეხებოდა რა ტრანსპორტის, როგორც მატერიალური წარმოების დარგის არსებით თავისებურებებს, კ. მარქსი წერდა: „...არსებობს მრეწველობის დამოუკიდებელი დარგები, სადაც წარმოების პროცესის პროდუქტი არ წარმოადგენს ახალ ნივთიერ პროდუქტს, საქონელს. ამ დარგებიდან ეკონომიურად მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო მრეწველობა იქნება იგი საკუთრივ სატრანსპორტო მრეწველობა, საქონელთა გადასაზიდად და ადამიანთა გადასაყვანად, თუ მარტოოდენ ცნობების, წერილების, ტელეგრაფებისა და სხვ. გადაცემა.

გადაზიდვის შედეგს — სულ ერთია ხდება ადამიანთა თუ საქონელთა გადაზიდვა — შეადგენს მათი სამყოფელი ადგილის ცვლილებები... მაგრამ სატრანსპორტო მრეწველობა ყიდის თვით ადგილგაცვლას. სასარგებლო ეფექტი, რომელსაც ის იძლევა, განუყრელად დაკავშირებულია ტრანსპორტის პროცესთან, ე. ი. სატრანსპორტო მრეწველობის წარმოების პროცესთან. ადამიანები და საქონელი მგზავრობენ ტრანსპორტის საშუალებასთან ერთად, და ამ უკანასკნელის მგზავრობა, მისი მოძრაობა სივრცეში სწორედ ის წარმოების პროცესია, რომელსაც ტრანსპორტის საშუალება ქმნის. სასარგებლო ეფექტის მოხმარება შესაძლებელია მხოლოდ წარმოების პროცესის დროს; ეს ეფექტი არ არსებობს როგორც ამ პროცესისაგან განსხვავებული სახმარი ნივთი, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ მოქმედებს, როგორც ვაჭრობის საგანი, მიმოიქცევა როგორც საქონელი, რაც ის წარმოებულია“[43].

აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მატერიალური წარმოების სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ დარგებით, რომელთა პროდუქცია ხელშესახები, ნივთობრივი ფორმით არსე-

---

[43] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 64—65.

ბობს. მასში შედის აგრეთვე ისეთი დარგებიც, რომელთა მომსახურებით საზოგადოებრივი პროდუქტი არ განიცდის ნივთობრივ ზრდას, მაგრამ ღირებულებრივი ფორმით მატულობს.

მატერიალური წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მშენებლობა. საბჭოთა ეკონომისტებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მშენებლობის ადგილისა და როლის შესახებ მატერიალური წარმოების სისტემაში. ამიტომ სპეციალურ განხილვას მოითხოვს მშენებლობის, როგორც მატერიალური წარმოების დამოუკიდებელი დარგის თავისებურებათა საკითხი.

ავტორთა ნაწილს — ი. კრონროდს[44], მ. უსიკს[45], ი. სლეპოვს და სხვ. მიაჩნიათ, რომ მშენებლობა წარმოადგენს მრეწველობის ერთ-ერთ დარგს. ზოგიერთი ავტორის — მ. შასის[46], ი. კრასნოვის[47], ბ. სმეხოვის[48], ზ. სულთანიშვილის[49], ს. გინსბურგის და სხვ., აზრით კი მშენებლობა, მისთვის დამახასიათებელ არსებით სპეციფიკურ თავისებურებათა გამო, წარმოადგენს არა მრეწველობის, არამედ სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელ დარგს. მაგრამ თვით იმ ავტორთა მტკიცებებში, რომლებიც ემხრობიან დებულებას, რომ მშენებლობა წარმოადგენს მატერიალური წარმოების დამოუკიდებელ დარგს, ბევრი მოსაზრება წინააღმდეგობრივია და დამაჯერებლობასაა მოკლებული.

როგორც უკვე აღინიშნა, მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციისათვის საერთო ნიშანი იქნება ის თავისებური როლი, რომელსაც ბუნებრივი გარემო ასრულებს წარმოების პროცესში. თუ ამ დებულებას გამოვიყენებთ მშენებლობის, როგორც მატერიალური წარმოების დარგის თავისებურებათა ანალიზისათვის, შეიძლება დავასკვნათ, რომ მშენებლობა წარმოადგენს მატერიალური წარმოების დამოუკიდებლად დარგს, რომელშიც ბუნების ძალები არა მარტო მშენებლობის პროცესის პირობებს წარმოადგენენ, არა-

---

[44] Я. Кнонрод, Общественный продукт и его структура при социализме, М., 1958, стр. 49.

[45] М. Усик, О роли и месте строительства в системе материального производства, журн. «Экономика строительства», № 6, 1960, стр. 45.

[46] М. Шасс, Экономика строительства, М., 1960, стр. 30—34.

[47] И. Краснов, Экономика строительной индустрии СССР, М., 1960, стр. 4—8.

[48] Журн. «Экономика строительства», № 10, 1960.

[49] ზ. სულთანიშვილი, საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების პრობლემები, თბ., 1969, გვ. 15.

მედ კიდევაც გამოიყენება, როგორც ამ პროცესის შედეგად მიღებული პროდუქციის შემადგენელი ნაწილი, თუმცა იგი არ მოქმედებს შრომის საგანზე მისი მზა პროდუქტად გარდაქმნის პროცესში[50]. ამის შესაბამისად მშენებლობას მიეკუთვნება ყველა პროცესი, რომლის დროსაც ხდება, როგორც წარმოებრივი, ისე არაწარმოებრივი დანიშნულების შენობათა და ნაგებობათა შექმნა.

ამ ძირითადი სპეციფიკური ნიშნის მიხედვით მშენებლობა არსებითად განსხვავდება მრეწველობისა და მატერიალური წარმოების სხვა დარგებისაგან. მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ თავისთავად მხოლოდ ეს ნიშანი არ იძლევა გასაღებს მშენებლობის როგორც მატერიალური წარმოების დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბების რთული პროცესის ასახსნელად და სრულიადაც არ არის საკმარისი მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციის მოსახდენად. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა აგრეთვე ის გარემოება, თუ კ. მარქსმა თავის „ზედმეტი ღირებულების თეორიებში"[51] მატერიალური წარმოების დარგების — მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის გვერდით რატომ არ დაასახელა მშენებლობა? მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ზემოთ აღნიშნული დამახასიათებელი ნიშანი არსებობდა (და არსებობს) როგორც თვით კაპიტალიზმის დროს, ისე კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში.

ჩვენი აზრით, მშენებლობის მატერიალური წარმოების დამოუკიდებელ დარგად გამოყოფას, ზევით აღნიშნულ ნიშანთან ერთად, საფუძვლად უდევს მეორე უმნიშვნელოვანესი მომენტი — მწარმოებლური ძალების განვითარების გარკვეული დონე, რომელმაც მანქანური ტექნიკის დანერგვის შედეგად გააღრმავა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და აამაღლა შრომის განსაზოგადოების დონე.

სწორედ ეს ორი პირობა (ნიშანი) ერთად აღებული განსაზღვრავს და გამოყოფს მშენებლობას მატერიალური წარმოებისა და, მაშასადამე, სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად. უნდა აღინიშნოს, რომ ის ავტორებიც კი, რომლებიც ემხრობიან თეზისს, რომ მშენებლობა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის დამოუკი-

---

[50] ამ მომენტის შესახებ სამართლიანად მიუთითებს ბ. სმეხოვი. იხ. «Экономика строительства», № 10, 1960, стр. 43.

[51] კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. I, 1966, გვ. 397.

დებელ დარგს, ხშირად არ ითვალისწინებენ ზემოთ აღნიშნული მეორე მომენტის მნიშვნელობას და წინა ნიშანთა მისი ერთიანობის აუცილებლობას.

სამშენებლო სამუშაოები წარმოებდა ჯერ კიდევ უძველეს წარსულში. ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ გვიჩვენა, რომ პირველად სამშენებლო საქმე შედიოდა საოჯახო საქმიანობის სფეროში, შემდეგ გამოცალკევდა ხელოსნობის სახით და გაიარა მარტივი კოოპერაციისა და მანუფაქტურის საფეხურები. მაგრამ მწარმოებლური ძალების განვითარებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების დაბალ დონე აფერხებდა მშენებლობის სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად გამოყოფის პროცესს.

კაპიტალიზმამდელი ფორმაციების დროს ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი პირობები მშენებლობის მატერიალური წარმოების ცალკე დარგად გამოყოფისათვის. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად განვითარდა მშენებლობის მატერიალური წარმოების დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბების პროცესი.

ჩვენ ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მწარმოებლური ძალების მძლავრი განვითარების ბაზაზე, რომელმაც განაპირობა საზოგადოებრივი შრომის შემდგომი განსაზოგადოება და მანქანური ტექნიკის ფართოდ დანერგვა, მშენებლობა თანდათანობით ჩამოყალიბდა სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განმსაზღვრელი ფაქტორია მწარმოებლური ძალების განვითარება. თავის მხრივ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ორმხრივ გავლენას ახდენს მწარმოებლურ ძალებზე — ხელს უწყობს ან აფერხებს მის განვითარებას.

კ. მარქსმა მეცნიერულად გამოიკვლია და დაამუშავა შრომის დანაწილების ფორმები და ისინი სამ სახედ დაყო. „თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ თვით შრომას, — აღნიშნავს კ. მარქსი, — მაშინ საზოგადოებრივი წარმოების დაყოფას მის მსხვილ გვარეობებად, როგორიცაა მიწათმოქმედება, მრეწველობა და სხვ. შეიძლება ვუწოდოთ შრომის საყოველთაო... დანაწილება, წარმოების ამ გვარეობათა დაყოფას სახეობებად და ქვესახეობებად — შრომის განსაკუთრებული... დანაწილება, ხოლო შრომის დანაწი-

ლებას სახელოსნოს შიგნით — შრომის ცალკეული... დანაწილება"[52].

შრომის საერთო დანაწილებას განეკუთვნება მატერიალური წარმოების დაყოფა „მსხვილ გვარეობებად" ანუ დარგებად. მწარმოებლური ძალებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარების შედეგად მატერიალური წარმოების დარგების რიცხვი იცვლება, განვითარების პროცესში წარმოიშვებიან ახალი დარგები, მაგრამ ეს პროცესი მიმდინარეობს შედარებით ნელა, პირიქით, შრომის კერძო დანაწილება ანუ მატერიალური წარმოების დარგების ქვედარგებად დანაწილება მიმდინარეობს სწრაფად და განუწყვეტლივ — ზოგიერთი დარგი ისპობა, წარმოიშვებიან ახალი დარგები, ხდება ძველი დარგების დაყოფა და სხვ. შრომის საერთო და კერძო დანაწილება — ეს არის შრომის დანაწილება საზოგადოების შიგნით. სწორედ შრომის საერთო დანაწილების განვითარების შედეგად მშენებლობა თანდათანობით ვითარდება და გამოიყოფა როგორც მატერიალური წარმოების დამოუკიდებელი დარგი.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ხასიათის მიხედვით მშენებლობა უნდა მივაკუთვნოთ შრომის საერთო დანაწილებას; ამასთან მშენებლობა თავის მხრივ კიდევ იყოფა სახეობებად, როგორიცაა მრეწველური, სოფლისმეურნეობრივი, სატრანსპორტო, საბინაო და ა. შ., რომლებიც თავის მხრივ ქვესახეებად იყოფიან.

მშენებლობის, როგორც მატერიალური წარმოების დამოუკიდებელი დარგის თავისთავადობა პირობადებულია აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო საწარმოთა არსებული სისტემით, რომლებიც საიჯარო წესით აწარმოებენ სამუშაოებს. მშენებლობა მჭიდროდაა დაკავშირებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან და სამშენებლო წარმოების პროდუქციის დიდი ხვედრითი წონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში უდავოა.

მშენებლობას, როგორც მატერიალური წარმოების დამოუკიდებელ დარგს, აქვს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი თავისებურებანი. ერთ-ერთი ასეთი თავისებურება ის არის, რომ მშენებლობის პროდუქცია უძრავია და გამოიყენება იმ ადგილზე, სადაც მისი წარმოება მოხდა. ეხებოდა რა მშენებლობის, როგორც მატერიალური წარმოების დარგის თავისებურებებს, კ. მარქსი წერდა, რომ მშენებლობაში შრომის საშუალებანი „...იმთავითვე იწარმოება ისეთ

---

[52] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 446.

უძრაო ადგილთან, დაკავშირებით ფორმაში, როგორც მაგალითად, ნიადაგის მელიორაცია, ფაბრიკის შენობები, ბრძმედები, არხები, რკინიგზები და სხვ. შრომის საშუალებების მუდმივი მიმაგრებულობა წარმოების პროცესთან, რომელშიც იგი უნდა მოქმედებდეს, აქ გაპირობებულია ამასთანავე მისი არსებობის ფიზიკური წესით. ის გარემოება, რომ შრომის საშუალებანი ადგილობრივადაა მიმაგრებული, მიწაშია ფესვგადგმული, ძირითადი კაპიტალის ამ ნაწილს არგუნებს განსაკუთრებულ როლს ერთა ეკონომიკაში. არ შეიძლება მათი გაგზავნა საზღვარგარეთ, შეუძლებელია მათი მიმოქცევა საქონლის სახით მსოფლიო ბაზარზე"[53].

ასევე მნიშვნელოვანი სპეციფიკური თავისებურებანი ახასიათებს მშენებლობას ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის მხრივ. თუ მრეწველობის ძირითად დარგებში შრომის პროდუქტი, როგორც წესი, მოძრაობს წარმოების პროცესის დროს, ხოლო შრომის საშუალებანი უძრავ მდგომარეობაში იმყოფება, სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია იმით ხასიათდება, რომ აქ მოძრავია შრომის იარაღები, პროდუქტი კი უძრავი რჩება. მშენებლობის თავისებურებაა ის გარემოებაც, რომ მისი პროდუქცია ხანგრძლივი მოხმარებისაა, განსხვავდება დიდი ზომითა და მნიშვნელოვანი სირთულით. ამასთან წარმოების ციკლი მშენებლობაში, განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის დროს, ხასიათდება დიდი ხანგრძლივობით.

ამრიგად, მშენებლობა წარმოადგენს მატერიალური წარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, სადაც იქმნება როგორც წარმოებრივი, ისე არაწარმოებრივი ძირითადი ფონდები, რომლებიც ძირითადად უძრავ მდგომარეობაში შედიან წარმოების პროცესში ან ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ არაწარმოებრივ მოხმარებაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მშენებლობა წარმოადგენს მატერიალური წარმოების დამოუკიდებელ დარგს და მას ახასიათებს სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც არსებითად განასხვავებს მას სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან. ეს, რა თქმა უნდა, იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ მშენებლობა მთელი რიგი ნიშნებით არ ემსგავსებოდეს სხვა დარგებს. მაგრამ ამ შემთხვევაში მსჯელობა გვაქვს მოცე-

---

[53] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 200.

მული დარგის არსებით სპეციფიკური თავისებურებების შესახებ, რითაც იგი მატერიალური წარმოების დანარჩენი დარგებისაგან განსხვავდება.

არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტის ი. სლეპოვის[53], ბ. სოკოლოვის და სხვ. მტკიცება, რომლებსაც მშენებლობის ცნებაში შეაქვთ საშენ მასალათა მრეწველობა, ხოლო ზოგიერთს — თვით სამშენებლო მანქანათმშენებლობა. დარგთა ასეთ ხელოვნურ კლასიფიკაციას თუ დავუშვებთ და მშენებლობას გავუერთიანებთ საშენ მასალათა მრეწველობას, მაშინ სოფლის მეურნეობა აუცილებლად უნდა გავუერთიანოთ მსუბუქ მრეწველობას, მეტალურგია — მანქანათმშენებლობას და ა. შ. ნამდვილად კი საშენ მასალათა მრეწველობა წარმოადგენს არა მშენებლობის, არამედ მძიმე მრეწველობის ერთ-ერთ დარგს.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მატერიალური წარმოების ძირითად დარგებს მიეკუთვნება: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა. ცალკე დარგად შეიძლება გამოიყოს აგრეთვე სატყეო მეურნეობა.

მატერიალური წარმოების ზოგიერთი პროცესის ვაგრძელება და დასრულება ხდება მიმოქცევის სფეროში, რომელსაც მიეკუთვნება ვაჭრობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება. მიმოქცევის სფეროში მიმდინარეობს, ჯერ ერთი, წარმოების პროცესის დასრულება და, მეორე, ხორციელდება ღირებულების გარდაქმნა ერთიდან მეორე ფორმად.

ამგვარად, ვაჭრობა უნდა მიეკუთვნოს მატერიალური წარმოების დამხმარე დარგს. ვაჭრობა იმ ნაწილში, რომელშიც ის ასრულებს წარმოებრივ ფუნქციებს და წარმოადგენს წარმოების პროცესის გაგრძელებას მიმოქცევაში (საქონლის შეფუთვა, დახარისხება, შენახვა, გადაზიდვა და სხვ.), მიეკუთვნება მატერიალური წარმოების სფეროს, მაგრამ ვაჭრობაში არ იქმნება რაღაც განსაკუთრებული პროდუქტი, ვაჭრობის სპეციფიკური პროდუქტის სახით. ვაჭრობაში, როგორც მიმოქცევის სფეროში, მხოლოდ მთავრდება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქტის წარმოება.

მატერიალური წარმოების სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე დანარჩენი დარგები, რომელშიც შედის ქალაქისა და სოფლის მოსახ-

---

[53] «Вопросы экономики», № 1, 1959, стр. 61—62.

ლეობის მიერ სხვადასხვა საქონლის დამზადება, არაწარმოებრივ სფეროში პროდუქციის წარმოება და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და მისი სტრუქტურა

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების მატერიალური საფუძველია ნაციონალური სიმდიდრე, რომელიც წარმოადგენს მთელი მატერიალური დოვლათის ერთობლიობას და შექმნილია და დაგროვილია საზოგადოების მიერ ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე. ნაციონალურ სიმდიდრეს მიეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა, დაგროვილი შრომის პროდუქტები — წარმოების საშუალები, რომელთა დახმარებით იქმნება მთელი მატერიალური ფასეულობა, წარმოების პროცესში ჩართული ბუნებრივი რესურსები, წარმოებრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები და ნაგებობანი, ნედლეულისა და მასალების, აგრეთვე, პირადი მოხმარების საგნების მარაგი. სოციალიზმის დროს ნაციონალური სიმდიდრე წარმოადგენს საერთო-სახალხო და კოოპერაციულ-კოლმეურნეობრივ საკუთრებას, აგრეთვე, მშრომელთა პირად საკუთრებას.

საზოგადოებრივი აღწარმოების განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაციონალური სიმდიდრის იმ ნაწილს, რომელიც იმყოფება მატერიალური წარმოების სფეროში წარმოებრივი ფონდების, კერძოდ, ძირითადი წარმოებრივი ფონდების სახით. ძირითადი წარმოებრივი ფონდები წარმოადგენენ გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების მთავარ მატერიალურ წანამძღვარს. საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ცვალობაზე სულ უფრო იზრდება როლი და მნიშვნელობა ნაციონალური სიმდიდრის იმ ნაწილისა, რომელიც წინანდელი შრომის შედეგია. შრომის პროდუქტების დაგროვების დონე საზოგადოების ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.

სოციალისტური საზოგადოების ნივთიერი სიმდიდრის აღწარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუშაკთა მიერ შეძენილი წარმოებრივი გამოცდილება, მათი ცოდნა და კვალიფიკაცია. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ „არსებული მოსახლეობის დახელოვნების

ხარისხი ყოველთვის შეადგენს მთელი წარმოების წანამძღვარს, მაშასადამე, სიმდიდრის მთავარ დაგროვებას"[54].

სოციალიზმის დროს მიმდინარეობს ნაციონალური სიმდიდრის სწრაფი ზრდა, რაც უშუალოდ დამოკიდებულია გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ტემპებზე. სოციალისტური საზოგადოებრივი აღწარმოების შედეგია ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნა და ამის საფუძველზე ნაციონალური სიმდიდრის გამრავლება და განუხრელი ზრდა.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი წარმოადგენს ეკონომიკურ კატეგორიას და სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე სინთეზურ მაჩვენებელს, რომელიც წარმოგვიდგება საზოგადოების მთლიანი პროდუქტის სახით.

„მთლიანი ამონაგები ანუ ბრუტო პროდუქტი, — წერს კ. მარქსი, — მთელი კვლავწარმოებული პროდუქტია. ძირითადად კაპიტალის ავანსებული, მაგრამ მოუხმარებელი ნაწილის გამოკლებით მთლიანი ამონაგების ანუ ბრუტო პროდუქტის ღირებულება უდრის წარმოებაში ავანსებული და მოხმარებული მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას პლუს ზედმეტი ღირებულება, რომელიც მოგებად და რენტად ნაწილდება. ანდა თუ განვიხილავთ არა ცალკეული კაპიტალის, არამედ საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის პროდუქტს, მთლიანი ამონაგები უდრის მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის შემადგენელ ნივთიერ ელემენტებს პლუს ზედმეტი პროდუქტის ნივთიერი ელემენტები, რომლებშიაც მოგება და რენტაა წარმოდგენილი"[55].

წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელიც ემყარება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას და გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი წარმოგვიდგება, როგორც მოხმარებულ წარმოების საშუალებათა, აუცილებელი პროდუქტისა და ზედმეტი პროდუქტის ღირებულებათა ჯამი.

სოციალისტური საზოგადოების ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი არის დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, ჩვეულებრივ ერთ წელიწადში, მატერიალური წარმოების დარგებში, გეგმაზო-

---

[54] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. III, თბ., 1975, გვ. 277.

[55] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, თბ., 1959, გვ. 474.

მიერად წარმოებული მატერიალური დოვლათის მთელი მასის — წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების ერთობლიობა. სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი საერთო-სახალხო და კოლმეურნეობრივ-კოოპერაციულ სექტორებში გეგმაზომიერად ორგანიზებული წარმოების შედეგია, რომლის კერკვეული ნაწილი იქმნება, აგრეთვე კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად დამხმარე მეურნეობაში.

სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობას. მასში კონკრეტული შრომით გადაიტანება წარსული შრომით შექმნილი მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულება და მიემატება აბსტრაქტული შრომით შექმნილი ახალი ღირებულება.

სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი იქმნება მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებული მუშაკების მწარმოებლური შრომით. მწარმოებლური შრომის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი მონაწილეობს მატერიალური დოვლათის წარმოებაში, უშუალოდ ჰქმნის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს. „თუ მთელ პროცესს, — წერს კ. მარქსი, — მისი შედეგის, პროდუქტის, თვალსაზრისით განვიხილავთ მაშინ ორივე, შრომის საშუალება და შრომის საგანი, გვევლინება როგორც წარმოების საშუალებანი, თვით შრომა კი — როგორც მწარმოებლური შრომა“[56].

მწარმოებლური შრომის ბუნება განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში, რაც განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრული ფორმით. კაპიტალიზმის პირობებში მწარმოებლური შრომის კატეგორია გამოხატავს კაპიტალისტური ექსპლუატაციის ურთიერთობებს. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით მწარმოებლურ შრომას წარმოადგენს მხოლოდ ის შრომა, რომელიც ჰქმნის ზედმეტ ღირებულებას, უზრუნველყოფს მატერიალურ წანამძღვარს კაპიტალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა გაფართოებული აღწარმოებისათვის.

სოციალისტურ საზოგადოებაში პრინციპულად იცვლება მწარმოებლური შრომის ბუნება, იქმნება ყოველმხრივი პირობები მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

---

[56] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 232.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი იქმნება მატერიალური წარმოების დარგებში — მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, ტრანსპორტსა და კავშირგამბულობაში, აგრეთვე, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, დამზადებაში, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში იმ ზომით რა ზომითაც აქ ხორციელდება წარმოებრივი პროცესები (შეფუთვა, დახარისხება, შენახვა, ტრანსპორტირება და სხვ.), მატერიალური წარმოების დანარჩენ დარგებში, როგორიცაა გამომცემლობა, კინოფილმების წარმოება, მოსახლეობის მიერ ჭყის პროდუქტების დამზადება და სხვ. არაწარმოებრივ სფეროში (სახელმწიფოებრივი მმართველობა, კულტურა, სამედიცინო კომსაბურება და სხვ.) ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი არ იქმნება, მაგრამ ამ სფეროს მუშაკთა შრომა საზოგადოებრივად სასარგებლო, საზოგადოებისათვის აუცილებელი შრომაა, რომელიც ხელს უწყობს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნას.

სოციალისტურ საზოგადოებაში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდა მიმდინარეობს განუწყვეტლივ და მაღალი ტემპებით. სსრ კავშირში იგი 1974 წელს, 1913 წელთან შედარებით, 53-ჯერ გაიზარდა, 1940 წელთან შედარებით — 10,5-ჯერ[57].

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდა წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანეს მაჩვენებელს, მისი ზრდა განისაზღვრება, ჯერ ერთი, მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის გადიდებით და, მეორე, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით. გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების განუწყვეტელი და მაღალი ტემპები განაპირობებს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მნიშვნელოვნად უფრო სწრაფ ზრდას სოციალიზმის დროს კაპიტალიზმთან შედარებით.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი არსებობს ორი ფორმით: ნატურალურ-ნივთობრივი და ღირებულებითი ფორმით.

სოციალისტური საზოგადოების მთელი წარმოება პროდუქტის ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით იყოფა ორ დიდ ქვედანაყოფად: წარმოების საშუალებათა წარმოებად (I ქვედანაყოფად), რომელიც ამზადებს წარმოების საშუალებებს, რაც განკუთვნილია წარმოებრივი (პროდუქტიული) მოხმარებისათვის, და მოხმარების

---

[57] Народное хозяйство СССР в 1974 году, стр. 51—52.

საგნების წარმოებად (II ქვედანაყოფად), რომელიც ამზადებს მოხმარების საგნებს, რაც განკუთვნილია პირადი, ინდივიდუალური მოხმარებისათვის. ამის შესაბამისად, თავისი ნატურალურ-ნივთობრივი ფორმის მიხედვით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი შედგება: წარმოების საშუალებებისა (მანქანები, ნედლეული, მასალები, სათბობი და სხვ.) და მოხმარების საგნებისაგან (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საკვები, ბინა და სხვ). წარმოებრივი დანიშნულების საგნები ანუ წარმოების საშუალებები გამოიყენება მოხმარებული წარმოების საშუალებათა ასანაზღაურებლად და წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის, ხოლო პირადი მოხმარების საგნები — მშრომელთა პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სახელმწიფო რეზერვების შესაქმნელად და წარმოებაში ახლად ჩაბმულ მშრომელთა ჯგუფების მოხმარების საგნებით უზრუნველსაყოფად.

სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი ფორმის არსებობა განპირობებულია საქონლის წარმოების არსებობით, რამდენადაც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი შედეგია არა მარტო კონკრეტული შრომისა, რომელიც ქმნის საქონლის სახმარ ღირებულებას, არამედ აბსტრაქტული შრომისაც, რომელიც ქმნის საქონლის ღირებულებას.

ერთობლივი საზოგადოებივი პროდუქტის შედგენილობა ღირებულების მიხედვით მოიცავს მატერიალური წარმოების პროცესში მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულებას და ახლად შექმნილ ღირებულებას, ანუ ნაციონალურ შემოსავალს, რომელშიც განხორციელებულია ცოცხალი შრომა. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ამ ორ ნაწილს შორის თანაფარდობა იცვლება წარმოების ტექნიკური აღჭურვილობით, მის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი ძვრებისა და სხვა ფაქტორების გავლენით. ახლად დახარჯული შრომა და მისი შესაბამისი პროდუქტი იყოფა აუცილებელ შრომად და აუცილებელ პროდუქტად და ზედმეტ შრომად და ზედმეტ პროდუქტად. აუცილებელი პროდუქტი გადადის მატერიალური წარმოების მუშაკთა პირად მოხმარებაში, ხოლო ზედმეტი პროდუქტი გადადის საზოგადოებისა და მისი წარმოებრივი კოლექტივების განკარგულებაში და შემდეგ გამოიყენება დაგროვებისა და სხვა საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. აუცილებელ და ზედმეტ პროდუქტს აქვს ღირებულებითი გამოხატუ-

ლება და ნაწილდებიან სოციალისტური საკუთრების ბუნების შესაბამისად.

სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შემადგენელ ელემენტებს გააჩნიათ ისტორიულად განსაზღვრული ფორმები, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ერობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შემადგენლობის კაპიტალისტური ფორმებისაგან. ეს გარემოება განისაზღვრება იმით, რომ, წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, სოციალისტურ საზოგადოებაში ბატონობს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, არ არსებობს კაპიტალის კატეგორია. ამის შედეგად ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების შემადგენელ ელემენტებს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა არ არსებობს. სოციალიზმის დროს აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტი გამოიყენება მშრომელთა ინტერესებისათვის, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გამოანგარიშებას საფუძვლად უდევს მთლიანი პროდუქცია, გაანგარიშებული ქარხნული მეთოდის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს ცალკეულ ეკონომიკურად დამოუკიდებელ საწარმოთა მთლიანი პროდუქციის შეჯამებას. ამ მეთოდიკის მიხედვით, განსაზღვრული დროის მანძილზე წარმოებული მზა ნაწარმიდან და მრეწველური ხასიათის სამუშაოთა ღირებულებიდან, როგორც წესი, გამორიცხავენ საკუთარი წარმოების იმ პროდუქციის ღირებულებას, რომელიც ამავე საწარმოს წარმოებაშივე მოიხმარება. ამგვარად, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი წარმოადგენს მატერიალური წარმოების სფეროში მოქმედ საწარმოთა (ფაბრიკების, ქარხნების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და ა. შ.) მიერ წლის მანძილზე გამოშვებული მთლიანი პროდუქციის ჯამს, წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების ერთობლიობას.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობის მაჩვენებელთა არსის შესახებ. ზოგიერთ საბჭოთა ეკონომისტ[58] მიაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდით განსაზღვრული ერ-

---

[58] А. Бечин, Вопросы теории воспроизводства, «Вопросы экономики», № 2, 1962 და სხვ.

თობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი შეიცავს განმეორებით აღრიცხვას და თითქოს იგი არასწორ წარმოდგენას გვაძლევს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის რეალური მოცულობის შესახებ. ეს შეხედულება არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ, რადგან იგი უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში განმეორებითი აღრიცხვა წარმოადგენს ობიექტურად კანონზომიერს და აუცილებელს, რომელიც შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და სოციალისტური აღწარმოების არსებულ პირობებში ასახავს საწარმოებს შორის არსებულ ობიექტურ ეკონომიკურ, წარმოებრივ კავშირებს, სახალხო მეუნეობაში რეალურად მიმდინარე წარმოებრივ პროცესებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით მართებულია მოსაზრება, რომ მეურნეობრივ ცხოვრებაში არსებობს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო და პრაქტიკული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ განმეორებითი აღრიცხვის შემცველი მთლიანი პროდუქტის მაჩვენებლის საშუალებით და ასეთ ასპექტში განმეორებითი აღრიცხვა წარმოადგენს არა ნაკლოვანებას, არამედ უპირატესობას. ამ მაჩვენებელში სწორედ განმეორებითი აღრიცხვის არსებობა, რომელიც ასახავს რთულ შიდადარგობრივ და დარგთაშორის წარმოებრივ კავშირებს, ხდის მას ბევრი დიდმნიშვნელოვანი სახალხომეურნეობრივი პროპორციის შეცნობისა და რაოდენობრივი გაზომვის შეუცვლელ ინსტრუმენტად. ამ მაჩვენებლის გარეშე შეუძლებელია გადატანილი და ახლად შექმნილი ღირებულების, შესაბამისად ანაზღაურების, მოხმარებისა და დაგროვების ფონდების თანაფარდობის ფორმირება და ანალიზი. მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მაჩვენებლის, მისი ნატურალურ-ნივთობრივი შემადგენლობის მიხედვით დაჯგუფების ბაზაზე ხდება I და II ქვედანაყოფებს შორის არსებული პროპორციის, აგრეთვე საზოგადოებრივი აღწარმოების სხვა ნატურალურ-ღირებულებითი პროპორციების ფორმირება და ანალიზი[59].

სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესაბამისად სოციალისტური აღწარმოების პროცესში გეგმიანი წესით მყარდება აუცილებელი პროპორციები, მიმდინარეობს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაცია როგორც ღირებუ-

---

[59] В. Мелкадзе, Закономерности воспроизводства национального дохода в Грузинской ССР, Тб., 1974, стр. 34.

ლების, ისე ნატურალური ფორმის მიხედვით. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაცია ხორციელდება გაცვლის გზით საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფებს შორის და თითოეული მათგანის შიგნით.

საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფში შექმნილი წარმოების საშუალებათა ერთი ნაწილი ამავე ქვედანაყოფში რჩება და გამოიყენება მოხმარებული წარმოების საშუალებათა ასანაზღაურებლად, მარტივი აღწარმოების განსახორციელებლად.

წარმოების საშუალებათა ნაწილი ურთიერთგაცვლის გზით გამოიყენება დაგროვებისათვის იმავე ქვედანაყოფში შემავალ დარგებში გაფართოებული აღწარმოების უზრუნველსაყოფად.

I ქვედანაყოფის პროდუქციის ნაწილი, რომელიც ნატურალური ფორმის მიხედვით წარმოადგენს წარმოების საშუალებებს მოხმარების საგნების წარმოებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფებს შორის ურთიერთგაცვლის გზით მიდის II ქვედანაყოფის დარგებში მოხმარებული წარმოების საშუალებათა ასანაზღაურებლად და წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის.

საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფის პროდუქტის ნაწილი გამოიყენება სოციალისტური საზოგადოების თავდაცვითი ძალიერების განმტკიცებისა და მატერიალური რეზერვების გადიდებისათვის. საზოგადოებრივი წარმოების II ქვედანაყოფის პროდუქცია, რომელიც ნატურალური ფორმით მოხმარების საგნების სახით არსებობს, გამოიყენება II ქვედანაყოფის დარგებში მომუშავე და წარმოებაში დამატებითი ჩაბმული მუშაკთა პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, არაწარმოებრივ დარგებში დასაქმებულ მუშაკთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მატერიალური რეზერვების გასადიდებლად. II ქვედანაყოფის პროდუქციის ნაწილი (I ქვედანაყოფის პროდუქციაზე გაცვლის გზით) მოიხმარება I ქვედანაყოფის დარგებში დასაქმებული და წარმოებაში ახლად ჩაბმულ მუშაკთა პირადი მოხმარებისათვის, იმ წარმოების საშუალებებზე გაცვლის მეოხებით, რომელსაც II ქვედანაყოფი ღებულობს მოხმარებული წარმოების საშუალებათა ანაზღაურებისა და ამ დარგებში გაფართოებული აღწარმოების განსახორციელებლად.

ყოველმხრივ გამოიკვლიეს და ღრმა მეცნიერული ანალიზი გაუკეთეს რა კაპიტალისტურ აღწარმოებას, კ. მარქსმა, ხოლო შემდეგ ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბეს და მათემატიკურად გამოხატეს აღწარ-

მოების ძირითადი კანონზომიერებანი, რომლებსაც ძალა აქვთ და გამოიყენებიან სოციალიზმის დროსაც. მათი არსი მდგომარეობს შემდეგში: გაფართოებული აღწარმოების პროცესში საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფებს შორის პროპორციულობის (თანაფარდობის) საერთო პირობაა, რომ I ქვედანაყოფში შექმნილი ახალი ღირებულება მეტი უნდა იყოს წარმოების საშუალებათა იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარებულია წლის მანძილზე მეორე ქვედანაყოფის მიერ ანუ I (V + m) > II C-ზე. ასევე I ქვედანაყოფში შექმნილი პროდუქტის ღირებულება მეტი უნდა იყოს I და II ქვედანაყოფებში გაწეულ მატერიალურ დანახარჯებზე (გადატანილ ღირებულებაზე) ანუ I (C + V + m) > I C + II C. გარდა ამისა, გაფართოებული აღწარმოების დროს I და II ქვედანაყოფში ახლად შექმნილი ღირებულება მეტი უნდა იყოს II ქვედანაყოფის პროდუქტის ღირებულებაზე, ანუ I (V + m) + II (V + + m) > I (C + V + m).

ანალიზს უკეთებდა რა საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის თანაფარდობის საკითხს სოციალიზმის დროს, კ. მარქსი წერდა: „წარმოება რომ საზოგადოებრივი ყოფილიყო და არა კაპიტალისტური, ცხადია, I-ის პროდუქტები კვლავწარმოების მიზნით, არანაკლები მუდმივობით განაწილდებოდა ხელახლა, როგორც წარმოების საშუალებანი ამ ქვედანაყოფის წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის: ერთი ნაწილი უშუალოდ დარჩებოდა წარმოების იმ სფეროში, საიდანაც იგი გამოვიდა პროდუქტის სახით, ხოლო მეორე, პირიქით, გადავიდოდა წარმოების სხვა ადგილებში, და ამგვარად, ამ ქვედანაყოფის წარმოების სხვადასხვა პუნქტებს შორის ადგილი ექნებოდა მუდმივ მოძრაობას საპირისპირო მიმართულებით“[60].

პარტია ატარებს მძიმე ინდუსტრიის პროგრესული დარგების წინგამსწრები განვითარების ხაზს. განვითარების ყველაზე მაღალი ტემპები დასახულია იმ დარგებში, რომლებიც ყველაზე მეტად განსაზღვრავენ ტექნიკურ პროგრესს, — ეს არის მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა.

წარმოების საშუალებათა წარმოების მძლავრი ზრდა განაპირობებს მოხმარების საგნების წარმოების განვითარების მაღალ ტემპებსაც. ამავე დროს სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებლობას იძლევა, წარმოების საშუალებათა წარ-

[60] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. II, 1957, თბ., გვ. 533.

მოების მატების მოცემული საშუალო წლიური ტემპების პირობებში, უზრუნველვყოთ მოხმარების საგნების წარმოების ტემპების დაჩქარება, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება.

4. საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქტის საკითხისათვის

სოციალიზმის ეკონომიკურ კატეგორიათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება საბოლოო საზოგადოებრივ პროდუქტს. საბჭოთა ეკონომისტებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქტის როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსის, მისი ნატურალურ-ნივთობრივი და ღირებულებითი შემადგენლობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური პრობლემების გარშემო. საბჭოთა ეკონომისტების უმრავლესობის აზრით, საბოლოო პროდუქტი წარმოადგენს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც მოცემულ წელს გადის მიმდინარე წარმოებიდან და მზა პროდუქციის სახით გამოიყენება მშრომელთა მოხმარებისათვის, წლის განმავლობაში გაცვეთილი ძირითადი ფონდების აღდგენისა და აგრეთვე დაგროვებისათვის[61]. ზოგიერთ საბჭოთა ეკონომისტს მიაჩნია, რომ საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქტი უნდა განისაზღვროს როგორც პირობით წმინდა პროდუქცია[62], ხოლო ზოგი ეკონომისტი მას, როგორც არითმეტიკულ სიდიდეს, უთანაბრებს ნაციონალური შემოსავლის მოცულობას[63]. ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ საბოლოო პროდუქტად უნდა მივიჩნიოთ მოხმარების საგნები.

ჩვენი აზრით, მართებულია ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც საბოლო საზოგადოებრივი პროდუქტი განისაზღვრება როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილი, რომელიც მოცემულ წელს გადის მიმდინარე წარმოებიდან და მზა პროდუქციის სახით გამოიყენება მშრომელთა მოხმარებისათვის, წლის

---

[61] «Политическая экономия», Учебник, под ред. акад. АН СССР А. Румянцева, 1975, стр. 372; В. Мелкадзе, Закономерности воспроизводства национального дохода в Грузинской ССР, Тб., 1974, стр. 34—35 და სხვ.

[62] М. Эйдельман, Межотраслевой баланс общественного продукта, М., 1966.

[63] «Вестник статистики», № 7, 1963, стр. 11.

განმავლობაში გაცვეთილი ძირითადი ფონდების აღდგენისა და, აგრეთვე, დაგროვებისათვის.

საბოლოო პროდუქტი ნატურალური და ნივთობრივი ფორმების მიხედვით მოიცავს მზა პროდუქციას მოხმარების საგნების სახით, შრომის საგნებს, რომლებიც განკუთვნილია ძირითადი ფონდების ანაზღაურებისა და კაპიტალური რემონტისათვის, წარმოების გაფართოებისა და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების სალდოს დაფარვისათვის. შუალედური პროდუქტის შედარებით მეტი ნაწილი შრომის საგნების სახით შეიძლება იყოს საბოლოო პროდუქტის ელემენტი იმ ზომით, რა ზომითაც შრომის საგნები გაიტანება საზღვარგარეთ ან სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ან მიდის საბრუნავი ფონდების, რეზერვებისა და მარაგების შესავსებად დაგროვების ფონდის შემადგენლობაში[64].

საბოლოო პროდუქტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც უნდა მივიჩნიოთ სოციალიზმის დროს აღწარმოების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად. მატერიალური წარმოების დარგებში რაც უფრო რაციონალურად გამოიყენება ნედლეული, მასალები, სათბობი და შუალედური პროდუქტის სხვა ელემენტები, მით უფრო მეტია პროდუქციის საბოლოო გამოსავალი — საბოლოო პროდუქტი. ამის შესაბამისად, რაც უფრო მეტია საბოლოო პროდუქტის წილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის საერთო მოცულობაში, მით უფრო მეტი მატერიალური დოვლათი შეიძლება იქნეს გამოყენებული ნაციონალური სიმდიდრის გადიდებისა და მშრომელთა მუდმივად მზარდი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნების განხორციელებისათვის გადამწყვეტი და პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საბოლოო პროდუქტის მოცულობის განუხრელ ზრდას და მისი ხვედრიწონის გადიდებას ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შემადგენლობაში.

საზოგადოებრივი წარმოების მიზანი შინაგანად არის მისთვის დამახასიათებელი და იგი ობიექტურ ხასიათს ატარებს. კაპიტალიზმის დროს ზედმეტი ღირებულების წარმოება კაპიტალიზმის განმსაზღვრელი მიზანია. „კაპიტალისტური წარმოების მუდმივი მიზა-

---

[64] ვ. მ ე ლ ქ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

ნი, — წერდა კ. მარქსი, — ის არის, რომ ავანსებული კაპიტალის მინიმუმის პირობებში აწარმოოს ზედმეტი ღირებულების ანუ ზედმეტი პროდუქტის მაქსიმუმი"[65]. ზედმეტი ღირებულების წარმოება კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონია.

სოციალიზმის დროს ძირეულად იცვლება წარმოების მიზანი, ხდება მისი დამორჩილება საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებისადმი. სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება წარმოშობს ინტერესთა ერთიანობას. ამ პირობებში შესაძლებელი და აუცილებელი ხდება წარმოების რეგულირება მოთხოვნილებების მიხედვით. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალიზმი ნიშნავს „საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესის გეგმაშეწონილ ორგანიზაციას საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად"[66].

წინააღმდეგ კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა, რომელიც გამოხატავს კაპიტალის მიერ შრომის ექსპლუატაციის ურთიერთობას, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი გამოხატავს სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა არსს, როგორც ექსპლუატაციისაგან თავისუფალ მუშაკთა ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობები განსაზღვრავს სოციალისტური წარმოების მიზანს და ამ მიზნის განხორციელების გზებს.

სოციალისტური წარმოების მიზანია საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა, რაც ხორციელდება საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

სოციალისტური წარმოების ობიექტური მიზნის რეალიზაციისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საბოლოო პროდუქტის წარმოების გადიდებას, ვინაიდან იგი მშრომელთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მატერიალური საფუძველია.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში კიდევ უფრო იზრდება საბოლოო პროდუქტის, საერთოდ საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების როლი და მნიშვნელობა. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი

---

[65] კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. II, გვ. 552.

[66] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 566.

მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ „სამმართველო და უწინარეს ყოვლისა საგეგმო საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებს. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ეკონომიკის ზრდისა და ვარგისიანობის კვალობაზე, როცა ეს საბოლოო შედეგები სულ უფრო მეტად არიან დამოკიდებული მრავალ შუალედურ რგოლზე, შიდადარგობრივი და დარგთაშორისი კავშირის რთულ სისტემაზე. ასეთ პირობებში თუ გამოვედევნებით შუალედურ შედეგებს, რომლებიც თავისთავად ვერ წყვეტენ საქმეს, შეიძლება ადვილად გამოგვრჩეს მთავარი — საბოლოო შედეგები"...[67].

საბოლოო პროდუქტი, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის თვალსაზრისით განხილული, წარმოგვიდგენს ამ კანონის მეტად მნიშვნელოვან მხარეს, სახელდობრ, იგი წარმოგვიდგენს საშუალებას სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნების განხორციელებისათვის. ეს გარემოება შეიძლება შემდეგნაირად ფორმულირდეს: სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების განმსაზღვრელი და მამოძრავებელი მოტივია საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომელიც მიიღწევა საბოლოო პროდუქტის წარმოებისა და აღწარმოების საფუძველზე.

სოციალიზმის პირობებში საბოლოო პროდუქტის, მისი წარმოების გადიდების განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ იგი უშუალოდ ხმარდება მშრომელებისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, „ახლა მთავარია უზრუნველვყოთ მტკიცე შემობრუნება, — აღნიშნა ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა თავის მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე, — რათა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძლავრი საწარმოო-ტექნიკური პოტენციალი და გავზარდოთ ეროვნული შემოსავალი, საბოლოო პროდუქტის წარმოება, რომელიც უშუალოდ ხმარდება მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას"[68].

---

[67] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ., 1976, გვ. 81—82.

[68] ა. ნ. კ ო ს ი გ ი ნ ი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 2 მარტი, № 51 (16481).

5. სოციალისტური დაგროვების ეკონომიკური კანონის საკითხისათვის

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების განხორციელების მთავარი და გადამწყვეტი პირობაა სოციალისტური დაგროვება. დაგროვება სოციალიზმის დროს წარმოადგენს ზედმეტი პროდუქტის ნაწილის გეგმაზომიერ გამოყენებას ძირითადი ფონდების გადიდებისათვის, მატერიალური საბრუნავი საშუალებების ზრდისათვის, ახალი მუშაკების ჩაბმისათვის მატერიალურ წარმოებაში, რეზერვებისა და სადაზღვევო მარაგების გადიდებისათვის სახელმწიფო და კოოპერაციულ-კოლმეურნეობრივ სექტორში. ეს აუცილებელია საზოგადოებრივი სიმდიდრის განუწყვეტელი გადიდებისა და მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისათვის.

ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში დაგროვება მიმდინარეობს განსაზღვრული ისტორიული ფორმით, განსაზღვრული ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების საფუძველზე. დაგროვება სოციალიზმის დროს ძირეულად განსხვავდება დაგროვებისაგან კაპიტალიზმის პირობებში. სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედებს დაგროვების სოციალისტური კანონი საპირისპიროდ კაპიტალიზმისა, სადაც დაგროვება ღებულობს კაპიტალის დაგროვების ფორმას და იწვევს მუშათა კლასის ექსპლუატაციის გაფართოებასა და გაძლიერებას, სოციალისტური დაგროვება ხორციელდება სახალხო მეურნეობის წარმოებრივი და არაწარმოებრივი ფონდების დაგროვების სახით და განაპირობებს იმას, რომ ნაციონალური სიმდიდრის ზრდასთან ერთად სისტემატურად მაღლდება ხალხის მატერიალური და კულტურული დონე.

სოციალისტური დაგროვება მთელი თავისი მსვლელობით განამტკიცებს მუშაძალის შეერთებას წარმოების საშუალებებთან საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების საფუძველზე. დაგროვების პროცესში მიმდინარეობს სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა აღწარმოება გაფართოებული მასშტაბით.

სოციალისტური აღწარმოება ხასიათდება დაგროვების განუხრელი და სწრაფი ზრდით. სოციალიზმის პირობებში განუზომლად ფართოვდება დაგროვების შესაძლებლობანი. საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის განუხრელი გადიდება, სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გეგმაზომიერი და უკრიზისო ხასიათი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალუ-

რი გამოყენება და პარაზიტული მოხმარების არარსებობა განაპირობებს სოციალისტური დაგროვების მაღალ ტემპებს, რაც მიუღწეველია კაპიტალიზმის დროს.

სოციალიზმის დროს ზედმეტი პროდუქტი წარმოადგენს დაგროვების და აგრეთვე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყაროს. დაგროვების აუცილებლობა ობიექტურად განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი გაფართოებისა და სრულყოფის ინტერესებით, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებით. სოციალისტური საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება და მათი ყოველმხრივი განვითარება შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოების გაფართოების გარეშე. ამასთან საზოგადოების მიერ დაგროვების ზომა განისაზღვრება მშრომელთა მოთხოვნილებათა დონის ამაღლებისა და მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდების გათვალისწინებით. დაგროვება უზრუნველყოფს წარმოების მუდმივ განახლებას გაფართოებული მასშტაბით.

აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის დროს მოქმედებს სოციალისტური დაგროვების ობიექტური ეკონომიკური კანონი, რომელიც განაპირობებს ზედმეტი პროდუქტის ნაწილის სისტემატურ გამოყენებას წარმოების განუწყვეტელი გაფართოებისა და ნაციონალური სიმდიდრის გადიდებისათვის მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოთა ეკონომისტებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა დაგროვების ეკონომიკური კანონის ბუნებისა და მოქმედების ხასიათის შესახებ[69]. ჩვენი აზრით, დაგროვების კანონი შინაგანად დამახასიათებელია ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის, სადაც ხორციელდება გაფართოებული აღწარმოება.

---

[69] Я. Кронрод, Общественный продукт и его структура при социализме, М., 1958, стр. 474—479; М. Бор, Эффективность общественного производства и проблемы оптимального планирования, М., 1972, стр. 135—137; Управление социалистическим воспроизводством, 1972, стр. 94—98; Политическая экономия социализма, учебник, М., 1975, стр. 249—250; Политическая экономия Социализм — первая фаза коммунистического способа производства, под общей ред. Г. Козлова, М., 1974, стр. 169—170; Политическая экономия, под редакцией проф. П. Соколова, М., 1974, стр. 227—228; XXIV съезд КПСС и использование экономических законов в коммунистическом строительстве, М., 1972, стр. 262—271 და სხვ.

ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში ამა თუ იმ მასშტაბით ხორციელდება გაფართოებული აღწარმოება, პროგრესულად იზრდება წარმოება და მოხმარება, ვითარდება მწარმოებლური ძალები. კ. მარქსი მიუთითებს, რომ „სულ სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში ადგილი აქვს არა მარტო მარტივ კვლავწარმოებას, არამედ კვლავწარმოებას გაფართოებული ფარგლებით, თუმცა კი უკანასკნელი სხვადასხვა მასშტაბით წარმოებს"[70]. აქედან გამომდინარე, ჩვენ არასწორად მიგვაჩნია საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში გაბატონებული დებულება, რომ თითქოს მხოლოდ კაპიტალიზმის გამარჯვების კვალობაზე წარმოიშობა დაგროვების კანონი, როგორც გაფართოებული აღწარმოების სპეციფიკური ეკონომიკური კანონი.

ჩვენი აზრით, რამდენადაც თვით კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში ამა თუ იმ მასშტაბით ხორციელდება ვაფართოებული აღწარმოება, პროგრესულად იზრდება წარმოება და მოხმარება, ხოლო გაფართოებული აღწარმოების მცირე მასშტაბით განხორციელებაც კი დაგროვების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ დაგროვების ეკონომიკური კანონი, ისევე როგორც შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონი, მოქმედებს კაპიტალიზმამდელ ფორმაციებშიც.

დაგროვების საერთო ეკონომიკური კანონი გამოხატავს იმ საერთოს, რაც ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას ახასიათებს. ეს საერთო არის ის, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი პროდუქტის ნაჭარბის ანუ მისი გადიდებული მოცულობის წარმოება, რათა იგი დაგროვებულ იქნას.

ჩვენი აზრით, დაგროვების საერთო ეკონომიკური კანონი სოციალიზმის დროს მოქმედებს სოციალისტური დაგროვების ეკონომიკური კანონის ფორმით, რომელიც გამოხატავს არა მარტო დაგროვების აუცილებლობას, არამედ აგრეთვე დაგროვებისა და მოხმარების თანაფარდობის ისტორიულ-კონკრეტულ ხასიათს და დაგროვების კანონის მოქმედების შედეგებს.

ჩვენი შეხედულებით მცდარია და სათანადო არგუმენტაციასა და მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია ლ. ა. ლეონტიევის მოსაზრება, რომელიც უარყოფს სოციალისტური დაგროვების ეკონომიკური კანონის კატეგორიას[71].

---

[70] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1954, თბ., გვ. 754.

[71] Л. Леонтиев, Экономическая теория и хозяйственная политика, «Экономическая газета», 25. IX. 1961 г.

სოციალისტური დაგროვების კანონი გამოხატავს აუცილებელ, მყარ, ესე იგი განმეორებად მიზეზობრივ კავშირსა და დამოკიდებულებას, რომელიც შინაგანად დამახასიათებელია ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესებისათვის. სოციალისტური დაგროვების კანონი გამოხატავს სოციალიზმის დროს ეკონომიკურ ურთიერთობათა შინაგან კავშირს, რაც თვით საზოგადოებრივი საკუთრების ბუნებიდან გამომდინარეობს.

გაფართოებული აღწარმოების ინტენსიური ფორმის დროს მიმდინარეობს პროდუქციის გამოშვება წარმოების საშუალებებისა და მუშახელის უფრო ეფექტურად გამოყენების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საფუძველზე. წარმოების ამ გზით გაფართოება გულისხმობს საწარმოების ტექნიკურ რეკონსტრუქციას, მოძველებული ტექნიკის შეცვლას ახალი მაღალმწარმოებლური გაწყობილობებით, მიწის გამოყენების გაუმჯობესებას და სხვ.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, უზარმაზარი წარმოებრივი აპარატის არსებობისას წამყვანი და გაბატონებული ხდება ინდივიდუალური აღწარმოების ინტენსიური ფორმა. საწარმოებში აღწარმოების პროცესის ინტენსიფიკაციას დიდად უწყობს ხელს ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ამაღლებს წარმოებრივი კოლექტივების დაინტერესებას წარმოებაში ფონდებისა და მუშახელის უფრო რაციონალური გამოყენებით. ამჟამად ჩვენი ქვეყნის ბევრი მოწინავე საწარმო აღწევს პროდუქციის გამოშვების გადიდებას მომუშავეთა რაოდენობის ზრდის გარეშე.

დაგროვებისა და მოხმარების თანაფარდობაში ოპტიმალობა არის ფორმა, რომელშიც რეალიზდება სოციალისტური დაგროვების ობიექტური ეკონომიკური კანონის მოთხოვნები. დაგროვებასა და მოხმარებას შორის თანაფარდობა წარმოადგენს გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროპორციას. ნაციონალურ შემოსავალში დაგროვებისა და მოხმარების ფონდებს შორის სწორი, ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა უზრუნველყოფს ერთდროულად როგორც წარმოების სრულყოფასა და განვითარებას, ისე ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას. დაგროვების სიდიდე უშუალოდ დამოკიდებულია დაგროვების ნორმაზე, ესე იგი დაგროვების ფონდის თანაფარდობაზე მთელ ნაციონალურ შემოსავალთან გამოხატული პროცენტობით:

$$Н^1 = \frac{ФН}{НД} \times 100,$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც $Н^1$ არის დაგროვების ნორმა;

ФН — დაგროვების ფონდი;

НД — ნაციონალური შემოსავალი.

სოციალიზმის დროს დაგროვების ნორმის სიდიდე დამოკიდებულია როგორც ზედმეტი პროდუქტის მოცულობაზე, ისე ობიექტურად განპირობებულ ამოცანებზე, რომლებიც წყდება მოცემულ პერიოდში საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და სრულყოფის გზით.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოციალისტური დაგროვება უზრუნველყოფს წარმოების განვითარებას, მისი ტექნიკური დონის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოების უფრო ეფექტურ საშუალებათა დანერგვის საფუძველზე.

დაგროვების ნორმის შედარებითი სიმყარე სსრ კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ადასტურებს, რომ დროებით ფაქტორებთან ერთად მოქმედებენ მუდმივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ დაგროვებასა და მოხმარებას შორის არსებულ პროპორციას. ეს პროპორცია დამოკიდებულია ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, როგორიცაა: ქვეყნის მწარმოებლური ძალების განვითარების დონე, ახალი ტექნიკის ეფექტურობა, ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, შრომისუნარიანი მოსახლეობის მატება და ზოგიერთი სხვა ფაქტორი.

დაგროვებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური თანაფარდობა ნიშნავს არსებული რესურსების ისეთ გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების, დაგროვების ზრდის მაღალ მყარ ტემპებს და საშუალებას იძლევა შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოხმარების ფონდის, არაწარმოებრივი დაგროვების ფონდის რაც შეიძლება მეტად გასადიდებლად.

დაგროვების გავლენის ხარისხი მოხმარების ზრდაზე განისაზღვრება სამი მთავარი ფაქტორით: დაგროვების ხარისხით, სტრუქტურითა და ეფექტურობით.

სოციალისტური დაგროვების ეფექტურობის ამაღლება წარმოადგენს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მნი-

შვნელოვან ამოცანას. სოციალიზმის დროს დაგროვებისა და მოხმარების ოპტიმალური შეხამების, წარმოებრივი დაგროვების ოპტიმალური ნორმის მათემატიკური მოდელის, განვითარებული სოციალიზმის პირობებში დაგროვების ნორმის ეფექტურობის ამაღლების შესახებ საბჭოთა ეკონომისტების მიერ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი. აღნიშნული საკითხები განხილული აქვს საბჭოთა ეკონომისტებს ა. ნოტკინს[72], ს. სტრუმილინს[73], კ. ვალტუხოს[74], პ. მალიშევს[75], ბ. მინცს[76], ვ. ნემჩინოვს[77], ა. ზანერგინს[78], მ. ბორს, ლ. როჟდენსტენსკის და სხვ.

ზოგიერთ საბჭოთა ეკონომისტს მიაჩნია, რომ სოციალიზმის დროს მოქმედებს დაგროვებისა და მოხმარების ოპტიმალური შეხამების კანონი[79].

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. სოციალიზმის დროს დაგროვებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური პროპორციის უზრუნველყოფა წარმოადგენს არა სოციალიზმის ერთ-ერთ სპეციფიკურ კანონს, არამედ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ობიექტური ეკონომიკური კანონის მოთხოვნების განხორციელებას.

თუ კაპიტალიზმის დროს მოქმედებს კონკურენციისა და წარმოების ანარქიის ეკონომიკური კანონი, საპირისპიროდ სოციალის-

---

[72] А. Ноткин, Оптимальное сочетание накопления и потребления и норма накопления, «Проблемы политической экономии социализма», сборник статей, М., 1960, Его же, Темпы развития социалистического производства и подъем народного потребления, «Производство, накопления, потребления», (сб.), М., 1955.

[73] С. Струмилин, К проблеме оптимальных пропорций, «Плановое хозяйство», 1962, № 6.

[74] К. Вальтух, Проблемы оптимизации накопления, «Проблемы народнохозяйственного оптимума», (сб.), 1966.

[75] П. Малишев, М. Шилин, Критерий эффективности социалистического воспроизводства, М., 1973.

[76] Б. Минц, Политическая экономия социализма, М., 1955.

[77] В. Немчинов, Экономико-математические методы и модели, М., 1962.

[78] А. Занергин, Оптимальная пропорция между накоплением и потреблением, М., 1970.

[79] А. Ноткин, Оптимальное сочетание накопления и потребления и норма накопления, «Проблемы политической экономии социализма», М., 1960.

ტურ საზოგადოებაში, სადაც განუყოფლად ბატონობს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, მოქმედებს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონი.

სოციალიზმის დროს დაგროვებისა და მოხმარების ფონდებს შორის ოპტიმალური პროპორციების დადგენის აუცილებლობას განაპირობებს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონის მოთხოვნები და ამ ფონდებს შორის ოპტიმალური პროპორციების დადგენა წარმოადგენს თვით სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის ერთ მხარეს, მის ერთ-ერთ გამოვლინებას.

საქმე ისაა, რომ სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარება გულისხმობს და აუცილებლობით მოითხოვს გარკვეული პროპორციის დადგენას დაგროვებისა და მოხმარების ფონდებს შორის. საზოგადოებრივი წარმოების სწრაფი ტემპებით განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების ინტერესები მოითხოვს ნაციონალური შემოსავლის ამ ორ ნაწილს შორის ოპტიმალური პროპორციების დადგენას. დაგროვებისა და მოხმარების ფონდებს შორის ასეთი პროპორციების არსებობა შესაძლებლობას იძლევა კაპიტალური მშენებლობისა და საერთოდ სოციალისტური წარმოების მაღალი ტემპებით ზრდასთან ერთად უზრუნველვყოთ ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ამაღლება.

გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ სახალხომეურნეობრივი პროპორციები მუდმივი არ არის. ისინი იცვლებიან და სრულყოფილნი ხდებიან. პროპორციების ცვლილებები გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლილებებით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ზრდით, საერთაშორისო მდგომარეობაში ცვლილებებით, წარმოების ახალი, პროგრესული დარგების განვითარებით და ა. შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგროვებისა და მოხმარების ფონდების ზრდის ტემპების თანაფარდობა იცვლება ქვეყნის მეურნეობრივი მშენებლობის კონკრეტული პირობებისა და ამოცანების გათვალისწინებით. მაგალითად, მეშვიდე ხუთწლედში (1961—1965 წწ.) დაგროვების ფონდის ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა მოხმა-

რების ფონდის ზრდას. მერვე ხუთწლედში (1966—1970 წწ.) მათი ზრდის ტემპები დაახლოვდა.

სოციალისტური საზოგადოება დაინტერესებულია როგორც დაგროვების, ისე მოხმარების ფონდის ერთდროულ ზრდით, მათ შორის ოპტიმალური პროპორციულობის დაცვით.

დაგროვებისა და მოხმარების ოპტიმალური შეხამება წარმოადგენს სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონების: სოციალისტური დაგროვების კანონის, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა რეალიზაციის ფორმას.

დაგროვების ოპტიმალური ნორმა — ეს არის დაგროვების ხვედრი წონის ისეთი სიდიდე ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში, რომელიც უზრუნველყოფს დაგროვების ფონდის აბსოლუტური სიდიდის განუწყვეტელ ამაღლებას და ამავე დროს საშუალებას იძლევა განუხრელად გადიდდეს მოხმარების აბსოლუტური ნორმა და მოხმარების სულადობრივი ნორმები.

მოხმარების ოპტიმალური ნორმა ნიშნავს მოხმარების ხვედრიწონის ისეთ სიდიდეს ნაციონალურ შემოსავალში, რომელიც უზრუნველყოფს მოხმარების ფონდის აბსოლუტური სიდიდისა და მოხმარების სულადობრივი ნორმის განუხრელ გადიდებას.

წარმოებრივი დაგროვების ნორმის ოპტიმიზაციის ძირითადი სახელმძღვანელო იდეა წამოყენებულ იქნა ა. ნოტკინის მიერ ნაშრომში „Оптимальное сочетание накопления и потребления и норма накопления", რომელიც 1960 წელს გამოვიდა. ოპტიმალურობის შეფასების ძირითად მაჩვენებლად აქ დასახელებულ იქნა ნაციონალური შემოსავლის დაგროვების კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება როგორც ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების შეფარდება დაგროვების ფონდის სიდიდის ხვედრიწონასთან ნაციონალურ შემოსავალში. იგი გამოიხატება შემდეგი განმაზოგადებელი ფორმულით:

$$T = \frac{H_н}{K},$$

სადაც T ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპია;

$H_н$ დაგროვების ნორმა;

K დაგროვების კოეფიციენტი მიღებული ნაციონალური შემოსავლის ნამატის 1 პროცენტზე.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ არსებობს უშუალო და პირდაპირი დამოკიდებულება ნაციონალურ შემოსავალში დაგროვების ხვედრიწონასა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის (ნამატის) ტემპებს შორის.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სოციალისტური საზოგადოების განვითარების სავალდებულო და აუცილებელი პირობაა დაგროვების ხვედრიწონის ამაღლება. უკანასკნელ პერიოდში გამოითქვა სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც დაგროვების ფონდის ხვედრიწონის შემცირება ნაციონალურ შემოსავალში და მის ხარჯზე მოხმარების ფონდის ხვედრიწონის ამაღლება მიჩნეულია კანონზომიერ ტენდენციად.

ჩვენი აზრით, დაგროვებისა და მოხმარების ფონდების თანაფარდობის ანალიზის დროს არ შეიძლება დაშვებული იქნეს ცალმხრივობა და არსებული ობიექტური პირობებისა და კანონზომიერებათა უგულებელყოფა. აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ წარმოებრივი დაგროვების ნორმის ამაღლება განსაზღვრული დონის შემდეგ შესაძლებელია მხოლოდ მოსახლეობის მოხმარების შემცირების ხარჯზე. მეორე მხრივ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ცხოვრების პირობები განისაზღვრება არა მარტო მოხმარების ფონდის მასით, არა მარტო მატერიალური დოვლათის მოცულობით, რაც უშუალოდ მიდის პირად მოხმარებაში, არამედ აგრეთვე თავისუფალი დროით, რომლის გადიდებაც შეუძლებელია სახალხო მეურნეობის დარგების განუწყვეტელი ტექნიკური გადაიარაღების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარების, შრომის მწარმოებლურობის განუხრელი გადიდების გარეშე.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ დაგროვებისა და მოხმარების თანაფარდობის დაგეგმვის დროს აუცილებელია დადგინდეს ოპტიმალური, ესე იგი ისეთი დონე ნაციონალური შემოსავლის განაწილებაში, რომელიც უზრუნველყოფს იმავდროულად როგორც დაგროვების ფონდის ზრდას საზოგადოებრივი წარმოების გასაფართოებლად, ისე მოხმარების ფონდის გადიდებას მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში იცვლება თანაფარდობა სოციალისტური დაგროვების ზრდის ფაქტორებს შორის, დაგროვების ნორმა და მისი ეფექტიანობა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში იზღუდება განვითარების ექსტენსიური ფაქტორების როლი და შესაბამისად იზრდება საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ინტენსიური ფაქტორების როლი. წარმოების ინტენსიფიკაციის განხორციელება განსაზღვრავს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი გადიდების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობას, რაც მიღწეული უნდა იქნეს ახალი ტექნიკის და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში, ეკონომიკური განვითარების თავისებურებებიდან, კერძოდ მწარმოებლური ძალების განვითარების დონიდან და დაგროვების აბსოლუტური სიდიდიდან გამომდინარე, წარმოიშობა შესაძლებლობა დაგროვებასა და მოხმარებას შორის სახალხომეურნეობრივი ოპტიმუმის მისაღწევად.

წინააღმდეგობა დაგროვების ნორმის ამაღლების, როგორც საზოგადოებრივი აღწარმოების ზრდის ტემპების დაჩქარების პირობასა და მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების უზრუნველყოფას შორის წარმოადგენს სოციალისტური წარმოების ერთ-ერთ მამოძრავებელ წინააღმდეგობას. ამ წინააღმდეგობის დაძლევა მოითხოვს დაგროვებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური შეხამების დადგენას საზოგადოებრივი განვითარების თითოეული მოცემული ეტაპისათვის. განვითარებული სოციალიზმის პირობებში გარკვეულად შეზღუდულია დაგროვების ნორმის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობები, რაც განპირობებულია ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლების აუცილებლობით. გარდა ამისა, წარმოებრივი დაგროვების ხვედრიწონის ამაღლება ნაციონალურ შემოსავალში საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ზრდის თვალსაზრისით, იზღუდება, რამდენადაც დაგროვების ფონდის გადიდება წარმოების დარგობრივ სტრუქტურაზე ახდენს ისეთ გავლენასაც, რაც იწვევს მძიმე მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, სადაც შედარებით დაბალია ფონდუკუგება, მაღალია ფონდტევადობა და დიდია კაპიტალური დაბანდებების გამოსყიდვის ვადა. აუცილებელია ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს ის გარემოება, რომ წარმოებრივ დაგროვებას საჭიროა თან სდევდეს მისი ეფექტიანობის ამაღლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი კაპიტალურ დაბანდებათა უკუგების შემცი-

რების პირობებში შეიძლება წარმოიშვას არსებითი დაბრკოლება მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია ზოგიერთი ეკონომისტის მტკიცება დაგროვების ნორმის მნიშვნელოვანი შემცირების აუცილებლობის შესახებ. წარმოებრივი დაგროვების ნორმის შემცირება შესაძლებელია გარკვეულ ფარგლებში მხოლოდ იმ პირობებში, თუ საზოგადოებრივი წარმოების ზრდის მიღწევა განხორციელდება მოქმედი წარმოებრივი ფონდების ინტენსიური გამოყენების გზით და მოთხოვნილების შემცირებით დამატებით წარმოების საშუალებებზე. ასეთ პირობებში გაფართოებული აღწარმოების ტემპების დაჩქარება შეიძლება იქნეს დაგროვების ნორმის სტაბილობის ან შემცირების დროს, მაგრამ მისი ეფექტიანობის ამაღლების პირობებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი II

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოება და სახალხო მეურნეობის ბალანსი

1. აღწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორია, როგორც სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის საფუძველი

აღწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორია წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს. გამოიკვლია რა კაპიტალისტური საზოგადოების ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ნაციონალური შემოსავალი, კ. მარქსმა აღწარმოების თავის ცნობილ სქემებში, რომელიც „კაპიტალის" II ტომში მოგვცა, მოახდინა ილუსტრირება რეალიზაციის პროცესისა მარტივი და გაფართოებული კაპიტალისტური აღწარმოების პირობებში. კ. მარქსის აღწარმოების სქემები შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახალხო მეურნეობის გამსხვილებული ბალანსი, რომელიც შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს, როგორიცაა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი. მის შემადგენლობაში გამოყოფილია I ქვედანაყოფის პროდუქცია (ანუ წარმოების საშუალებები) და II ქვედანაყოფის პროდუქცია (ანუ მოხმარების საგნები), მოცემულია ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილება ანაზღაურების, დაგროვებისა და მოხმარების ფონდად, ნაჩვენებია აღნიშნული ფონდების ჩამოყალიბება როგორც ღირებულებითი, ისე ნატურალური ნივთობრივი ფორმით.

სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის თეორიისა და პრაქტიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის ნაშრომებს. ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა კ. მარქსის აღწარმოების თეორია, კერძოდ, მისი აღწარმოების სქემები, გვიჩვენა I ქვედანაყოფ-

ში ორი ქვეგანყოფილების — წარმოების საშუალებათა წარმოების I ქვედანაყოფისათვის და წარმოების საშუალებათა წარმოების II ქვედანაყოფისათვის გამოყოფის აუცილებლობა და აღწარმოების სქემებში კაპიტალის ორგანული შედგენილობის ზრდის გათვალისწინების საჭიროება.

სოციალიზმის პირობებში აღწარმოების პროცესის დახასიათება შეუძლებელია კაპიტალისტური აღწარმოების ანალიზის საფუძველზე კ. მარქსის მიერ შექმნილი აღწარმოების თეორიის ძირითადი პრინციპებისა და დებულებების გამოყენების გარეშე.

მარტივი და გაფართოებული აღწარმოების სქემებში კ. მარქსმა შეგნებულად გააკეთა აბსტრაგირება ზოგიერთი მომენტისაგან, რომელთაც შეეძლოთ მხოლოდ გაეძნელებიათ თეორიული ანალიზი. ამ სქემების შემუშავების დროს კ. მარქსი გამოდიოდა იქიდან, რომ შრომის მწარმოებლურობა არ იცვლება, ფასები ემთხვევა ღირებულებას, საგარეო ვაჭრობა არ არსებობს, მუდმივი კაპიტალი მთლიანად მოიხმარება და ანაზღაურდება აღწარმოების ერთი ციკლის განმავლობაში, საზოგადოებაში კი არსებობს მხოლოდ ორი კლასი — დაქირავებული მუშები და კაპიტალისტები, საზოგადოების არაწარმოებრივი სფერო არ არსებობს. კ. მარქსი იხილავდა რა სოციალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის განაწილების პროცესს, თვლიდა, რომ არსებობს ერთიანი სოციალისტური საკუთრება, რომ სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად გაქრებოდა საქონლის წარმოება, ღირებულების კანონი და საქონლურ-ფულადი ურთიერთობანი.

საბჭოთა ეკონომისტებმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მოეცათ სოციალისტური აღწარმოების პროცესის ყოველმხრივი ასახვა სახალხო მეურნეობის ბალანსში, განახორციელეს კ. მარქსის აღწარმოების სქემების განვითარება და კონკრეტიზაცია. სახალხო მეურნეობის ბალანსი წარმოადგენს მარქსის აღწარმოების სქემების კონკრეტიზაციას აღწარმოების პროცესის უფრო დეტალური ანალიზის გათვალისწინებით და იგი მოიცავს მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ არა მარტო აღწარმოების პროცესის საერთო კანონზომიერებებს, არამედ აგრეთვე სოციალიზმის დროს აღწარმოების პროცესის ძირითად თავისებურებებს მისი კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით. სოციალიზმის პირობებში ამ ძირითად თავისებურებებს მიეკუთვნება შემდეგი: უწინარეს ყოვლისა, ორი მსოფლიო სისტემის არსებობის პირობებში აუცილე-

ბელია სახალხო მეურნეობის ბალანსის სქემაში იყოს მაჩვენებელი, რომელიც ასახავს[1] სამხედრო პროდუქციის წარმოებასა და დაგროვებას. ამავე დროს უნდა იყოს მაჩვენებელი, რომელიც დაახასიათებს[2] საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს, როგორც სოციალისტურ ქვეყნებთან, ისე კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან; სახალხო მეურნეობის ბალანსში თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს[3] პროდუქტის მოძრაობამ არა მარტო ნატურალურ-ნივთობრივი, არამედ ღირებულებრივი ფორმითაც,[7] ნაციონალური შემოსავლის წარმოქმნამ და მისმა მოძრაობამ და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება შემოვიფარგლოთ საზოგადოებრივი წარმოების მხოლოდ ორი ქვედანაყოფის გამოყოფით. სახალხო მეურნეობის ბალანსში ასახული უნდა იყოს პროპორციები და თანაფარდობა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, წარმოებასა და მიმოქცევას შორის, ქვეყნის ცალკეულ ეკონომიკურ რაიონებს შორის. ბალანსი ამავე დროს უნდა შეიცავდეს აღწარმოების დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის მაჩვენებლებს და ა. შ.

კ. მარქსის აღწარმოების სქემების კონკრეტიზაციის პირობებში სახალხო მეურნეობის ბალანსი გამოდის რამდენიმე განყოფილების სახით: ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების, განაწილებისა და დაგროვების ბალანსი; ნაციონალური შემოსავლის წარმოების, განაწილების, გადანაწილების და გამოყენების ბალანსი; შრომის ბალანსი.

2. სახალხო მეურნეობის ბალანსის განვითარების ისტორიიდან

ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ბალანსის ისტორია იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე. სახალხო მეურნეობის ბალანსის ცალკეულმა ელემენტებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დასაწყისიდანვე ასახვა ჰპოვეს მეურნეობრივ გეგმებში. 1917 წლის ბოლოს და 1918 წლის დასაწყისში პირველი მეურნეობრივი გეგმა შეიცავდა აღწარმოების უმნიშვნელოვანესი ნივთობრივი ელემენტების — ლითონის, სათბობის, სურსათისა და მუშა ძალის ბალანსებს.

1920 წელს ცსს სისტემაში შეიქმნა სახალხო მეურნეობის ბალანსის განყოფილება. მაგრამ პრაქტიკული მუშაობა ამ ბალანსის შესადგენად დაიწყეს 1924 წელს. გოელროს გეგმაში, რომელიც

წარმოადგენდა პირველ პერსპექტიულ გეგმას, მოცემული იყო ელექტრიფიკაციის მატერიალური და ფინანსური ბალანსი.

1926 წელს ცსს შრომების XXIX ტომში გამოქვეყნებული იყო „1923—1924 წლის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ბალანსი". ეს ბალანსი იყო პირველი მნიშვნელოვანი ცდა, რათა სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობა მოეცვათ ერთიანი ბალანსით. მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, მას ჰქონდა დიდი მეცნიერული და მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული მნიშვნელობა. ასეთივე საბალანსო სამუშაოები იქნა, აგრეთვე, ჩატარებული ამ პერიოდში უკრაინაში, ამიერკავკასიაში (აკფსრ), ტვერის გუბერნიაში, კომის ოლქში.

განსაკუთრებით შეუწყო ხელი და სახალხო მეურნეობის ბალანსის თეორიასა და პრაქტიკას ახალი მონაცემები და გამოცდილება შემატა ხუთწლიანი გეგმების შემუშავებისათვის წარმოებულმა მუშაობამ.

1932 წელს სსრ კავშირის ცსს დაამთავრა მუშაობა 1929—1930 წწ. საანგარიშო ბალანსის გაანგარიშებაზე. ეს ნაშრომი გამოქვეყნებულ იქნა სამსახურებრივი სარგებლობის წესით.

მთელი რიგი წლების მანძილზე სსრ კავშირის საგეგმო კომისიაში, სსრ კავშირის ცსს-ში მიმდინარეობდა მუშაობა სახალხო მეურნეობის საანგარიშო და საგეგმო ბალანსის სქემაზე. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს ბალანსის არსებულ სქემაში, შემუშავებულ იქნა შრომის, ფინანსური, ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსები (საანგარიშგებო ფინანსური ბალანსი პირველად შედგენილ იქნა 1937—1938 წწ.)[1].

რამდენიმე ცდის შემდეგ სსრ კავშირის ცსს სახალხო მეურნეობის ბალანსის განყოფილებამ (ვ. სობოლი, ა. მოროზოვი, პ. მოსკვინი და სხვ.) შესძლო 1939 წელს შეემუშავებინა სახალხო მეურნეობის ანგარიშგებითი ბალანსის სქემა, რომელიც თავის ძირითად ხაზებში შენარჩუნებულია დღემდეც და გამოიყენებოდა სსრ კავშირის ცსს მუშაობაში სახალხო მეურნეობის ანგარიშგებითი ბალანსის შესადგენად 1950 წლამდე.

1939 წლიდან სსრ კავშირის საგეგმო კომისიის პრაქტიკაში შემუშავებულ იქნა სახალხო მეურნეობის პირველი საგეგმო ბალანსი. მიუხედავად ამ ბალანსისათვის დამახასიათებელი ბევრი სერიოზუ-

---

[1] М. Эйдельман, Из истории баланса народного хозяйства СССР, жур. «Вестник статистики», 1958, № 8, стр. 48.

ლი ნაკლოვანებისა, საგეგმო ბალანსების სისტემატური დამუშავება უკვე წარმოადგენდა სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს.

ომისშემდგომ პერიოდში მუშაობა სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენაზე კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. ეს პროცესი თავისთავად მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის შემდგომ განვითარებასთან და განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

სსრ კავშირის საგეგმო კომისიაში, დაწყებული მეხუთე ხუთწლედიდან, მუშავდება სახალხო მეურნეობის საგეგმო ბალანსი არა მარტო წლის, არამედ აგრეთვე პერსპექტივის პერიოდზეც (ბალანსი 1951—1955 წწ., ბალანსი 1956—1960 წ., ბალანსი 1959—1965 წწ. და ა. შ.). განსაკუთრებით გაფართოვდა სამუშაოების სფერო სახალხო მეურნეობის ანგარიშგებითი ბალანსის ირგვლივ, ფართო განვითარება მიიღო მუშათა და მოსამსახურეთა, კოლმეურნეების რეალური შემოსავლების გაანგარიშებამ მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების მიხედვით, გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი მუშაობა სახალხო მეურნეობის ანგარიშგებითი ბალანსის სქემის სრულყოფისათვის. ბალანსის სქემა, რომელიც შემუშავდა 1957 წელს, განხილულ იქნა სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირზე (1957 წ.), რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ განსახილველად წარმოდგენილი სქემა საფუძვლად დაედოს სახალხო მეურნეობის ბალანსზე შემდგომ მუშაობას.

უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გაიშალა მუშაობა მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის ბალანსის შესადგენად და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის გასაანგარიშებლად.

3. სახალხო მეურნეობის ბალანსის სქემის შინაარსი

მეცნიერულ მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა ასახულ იქნას ობიექტური სინამდვილე, ეკონომიკური კავშირებისა და პროპორციების კანონზომიერი ცვლილებები, დასაბუთდეს ქვეყნის ყველა რაიონსა და წარმოების დარგებს შორის ურთიერთკავშირი და კოორდინაცია სახელმწიფოებრივ გეგმაში, წარმოადგენს დაგეგმვის საბალანსო მეთოდი. აუცილებელია, რომ ყველა გეგმა ზუსტად იყოს დაბალანსებული თითოეული მისი ელემენტის მიხედვით და

უზრუნველყოფილი საკმაო რეზერვებით. სოციალისტური სახელმწიფო ბალანსების საფუძველზე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში აწესებს პროპორციებს, რომელიც გამოხატულია ნატურალური და ფულადი ფორმით, განსაზღვრავს რესურსებსა და მათ განაწილებას წარმოების ცალკეული დარგების მიხედვით. ამავე დროს მოთხოვნილებასთან არსებული რესურსების შედარება საშუალებას იძლევა გამოირკვეს შეუსაბამობა განვითარების დონესა და ტემპებში ცალკეულ დარგებს შორის და ამ გზით დაისახოს ღონისძიებანი შემჩნეულ შეუსაბამობათა დასაძლევად.

ბალანსები შეიძლება იყოს მატერიალური (ანუ ნატურალური), ღირებულებითი ანუ ფულადი ფორმით გამოხატული და შრომის (მუშა ძალის) ბალანსი. მატერიალური ბალანსების მეოხებით ვლინდება ამა თუ იმ პროდუქტის ან პროდუქტთა ჯგუფის წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული თანაფარდობა მათი ნატურალურ-ნივთობრივი გამოხატულებით. ღირებულებითს მიეკუთვნება ნაციონალური შემოსავლისა და მისი განაწილების, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსები და სხვ. შრომის (ანუ მუშა ძალის) ბალანსით განისაზღვრება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება შრომით რესურსებზე, კვალიფიციურ კადრებზე და ამ მოთხოვნილებათა დაფარვის წყაროები.

აღნიშნული ბალანსების საშუალებით ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებში წესდება აუცილებელი პროპორციები როგორც შიდადარგობრივი და დარგთაშორისი, ისე შიგარაიონული და სარაიონთაშორისო. ყველაზე განმაზოგადებელი ბალანსია სახალხო მეურნეობის ბალანსი, რომელიც წარმოადგენს იმ ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკის განვითარების დონეს, გაფართოებული აღწარმოების ტემპებს, მასშტაბებს და ძირითად სახალხომეურნეობრივ პროპორციებს.

სახალხო მეურნეობის ბალანსი შეიცავს შემდეგ ძირითად ბალანსებს: 1) ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ბალანსი, 2) ნაციონალური შემოსავლის ბალანსი, 3) ძირითადი ფონდების ბალანსი, 4). შრომის ბალანსი, 5) შემაჯამებელი ბალანსი (ანუ სახალხო მეურნეობის ბალანსის ცხრილი. ამ ნაწილში შედის აღწარმოების ბალანსი სოციალური ჯგუფების მიხედვით).

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ბალანსში აისახება ძირითადი სახალხომეურნეობრივი პროპორციები. ეს ბალანსი გამო-

ხატავს რა უმნიშვნელოვანეს სახალხომეურნეობრივ კავშირებს და პროპორციებს, შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, თუ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში რამდენად არის მიღწეული აუცილებელი პროპორციულობა და მის ყველა ელემენტს შორის რაციონალური შეფარდება.

ნაციონალური შემოსავლის ბალანსი იძლევა საერთო-ეკონომიკურ პროპორციებს ფულად გამოხატულებაში. შრომითი რესურსების ბალანსი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ, თუ როგორია მოთხოვნები მუშახელზე და რა წესით ხდება ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება. ძირითადი ფონდების ბალანსი გამოხატავს მათი გაფართოებული აღწარმოების პროცესს წარმოებრივ და არაწარმოებრივ სფეროში, ცალკეულ დარგებში, აგრეთვე წარმოების სოციალურ სექტორებში.

სახალხო მეურნეობის ბალანსის შემადგენლობაში შემავალ ძირითად შემაჯამებელი ბალანსების სისტემას ემატება, აგრეთვე, ლოკალური ბალანსები და ცხრილები, რომელთა ამოცანაა უფრო დეტალურად ასახონ სოციალისტური აღწარმოების მხარეები. მათ რიცხვში შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ბალანსები: შრომითი რესურსების ბალანსი ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით; მატერიალური ბალანსები პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით; მოსახლეობის ფულად შემოსავალ-გასავლის ბალანსი და სხვ.

სახალხო მეურნეობის ბალანსი კონკრეტდება პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორის ბალანსში. დარგთაშორისი ბალანსი წარმოადგენს ეკონომიკურ მაჩვენებელთა და გაანგარიშებათა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქტების წარმოების და განაწილების პროპორციებს. დარგთაშორის ბალანსში ეკონომიკური კავშირები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მათემატიკური განტოლებების სახით, რომელთა სისტემა ქმნის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს, რაც სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებისა და სტრუქტურის დაგეგმვის მძლავრ იარაღს წარმოადგენს. არსებობს დარგთაშორისი ბალანსის სტატიკური და დინამიკური მოდელი, რაც კიდევ უფრო აფართოებს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის შესაძლებლობას არა მარტო ბალანსის შედგენის მომენტისათვის, არამედ პერსპექტივაშიც.

საბალანსო მეთოდი ფართოდ გამოიყენება როგორც სახალხო მეურნეობის გეგმების, ისე ეკონომიკური რაიონებისა და ცალკეუ-

ლი საწარმოების გეგმების შედგენის დროს. ბალანსების სისტემა საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული დისპროპორციები სახალხო მეურნეობის განვითარებაში, რაც ხელს უწყობს ცალკეული რაიონებისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას. ბალანსები გეგმურ დავალებათა ოპტიმალური ვარიანტების მეცნიერული განსაზღვრის საიმედო საშუალებაა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ ინერგება და გამოიყენება ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა, ინფორმაციის შეკრებისა და დამუშავების ავტომატიზებული სისტემები.

სახალხო მეურნეობის ბალანსის თავისებურებაა ის, რომ იგი მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს, მასში შედის სახელმწიფოებრივ და კოოპერაციულ-კოლმეურნეობრივ სექტორთან ერთად, აგრეთვე, კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობა.

სახალხო მეურნეობის ბალანსი წარმოადგენს დაგეგმვის მძლავრ საშუალებას, სახალხომეურნეობრივი გეგმების შემუშავების ინსტრუმენტს.

სახალხო მეურნეობის ბალანსის მაჩვენებელთა გამოხატვისათვის (ეს არ ეხება შრომის რესურსების ბალანსს) გამოიყენება მიმდინარე და შესადარისი ფასები. მიმდინარე ფასები ასახავენ მატერიალური დოვლათის მოძრაობის რეალურ სურათს და უზრუნველყოფენ პროდუქციის წარმოების, განაწილებისა და გამოყენების განსაზოგადოებელ მაჩვენებელთა დაკავშირებას ერთიანი ფინანსური გეგმის მაჩვენებლებთან. შესადარისი ფასები კი გვიხასიათებენ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ფიზიკური მოცულობის ზრდას შესაბამის საბაზისო პერიოდთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიური საკითხები საქართველოს სსრ-ში

1. სოციალისტური აღწარმოების რეგიონალურ თავისებურებათა საკითხისათვის მოკავშირე რესპუბლიკებში

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები მოითხოვს მწარმოებლურ ძალთა განლაგების შემდგომ გაუმჯობესებას, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების მეურნეობის კომპლექსურ განვითარებასა და სპეციალიზაციას, შრომისუნარიანი მოსახლეობის უფრო სრულად ჩაბმას წარმოებაში, ტერიტორიული დაგეგმვის სწორ შეხამებას სახალხო მეურნეობის მართვის დარგობრივ პრინციპთან. ამ ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელია თითოეული რაიონის ეკონომიკური, ისტორიული და სხვა პირობების რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინება.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარების შედეგად სოციალიზმის პირობებში წარმოიშობა ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარების ობიექტური აუცილებლობა და შესაძლებლობა. ფ. ენგელსი წერდა, რომ წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაში გადასვლის შემდეგ „შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი წარმოება წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით“[1].

ასაბუთებდა რა სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარების აუცილებლობას, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ არ შეიძლება მეურნეობის წარმართვა, თუ არ არის ხანგრძლივი პერიო-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 340.

დისათვის გათვალისწინებული გეგმა, რომ სოციალისტური რევოლუციის გიგანტური ამოცანაა „მთელი სახელმწიფო ეკონომიკური მექანიზმის გადაქცევა ერთიან დიდ მანქანად, სამეურნეო ორგანიზმად, რომელიც იმუშავებს ისე, რომ ასეულ მილიონობით ადამიანი ხელმძღვანელობდეს ერთი გეგმით“[2]. რამდენადაც გეგმაზომიერება გამოდის, როგორც სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კატეგორია, ამდენად სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარება წარმოადგენს ობიექტურ ეკონომიკურ კანონს, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონს, რომელიც წარმოიშობა კაპიტალიზმის დროს მოქმედი კონკურენციისა და წარმოების ანარქიის კანონის საპირისპიროდ. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნების შესაბამისად სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონი განაპირობებს სახალხომეურნეობრივი დაგეგმვის შესაძლებლობას.

სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონის უმნიშვნელოვანესი ნიშანია პროპორციულობა, ანუ შესაბამისობა წარმოების სხვადასხვა დარგებსა და სოციალისტური მეურნეობის სფეროებს შორის. „მუდმივი, შეგნებულად გატარებული პროპორციულობა, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, მართლაც გეგმაშეწონილება იქნებოდა...“[3].

სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი მოითხოვს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება დაექვემდებაროს ერთიან გეგმიან ხელმძღვანელობას საზოგადოების მხრივ, რომ დაცული იყოს პროპორციულობა სახალხო მეურნეობის ყველა ნაწილსა და ელემენტს შორის.

სოციალისტური დაგეგმვა, რომელიც ემყარება სოციალიზმის ძირითად და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკურ კანონებს, ითვალისწინებს აგრეთვე სოციალიზმის ისეთი ეკონომიკური კანონების შეგნებულ გამოყენებას, როგორიცაა ღირებულების, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიკური, სოციალისტური დაგროვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის კანონი და სხვ.

სოციალიზმის დროს კიდევ უფრო ღრმავდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, ფართოვდება და რთულდება მეურნეო-

---

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 22.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27. გვ. 22.

ბრივი კავშირები დარგებსა და საწარმოებს, ქვეყნის სხვადასხვა რაიონებს შორის.

ყოველი საზოგადოებრივი წარმოება მოითხოვს გარკვეულ პროპორციებს შრომისა და წარმოების საშუალებათა განაწილებაში წარმოების ცალკეულ დარგებსა და ეკონომიკურ რაიონებს შორის. „საზოგადოებრივი შრომის გარკვეული პროპორციით დაყოფის აუცილებლობა, — წერდა კ. მარქსი, — არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოისპოს საზოგადოებრივი წარმოების განსაზღვრული ფორმით; შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მისი გამოვლინების ფორმა"[4].

კაპიტალიზმის დროს აუცილებელი თანაფარდობა სახალხო მეურნეობის სხვადსხვა დარგებსა და სფეროებს შორის მუდამ ირღვევა და ეკონომიკის განვითარებას გარდუვალად თან ახლავს აღწარმოების ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გამწვავება. კაპიტალისტური წარმოების მწვავე წინააღმდეგობათა მოგვარება და აუცილებელი პროპორციულობა მეურნეობის განვითარებაში მიიღწევა სტიქიურად, მუდმივი რყევისა და დისპროპორციების გზით, ჭარბწარმოების კრიზისების მეშვეობით, მწარმოებლური ძალების მტაცებლური განადგურებით. „...კაპიტალიზმისათვის, — მიუთითებდა ლენინი, — საჭიროა კრიზისი, რათა შეიქმნას პროპორციულობა, რომელიც მუდამ ირღვევა"[5].

საპირისპიროდ კაპიტალიზმისა, სოციალისტური მეურნეობა ხასიათდება მუდმივად დაცული პროპორციულობით. სოციალიზმისათვის სპეციფიკურია გეგმაზომიერი პროპორციულობა. ემყარება რა სოციალიზმის ობიექტურ ეკონომიკურ და, უწინარეს ყოვლისა, ძირითად ეკონომიკურ და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ, პროპორციული განვითარების ეკონომიკურ კანონებს, სოციალისტური საზოგადოება უზრუნველყოფს აუცილებელ პროპორციულობას, როგორც ცალკეული დარგებისა და საწარმოების, ეკონომიკური რაიონების, ისე მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა სისტემის, მისი სტრუქტურის მოლოდ ყოველმხრივი ანალიზი და გათვალისწინება აძლევს საშუალებას სოციალისტურ საზოგადოებას განსაზღვრის წარმო-

---

[4] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 558—559.

[5] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 732.

ების მოცულობა და მასშტაბები, სწორად დაადგინოს სახალხო მეურნეობრივი პროპორციები. სოციალისტურ საზოგადოებაში არსებობს მრავალი პროპორცია, რომელთაც მიეკუთვნება საერთო სახალხომეურნეობრივი, დარგთაშორისო, შიდადარგობრივი, შიდაწარმოებრივი, ტერიტორიული, სახელმწიფოთაშორისო პროპორციები.

მწარმოებლური ძალების გაადგილება, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ყალიბდება სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების საფუძველზე.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება გამოდის დარგობრივი და ტერიტორიული ფორმით. საბჭოთა მეცნიერებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ხასიათის საკითხის შესახებ. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და, კერძოდ, შრომის ტერიტორიული დანაწილება არის მწარმოებლური ძალების ელემენტი, ხოლო სხვები მას მიაკუთვნებენ წარმოებრივ ურთიერთობებს ან როგორც მწარმოებლურ ძალებს, ისე წარმოებრივ ურთიერთობებს ერთდროულად.

ჩვენი აზრით, მართებულია მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ შრომის ტერიტორიული დანაწილება წარმოადგენს როგორც მწარმოებლური ძალების, ისე წარმოებრივ ურთიერთობათა ელემენტს[6].

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ეკონომიკური და სოციალური პროცესების დინამიურობა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით და მის თითოეულ რეგიონში, ქვეყნის რეგიონების ბუნებრივი, ეკონომიკური, ნაციონალური და ისტორიული პირობების სპეციფიურობა ქმნის განუწყვეტლივად ცვალებად შრომის ტერიტორიულ დანაწილებას, მოითხოვს სწორი ტერიტორიული პროპორციების დაწესებას.

სოციალისტურ გეგმიან მეურნეობაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მხოლოდ ეკონომიკური რაიონების სისტემის, არამედ, აგრეთვე, ცალ-ცალკე თითოეული რაიონის კომპლექსურ განვითარებას. თითოეულ რაიონს აქვს თავისი ბუნებრივი სპეციფიკა, თავისი ტერიტორიული თავისებურებანი, მასში ყალიბდება თავისებური ეკონომიკური და სოციალური პირობები, რომე-

---

[6] В. Ф. Павленко, Территориальное планирование в СССР, М., 1973, стр. 9.

ლიც განსაზღვრავს მის ეკონომიკურ პროფილს. სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება და სრულყოფა ორგანულად არის დაკავშირებული ქვეყნის მეურნეობის ტერიტორიულ ორგანიზაციასთან, რეგიონალურ ეკონომიკასა და პოლიტიკასთან. რეგიონალური ეკონომიკისა და პოლიტიკის (ნაციონალური შემოსავლის რეგიონალური განაწილება, რენტული ურთიერთობანი, რეგიონალური სოციალური პროცესები) თეორიისა და პოლიტიკის პრობლემების დამუშავება ამდიდრებს სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას[7].

სოციალისტური აღწარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, დარგთაშორის პროპორციებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიულ პროპორციებს, რომელთა ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს მწარმოებლური ძალების რაციონალური გაადგილების პრინციპები.

რაციონალური ტერიტორიული პროპორციების ჩამოყალიბება გულისხმობს მწარმოებლურ ძალთა გაადგილებას, უწინარეს ყოვლისა, იმ პრინციპის მიხედვით, რომ განხორციელდეს წარმოების ყოველი ღონისძიებით დაახლოება ნედლეულის, სათბობის, ენერგიის, შრომითი რესურსების და მზა პროდუქციის მოხმარების რაიონებთან, რათა უკეთ იქნეს გამოყენებული ბუნებრივი რესურსები, აღმოიფხვრას არარაციონალური და მეტისმეტად შორეული ტვირთზიდვა.

მწარმოებლური ძალების რაციონალური გაადგილების შემდეგი მოთხოვნაა შრომის გეგმაზომიერი ტერიტორიული დანაწილება ეკონომიკურ რაიონებს შორის, ამ რაიონებში მეურნეობის კომპლექსურ განვითარებასთან შეხამებით და მეურნეობის სპეციალიზაციის გათვალისწინება იმ დარგებში, რომლებიც ყველაზე უფრო შეესაბამებიან მოცემული რაიონის ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებს.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას შეადგენს, ერთი მხრივ, სსრ კავშირში შრომის საერთო-საკავშირო რაციონალური დანაწილებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის სწორი სპეციალიზაციის, ხოლო, მეორე მხრივ, მათი კომპლექსური განვითარების მოთხოვნათა ოპტიმალური შეხამება. ამ შე-

---

[7] Н. Н. Некрасов, Региональная экономика, М., 1975, стр. 13.

მთხვევაში დაგეგმვის ოპტიმიზაცია გულისხმობს ისეთ ღონისძიებათა ძიებასა და განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას და, ამავე დროს, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის ეფექტურ განვითარებას. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მოითხოვს შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულ დასაქმებას, მისი კვალიფიკაციის ამაღლებას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის მწარმოებლურობის ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს რესპუბლიკის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას[8].

ტერიტორიული პროპორციების ოპტიმიზაცია გულისხმობს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ამოცანების შესაბამისად ყველა საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობას, ქვეყნის რაიონების ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრებას. მწარმოებლური ძალების თანაბარზომიერი გაადგილება და ტერიტორიული პროპორციულობის სრულყოფა უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებში შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულ დასაქმებას, არსებული ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას. ამასთან მწარმოებლური ძალების გაადგილების კანონზომიერებათა გამოვლინებას ეკონომიკურ რაიონებში ახასიათებს არსებითი განსხვავებულობანი, რაც განპირობებულია იმით, რომ ცალკეული დარგების განვითარებაზე უშუალო გავლენას ახდენს შრომითი, ეკონომიკური, ტექნიკური, სატრანსპორტო, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების სხვადასხვა თანაფარდობანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც დარგობრივი პროპორციების, ისე რესპუბლიკათშორისო და შიდარესპუბლიკური პროპორციების დადგენას.

სოციალისტური აღწარმოების თეორიამ დუმილით არ უნდა აუაროს გვერდი აღწარმოების პროცესს ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში, ვინაიდან საერთო ნიშნების გამოვლინება, რომელიც დამახასიათებელია გაფართოებული აღწარმოებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში საერთოდ, არ გამორიცხავს ამ პრო-

---

[8] ი. მიქელაძე, საქართველოს სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის საკითხები, თბ., 1976, გვ. 6.

ცესის ზოგიერთ თავისებურებას, რაც დამახასიათებელია ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკისა და ეკონომიკური რაიონისათვის. არ არსებობს აღწარმოების საერთო პროცესი მასში ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკის მონაწილეობის გარეშე, ისევე როგორც არ შეიძლება არსებობდეს აღწარმოების პროცესი რესპუბლიკაში აღწარმოების საერთო ერთიანი პროცესის გარეშე[9].

გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების კანონები და კანონზომიერებანი მოქმედებენ არა მხოლოდ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, არამედ ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვითაც. სოციალისტური საზოგადოება გეგმიანად აწესებს განსაზღვრულ პროპორციებს წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საგნების წარმოებას შორის, დაგროვებასა და მოხმარებას შორის, სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს შორის და ა. შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე სოციალისტური აღწარმოების მართვის სრულყოფის, წარმოების გაადგილების პრობლემების დამუშავებისას საჭიროა გამახვილდეს ყურადღება მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების რეგიონალურ თავისებურებათა შესწავლაზე. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება სწორად იქნეს გადაწყვეტილი მწარმოებლური ძალების რაციონალური გაადგილების და ტერიტორიული დაგეგმვის, თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენების საკითხები.

სოციალისტური აღწარმოების პროცესი არის ერთიანი თავისი გამოვლინების ყველა ფორმაში (იქნება ღირებულებითი თუ მატერიალური ფორმა) მთლიანად მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღწარმოების პროცესს ცალკეული ეკონომიკური რაიონებისა და რესპუბლიკების მაშტაბით აქვს განსხვავებული თავისებურებანი და მასშტაბები, რაც საჭიროა გათვალისწინებულ იქნას. ქვეყნის ცალკეული ეკონომიკური რაიონების ეკონომიკური განვითარება მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი სახალხო-მეურნეობრივი გეგმის საფუძველზე, რომელშიც თავის ასახვას პოულობს დარგობრივი და ტერიტორიული ჭრილი. ეკონომიკური რაიონის მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრისას საერთო-საკავშირო ამოცანების გადაწ-

---

[9] И. С. Микеладзе. Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, М., 1964, стр. 22.

ყვეტაში აუცილებლად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მოცემული რაიონის აღწარმოების პროცესის შინაგანი თავისებურებანი: ამა თუ იმ დარგის განვითარების ბუნებრივ-ისტორიული და ეკონომიკური პირობები მოცემულ ეკონომიკურ რაიონში; მუშაძალის, აგრეთვე სათბობის, ელექტროენერგიის და სხვ. აღწარმოების თავისებურებანი; სახალხო მეურნეობის დარგებსა და დარგებს შიგნით საწარმოებს შორის რაციონალური შეხამების უზრუნველყოფა. ეს პირობები მნიშვნელოვანი ზომით ახდენენ გავლენას მოცემული ეკონომიკური რაიონის განვითარების მიმართულებაზე, მისი მონაწილეობის ხარისხსა და მასშტაბებზე, საერთო-საკავშირო ამოცანების გადაწყვეტაში[10].

თითოეული ეკონომიური რაიონის განვითარების კომპლექსურობა აუცილებელია შეხამებულ იქნეს მის სპეციალიზაციასთან შრომის რაიონთაშორის დანაწილებაში, რომელიც შეესაბამება როგორც მოცემული რაიონის, ისე მთელი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს.

2. მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის საკითხისათვის

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მოკავშირე რესპუბლიკების როლის გაძლიერებამ, ტერიტორიული დაგეგმვის სრულყოფის, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მეცნიერული დონის შემდგომი ამაღლებისა და წარმოების მართვის გაუმჯობესების აუცილებლობამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემების დამუშავებას.

სახალხო მეურნეობის მართვის დარგობრივ პრინციპებზე გადასვლით კიდევ უფრო გაძლიერდა დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის სწორი შეხამების აუცილებლობა, რაც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი პირობაა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი როლი განეკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ბალანსს, რომელშიც სხვა მაჩვენებლებთან ერთად, აისახება ტერიტორიული პროპორციები, შრომის რაციონალური ტერიტორიუ-

---

[10] И. С. Микеладзе, Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, М., 1964, стр. 22.

ლი დანაწილებისა და წარმოების გაადგილების ძირითადი მომენტები.

დაგეგმვის ერთ-ერთი მეტად აქტუალური პრობლემაა ტერიტორიული დაგეგმვის გაუმჯობესება და დარგობრივ დაგეგმვასთან მისი სწორი შეხამება. თანამედროვე პირობებში, როდესაც მეურნეობის მართვა აგებულია დარგობრივ პრინციპზე, ტერიტორიულ დაგეგმვას განსაკუთებით დიდი როლი ეკისრება, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლება გეგმაში აისახოს მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების გონივრული სპეციალიზაცია, ეკონომიკის კომპლექსური განვითარება და შრომისუნარიანი მოსახლეობის საზოგადოებრივ წარმოებაში სრული დასაქმება. დაგეგმვის სრულყოფისათვის დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს დარგთაშორისო დაგეგმვის გაუმჯობესებას როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე მოკავშირე რესპუბლიკების და ეკონომიკური რაიონების მიხედვით. საქმე ეხება ისეთი გეგმის შედგენას, რომელშიც ამა თუ იმ სახალხო მეურნეობრივი პრობლემების დამუშავებისას გაითვალისწინებენ სხვა დარგების მონაწილეობას და მათი კომპლექსურად შერწყმული და შეხამებული მუშაობის საერთო საკითხის გადაწყვეტას[11].

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსი ქმნის მეცნიერულ საფუძველს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების გეგმის შემუშავებისათვის, მწარმოებლურ ძალთა რაციონალური გაადგილებისათვის, საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იქნეს მისი შესაძლებლობები და მოთხოვნილებანი, განისაზღვროს ტერიტორიული პროპორციები, სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები და შიდარესპუბლიკური და რესპუბლიკათაშორისო რაციონალური მეურნეობრივი კავშირები, ასახულ იქნეს გაფართოებული აღწარმოების რეგიონალური თავისებურებანი.

მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე აგებული მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსი, ერთი მხრივ გვაძლევს აღწარმოების მატერიალურ-საგნობრივი ელემენტების რაოდენობრივ დახასიათებას და ღირებულებით შედგენილობას მათს ერთიანობაში, მეორე მხრივ აღწარმოების პროცესის სოციალურ-კლასობრივ და ეკონომიკურ დახასიათებას. ამით

---

[11] ი. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, წარმოების მართვისა და დაგეგმვის მეთოდების სრულყოფა, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", № 11, 1973, გვ. 27.

იგი იძლევა რესპუბლიკის მეურნეობის, მატერიალური წარმოების რეალურ სურათს[12].

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის მაჩვენებლები განზოგადოებულად გვიხასიათებენ მეურნეობის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეს, გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ტემპებსა და პროპორციებს.

სახალხო მეურნეობის ბალანსი ახალი ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობას. სახალხო მეურნეობის ბალანსი როგორც მატერიალური, ღირებულებითი და შრომითი ბალანსების ერთობლიობა ასახავს ობიექტურ პროპორციულობას, რომელიც წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული სოციალისტურ მეურნეობას ახასიათებს.

მ ,კავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის შესწავლას, მისი მაჩვენებლების სტატისტიკურ აღრიცხვას და დაგეგმვას განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო ამ ბოლო წლებში, დაგეგმვისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის მეცნიერული დონის ამაღლების მოთხოვნებთან დაკავშირებით[13].

სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენა მოკავშირე რესპუბლიკებში დაიწყო 1957 წლიდან, როდესაც განხორციელდა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ბალანსის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების დამუშავება. აქვე აღსანიშნავია, რომ ცალკეული სინთეზური მაჩვენებლები და ბალანსები უკვე მთელი რიგი წლების მანძილზე მუშავდება მოკავშირე რესპუბლიკებში, სახელდობრ, მოკავშირე რესპუბლიკებში უკვე დიდი ხანია ადგენენ შრომითი რესურსების ბალანსს და უმნიშვნელოვანეს მატერიალურ ბალანსებს პროდუქციის ძირითადი სახეების მიხედვით, აგრეთვე ბოლო დროს დაიწყეს მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსის შედგენა. დაწყებული 1957—1958 წლიდან მოკავშირე რესპუბლიკებში გაიანგარიშება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოების და გამოყენების მაჩვენებლები.

---

[12] ს. ი ნ წ კ ი რ ვ ე ლ ი, მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის ზოგიერთი ძირეული პრობლემების შესახებ, ჟურნ. „საქ. კომუნისტი" № 4, 1964, გვ. 63.

[13] ი. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, საქართველოს სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის საკითხები, თბ., 1976, გვ. 23.

ამ მაჩვენებლების გაანგარიშება საშუალებას იძლევა მოკავშირე რესპუბლიკის გეგმებში განისაზღვროს საზოგადოებრივი აღწარმოების უმნიშვნელოვანესი კავშირები და პროპორციები, კერძოდ, მათ საფუძველზე განისაზღვრება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპები მთლიანად რესპუბლიკაში და მოსახლეობის ერთ სულზე, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი და სოციალური სტრუქტურის მაჩვენებლები, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის მოცულობა სოციალური ჯგუფების მიხედვით, აგრეთვე შრომითი რესურსების განაწილება წარმოებრივ და არაწარმოებრივ სფეროებს შორის და ამ სფეროებს შიგნით, ქალაქსა და სოფელს შორის.

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის ძირითადი მაჩვენებლები განისაზღვრება ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე, რომელიც მიღებულია საერთო-საკავშირო სახალხო მეურნეობის ბალანსის დამუშავებისას და მას აქვს ძირითადად ერთი და იგივე განყოფილებები და მაჩვენებლები. მაგრამ ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენისა და მის ძირითად მაჩვენებელთა განსაზღვრისას და გაანგარიშებისას წარმოიშვება მთელი რიგი ახალი მომენტები და შესაბამისად მას აქვს თავისი ამოცანები და თავისებურებანი.

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის ერთ-ერთი ძირეული საკითხია რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციისა და ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშებისას მოცემული რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული მთლიანი და წმინდა პროდუქციის სრულად აღრიცხვა.

თუ სსრ კავშირის მასშტაბით ნაციონალური შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გამოყენების მოცულობა პრაქტიკულად საერთოდ ერთმანეთს ემთხვევა, ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მის ტერიტორიაზე წარმოებული ნაციონალური შემოსავალი შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები გამოყენებულ ნაციონალურ შემოსავალზე.

აღნიშნული გარემოება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ა) რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის ნაწილი გადაეცემა საერთო-საკავშირო ფონდში შესაბამისი დანახარჯების დასაფარავად, ხოლო საერთო-საკავშირო ფონდიდან რესპუბლიკა ღებულობს შემოსავალს თავისი დანახარჯების დასაფარავად, ბ) შემოსავლების

ნაწილი, რომელსაც მოსახლეობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ღებულობს, გამოიყენება მის ფარგლებს გარეთ, ბ) რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოყენებული შემოსავლის ნაწილი მიღებულია მისი ტერიტორიის გარედან[14]. ეს იმას გულისხმობს, რომ აქ თავის გავლენას ახდენს რესპუბლიკათაშორისო გაცვლა პროდუქციის შეტანისა და გატანის მხრივ, აგრეთვე ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საკავშირო ბიუჯეტის საშუალებით.

სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის დროს არსებობს სერიოზული მეთოდოლოგიური სირთულე ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშებისას მოცემულ რესპუბლიკაში შექმნილი ბრუნვის გადასახადის მოცულობის განსაზღვრის მხრივ (ეს საკითხი დეტალურად განხილულია ნაშრომის ამ თავის მე-3 პარაგრაფში).

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ბალანსის გაანგარიშების მეთოდიკა საჭიროებს შემდგომ დამუშავებასა და სრულყოფას. ამავე დროს ამჟამად მოკავშირე რესპუბლიკებში მუშავდება და პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება დარგთაშორისო ბალანსი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი პროდუქტის ბალანსის შემდგომ კონკრეტიზაციას (დარგთაშორისო ბალანსის შესახებ იხ. ნაშრომის VI თავის § 6).

არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს იმ ეკონომისტების მოსაზრება, რომლებიც თვლიან, რომ თითქოს სახალხო მეურნეობის ბალანსისათვის საერთოდ დამახასიათებელი არ იყოს რეგიონალური ჭრილი. ამ შემთხვევაში მთლიანად უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ მოკავშირე რესპუბლიკის მეურნეობისათვის ეკონომიკური კანონების ერთიანი ბუნების მიუხედავად, მაინც თითოეულ რესპუბლიკაში კონკრეტული ეკონომიკური პირობების გამო ყალიბდება პროპორციების განსხვავებული რაოდენობრივი თანაფარდობები, ადგილი აქვს აღწარმოების რეგიონალურ თავისებურებებს.

ჩვენი აზრით, სავსებით სწორია იმ ეკონომისტების[15] მოსაზრება, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მოკავშირე რესპუბლიკის სახალ-

---

[14] И. С. Микеладзе, Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, М., 1964, стр. 20—21.

[15] В. М. Рутгайзер, Региональные особенности общественного воспроизводства, М., 1972, стр. 11.

ხო მეურნეობის ბალანსის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ნაციონალური შემოსავალი, მატერიალური დანახარჯები გვიჩვენებენ, თუ მოცემული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოთა ერთობლიობა როგორ მონაწილეობს მთელი ქვეყნის საზოგადოებრივ წარმოებაში.

ამავე დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონე და შემდგომი განვითარება მოითხოვს მოკავშირე რესპუბლიკის გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების პროცესში უმნიშვნელოვანესი პროპორციებისა და კავშირების ფართო ანალიზს და დაგეგმვის შემდგომ სრულყოფას, რომლის განხორციელებისათვის აუცილებელია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენა და მისი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების გამოყენება.

სახალხო მეურნეობის ბალანსის სქემის აგების ცენტრალური ამოცანაა ბალანსში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის აღწარმოების ასახვა მისი ეკონომიკური ქვედანაყოფების მიხედვით.

ასევე სერიოზული მეთოდოლოგიური პრობლემაა რესპუბლიკურ მატერიალურ ბალანსში მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ბრუნვის ასახვა, რომლის გარეშეც შეუძლებელია წარმოების და მოხმარების მოცულობის თანაფარდობის სწორი საბალანსო გაზომვა, რამდენადაც რესპუბლიკის მოხმარების ფონდი იქმნება არა მხოლოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული საზოგადოებრივი პროდუქტის ხარჯზე, არამედ აგრეთვე სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილი პროდუქტების ხარჯზე[16].

სპეციალურ დამუშავებას მოითხოვს რესპუბლიკის ფინანსური ბალანსი, რომელმაც უნდა ასახოს რესპუბლიკის მეურნეობის ყველა დარგის ფინანსები კოლმეურნეობათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩათვლით.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ პრობლემად უნდა მივიჩნიოთ მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის გაერთიანების აუცილებლობა დარგთაშორის ბალანსთან და შესაბამისად საბალანსო მუშაობის შემდგომი განვითარება, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს რესპუბ-

---

[16] Г. Зиборов, Проблемы построения баланса народного хозяйства республики, «Проблема баланса народного хозяйства союзной республики» (стенограма научной конференции), М., 1960, стр. 7.

ლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების და პროპორციების ანალიზისა და სახალხო მეურნეობის განვითარების პროგნოზირებისათვის.

თანამედროვე პირობებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის სერიოზულ მეთოდოლოგიურ პრობლემად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე პროდუქციის შეტანისა და გატანის ბალანსის შედგენა. ამ ბალანსის შედგენა საშუალებას იძლევა სრული ანალიზი გაუკეთდეს რესპუბლიკათაშორის კავშირებს, და ამავე დროს გამოვლენილ იქნეს არარაციონალური გადაზიდვები და დაისახოს მათი თავიდან აცილების ღონისძიებანი. ეს ბალანსი აუცილებელია აგრეთვე დაგეგმვის პრაქტიკაში დარგთაშორისო ბალანსის დანერგვისათვის.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში კიდევ უფრო იზრდება სახალხო მეურნეობის ბალანსის როლი და მნიშვნელობა. დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის სწორი შეხამების პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საერთო-ეკონომიკური სინთეზური მაჩვენებლების ფართოდ გამოყენება, რომლებიც სახალხო მეურნეობის ბალანსის საშუალებით მუშავდება.

პერსპექტივაში მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის მაჩვენებელთა დამუშავების დონის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ცალკეული სინთეზური ეკონომიკური მაჩვენებლების ეკონომიკური გაანგარიშების მეთოდის ფართოდ დანერგვა ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით.

საქართველოს სსრ-ში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის დამუშავებისათვის, საგრძნობლად ამაღლდა საგეგმო საერთო-ეკონომიკური სინთეზური მაჩვენებლების დამუშავების დონე.

ამასთან სახალხო მეურნეობის ბალანსების დამუშავების პრაქტიკაში ჯერ კიდევ მრავალი ხარვეზი და სირთულეა. მისი დარგობრივი ჭრილი საფუძვლიანად არ მუშავდება, დარგთაშორისო ბალანსი მოწოდებულია შეავსოს არსებული ხარვეზი და ორგანულად ჩაერთოს სახალხო მეურნეობის ბალანსში. დარგთაშორისო ბალანსის ჩართვით გაუმჯობესდება საქმის მხოლოდ ერთი მხარე. საჭიროა სახალხო მეურნეობის ბალანსში შემავალი სხვა ბალანსების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შემუშავება. კერ-

ძოდ, უნდა შემუშავდეს ამ მოდელების მანქანური პროგრამები, გაანგარიშდეს ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე სახალხო მეურნეობის ბალანსის სხვადასხვა ვარიანტი და შეირჩეს მათ შორის საუკეთესო, რომელიც დააკმაყოფილებს ეკონომიკის ოპტიმალური განვითარების მოთხოვნებს. საჭიროა მეთოდების ისეთი სისტემა, რომლითაც შესაძლებელი გახდება აღწარმოების მთელი პროცესის ფორმალური აღწერა[17].

უკანასკნელ წლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დინამიკური გამსხვილებული დარგთაშორისო ბალანსების გამოყენებას, რომელიც მიკრო-ეკონომიკური მოდელების საფუძველზე მუშავდება.

ამჟამად აუცილებელია მოკავშირე რესპუბლიკებში კიდევ უფრო გაფართოვდეს საბალანსო მუშაობა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსი გახდეს ქმედითი ინსტრუმენტი სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების, მოცულობისა და პროპორციების დამუშავებისათვის საგეგმო პერიოდში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

3. მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების თავისებურებათა საკითხისათვის

უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის მეურნეობრივ და კულტურულ მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების როლის გაძლიერების, სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, მოკავშირე რესპუბლიკებში წარმოების მასშტაბების მნიშვნელოვანი გადიდებისა და ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების შედეგად აუცილებელი გახდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გამოყენების ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშება და მათი შესწავლა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობის მართვის დარგობრივი პრინციპი არა თუ უარყოფს, არამედ, პირიქით, მოითხოვს და გულისხმობს მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გამოყენების მაჩვენებელთა გაანგარიშებასა და მათ და-

---

17 მ. კეკელიძე, სახალხო მეურნეობის ოპტიმალური დაგეგმვა, ჟურნალი „ეკონომისტი", № 11, 1974, გვ. 7.

მუშავებას, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ბალანსის და ამ ბალანსის უმნიშვნელოვანესი განყოფილებების — ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ბალანსების შედგენასა და დამუშავებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე უდიდეს აქტუალობას იძენს მოკავშირე რესპუბლიკებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის განსაზღვრისა და გაანგარიშების, საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების კანონზომიერებათა გამოკვლევა. ამასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების მგეგმავი და სტატისტიკური ორგანოების, აგრეთვე მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების წინაშე დაისვა მნიშვნელოვანი ამოცანა ადმინისტრაციულ-ეკონომიკური რაიონების მიხედვით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობის განსაზღვრისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გამოყენების მაჩვენებელთა გაანგარიშების შესახებ.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშება მოკავშირე რესპუბლიკებში საშუალებას იძლევა განისაზღვროს თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის როლი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის შექმნაში მთლიანად ქვეყნის მასშტაბით და ნაჩვენები იქნეს მისი ადგილი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში.

მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გამოყენების მაჩვენებელთა გაანგარიშება ქმნის მყარ საფუძველს მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მეცნიერული დონის შემდგომი ამაღლებისა და წარმოების მართვის გაუმჯობესებისათვის.

თანამედროვე პირობებში მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების არსებული მეთოდიკა საჭიროებს შემდგომ დამუშავებასა და სრულყოფას. ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშება მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარეობს ორი ძირითადი მეთოდიკის საფუძველზე. მოკავშირე რესპუბლიკებში ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშებისას სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მეთოდიკა ამოსავალ საფუძვლად იღებს აღწარმოების პროცესის ძირითად

სტადიას — ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოებას, ხოლო ბრუნვის გადასახადის საერთო თანხა ამ მეთოდიკის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ნაწილდება ცენტრალიზებული წესით დასაბეგრი პროდუქციის წარმოების პროპორციულად. მეორე მეთოდიკით გაანგარიშების დროს ნაციონალურ შემოსავალს უმატებენ მოცემული მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე ამოღებულ (რეალიზებულ) ბრუნვის გადასახადს. ამ მეთოდიკით გაიანგარიშება არა წარმოებული, არამედ მოცემულ რესპუბლიკაში რეალიზებული ნაციონალური შემოსავალი. ამავე დროს ირღვევა მისი განსაზღვრის წარმოებრივი პრინციპი და, ამგვარად, ხდება ნაციონალური შემოსავლის განაწილების მოწყვეტა მოკავშირე რესპუბლიკაში წარმოებული ნაციონალური შემოსავლისაგან, რის გამოც გაანგარიშების ეს მეთოდიკა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. უფრო მართებულად უნდა მივიჩნიოთ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მიღებული მეთოდიკა, რამდენადაც იგი მეორესთან შედარებით, ძირითადად სწორ საფუძველს და მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა მოკავშირე რესპუბლიკებში ნაციონალური შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გამოყენების პროცესის ანალიზისა და მათი დაგეგმვისათვის. ამჟამად, როგორც აღრიცხვის, ისე დაგეგმვის პრაქტიკაში გამოიყენება სსრკ ცსს მიერ მიღებული მეთოდიკა.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მიღებული მეთოდიკით ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშება ხდება რეალიზაციის მოქმედი ფასების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ყალიბდება მეურნეობრივი კავშირურთიერთობა სახალხო მეურნეობაში. ამ მეთოდიკის მიხედვით გაანგარიშებული მონაცემები გვიხასიათებენ სახალხო მეურნეობაში რეალურად მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და ასახავენ მეურნეობრივ კავშირურთიერთობებს და არსებულ პროპორციებს როგორც მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ისე სახალხო მეურნეობის დარგებს შორის, გამოხატავენ და გვიჩვენებენ გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების შინაგან კანონზომიერებათა მიმდინარეობას.

მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების თავისებურებანი და სირთულე ძირითადად გამოიხატება იმით, რომ, ჯერ ერთი, თანამედროვე პირობებში გაძნელებულია

თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში შექმნილი ბრუნვის გადასახადის ოდენობის დადგენა და, მეორეც, ფასწარმოქმნის არსებულ პირობებში ადგილი აქვს შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯებიდან ფასების საგრძნობ გადახრას.

მოკავშირე რესპუბლიკებში ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ბრუნვის გადასახადის გაანგარიშებას და მის განაწილებას.

სსრ კავშირში საზოგადოების წმინდა შემოსავლის ძირითადი ფორმებია ბრუნვის გადასახადი, მოგება, წარმოებრივი ფონდების საფასური. იგი იქმნება მატერიალური წარმოების ყველა დარგში — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და ა. შ. თანამედროვე პირობებში მძიმე მრეწველობის მიხედვით ბრუნვის გადასახადი შემოდის მხოლოდ ისეთი წარმოების საშუალებათა რეალიზაციიდან, რომელშიც არის დიდი ფულადი დაგროვება (ნავთობპროდუქტები, ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, მსუბუქი ავტომანქანები, რომელიც მოსახლეობას მიეყიდება და სხვ.). საერთოდ კი, გარდა აღნიშნულისა, მძიმე მრეწველობა ბრუნვის ვადასახადით არ იბეგრება. ბრუნვის გადასახადს ძირითადად იხდიან მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები, აგრეთვე სხვა დარგის საწარმოები, რომლებიც ამზადებენ ფართო მოხმარების საქონელს და მათ რეალიზაციას ცალობრივი ფასების მიხედვით ახდენენ. სახალხო მოხმარების საქონლის ფასში, გარდა საკუთრივ მსუბუქი და კვების მრეწველობაში შექმნილი წმინდა შემოსავლისა, რეალიზდება აგრეთვე წმინდა შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მძიმე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში იქმნება და შემდგომ ფასების მექანიზმის საშუალებით განიცდის გადანაწილებას.

ბრუნვის გადასახადი წარმოადგენს წმინდა შემოსავლის ერთერთ ფორმას, რომელსაც იხდიან არა მარტო წარმოებრივი საწარმოები, არამედ უპირატესად იგი ამოიღება საბითუმო-გამსაღებელი ორგანიზაციებიდან საქონლის რეალიზაციის რაიონების მიხედვით, ხოლო ზოგჯერ იმ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სადაც იგი წარმოებულ იქნა. მრეწველური საწარმოები ბრუნვის გადასახადს იხდიან იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გამოტოვებენ გამსაღებელ ბაზას და აწარმობენ უშუალო ანგარიშსწორებას საბოლოო მყიდველებთან ან, როდესაც არსებული წესის მიხედვით გამსაღებელ ორგანიზაციაზე საქონლის მიყიდვის დროს ანგარიშსწორე-

ბას ახდენენ იმ ფასებით, რომელიც ბრუნვის გადასახადს შეიცავს. მრეწველობის ბევრი დარგის საწარმოები და, უწინარეს ყოვლისა, ტექსტილური, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, შაქრის მრეწველობა და სხვ. თავიანთი პროდუქციის გადმოტვირთვას აწარმოებენ გამსაღებელი ბაზებისათვის და ანგარიშსწორებას ახდენენ მრეწველობის საბითუმო ფასებით, რომელიც ბრუნვის გადასახადს არ შეიცავს. ამ შემთხვევაში ბრუნვის გადასახადის გადამხდელად გამსაღებელი ბაზა გამოდის.

ფასების განმანაწილებლობითი ფუნქციის განხორციელების პირობებში ბრუნვის გადასახადის გაანგარიშება მისი შექმნის ადგილის მიხედვით კიდევ უფრო რთულდება. ფასების განმანაწილებლობითი მექანიზმი გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე მეურნეობის ზოგიერთ დარგში მოგების დარგთაშორის და ტერიტორიულ გადანაწილებაზე, თუმცა ბრუნვის გადასახადში წმინდა შემოსავლის გადანაწილების ელემენტები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და საგრძნობია, ვიდრე მოგებაში და ბრუნვის გადასახადის შემთხვევაში იგი გამოდის ყველაზე უფრო აშკარა ფორმით. საკმარისია აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში ბრუნვის გადასახადის მთელი მასის დაახლოებით 80 პროცენტი მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში წარმოებული საქონლის ფასებით რეალიზდება.

ძირითადი და საბრუნავი წარმოებრივი ფონდების უფრო ეფექტიანი გამოყენების სფეროში საწარმოთა დაინტერესებულობის გადიდებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებით შემოღებულ იქნა ბიუჯეტში გადასახდელის ახალი ფორმა — წარმოებრივი ფონდების საფასური. წარმოებრივი ფონდების საფასური სოციალიზმის ახალი ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც წმინდა შემოსავლის განაწილების დარგში სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობას გამოხატავს.

წარმოებრივი ფონდების საფასურის შემოღებასთან დაკავშირებით შემოსავლების საერთო ჯამში ბრუნვის გადასახადის ხვედრიწონა თანდათანობით შემცირდება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყურადღება ბრუნვის გადასახადისა და მის შესწავლისადმი თითქოს უნდა შენელდეს. ბრუნვის გადასახადის, როგორც წმინდა შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმის შესწავლას, შემდეგშიც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

თანამედროვე პირობებში მოკავშირე რესპუბლიკებს შორის

ბრუნვის გადასახადის განაწილება წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების ერთ-ერთ რთულ პრობლემას. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბრუნვის გადასახადის განაწილების საკითხზე საბჭოთა ეკონომისტების — მ. კოლგანოვის[20], ა. ზვერევის[21], ვ. ოსმინინის[22], ვ. კუცის[23], ვ. ჟუკოვის[24], ვ. მელქაძის[25], ლ. ხაბურზანიას[26], ზ. სულთანიშვილის, მ. გევორქიანის და სხვ. მიერ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. საბჭოთა ეკონომისტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია, რათა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბრუნვის გადასახადის განაწილება მოხდეს მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკების საერთო რაოდენობის ხვედრიწონის პროპორციულად. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ, რადგან ბრუნვის გადასახადის მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკების ხვედრიწონის მიხედვით განაწილებისას, მხედველობის გარეშე რჩება მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით შრომის მწარმოებლურობისა და მუშაკთა კვალიფიკაციის, აგრეთვე წარმოების დარგობრივი სტრუქტურის განსხვავებანი, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს მოცემულ რესპუბ-

---

[20] М. В. Колганов, Национальный доход (очерки по истории теории вопроса), М., 1959, стр. 313.

[21] А. Г. Зверев, Национальный доход и финансы СССР, 1961, М., стр. 62—65.

[22] А. А. Абдуганиев, У. И. Мирзаходжаев, В. А. Осминин, Общественный продукт и национальный доход Узбекской ССР, Ташкент, 1960, стр. 101—111.

[23] В. К. Куц, Проблема исчисления национального дохода в союзных республиках и налог с оборота, межреспубликанская научная конференция по теме «Закономерности воспроизводства общественного продукта и национального дохода в союзных республиках» (тезисы докладов), Киев, 1963, стр. 53—55.

[24] В. И. Жуков, Вопросы образования, исчисления и использования налога с оборота в союзных республиках, «Вопросы планирования и учета производства, распределения и использования национального дохода союзных республик» (материалы конференции), Ереван, 1962, стр. 112—116.

[25] ვ. მელქაძე, სოციალისტური კვლავწარმოება საბჭოთა საქართველოში. საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი (წარმოება), თბ., 1966, გვ. 224.

[26] იხ. „საქართველოს ეკონომიკის პრობლემები", შრომების კრებული, ტ. I, თბ., 1966, გვ. 76.

ლიკაში შექმნილი ბრუნვის გადასახადის ნამდვილი ოდენობის განსაზღვრაზე.

საბჭოთა ეკონომისტების მეორე ნაწილის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბრუნვის გადასახადი განაწილდეს მატერიალური წარმოების სფეროს მუშაკთა ხელფასის ფონდის პროპორციულად. ჩვენი შეხედულებით, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბრუნვის გადასახადის განაწილების ეს მეთოდიც ვერ იძლევა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას, რადგან ამ შემთხვევაში (ბრუნვის გადასახადის ხელფასის ფონდის პროპორციულად განაწილების პირობებში) გათვალისწინებული არ არის ის გარემოება, რომ ხელფასის დონე მატერიალური წარმოების დარგებში განსხვავებულია და იგი სრულად ვერ ასახავს აუცილებელი შრომის ოდენობას და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბრუნვის გადასახადის ამ მეთოდით განაწილების დროს გათვალისწინებული ვერ იქნება ნაციონალური შემოსავლის ზრდის ძირითადი ფაქტორი — შრომის მწარმოებლურობის ამაღლება.

საბჭოთა ეკონომისტების მესამე ჯგუფის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მიზანშეწონილია, რათა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბრუნვის გადასახადი განაწილდეს თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის (ბრუნვის გადასახადის გარეშე) მოცულობის პროპორციულად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მხედველობის გარეშე რჩება მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებანი, რის გამოც რესპუბლიკაში შექმნილი ბრუნვის გადასახადის ნამდვილი ოდენობის დადგენა გარკვეულად გართულებულია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშებისას მიზანშეწონილია, რათა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ცენტრალიზებული წესით განაწილებულ იქნეს არა მხოლოდ ბრუნვის გადასახადი, არამედ მთელი ზედმეტი პროდუქტი. ეს გარემოება დასაბუთებულია იმით, რომ ზედმეტი პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ფასების მექანიზმის საშუალებით ნაწილდება, წარმოდგენილია არა მარტო ბრუნვის გადასახადის სახით, არამედ მასში მონაწილეობს აგრეთვე მეურნეობის ბევრი სხვადასხვა დარგის მოგებაც. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ზედმეტი პროდუქტის ცენტრალიზებული წესით განაწილება გათვალისწინე-

ბულია წარმოებულ იქნეს შრომის საზოგადოებრივად — აუცილებელი დანახარჯების პროპორციულად.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ბრუნვის გადასახადის ამოღება ძირითადად ხდება საბითუმო-გამსაღებელი ორგანიზაციიდან, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბრუნვის გადასახადის განაწილების არსებული მეთოდებიდან, ყველაზე მართებულად უნდა მივიჩნიოთ მისი განაწილება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის დასაბეგრი პროდუქციის წარმოების პროპორციულად. ამასთან, ჩვენი აზრით, საჭიროა ამ მაჩვენებლის შემდგომი დაზუსტება მოხდეს მოკავშირე რესპუბლიკაში შექმნილი ბრუნვის გადასახადის პირდაპირი გაანგარიშების განხორციელებით, ბრუნვის გადასახადის განსაზღვრით რესპუბლიკაში რეალურად წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზუსტი გათვალისწინების მიხედვით.

ჩვენი შეხედულებით, საქონლის ფასის მისი ღირებულებიდან მნიშვნელოვანი გადახრის პირობებში, რაც ართულებს მოკავშირე რესპუბლიკებში წარმოებული ნაციონალური შემოსავლის ნამდვილი მოცულობის განსაზღვრას, მოკავშირე რესპუბლიკაში შექმნილი ნაციონალური შემოსავლის ნამდვილი მოცულობის დადგენა შეიძლება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯების განსაზღვრის საფუძველზე განხორციელდეს.

თანამედროვე პირობებში ბრუნვის გადასახადს ძირითადად იხდიან საბითუმო-გამსაღებელი ორგანიზაციები, რაც გვიჩვენებს, რომ ბრუნვის გადასახადის ამოღება მნიშვნელოვნად არის მოწყვეტილი მის წარმოებას.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ბრუნვის გადასახადის აღრიცხვისა და მისი ამოღების ადგილის განსაზღვრის საკითხის შესახებ[27]. საბჭოთა ეკონომისტების ერთი ჯგუფი თვლის, რომ მიზანშეწონილია ბრუნვის გადასახადის ამოღების არსებული სისტემის დატოვება, ე. ი. ბრუნვის გადასახადი ამოღებულ უნდა იქნეს საბითუმო-გამსაღებელ ორგანიზაციაში. ეკონომისტების მეორე ჯგუფს მიაჩნია, რომ საჭიროა ბრუნვის გადასახადის ამოღება ცალობრივ ქსელში, ხოლო ეკონომისტების მესამე ჯგუფი თვლის, რომ ბრუნვის გადასახადი ამოღებულ უნდა იქნეს მისი წარმოების ადგილის მიხედვით.

---

[27] В. И. Жуков. Вопросы образования, исчисления и использования налога с оборота в союзных республиках. «Вопросы планирования и учета производства, распределения и использования национального дохода союзных республик (материалы конференции)», Ереван, 1962, стр. 112—117.

ჩვენი აზრით, ამჟამად როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად გამართლებულია, რათა ბრუნვის გადასახადი ამოღებული და აღრიცხული იქნეს მისი წარმოების ადგილის მიხედვით, ე. ი. უშუალოდ წარმოებრივ საწარმოებში. ეს გარემოება, სხვა დადებით მხარეებთან ერთად, ხელს შეუწყობს მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების მეთოდიკის შემდგომ სრულყოფას, მოკავშირე რესპუბლიკებში წარმოებული ნაციონალური შემოსავლის მოცულობით უფრო ზუსტად დადგენას. ამასთან, ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკაში წარმოებული ნაციონალური შემოსავლის ნამდვილი მოცულობის განსაზღვრისათვის აუცილებელია მისი გაანგარიშება ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებული ფასებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IV

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის აღწარმოებისა და ბალანსის საკითხები

1. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გაანგარიშებისათვის

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი მატერიალური წარმოების დარგთა მთლიანი პროდუქციის ერთობლიობაა. საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი წარმოადგენს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვან განმაზოგადებელ, სინთეზურ ეკონომიკურ მაჩვენებელს. ამ მაჩვენებლის საფუძველზე დგინდება ჩვენი რესპუბლიკის როლი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაში სსრ კავშირის მასშტაბით, მისი ადგილი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გაანგარიშების მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ მატერიალური წარმოების თითოეული დარგის ხვედრიწონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში, განვსაზღვროთ მთავარი დარგები, რომლებიც ქმნიან რესპუბლიკაში წარმოებული მატერიალური დოვლათის ძირითად მასას.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ბალანსი წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ბალანსის ცენტრალურ განყოფილებას. მისი ამოცანაა, რომ უჩვენოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა, უზრუნველყოს წლის მანძილზე წარმოებული მატერიალური დოვლათის დაკავშირება მის გამოყენებასთან, განსაზღვროს მატერიალური წარმოების დარგებისა და სოციალური სექტორების როლი საზოგადოებრივი პროდუქტის შექ-

მნაში, გამოავლინოს სოციალისტური აღწარმოების ძირითადი პროპორციები.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ბალანსი, გამოხატავს რა უმნიშვნელოვანეს სახალხო მეურნეობრივ კავშირებსა და პროპორციებს, შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, თუ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში რამდენად არის მიღწეული საგეგმო პერიოდში აუცილებელი პროპორციულობა და მის ყველა ელემენტს შორის რაციონალური შეფარდება.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და გამოყენების ბალანსის პრინციპულ სქემა შემდეგია:

I. საზოგადოებრივი პროდუქტის რესურსები — სულ მათ შორის:

ა) ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოება (სულ და მატერიალური წარმოების დარგების მიხედვით, აგრეთვე სოციალური სექტორების მიხედვით)

ბ) იმპორტი.

II. საზოგადოებრივი პროდუქტის გამოყენება:

ა) ანაზღაურების ფონდი — სულ და მატერიალური წარმოების დარგების მიხედვით;

ბ) მოხმარების ფონდი — სულ;

გ) დაგროვების ფონდი — სულ;

დ) ექსპორტი;

ე) რეზერვები და სხვა ხარჯები;

ვ) დანაკარგები (გამოაკლდება).

აქ მოყვანილი სქემა წარმოადგენს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შემაჯამებელი გაანგარიშების მაგალითს. ჩვეულებრივ პრაქტიკაში ამ სქემას წინ უსწრებს სხვადასხვა ცალკეული ცხრილები და გაანგარიშებანი მატერიალური წარმოების დარგებისა და სოციალური ჯგუფების მიხედვით. აქ გაიანგარიშება მთლიანი პროდუქციის მოცულობა და მატერიალურ-წარმოებრივი დანახარჯები, საზოგადოებრივი პროდუქტის ნივთობრივი სტრუქტურა (მის დაყოფა წარმოების საშუალებებად და მოხმარების საგნებად) და სხვ.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის საგეგმო და საანგარიშო ბალანსების შედგენა შესაძლებლობას იძლევა გავზარდოთ მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენის სამეცნიერო დონე, როგორც განაცხადის, ისე საბოლოო სტადიაზე. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის საანგარიშო ბალანსების საშუალებით მოსახერხებელი ხდება: ა) საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპების, პროპორციების, სოციალური და დარგობრივი სტრუქტურის რაციონალურ შეფარდებათა დადგენა, ბ) საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის შეფარდების გაანგარიშება; გ) საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებაში და ნაციონალურ შემოსავალში შეფარდების განსაზღვრა საზოგადოებრივი წარმოების პირველ და მეორე ქვედანაყოფში; დ) საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის გამოყენების სქემების შედგენა[1].

მოკავშირე რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ბალანსის სქემა ითვალისწინებს შემდეგ მაჩვენებლებს:

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის რესურსები:

1. მატერიალური წარმოების დარგების საერთო პროდუქციის ჯამი (ბრუნვის გადასახადის გარეშე)
2. ბრუნვის გადასახადი

სულ

საზოგადოებრივი პროდუქტის გამოყენება.

3. ანაზღაურების ფონდი.
4. მოხმარების ფონდი.
5. დაგროვების ფონდი.
6. საზოგადოებრივი პროდუქტის შემოზიდვისა და გაზიდვის სალდო.
7. საზოგადოებრივი პროდუქტის დანაკარგები (სხვაობა).

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ბალანსს ეშატება ძირითადი ფონდებისა და მატერიალური ბალანსების სისტემა პროდუქციის ძირითადი სახეების მიხედვით.

---

[1] ი. მიქელაძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები და პროპორციები, თბ., 1966, გვ. 20—21.

2. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ფაქტორები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების შესწავლა გულისხმობს მისი ზრდის ფაქტორების გამოკვლევას. საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ფაქტორებია: საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლება და მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებული მუშაკების რაოდენობის გადიდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის დროს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ყველაზე უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტორია შრომის მწარმოებლურობის ამაღლება. შრომის მწარმოებლურობის ზრდა ადიდებს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ფიზიკურ მოცულობას, ე. ი. სახმარ ღირებულებათა მასას.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის როგორც ღირებულებითი, ისე ფიზიკური მოცულობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებული მუშაკების რიცხვის გადიდება. შრომის მწარმოებლურობის უცვლელი დონის პირობებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი და ფიზიკური მოცულობა პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის გადიდების მიმართ.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის აღწარმოების პროცესის გამოკვლევისას აუცილებელია აღნიშნული ფაქტორების მოქმედების საერთო კანონზომიერების ჩვენება და იმ თავისებურებათა დადგენა, რომელიც ახასიათებს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ფაქტორების მოქმედებას საქართველოს მატერიალური წარმოების დარგებში.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ფაქტორების ანალიზისას საჭიროა დადგინდეს, თუ თითოეული ფაქტორის წილად რამდენად იზრდება პროდუქცია , ე. ი. განისაზღვროს შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და მატერიალური წარმოების დარგებში ჩაბმული მუშაკების რიცხვის ზრდის გავლენა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაზე.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდა განისაზღვრება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ დიალექტიკურ ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში მყოფი ფაქტორების — საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებული მუშაკების რიცხვის გადიდებით. აქედან გამომდინარე, საჭიროა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ნამატის განაწილება მოხდეს ფაქტორების მიხედვით, ე. ი. აუცილებელია ცალ-ცალკე რაოდენობრივად განისაზღვროს შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკების რაოდენობის ზრდის ვავლენა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაზე.

პრაქტიკაში საერთოდ შესაძლებელია ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ფაქტორების სხვადასხვაგვარი ცვლილება. სახელდობრ, შეიძლება გვქონდეს შემთხვევა, როდესაც ფაქტორები ერთი და იგივე მიმართულებით მოქმედებს (ე. ი. ორივე ფაქტორი ერთი და იგივე პერიოდში იზრდება ან მცირდება) და როდესაც ფაქტორები სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებს. შრომის მწარმოებლურობისა და მუშაკთა რაოდენობის ერთი და იგივე მიმართულებით მოქმედებისას პროდუქციის „გაუნაწილებელი ნამატი" წარმოადგენს დადებით სიდიდეს, ხოლო ამ ფაქტორების სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებისას უარყოფით სიდიდეს.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ფაქტორთა გავლენის გაზომვის მეთოდიკის საკითხზე გამოთქმულია რამდენიმე სხვადასხვა მოსაზრება. კერძოდ, ამ საკითხზე აზრი აქვთ გამოთქმული ს. სტრუმილინს[2], ს. იუგენბურგს[3], ნ. ზაიცევას[4], დ. სავინსკის[5], ე. ვორობი-

---

[2] С. Струмилин, К анализу совокупного действия нескольких факторов, ученые записки АН СССР, т. III, 1957, М., стр. 66.

[3] С. Югенбург, О разложении абсолютных приростов по факторам. Ученые записки по статистике, т. I, 1955, стр. 66—80.

[4] Н. Зайцева, Факторы роста общественного продукта, в книге «Баланс общественного продукта союзной республики», 1962, М., стр. 307.

[5] Курс промышленной статистики, 1955, М., стр. 201.

ოვს[6], ა. პეტროვს[7], ლ. მარინს[8], ა. ალექსანდროვსკის, მ. კაცს და სხვა. ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფაქტორების გავლენის გაზომვის მეთოდიკის საკითხები განხილული აქვს ვ. მელქაძეს[9], ნ. დგებუაძეს[10], ლ. ასათიანს[11], ვ. ჯიბლაძეს[12], დ. დიასამიძეს[13], გ. პაპავას[14], ზ. სულთანიშვილს[15] და სხვ.

ფაქტორთა გავლენის გაზომვის ყველაზე უფრო გავრცელებულ მეთოდებს წარმოადგენს ჯაჭვური ჩასმისა და პროპორციული განაწილების მეთოდი. ჯაჭვური ჩასმის მეთოდს მრავალი სხვადასხვა ვარიანტი აქვს. ჯაჭვური ჩასმის მეთოდის მომხრენი არიან ა. პეტროვი, დ. სავინსკი, ნ. დგებუაძე და სხვ.

ჯაჭვური ჩასმის მეთოდის ნაკლია ის, რომ ამ მეთოდით მთელი გაუნაწილებელი ნამატი, რომელიც ორივე ფაქტორის ერთობლივი მოქმედების შედეგია, მთლიანად ერთ-ერთ ფაქტორს მიეკუთვნება. ნამდვილად კი ორივე ფაქტორის კომპლექსური მოქმედებით შექმნილი პროდუქცია უნდა მიეკუთვნოს არა მხოლოდ ერთს, ან მხოლოდ მეორე ფაქტორს, არამედ ის მათ შორის უნდა განაწილდეს.

---

[6] Э. Воробьев, Методы анализа прироста продукции за счет роста производительности труда и увеличения численности работающих.

В кн. «Производительность труда и себестоимость продукции в промышленности», 1961, М., стр. 11—41.

[7] Курс экономической статистики, под. ред. проф. А. Петрова, 1961, стр. 357—359.

[8] Л. Марин, Как исчисляется национальный доход СССР, М., 1963, стр. 53.

[9] В. Мелкадзе, Закономерности воспроизводства национального дохода в Грузинской ССР, Тб., 1974, стр. 187—218.

[10] ნ. დგებუაძე, სამრეწველო საწარმოს ანგარიშგების ანალიზი, თბ., 1948.

[11] ლ. ასათიანი, გეგმის შესრულების ფაქტორთა გავლენის გაზომვის მეთოდიკისათვის, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1963, № 5, გვ. 80—85.

[12] ვ. ჯიბლაძე, ნ. ჯიბლაძე, ფაქტორთა ცვლილების გავლენა ეროვნულ შემოსავალზე, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", 1968, № 4; ვ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციათა რენტაბელობის საკითხები, თბ., 1968, გვ. 63—64.

[13] დ. დიასამიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურისა და ზრდის ტემპების შესახებ, თბ., 1965, გვ. 98—105.

[14] გ. პაპავა, ეკონომიკურ მოვლენებზე ფაქტორთა გავლენის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1964, № 2.

[15] ზ. სულთანიშვილი, საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების პრობლემები, თბ., 1969, გვ. 116—134.

ფაქტორთა გავლენის გაზომვის ჯაჭვური ჩასმის მეთოდის წინააღმდეგ გამოდიან: ა. ალექსანდროვსკი, მ. კაცი, ს. სტრუმილინი, ნ. ზაიცევა, ს. იუგუნბურგი, ლ. ასათიანი, ვ. ჯიბლაძე და სხვები. აქვე აღსანიშნავია, რომ ისინი თავიანთი მოსაზრებებით საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პროპორციული განაწილების მეთოდის სხვადასხვა ვარიანტის გამოყენების მომხრენი არიან ა. ალექსანდროვსკი, მ. კაცი, ლ. ასათიანი, დ. დიასამიძე და სხვ.

ჩვენი აზრით, ფაქტორთა გაზომვის მეთოდებიდან შედარებით უფრო მართებულად უნდა მივიჩნიოთ პროპორციული განაწილების მეთოდი. ამ მეთოდის დროს ცალ-ცალკე გაიანგარიშება თითოეული ფაქტორის ცვლილების გავლენა, ხოლო დარჩენილი ნაწილი, რომელიც გამოწვეულია ორივე ფაქტორის ერთობლივი მოქმედებით, ნაწილდება ფაქტორთა მოქმედების პროპორციულად. ეს გულისხმობს, რომ რამდენადაც უფრო დიდია ამა თუ იმ ფაქტორის მოქმედება საბოლოო შედეგზე, მით უფრო მეტი წილი მოდის მასზე. საკითხისადმი ასეთი მიდგომის დროს გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ფაქტორის უფრო სწრაფი ტემპებით ცვლილებისას შესაბამისად უფრო დიდი იქნება მისი გავლენა და, ამგვარად, მოცემული ფაქტორის ხარჯზე მიღებული პროდუქციის ნამატიც. აქედან გამომდინარეობს, რომ ფაქტორთა გავლენის გაზომვის პროპორციული განაწილების მეთოდის გამოყენებისას, პროდუქციის გაუნაწილებელი ნამატი ამ ორ ურთიერთზემოქმედ ფაქტორს შორის მათი გავლენის პროპორციულად განაწილდება. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით პროპორციული განაწილების მეთოდს სხვადასხვა ვარიანტი გააჩნია. ჩვენ შედარებით უფრო მართებულად უნდა მივიჩნიოთ პროპორციული განაწილების მეთოდის ის ვარიანტი, რომელიც ქვემოთ ფორმულებით არის გამოხატული.

თუ შრომის მწარმოებლურობას აღვნიშნავთ W, მუშაკთა რაოდენობას T, პროდუქციას Q, ხოლო შრომის მწარმოებლურობის ნამატს ΔW, მუშაკთა რაოდენობის ნამატს ΔT, პროდუქციის ნამატს ΔQ, ხოლო ΔQ_0, W_0, T_0 საბაზისო პერიოდის მაჩვენებელს, მაშინ ფაქტორთა გავლენის გაზომვის პროპორციული განაწილების მეთოდის გამოყენებისას, თითოეული ფაქტორის გავლენით გამოწვეული ცვლილება შეიძლება შემდეგი ფორმულებით გამოვხატოთ:

1. მუშაკთა რაოდენობის ცვლილებით (ზრდით ან შემცირებით) გამოწვეული გავლენა პროდუქციის მოცულობის ცვლილებაზე იქნება:

$$\Delta Q_T = \frac{\Delta Q}{\Delta T W_0 + \Delta W \cdot T_0} \cdot \Delta T \cdot W_0,$$

2. შრომის მწარმოებლურობის გავლენით გამოწვეული ცვლილება იქნება:

$$\Delta Q_W = \frac{\Delta Q}{\Delta T W_0 + \Delta W \cdot T_0} \cdot \Delta W \cdot T_0.$$

ფაქტორთა გავლენის გაზომვის პროპორციული განაწილების მეთოდის არსის გარკვევისა და გაანგარიშების წესის საჩვენებლად, აგრეთვე აქ მოტანილი შესაბამისი ფორმულების გამოყენების მიზნით, განვიხილოთ შემდეგი კონკრეტული მაგალითი:

მაჩვენებლები	პირობითი აღნიშვნები	საბაზისო პერიოდი	ანგარიშებითი პერიოდი	აბსოლუტური გადახრა შესაბამ. ერთეულებში
მუშაკთა რაოდენობა	T	1489,8	1518,9	+ 29,1
შრომის მწარმოებლურობა ერთ მუშაკზე გაანგარიშებით	W	3,14	3.16	+ 0,02
პროდუქცია (მლნ მან.)	Q	4687,2	4813,5	+ 126,3

ამ შემთხვევაში საჭიროა თითოეული ფაქტორის გავლენა ცალ-ცალკე გავიანგარიშოთ, ხოლო შემდეგ პროდუქციის გაუნაწილებელი ნამატი პროპორციულად გავანაწილოთ ამ ორ ფაქტორს — მუშაკთა რაოდენობასა და შრომის მწარმოებლურობას შორის. მუშაკთა რაოდენობის მატების გავლენა უდრის 29,1×3,14=91,3 მლნ მან., შრომის მწარმოებლურობის ზრდის გავლენა კი უდრის 0,02×1489,8=29,7 მლნ მანეთს, ე. ი. ორივე ფაქტორის გავლენით გამოწვეული ზრდა არის 91,3+29,72=121,0 მლნ მან., ხოლო რეალური გადახრა არის 126,3 მლნ მან. ამ შემთხვევაში 126,3—121,0=5,3

მლნ არის ორივე ფაქტორის ერთობლივი მოქმედების შედეგი. ეს ორი სიდიდე 126,3 და 121,0 უნდა ავიღოთ მიმართებაში $\frac{126,3}{121,0} = 1,042$ და ამ კოეფიციენტით კორექტირება გავუკეთოთ ზემოთ აღნიშნულ გადახრებს, რის შედეგადაც მივიღებთ:

$$\begin{array}{r} 29,7 \times 1,042 = 31,0 \\ 91,3 \times 1,042 = 95,0 \\ \hline 126,3 \end{array}$$

აქედან ჩანს, რომ პროდუქციის ზრდიდან (126,3 მლნ მან.) პირველ ფაქტორზე ანუ მუშაკთა რაოდენობის ზრდაზე მოდის 31,0 მლნ მანეთი, ხოლო მეორე ფაქტორზე ანუ შრომის მწარმოებლურობის გადიდებაზე 95,3 მლნ მან. ანუ სულ 126,3 მლნ მან. (ციფრები აღებულია მეათედი სიზუსტით და დამრგვალებულია). ზუსტად იგივე მდგომარეობას აქვს ადგილი აღნიშნული გაანგარიშებისათვის ზემოთ მოყვანილი ფორმულების გამოყენების დროსაც (ამიტომ მოტანილი მონაცემების ფორმულებში ჩასმა და უკვე ჩატარებული გაანგარიშებების ხელახალი წარმოება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია).

აღნიშნული გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ფაქტორთა გავლენის გაზომვის პროპორციული განაწილების მეთოდის აქ წარმოდგენილი ვარიანტი ყველაზე უფრო სრულყოფილი მეთოდია და იგი რეალურ სინამდვილეს შედარებით უფრო სწორად ასახავს. აქედან გამომდინარე, არაა სწორი საკითხის ისეთი გადაწყვეტა, როდესაც პროდუქციის მთელ გაუნაწილებელ ნამატს მიაკუთვნებენ მხოლოდ ერთ ფაქტორს (მაგალითად, ჯაჭვური ჩასმის მეთოდის სხვადასხვა ვარიანტის გამოყენების დროს), რაც იწვევს პროდუქციის ზრდის ერთი ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის ხელოვნურად უგულებელყოფას, ხოლო მეორე ფაქტორის როლის გაზვიადებას. ამასთან საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ნამატის ის ნაწილი, რომელიც გაუნაწილებელი სახით არსებობს, საკმაოდ დიდი რიცხვია. ამ გარემოებას სერიოზული მნიშვნელობა აქვს სწორი ეკონომიკური ანალიზისათვის, ქვეყნის მეურნეობრივი განვითარების პროცესების მეცნიერული შესწავლისათვის. ზოგიერთ ეკონომიკურ გამოკვლევაში ეს გარემოება სათანადოდ არ არის გათვალისწინებუ-

ლი და გამოყენებულია პროდუქციის ზრდის ფაქტორების გაანგარიშების შედარებით არასრულყოფილი მეთოდიკა. ეს კი რეალურად მიმდინარე მეურნეობრივი პროცესების სწორად ასახვის საშუალებას არ იძლევა.

აქ დახასიათებული პროპორციული განაწილების მეთოდის მოცემული ვარიანტისა და აქვე მოტანილი შესაბამისი ფორმულების საფუძველზე, ჩვენ ქვემოთ, ნაშრომში გავიანგარიშეთ როგორც საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორები მთლიანად, ისე მატერიალური წარმოების დარგების მიხედვით.

აქვე აღსანიშნავია, რომ აღრიცხვისა და დაგეგმვის პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულია საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობის გადიდებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის განსაზღვრა იმ გზით, რომ მატერიალური წარმოების დარგების მუშაკთა რაოდენობის ზრდის გავლენა, საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობის ცვლილებაზე, დადგინდეს საბაზისო პერიოდის ერთი მუშაკის გამომუშავების თანხის გამრავლებით მუშაკთა საანგარიშგებო, ან საგეგმო პერიოდის საშუალოსიობრივ რაოდენობაზე. შემდეგ შრომის მწარმოებლურობის გადიდების გავლენის განსაზღვრისათვის, ანგარიშგებითი პერიოდის მანძილზე მიღებული პროდუქციის ნამატის საერთო ჯამს გამოაკლდება ჯამის ის ნამატი, რომელიც მიღებულია მუშაკების რაოდენობის ზრდის გავლენით. უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟამად საზოგადოებრივი პროდუქტის დაგეგმვის პრაქტიკაში არსებული ფაქტორების გაანგარიშების ეს მეთოდიკა არ შეიძლება სრულყოფილად მივიჩნიოთ, ვინაიდან ფაქტორთა გავლენის გაზომვის აღნიშნული მეთოდის გამოყენების დროს, ფაქტორების ერთობლივი გავლენით მიღებული პროდუქციის მთელი გაუნაწილებელი ნამატი მხოლოდ ერთ ფაქტორს მიეკუთვნება.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ფაქტორების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთოდ, მათი ნამატის უდიდესი ნაწილი, ხოლო ზოგიერთი წლის მიხედვით მთლიანად, მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდების შედეგად.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობის ცვლილებაზე ფაქტორების გავლენის განსაზღვრის საკითხი განხილული აქვთ ქართველ სწავლულ ეკონომისტებს ვ. მელ-

ქაძეს[16], ვ. ჯიბლაძეს[17], დ. დიასამიძეს[18], ზ. სულთანიშვილს[19], მ. ჭინჭარაულს და სხვ.

ჩვენ მიერ ჩატარებული გაანგარიშებებით, ზემოთადნიშნული მეთოდის მოცემული ვარიანტის გამოყენების პირობებში, საქართველოს საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობაზე მუშაკთა რაოდენობის და შრომის მწარმოებლურობის ცვლილების გავლენა შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 1). ცხრილი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატის (შესადარისი ფასებით) უდიდესი ნაწილი საერთოდ, ხოლო ზოგიერთი წლის მიხედვით მთლიანად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის შემცირების გათვალისწინების პირობებში, მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდების ხარჯზე. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატის 13,3% 1959 წელს მიღებულია მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზრდით, ხოლო 86,7% — შრომის მწარმოებლურობის გადიდებით; 1960—1962 წლებში რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატი მთლიანად შრომის მწარმოებლურობის გადიდებაზე მოდის. მისსავე ხარჯზე ხდება მეორე ფაქტორის საწინააღმდეგო გავლენის ნიველირებაც. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობაზე შრომის მწარმოებლურობის ცვლილების გავლენა 1960 წელს შეადგენდა 103,9%, მუშაკების რაოდენობის ცვლილების გავლენა იყო — 3,9%, 1961 წელს შესაბამისად, შეადგენდა 122,6% და —22,6%, 1962 წელს 123,4%, და —23,4%.

ამ შემთხვევაში მინუსებით მოტანილი ციფრები —3,9%; —22,6%; —23,4% გამოხატავენ ერთობლივი საზოგადოებრივი პრო-

---

[16] ვ. მ ე ლ ქ ა ძ ე, სოციალისტური კვლავწარმოება საბჭოთა საქართველოში, საზოგადოებრივი პროდუქტი და ნაციონალური შემოსავალი (წარმოება), თბ., 1966, გვ. 226—290.

[17] ვ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ნ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე. ფაქტორთა ცვლილების გავლენა ეროვნულ შემოსავალზე, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", 1968, № 4. ვ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციათა რენტაბელობის საკითხები, თბ., 1968, გვ. 63—76.

[18] დ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურისა და ზრდის ტემპების შესახებ, თბ., 1965.

[19] ზ. ს უ ლ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების პრობლემები, თბ., 1969, გვ. 116—134.

ცხრილი 1

მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობისა და შრომის მწარმოებლურობის ცვლილების გავლენა საქართველოს სსრ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტზე (ბრუნვის გადასახადის ჩათვლით, შესადარისი ფასებით)[20]

წლები	ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატი წინა წელთან შედარებით მლნ მან.	ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატი			
		მუშაკთა რაოდენობის ცვლილების გავლენით		შრომის მწარმოებლურობის ცვლილების გავლენით	
		მლნ მან.	ხვედრი წონა %-ით ჯამისადმი	მლნ მან.	ხვედრი წონა %-ით ჯამისადმი
1959	274,9	36,6	13,3	238,5	86,7
1960	224,1	— 8,8	— 3,9	232,9	103,9
1961	199,9	—45,2	—22,6	245,1	122,6
1962	322	—75,8	—23,4	398,4	123,4
1963	75,8	96,0	126,6	— 20,2	— 26,6
1964	295,1	101,1	34,3	194,0	65,7
1965	565,1	157,2	27,8	408,3	72,2
1966	576,9	45,5	7,9	531,4	92,1
1967	377,3	49,9	13,2	327,4	86,8
1971	255,3	78,9	30,9	176,4	69,1
1972	110,1	72,1	65,5	38,1	35,5

დუქტის მოცულობაზე მატერიალური წარმოების მუშაკების რაოდენობის შემცირებით გამოწვეულ უარყოფით გავლენას, რაც აღნიშნულ წლებში დაიფარა შრომის მწარმოებლურობის გადიდებით. 1963 წელს საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატი მთლიანად მიღებულია წარმოების მუშაკების რაოდენობის ზრდით. ამ წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობაზე წარმოების მუშაკების რაოდენობის გავლენა შეადგენდა 126,6%, შრომის მწარმოებლურობის ცვლილებისა კი — 26,6%, 1964 წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატის 34,3% მიღებულია მატერიალური წარმოების მუშაკთა რაო-

[20] ცხრილი შედგენილია და მონაცემები გაანგარიშებულია ჩვენ მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

დენობის გადიდებით, 65,7% — შრომის მწარმოებლურობის ზრდით. 1965 წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატის შესაბამისად 27,8% და 72,2%; 1966 წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატის შესაბამისად 7,9% და 92,1%; 1967 წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატის შესაბამისად 13,2% და 86,8%; 1972 წელს შესაბამისად 65,5% და 35,5%.

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნამატის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი საერთოდ და მთელი რიგი წლების მიხედვით მთლიანად მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდებით. ეს გარემოება, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია სახალხო მეურნეობაში შრომითი რესურსების განაწილებაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებებით. რესპუბლიკაში სოფლისმეურნეობრივი წარმოების მექანიზაციის (და სხვა მიზეზების) შედეგად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება. სოფლის მეურნეობიდან გამონთავისუფლებული მუშაკები გადადიან მატერიალური წარმოების სხვა დარგებში — მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სხვ., აგრეთვე მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გადადის ვაჭრობაში და საზოგადოებრივ კვებაში, არაწარმოებრივ სფეროში — განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამჟამად განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს არაწარმოებრივ სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის ზრდა. 1958—1975 წწ. განმავლობაში საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა აბსოლუტურად იზრდებოდა მატერიალური წარმოების სფეროში, ხვედრიწონის შეფარდებითი შემცირება კი ხდებოდა, ხოლო ადგილი ჰქონდა არაწარმოებრივ სფეროში მუშაკთა რაოდენობის აბსოლუტურ ზრდასა და ხვედრიწონის შეფარდებით გადიდებას. სათანადო მასალების ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საჭიროა საქართველოს სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მრეწველობის პროგრესული დარგების სწრაფი ტემპებით განვითარების, საშუალო და შედარებით პატარა ქალაქებში ახალ საწარმოთა მშენებლობის გზით მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკების რაოდენობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს არსებუ-

ლი შრომითი რესურსების რაციონალურ და მიზანშეწონილ გამოყენებას და შესაბამისად რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გადიდებას.

სათანადო გაანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორია შრომის მწარმოებლურობის გადიდება, რომლის მეოხებითაც ხდება მატერიალური წარმოების დარგთა მთლიანი პროდუქციის გაზრდა (იხ. ცხ. 2).

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ფაქტორების მოქმედების შესახებ ზემოთ მოტანილი ფაქტობრივი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირის მასშტაბით, საქართველოშიც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორია შრომის მწარმოებლურობის გადიდება, რომლის წილად მოდის მატერიალური წარმოების დარგთა მთლიანი პროდუქციისა და წმინდა პროდუქციის ნამატის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამავე ანალიზიდან ჩანს, რომ შრომის მწარმოებლურობის გადიდების საფუძველზე მიღებული საქართველოს მრეწველობისა და მშენებლობის მთლიანი პროდუქციის ნამატის მაჩვენებლები, ცალკეული წლების მიხედვით, ჯერ კიდევ დაბალია. ეს გარემოება თავის მხრივ გარკვეულ გავლენას ახდენდა საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპების რამდენადმე ჩამორჩენაზე როგორც საერთო-საკავშირო, ისე მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპების, აგრეთვე რესპუბლიკის მრეწველური წარმოების განვითარების ტემპების მიხედვით საქართველოს ჩამორჩენა განპირობებულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: 1. საქართველოს მატერიალური წარმოების დარგებში და განსაკუთრებით მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის ნელი ტემპითა და დაბალი დონით, 2. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა ზრდის შედარებით ჩამორჩენით, 3. საქართველოს სსრ შრომითი რესურსების გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებებით, 4. აღნიშნული ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად განაპირობა რესპუბლიკის ძველი ხელმძღვანელობის მიერ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა და დარღვევებმა.

ცხრილი 2

ფაქტორების გავლენა საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების დარგთა შიდაწლიერ პროდუქციის მოცულობის ცვლილებაზე (ბრუნვის გაფართოების ჩათვლით, შესაბამისი ფასებით, %%-ით გამოსახული)[21]

წლები	მრეწველობა		მშენებლობა		სოფლის მეურნეობა		ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა		დანარჩენი დარგები	
	მუშაკთა რაოდენობის გავლენა	შრომის მწარმოებლურობის გავლენა	მუშაკთა რაოდენობის გავლენა	შრომის მწარმოებლურობის გავლენა	მუშაკთა რაოდენობის გავლენა	შრომის მწარმოებლურობის გავლენა	მუშაკთა რაოდენობის გავლენა	შრომის მწარმოებლურობის გავლენა	მუშაკთა რაოდენობის გავლენა	შრომის მწარმოებლურობის გავლენა
1959	55,4	44,6	28,4	71,6	—24,6	—75,4	30,9	69,1	13,8	86,2
1960	88,7	11,3	17,6	82,4	—533,3	433,3	46,5	53,5	27,6	72,4
1961	74,0	26,0	—95,0	— 5,0	—73,9	173,9	375,0	—475,0	—28,9	128,9
1962	24,5	75,5	71,2	28,8	—51,6	151,6	126,6	—26,6	—118,3	218,3
1963	86,8	13,2	—119,2	219,2	9,7	—109,7	28,0	—72,0	187,5	—87,5
1964	62,4	37,6	70,9	29,1	2,0	98,0	68,6	31,4	121,3	—21,3
1965	30,9	69,1	22,8	77,2	22,2	77,8	204,7	—104,7	34,9	65,1
1966	53,1	46,9	47,6	—147,6	—27,2	127,2	12,0	—112,0	13,7	86,3
1967	62,9	37,1	7,0	93,0	—600	503,6	5,9	94,1	74,3	25,7
1970	7,1	92,9	13,0	77,0	12,2	87,8	14,5	61,5	68,1	35,9
1972	—250	350	—89,0	189,0	—3,1	103	21,0	79,0	74,0	30,0

[21] ცხრილი შედგენილია და მონაცემები გაანგარიშებულია ჩვენ მიერ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გაანგარიშების მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ მატერიალური წარმოების თითოეული დარგის ხვედრიწონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში, და, ამგვარად, გამოვარკვიოთ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის სტრუქტურის განსაზღვრისათვის, სხვადასხვა სახის — მოქმედი თუ უცვლელი ფასების გამოყენების საკითხზე, ეკონომისტთა შორის ერთიანი შეხედულება არ არსებობს. ამ სტრუქტურის განსაზღვრისათვის, ჩვენი აზრით, უფრო მართებულია მოქმედი (ანუ ფაქტიური, ე. ი. შესაბამისი წლების) ფასების გამოყენება, რაც სახალხომეურნეობრივი პროპორციებისა და ეკონომიკურ მაჩვენებელთა კავშირ-ურთიერთობის სწორად ასახვის საშუალებას იძლევა. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურის ფაქტიურ ფასებში განსაზღვრასაც აქვს ნაკლოვანება. ამის თავიდან აცილებისათვის კი მიზანშეწონილია ამ სტრუქტურის განსაზღვრა აგრეთვე ბრუნვის გადასახადის გარეშეც. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკის ანალიზისათვის, ბუნებრივია, გამოყენებული უნდა იქნეს უცვლელი ფასები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა ვითარდება გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების კანონების საფუძველზე, რაც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების სწრაფი ტემპებით ზრდას განაპირობებს. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაში მატერიალური წარმოების დარგები განსხვავებული ხვედრიწონითაა წარმოდგენილი. სოციალისტური ეკონომიკის განვითარების შედეგად მატერიალური წარმოების ცალკეულ დარგთა ხვედრიწონა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაში განუწყვეტლივ იცვლება, ზოგიერთი დარგის ხვედრიწონა იზრდება, ზოგიერთისა კი — მცირდება ან არსებულ დონეზე რჩება. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაში მატერიალური წარმოების დარგების ხვედრიწონის ცვლილების ეს პროცესი გარკვეული კანონზომიერე-

ბებით გამოიხატება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უაღრესად უმნიშვნელოვანეს სინთეზურ მაჩვენებელს წარმოადგენს.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 1956—1974 წლებში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 3).

მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1956—1974 წლებში მრეწველობის ხვედრიწონა საქართველოს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში შესამჩნევად იზრდებოდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო სოფლის მეურნეობასთან შედარებით მრეწველობის უფრო სწრაფი განვითარებით და აგრეთვე ნაწილობრივ ზოგიერთ წელს (1959—1964 წწ.) სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების შენელებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა აგრეთვე ფასების არსებული თანაფარდობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მატერიალური წარმოების სხვა დარგების პროდუქციაზე. საქართველოს სსრ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მრეწველობის ხვედრიწონის გადიდებაზე გარკვეულად მოქმედებდა ბრუნვის გადასახადი, როგორც წმინდა შემოსავლის ნაწილი, რომლის რეალიზაციაც მრეწველობის პროდუქციის ფასებით ხდებოდა და მთლიანად მიეკუთვნებოდა მრეწველობას. ეს მაშინ, როცა ბრუნვის გადასახადის საგრძნობი ნაწილი სოფლის მეურნეობაში იქმნება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუ ბრუნვის გადასახადი განაწილდება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, მაშინ საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილი, რომელიც შექმნილია მრეწველობაში, შესაბამისად შემცირდება, ხოლო სოფლის მეურნეობაში კი გაიზრდება.

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის პროცესი 1956—1974 წწ. განმავლობაში ხასიათდებოდა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის როგორც აბსოლუტური, ისე ხვედრიწონის შეფარდებით ზრდის, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის აბსოლუტური ზრდისა და გარკვეული ზომით ხვედრიწონის შემცირების ტენდენციით.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ამა თუ იმ დარგის ხვედრიწონის შემცირება ერთობლივი საზო-

ცხრილი 3

საქართველოს სსრ გრაფიკული სამეურნეო პროდუქტების დარგობრივი სტრუქტურა 1956—1974 წწ.
(შესაბამისი წლების ფასებით, პროდუქციის ბალანსის ჯამი, პროცენტობით ანგარიშში)*

დასახელება	1956 წ.	1958 წ.	1959 წ.	1960 წ.	1962 წ.	1963 წ.	1964 წ.	1965 წ.	1970 წ.	1971 წ.	1974 წ.
მთელი გრაფიკული სამეურნეო პროდუქტი	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
მათ შორის:											
მრეწველობა	57,8	56,5	58,9	57,9	58,4	60,3	59,4	58,9	60,5	61,4	61,7
მშენებლობა	8,9	8,1	9,2	10,7	9,7	9,6	9,9	11,2	11,4	11,6	11,7
სოფლის მეურნეობა	24,5	26,4	22,4	21,0	22,0	20,2	20,6	20,8	19,1	17,4	16,9
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1,3	1,6	1,8	2,4	2,2	2,6	2,7	2,4	2,6	2,8	2,6
ვაჭრობა, დამზადებები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვ.	7,5	7,4	7,7	8,0	7,7	7,3	7,4	6,7	6,4	6,8	6,5

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური საქართველოს მასალების საფუძველზე.

გადოებრივი პროდუქტის და ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში სრულიადაც არ ნიშნავს მოცემული დარგის მთლიანი პროდუქციის ან წმინდა პროდუქციის აბსოლუტური სიდიდის შემცირებას, არამედ შესაძლებელია მოცემული დარგის მთლიანი პროდუქციის აბსოლუტური სიდიდე მნიშვნელოვნად იზრდებოდეს, მაგრამ სხვა დარგების უფრო გამსწრები ტემპებით განვითარების შედეგად შესაბამისად შემცირდეს მისი ხვედრიწონა. ასეთ ვითარებას შეესაბამება სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ხვედრიწონის ცვლილება საქართველოს სსრ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში. აღნიშნული პროცესი საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებაში გაგრძელდება შემდგომშიც სახალხო მეურნეობის დარგებს შორის რაციონალური პროპორციების დამყარებისა და გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების მოთხოვნათა შესაბამისად.

რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვანი ხვედრიწონითაა წარმოდგენილი მშენებლობა, რაც განპირობებულია იმით, რომ მშენებლობის პროცესში მიმდინარეობს ძირითადი წარმოებრივი ფონდების შექმნა და აღწარმოება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მშენებლობის მთლიანი პროდუქციის აბსოლუტურ ზრდასთან ერთად შეფარდებით იზრდება მისი წილი საქართველოს სსრ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში. მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, დამზადებების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სხვ. დარგების მთლიანი პროდუქციის აბსოლუტური სიდიდის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს გარკვეული ზომით მათი ხვედრიწონის ზრდას საქართველოს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მთლიანი პროდუქცია (უმეტესად კი საკუთრივ ტრანსპორტის პროდუქცია) ამჟღავნებს როგორც აბსოლუტური ზრდის, ისე გარკვეული ზომით ხვედრიწონის შეფარდებით ზრდის ტენდენციას.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურის საკითხის უფრო კონკრეტული და დეტალური გამოკვლევისათვის საჭიროა მისი განხილვა მატერიალური

წარმოების დარგებისა და, უწინარეს ყოვლისა, ძირითადი დარგების მიხედვით.

როგორც უკვე აღინიშნა, მრეწველობა წარმოადგენს საქართველოს სახალხო მეურნეობის წამყვან დარგს. რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქციის ნახევარზე მეტი მრეწველობის წილად მოდის. ამასთან ერთად მისი წილი წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდება.

მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის გამოკვლევა შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს სათანადო პროპორციები ცალკეულ დარგებს შორის და მათ შორის არსებული თანაფარდობა გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების პროცესში. მწარმოებლური ძალებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარების შედეგად, მატერიალური წარმოების დარგებისა და უწინარეს ყოვლისა, მრეწველობის ქვედარგებად დანაწილება მიმდინარეობს სწრაფად და განუწყვეტლივ, წარმოიშობა ახალი დარგები. ხდება ძველი დარგების დაყოფა და სხვ. ამ პროცესის შესაბამისად მიმდინარეობს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება და იცვლება ცალკეული დარგების ხვედრიწონა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში.

საქართველოს მრეწველობის დარგობრივმა სტრუქტურამ უკანასკნელ წლებში საგრძნობი ცვლილებები განიცადა. ამასთან მეტად მნიშვნელოვანია ნაჩვენები იქნეს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის თანამედროვე მდგომარეობა და მისი სპეციფიკური თავისებურებანი, უკანასკნელ წლებში ამ დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები და დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა, მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის გზები. ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მრეწველობის დარგებს შორის რაციონალური პროპორციების დამყარების პირობები და ხელი შევუწყოთ გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ტემპების დაჩქარებას.

საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა უკანაკნელ წლებში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 4). ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურას მთლიანი პროდუქციის მიხედვით, საერთო-საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით, გარკვეული სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნია.

ცხრილი 4

საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის დარგობრივი სტრუქტურა (შესაბამისი წლის მოქმედი ფასების და სტრუქტურის მიხედვით, პროცენტობით ჯამთან)[23]

დარგების დასახელება	1960 წ.	1965 წ.	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.	1969 წ.	1970 წ.	1972 წ.	1973 წ.
მთელი მრეწველობა	100	100	100	100	100	100	100	100	100
მათ შორის:									
1. ელექტროენერგეტიკა	1,6	1,9	2,0	2,5	3,4	3,4	3,3	3,4	3,4
2. სათბობი მრეწველობა	4,2	3,2	3,0	3,3	3,8	3,8	3,7	3,5	3,4
3. შავი მეტალურგია	5,5	5,1	4,7	6,3	7,4	6,5	6,2	5,6	5,5
4. ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	2,4	3,5	3,6	4,6	4,8	4,9	4,7	4,7	4,7
5. მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	10,6	12,7	13,2	12,5	12,3	12,1	12,3	13,0	12,5
6. ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობა	0,4	0,4	0,4	0,4	0,4	0,4	3,0	3,4	3,4
7. საშენ მასალათა მრეწველობა	4,3	4,4	4,5	4,7	4,8	4,8	4,9	4,9	5,1
8. მსუბუქი მრეწველობა	21,8	18,0	18,3	19,0	18,8	19,4	18,9	18,7	20,0
აქედან:									
შალეულის	12,4	10,7	10,8	11,1	10,0	11,0	10,6	10,6	12,4
სამკერვალო	5,8	5,0	5,1	5,4	5,6	6,2	6,2	6,3	5,8
ტყავის, ბეწვეულის და ფეხსაცმლის	3,3	2,4	2,4	2,3	2,2	2,0	2,0	1,6	1,7
9. კვების მრეწველობა	42,0	44,9	44,4	41,0	38,5	39,1	39,9	39,8	39,1
ღვინის	8,3	9,6	11,0	10,5	10,9	11,8	12,4	9,4	8,7
კონსერვის	1,9	2,6	2,1	1,8	1,6	1,6	1,6	1,6	1,6
ჩაის	11,5	10,7	10,3	8,8	8,1	7,9	8,1	8,3	8,2
თამბაქო-წეკოს	2,8	3,3	2,6	2,1	2,0	2,1	2,2	3,2	3,2

საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება გამოიხატება იმით, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების ხვედრიწონა შედარებით

[23] საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

დაბალია. საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სპეციფიკური თავისებურებაა კვების მრეწველობის პროდუქციის მაღალი ხვედრიწონა, რაც მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 39% შეადგენდა (1974 წელს). ეს თავისებურება განპირობებულია, როგორც კვების მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო მდიდარი სოფლისმეურნეობრივი ნედლეულის ბაზის არსებობით, ისე გარკვეული ზომით წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების შედარებით დაბალი განვითარების დონით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც ცხრილიდან ჩანს, კვების მრეწველობის — ჩაის, საკონსერვო, თამბაქოს და სხვ. ხვედრიწონა მისი აბსოლუტური ზრდის პირობებში, საქართველოს მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 42,0%-დან (1960 წ.) 39%-მდე (1973 წ.) შემცირდა, რაც, ბუნებრივია, რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დონის შემდგომი ზრდის შედეგია. აქვე აღსანიშნავია, რომ კვების მრეწველობის ცალკეული ქვედარგების მიხედვით ეს პროცესი განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდებოდა, კერძოდ, კვების მრეწველობის ქვედარგების — ჩაის მრეწველობის ხვედრიწონა მთლიან პროდუქციაში 1960 წლის 11,5 პროცენტიდან შემცირდა 8,2 პროცენტამდე, 1973 წლისათვის საკონსერვო მრეწველობის ხვედრიწონა დარჩა იგივე დონეზე, ხოლო ღვინის მრეწველობაში ეს პროცესი განსხვავებული ტენდენციით გამოიხატა, სახელდობრ, ამ დარგის მიხედვით ზოგიერთ წელს ადგილი ჰქონდა ხვედრიწონის გადიდებას.

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში ადგილი აქვს საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობის წამყვანი დარგების — ელექტროენერგეტიკის, შავი მეტალურგიის, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, საშენ მასალათა მრეწველობის და სხვ. შედარებით უფრო სწრაფი ზრდის ტენდენციას.

საქართველოს მძიმე მრეწველობის დარგების შედარებით უფრო სწრაფი ზრდისა და მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მათი ხვედრიწონის ამაღლების ეს პროცესი რესპუბლიკის მრეწველობის ინდუსტრიული განვითარების დონის შემდგომი ზრდის შედეგია და იგი პროგრესულ ტენდენციად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა გვიჩვენებს, რომ შეიძლება გამოიყოს დარგთა სამი ჯგუ-

ფი: პირველი, ესაა დარგები, რომელთა ხვედრიწონაც მრეწველური წარმოების მოცულობაში სისტემატურად იზრდებოდა — ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება. ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. მეორე ჯგუფის დარგების ხვედრიწონა სისტემატურად მცირდებოდა — სათბობის მრეწველობა, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი, მსუბუქი მრეწველობა. დარგთა მესამე ჯგუფის ხვედრიწონა სხვადასხვა პერიოდში არათანაბრად იცვლებოდა (შავი მეტალურგია, საშენ მასალათა მრეწველობა, კვების მრეწველობა)[24].

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში წამყვან და გადამწყვეტ როლს მრეწველობა ასრულებს. ამასთან შესაბამისი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში გარკვეული ცვლილებები განიცადა საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივმა სტრუქტურამ, რაც იმით გამოიხატა, რომ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობაში რამდენადმე ამაღლდა ინდუსტრიული დარგების მრეწველობისა და მშენებლობის ხვედრიწონა.

აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს სსრ როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპით, ისე მრეწველობის ხვედრიწონით ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში საგრძნობლად ჩამორჩებოდა საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ამ სტრუქტურაში არასაკმაო ადგილი უჭირავს მრეწველობას, ანუ ეს სტრუქტურა საკმაოდ ინდუსტრიული არ არის. ეს კი აუცილებელს ხდის ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის სწრაფი ტემპებით განვითარებას.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სსრ მრეწველობის დარგებიდან მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება ყველაზე უფრო სწრაფი, მთლიანად სამრეწველო წარმოებასთან შედარებით წინგამსწრები ტემპებით იზრდება და მისი ხვედრიწონაც შესაბამისად მაღლდება. მანქანათმშენებლობის სტრუქტურაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ისეთი ახალი დარგების აღმოცენებით, როგორიცაა ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა და სხვ.

---

[24] ვ. ადვაძე, საქართველოს სსრ მრეწველობის ზრდის ტემპები და სტრუქტურა ომისშემდგომ პერიოდში, თბ., 1970, გვ. 176.

ჩვენი რესპუბლიკის სპეციალიზაციამ მთელი რიგი კვების პროდუქტების წარმოებაზე გამოიწვია კვების მრეწველობისთვის აუცილებელი მანქანათმშენებელ საწარმოთა შექმნა და მათი სწრაფი განვითარება. ასევე სპეციფიკურ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოყვანამ ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებას. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მსუბუქი მრეწველობისათვის განწყობილობათა წარმოების, ისევე როგორც სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების მიღწეული დონე და მათი ხვედრიწონა ჯერ კიდევ არასაკმარისია[25].

მთლიანად აღებული საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა მოითხოვს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესების აუცილებლობა გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის მოცულობის შემდგომი გადიდების ინტერესებით და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების საჭიროებით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნაციონალური შემოსავლის გადიდებისა და შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების და უწინარეს ყოვლისა, მძიმე მრეწველობის შრომატევადი დარგების — მანქანათმშენებლობის, კერძოდ მისი ქვედარგების — ელექტროტექნიკური მრეწველობის, ხელსაწყოთამშენებლობის და სხვ. ქიმიური მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიისა და სხვ. დაჩქარებული ტემპებით განვითარებას.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის ზრდისა და არსებული შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის, კერძოდ ჩაის, ღვინის, საკონსერვო და სხვ. შემდგომი სწრაფი ტემპებით განვითარებას, რისთვისაც ჩვენს რესპუბლიკას მდიდარი და ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსები, ფართო შრომითი და სხვ. შესაძლებლობანი აქვს.

---

[25] ა. გ უ ნ ი ა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი", № 1, 1966.

თუ ჩვენ ავიღებთ საკუთრივ საქართველოს მანქანათმშენებლობას, აქ რესპუბლიკის მანქანათმშენებლობაში პერსპექტიულად უნდა ჩაითვალოს მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის მოწყობილობის წარმოების, სოფლის მეურნეობაში შრომატევადი სამუშაოთა მექანიზაციის დასრულებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, აგრეთვე ისეთი ახალი დარგების ხვედრიწონის გადიდება, როგორიცაა ელექტროტექნიკური და ხელსაწყომშენებელი მრეწველობა და სხვ[26].

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურის და, კერძოდ, მრეწველობის სტრუქტურის შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

* * *

საზოგადოებრივი წარმოების ორ დიდ ქვედანაყოფად დაყოფის შესაბამისად, პროდუქციის ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით მრეწველობის დარგები იყოფიან წარმოების საშუალებათა მწარმოებელ (ჯგუფი „ა") და მოხმარების საგნების მწარმოებელ დარგებად (ჯგუფი „ბ"). აღსანიშნავია, რომ ამჟამად მრეწველობის მთლიანი პროდუქციის „ა" ჯგუფის ან „ბ" ჯგუფისადმი მიკუთვნება ხდება პროდუქციის ფაქტიური გამოყენების მიხედვით.

წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ეკონომიკური კანონია და მრეწველობაში იგი თავის გამოვლენას პოულობს „ა" ჯგუფის უფრო სწრაფი ზრდით. ვინაიდან მრეწველობა ასრულებს წამყვან და უმნიშვნელოვანეს როლს ჩვენი ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაში, ამიტომ მრეწველობის „ა" ჯგუფის დარგები ქმნიან მთელი საზოგადოებრივი წარმოების პირველი ქვედანაყოფის პროდუქციის უდიდეს ნაწილს, ხოლო მრეწველობის „ბ" ჯგუფის დარგები კი მეორე ქვედანაყოფის პროდუქციის უდიდეს ნაწილს. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ მრეწველობის „ა" და „ბ" ჯგუფის ზრდის ტემპების მიხედვით შეიძლება გარკვეული ზომით ვიმსჯელოთ და ანალიზი გავაკეთოთ

---

[26] ვ. ადვაძე, საქართველოს სსრ მრეწველობის ზრდის ტემპები და სტრუქტურა ომისშემდგომ პერიოდში, თბ., 1970, გვ. 167.

აგრეთვე თვით საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფის განვითარებისა და თანაფარდობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში მიმდინარეობს აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლა და მეცნიერული დისკუსია საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფს შორის თანაფარდობის, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებათა შესახებ. ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტი საერთოდ საეჭვოს ხდის I ქვედანაყოფის უპირატეს ზრდას, ანდა ლაპარაკობენ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის არა როგორც ეკონომიკურ კანონზე, არამედ როგორც ტენდენციის მოქმედებაზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმული ეს შეხედულებანი მცდარია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა წარმოადგენს გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ეკონომიკურ კანონს და იგი მოქმედებს და მთელ თავის ძალასა და მნიშვნელობას ინარჩუნებს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ყველა ეტაპზე.

ცალკეულ შემთხვევებში და გარკვეულ პერიოდებში საზოგადოებრივი წარმოების II ქვედანაყოფის ზრდის ტემპების დაჩქარება, საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფს შორის ზრდის ტემპების დაახლოება, ანდა მრეწველობაში „ბ“ ჯგუფის შედარებით უფრო სწრაფი ზრდის ტემპი „ა“ ჯგუფთან შედარებით, ისეთ პირობებში, როცა მთელი საზოგადოებრივი მასშტაბით კვლავ შენარჩუნებულია I ქვედანაყოფის ზრდის უფრო სწრაფი ზრდა, სრულიადაც არ უარყოფს წამოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედებას. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისი კი არ უარყოფს, არამედ პირიქით, გარკვეულად ავლენს საერთო კანონზომიერებათა მოქმედებას. საქმე ისაა, რომ როგორც საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფის ტემპების დაახლოება, ისე, კერძოდ ზოგიერთ წელს „ბ“ ჯგუფის უფრო სწრაფი ზრდა „ა“ ჯგუფთან შედარებით, განპირობებულია, უწინარეს ყოვლისა, ძირითადად იმით, რომ დაძლეულ იქნეს II ქვედანაყოფის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა I ქვედანაყოფისაგან, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების წინა პერიოდებში შეიქმნა.

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა, როგორც გაფართოებული კვლავწარმოების ეკონომიკური კანონი, მოქმედებს როგორც მთლიანად სსრ კავშირის მასშტაბით, ისე მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, რაც ამავე დროს გულისხმობს საერთოდ მრეწველობაში „ა" ჯგუფის „ბ" ჯგუფთან შედარებით უფრო სწრაფ ზრდას.

ამავე დროს, ბუნებრივია, არაა აუცილებელი, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით „ა" და „ბ" ჯგუფები ისეთივე ტემპით იზრდებოდეს, როგორც მთლიანად სსრ კავშირში. მათი განვითარება მოკავშირე რესპუბლიკებში ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც დამოკიდებულია მწარმოებლურ ძალთა განვითარების მიღწეულ დონეზე, რესპუბლიკის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების სპეციფიკურობაზე, შრომის საკავშირო დანაწილებაში რესპუბლიკის ადგილზე[27].

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების შესწავლა გვიჩვენებს, რომ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის შედეგად შეიცვალა საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა მთლიანი პროდუქციის მიხედვით და იგი წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების თანაფარდობის მხრივ გარკვეულად მიუახლოვდა სსრ კავშირის ინდუსტრიული წარმოების სტრუქტურას. ამაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 5).

ცხრილიდან ჩანს, რომ სსრ კავშირის მრეწველობაში წარმოების საშუალებათა წარმოების (ჯგუფი „ა") წილი, საქართველოს მრეწველობის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ჯერ კიდევ გაცილებით მაღალი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი და იგი 1960 წელს 72,5% შეადგენდა, ხოლო 1970 წლისათვის იგი გაიზარდა და 73,4% შეადგინა.

ამავე დროს ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი თვალნათლივ მეტყველებს, რომ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიკური კანონი მოქმედებს არა მარტო მთლიანად სსრ კავშირის მასშტაბით, არამედ აგრეთვე საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების დარგებშიც. საქართველოს სსრ მრეწველობაში წარმოების საშუალებათა წარმოების (ჯგუფი „ა") ხვედრიწონა 1940 წლის 46,7%-დან გაიზარდა 62%-მდე 1970 წლისათ-

---

[27] ა. გ უ ნ ი ა, მრეწველობის ძირითად ჯგუფთა პროპორციების შესახებ, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი", № 11, 1964.

ცხრილი 5

წარმოების საშუალებათა წარმოების (ჯგუფი „ა“) და მოხმარების საგნების წარმოების (ჯგუფი „ბ“) ხვედრიწონის დინამიკა სსრ კავშირისა და საქართველოს მრეწველობის მთლიან პროდუქტში (პროცენტობით)[28]

წლები	სსრ კავშირი		საქართველოს სსრ	
	წარმოების საშუალებათა წარმოება (ჯგუფი „ა“)	მოხმარების საგნების წარმოება (ჯგუფი „ბ“)	წარმოების საშუალებათა წარმოება (ჯგუფი „ა“)	მოხმარების საგნების წარმოება (ჯგუფი „ბ“)
1940	61,2	38,8	46,7	53,3
1945	74,9	25,1	...	...
1950	68,8	31,2	...	...
1955	70,5	29,5	55	45
1958	71,6	28,4	59	41
1960	72,5	27,5	...	...
1961	73,1	26,9	58	42
1962	73,7	26,3	58	42
1963	73,9	26,1	57	53
1964	74,0	26,0	57	53
1965	74,1	25,9	60	40
1968	73,8	26,2	63	37
1970	73,4	26,6	62	38

ვის, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება ამავე პერიოდში 53,3%-დან 38%-მდე შემცირდა. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ 1940—1970 წლების პერიოდში საქართველოს სსრ მრეწველური განვითარების შედეგად მრეწველობაში „ა“ ჯგუფის დარგების ხვედრიწონა მნიშვნელოვნად ამაღლდა, ხოლო „ბ“ ჯგუფის დარგებისა კი შესაბამისად შემცირდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში მრეწველობაში წარმოების საშუალებათა წარმოებასთან (ჯგუფი „ა“) მოხმარების

[28] ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების საფუძველზე: Народное хозяйство СССР в 1970 г., М., 1971, стр. 133; ა. გ უ ნ ი ა, მრეწველობის ძირითად ჯგუფთა პროპორციების შესახებ, ჟურ „საქართველოს ეკონომისტი“, № 11, 1964; И. С. Микеладзе, Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, Тб., 1959; Советская Грузия по ленинскому пути, стр. 46; საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტატ. კრებული, თბ., 1971, გვ. 83.

საგნების წარმოების (ჯგუფი „ბ“) სწრაფი ზრდის შედეგად ადგილი ჰქონდა მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მოხმარების საგნების წარმოების (ჯგუფი „ბ“) ხვედრიწონის ერთგვარ ამაღლებას, ხოლო წარმოების საშუალებათა წარმოების (ჯგუფი „ა“) ხვედრიწონის შესაბამის შემცირებას. როგორც მთლიანად სსრ კავშირის მასშტაბით, ისე საქართველოს სსრ მიხედვითაც, ეს ცვლილება სახელდობრ გამოიხატა იმით, რომ სსრ კავშირის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში წარმოების საშუალებათა წარმოების (ჯგუფი „ა“) ხვედრიწონა 1968 წლის 73,8 პროცენტიდან 1970 წლის 73,4 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ამავე პერიოდში მოხმარების საგნების წარმოების (ჯგუფი „ბ“) ხვედრიწონა 26,2 პროცენტიდან 26,6 პროცენტამდე ამაღლდა. ეს ტენდენცია შედარებით უფრო შესამჩნევად გამოიხატა საქართველოს სსრ სინამდვილეში, სახელდობრ, მრეწველობის მთლიან პროდუქციაში ამ წარმოების ხვედრიწონა 1968 წლის 63 პროცენტიდან შემცირდა 62 პროცენტამდე 1970 წელს, ხოლო მოხმარების საგნების წარმოების (ჯგუფი „ბ“) ხვედრიწონა ამავე პერიოდში 37 პროცენტიდან 38 პროცენტამდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის სტრუქტურის ანალიზისას დიდმნიშვნელოვანი მომენტია მრეწველობის თვით „ა“ ჯგუფის შემადგენლობაში შრომის იარაღებისა და შრომის საგნების წარმოების ხვედრიწონების დინამიკის შესწავლა. როგორც სათანადო მონაცემები გვიჩვენებს, საქართველოს სსრ მრეწველობის „ა“ ჯგუფის შემადგენლობაში მიმდინარეობდა შრომის იარაღების წარმოების ხვედრიწონის გადიდება და შესაბამისად მცირდებოდა შრომის საგნების წარმოების ხვედრიწონა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მრეწველობაში წარმოების საშუალებათა შემადგენლობაში (ჯგუფი „ა“) საქართველოს სსრ მიხედვით შრომის იარაღების წილი შედარებით დაბალია სსრ კავშირის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით[29].

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების, საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დონის ამაღლებისა და გაფართოებული სოციალის-

---

[29] ა. გ უ ნ ი ა, მრეწველობის ძირითად ჯგუფთა პროპორციების შესახებ, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“, № 11, 1964.

ტური აღწარმოების განხორციელების ინტერესები მოითხოვენ წარმოების საშუალებათა წარმოების შემადგენლობაში შრომის იარაღების ხვედრიწონის შემდგომ გადიდებას, რესპუბლიკის მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის დაჩქარებული ტემპებით განვითარებას.

საქართველოს სსრ მრეწველობაში „ა“ და „ბ“ ჯგუფების დარგების განვითარებაში ოპტიმალური პროპორციების მიღწევისათვის აუცილებელია მრეწველობის „ა“ ჯგუფის ისეთი ძირითადი დარგების სწრაფი ზრდა, როგორიცაა: ქიმიური მრეწველობა, ფერადი მეტალურგია, ელექტროენერგიის წარმოება, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, საშენ მასალათა მრეწველობა, ხოლო „ბ“ ჯგუფის დარგებიდან: ბამბეულის, აბრეშუმის, შალეულის, ტრიკოტაჟის, სამკერვალო, ჩაის, საკონსერვო, ღვინის, ხორცის და რძის მრეწველობა და სხვ. მაქსიმალურად უნდა განვითარდეს რესპუბლიკისათვის სპეციფიკური მრეწველობის დარგები, რაც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა[30].

საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზიდან ჩანს, რომ ცალკეული დარგების სხვადასხვა ტემპით ზრდა განაპირობებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებებს. საქართველოს სოფლისმეურნეობრივი წარმოების სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის უდიდესი ნაწილი (71%) მოდის მემცენარეობის დარგზე, რაც განპირობებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციით ისეთი მრავალწლიანი და ძვირფასი კულტურების დარგში, როგორიცაა ჩაი, ვაზი, ხეხილი, ციტრუსები და სხვ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში შემუშავებულ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა განხორციელებამ განაპირობა პოზიტური ძვრები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარება, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა და ამ შეჯიბრებაში ადრე არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფ-

---

[30] А. Гуния, О темпах и пропорциях социалистического воспроизводства в экономике Грузии, Тб., 1966, стр. 142.

ხვრა. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ უზრუნველყო მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება, სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჯარკვეული თვისებრივი ძვრები მოხდა სოფლის მეურნეობაში. რესპუბლიკის სოფლების მშრომელებმა პირნათლად გაანაღდეს სოციალისტური ვალდებულებანი. ხუთწლიანი დავალების გადაჭარბებით სახელმწიფოს მისცეს 220 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია — 100 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული. ხუთწლედის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩაის, ციტრუსების, ყურძნის მოსავლიანობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ხაზით მიღწეულია მაჩვენებლები, რომლებიც საუკეთესოა რესპუბლიკის მთელ ისტორიაში — 45 კოლმეურნეობამ და 31 საბჭოთა მეურნეობამ ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე შეასრულეს გასული ხუთწლედის გეგმები და გაიმარჯვეს საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამავე დროს საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ დამაკმაყოფილებლად არ წარმოებდა ეკონომიკური მუშაობა, საკმაოდ ეფექტიანად ვერ ვიყენებდით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და დიდ ფინანსურ დახმარებას.

4. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის სოციალური სტრუქტურა

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის სტრუქტურის ანალიზისას მნიშვნელოვანია მათი განხილვა საკუთრების ფორმების მიხედვით (ე. ი. სოციალური სტრუქტურის ანალიზი), რათა მის საფუძველზე დადგინდეს წარმოებული პროდუქციის სოციალური ბუნება და შინაარსი, განისაზღვროს მატერიალური წარმოების დარგების მთლიანი პროდუქციის აღწარმოების კანონზომიერებანი მეურნეობრივი ფორმების მიხედვით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაში თანდათანობით გაბატონებულ ადგილს იკავებდა სოციალისტური სექტორი. სოციალისტური სექტორის ხვედრიწონა პირველი ხუთწლედის პერიოდში განუხრელად და სწრაფად იზრდებოდა და შესაბამისად მნიშვნელოვნად მცირდებოდა კერძო სექტორის ხვედრიწონა.

წარმოების საშუალებათა კერძო კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაციის შედეგად სსრ კავშირში საბოლოოდ დამკვიდრდა წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება მისი ორი ფორმით: 1. საერთო-სახალხო ანუ სახელმწიფოებრივი და 2. კოლმეურნეობრივ-კოოპერაციული. სოციალისტური საკუთრების ამ ორ ფორმას შეესაბამება საწარმოთა ორი ტიპი: სახელმწიფოებრივი და კოოპერაციულ-კოლმეურნეობრივი საწარმოები. სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესაბამისად, კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი და კოლმეურნეობრივ-კოოპერაციულ საკუთრებათა დაახლოება და კიდევ უფრო ჩქარდება მათი შეზრდის პროცესი.

თანამედროვე პირობებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის სოციალური სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირში, საქართველოშიც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის უდიდეს ნაწილს ქმნიან სახელმწიფოებრივი საწარმოები და კოლმეურნეები და კოოპერაციული საწარმოები.

მატერიალური წარმოების ზოგიერთი დარგის მიხედვით მთლიანი პროდუქცია მხოლოდ სახელმწიფოებრივ და კოოპერაციულ სექტორში იწარმოება. სახელდობრ, საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სატყეო მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და დამზადების როგორც მთლიანი პროდუქცია, ისე წმინდა პროდუქცია მხოლოდ სახელმწიფოებრივ და კოოპერაციულ სექტორში იქმნება, ხოლო მატერიალური წარმოების დარგებში — მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვა დანარჩენ დარგებში მთლიანი პროდუქციის ნაწილი იქმნება სახელმწიფოებრივ და კოოპერაციულ სექტორში, ხოლო ნაწილი — მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში და, აგრეთვე, სხვა სფეროშიც უშუალოდ მოსახლეობის მიერ.

სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების მსვლელობაში მოსახლეობის მიერ წარმოებული პროდუქციის ხვედრიწონა როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მშენებლობის მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობაშიც თანდათანობით შემცირდება და შესაბამისად გაიზრდება სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული სექტორების ხვედრიწონა.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის სოციალური სტრუქტურის დინამიკა გამოიხატება იმით, რომ მასში სისტემატურად და განუწყვეტლივ იზრდება საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი საკუთრების ხვედრიწონა და შესაბამისად მცირდება საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ხვედრიწონა, ასევე მცირდება კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის ხვედრიწონა.

5. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი სტრუქტურა

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის მოძრაობის კანონზომიერებათა შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ანაზღაურების ფონდისა და ნაციონალური შემოსავლის თანაფარდობის ცვლილების გამოკვლევას.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი სტრუქტურის ანალიზისას ირკვევა თანაფარდობა მატერიალურ დანახარჯებსა და ახლად შექმნილ ღირებულებას შორის მატერიალური წარმოების დარგების მთლიან პროდუქციაში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით მატერიალურ დანახარჯებს ყველაზე დიდი ხვედრიწონა უკავია მრეწველობის მთლიან პროდუქციაში. ამასთან საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მატერიალურ დანახარჯებში ყველაზე დიდი ხვედრიწონით არის წარმოდგენილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მატერიალური დანახარჯები, რაც რესპუბლიკის მრეწველურ წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესის განვითარების, შრომის მწარმოებლურობის განუხრელი გადიდების შედეგია.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი სტრუქტურის, კერძოდ, ანაზღაურების ფონდისა და ნაციონალური შემოსავლის თანაფარდობის

ცვლილების საკითხზე რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს. ი. კრონროდს[31] მიაჩნია, რომ ტექნიკური პროგრესის ზრდის შედეგად, გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების პროცესში ანაზღაურების ფონდის ხვედრიწონა მთელ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში იზრდება, ხოლო ნაციონალური შემოსავლის ხვედრიწონა ეცემა. ა. ნოტკინი[32], მ. ბორი[33], პ. მოსკვინი[34] და სხვები იცავენ იმ შეხედულებას, რომ ანაზღაურების ფონდი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში იზრდება, თუ მას განვსაზღვრავთ მიმდინარე ფასებით, ხოლო უცვლელ (ანუ შესადარის) ფასებში მცირდება. ა. ბეჩინი კი თვლის, რომ ანაზღაურების ფონდის წილი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მცირდება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება ს. შატალინის[35] მიერ, რომელსაც მიაჩნია, რომ ნაციონალური შემოსავლის წილი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში და მისი ცვლილება არ განისაზღვრება წარმოების ეფექტურობის დონით, რომ შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლურობის გადიდებას ანუ საზოგადოებრივი შრომის ეფექტურობის ზრდას შეიძლება თან ახლდეს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში ნაციონალური შემოსავლის წილის გადიდებაც, შემცირებაც და სტაბილობაც.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს იმ აზრის მართებულობას, რომ, შრომის მწარმოებლურობის ზრდის პირობებში ანაზღაურების ფონდი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში იზრდება, თუ მას განვსაზღვრავთ მოქმედ ფასებში, ხოლო უცვლელ ფასებში მცირდება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განსხვავებულ იქნას ანაზღაურების ფონდისა და ნაციონალური შემოსავლის ღირებულებითი და ფიზიკური მოცულობა. გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების პირობებში წარმოების საშუალებათა ეკო-

---

[31] Я. А. Кронрод, Общественный продукт и его структура при социализме, 1958, М., стр. 373--379.

[32] А. Ноткин, Темпы и пропорции социалистического воспроизводства, 1961, М., стр. 118—120.

[33] М. Бор, Вопросы методологии планового баланса народного хозяйства СССР, 1960, М., стр. 99.

[34] П. М. Москвин, Вопросы статистики национального дохода СССР, 1955, М., стр. 81.

[35] Журн. «Вопросы экономики», 1965, № 1, стр. 17.

ნომია იწვევს ანაზღაურების ფონდის მოცულობის შეფარდებით შემცირებას და განაპირობებს ნაციონალური შემოსავლის ხვედრიწონის ამაღლებას მთელ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მისი ფიზიკური მოცულობის მიხედვით (უცვლელი ფასებით).

სათანადო გაანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ ზემოთ აღნიშნული კანონზომიერება დამახასიათებელია საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი სტრუქტურის ცვლილებისათვის. შესაბამისი მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოქმედ ფასებში შეფასების დროს ახლად შექმნილი ღირებულების (ანუ ნაციონალური შემოსავლის) წილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის პირობებში ეცემა, ხოლო მატერიალური დანახარჯების ხვედრიწონა იზრდება.

მონაცემებიდან ჩანს, რომ მატერიალური დანახარჯების ხვედრიწონა საქართველოს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში 1956 წლის 43,6 პროცენტიდან გაიზარდა 54,6 პროცენტამდე 1972 წლისათვის, ხოლო ახლად შექმნილი ღირებულების ხვედრიწონა შესაბამისად 1956 წლის 56,4 პროცენტიდან 1972 წელს 45,4 პროცენტამდე შემცირდა.

მონაცემთა ანალიზი აგრეთვე გვიჩვენებს, რომ 1956—1972 წლებში მოქმედი ფასებით შეფასებით დროს საქართველოს მატერიალური წარმოების დარგებში — მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვ. მიმდინარეობდა მატერიალური დანახარჯების ხვედრიწონის გადიდება და შესაბამისად მცირდებოდა ახლად შექმნილი ღირებულების (წმინდა პროდუქციის) ხვედრიწონა.

ეს ცვლილებები უშუალოდ დაკავშირებულია ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების თანაფარდობასთან. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების თანაფარდობა განისაზღვრება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ფაქტორების — მატერიალური დანახარჯების ეკონომიის, სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებების, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შემადგენლობაში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების შედეგად მატერიალური დანახარჯების განმეორებითი აღრიცხვის წილის ოდე-

ნობის გადიდების, შრომის მწარმოებლურობის და ფასების ცვლილების ფაქტორთა ურთიერთზემოქმედებით. ამ ფაქტორებიდან გადამწყვეტია მატერიალური დანახარჯების ეკონომია, რომელიც განაპირობებს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდასთან შედარებით ნაციონალური შემოსავლის ფიზიკური მოცულობის ზრდის უფრო მაღალ ტემპს. მატერიალური დანახარჯების ეკონომია ტექნიკური პროგრესითა და შრომის მწარმოებლურობის გადიდებით მიიღწევა.

სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებები და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შემადგენლობაში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების შედეგად მატერიალური დანახარჯების განმეორებით აღრიცხვის ოდენობის ზრდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ფიზიკური მოცულობის ზრდის თანაფარდობაზე მატერიალური დანახარჯების ეკონომიის საწინააღმდეგოდ მოქმედებს და გარკვეულად ანელებს ამ უკანასკნელი ფაქტორის მოქმედებას. ამიტომ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტთან შედარებით, ნაციონალური შემოსავლის ზრდის უფრო სწრაფი ტემპი მატერიალური წარმოების სხვადასხვა დარგებში, ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა პერიოდში და აგრეთვე ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით განსხვავებული კანონზომიერებითაა გამოხატული.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისათვის დამახასიათებელ საერთო ტენდენცია — ნაციონალური შემოსავლის უფრო მაღალი ტემპებით ზრდა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტთან შედარებით, საქართველოს სინამდვილისათვის გარკვეული სპეციფიკით არის გამოხატული, რაც ძირითადად განპირობებულია საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებებით. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების თანაფარდობა 1958—1974 წლებში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 6).

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 1974 წელს, 1960 წელთან შედარებით, საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 135 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ნაციონალური შემოსავალი 136 პროცენტით. ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ ერთობლივი სა-

ცხრილი 6

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპები 1958 — 1974 წწ.[36]

წლები	ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი		ნაციონალური შემოსავალი	
	პროცენტობით 1960 წელთან შედარებით	პროცენტობით წინა წელთან შედარებით	პროცენტობით 1960 წელთან შედარებით	პროცენტობით წინა წელთან შედარებით
1957	—	104	—	103
1958	—	115	—	118
1959	—	106	—	103
1960	100	105	100	105
1961	105	105	105	105
1962	113	108	113	108
1963	115	102	115	102
1964	121	106	122	107
1965	134	110	137	112
1966	148	110	149	109
1967	157	106	159	107
1968	167	107	164	104
1969	177	110	177	106
1970	196	110,5	197	112,8
1971	202	103	200	101,7
1972	204	101,3	204	101,9
1973	217	107	220	106,5
1974	235	110,2	236	110,8

ზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების თანაფარდობისათვის დამახასიათებელია გარკვეული დაახლოება, ხოლო ზოგიერთ წლებში კი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის გამსწრები ტემპი ნაციონალურ შემოსავალთან შედარებით. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა რეს-

[36] ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

პუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. განსაკუთრებით განვითარდნენ მასალატევადი დარგები — მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, ე. ი. ისეთი დარგები, რომლებშიც შედარებით დიდია განივთებული შრომის ხვედრიწონა. მატერიალური წარმოების შედარებით უფრო მასალატევადი დარგების პროდუქციის წილის გადიდება კი შეფარდებით ამცირებს ნაციონალური შემოსავლის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპებისაგან ჩამორჩენას. ამასთან ერთად შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებამ განაპირობა საქართველოში მრეწველობის ახალი დარგების წარმოშობა, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი ზრდა, რამაც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შემადგენლობაში მატერიალური დანახარჯების განმეორებითი აღრიცხვის გადიდება და, ამგვარად, შესაბამისად რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობის ზრდა გამოიწვია. მატერიალური დანახარჯების ეკონომიის წინააღმდეგ მოქმედმა ამ ფაქტორებმა განსაზღვრეს საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების დაახლოება და რიგ წლებში მათი ზრდა თითქმის თანაბარი ტემპით, ხოლო გარკვეულ პერიოდში კი — ნაციონალურ შემოსავალთან შედარებით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის უფრო სწრაფი ტემპი.

6. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგთაშორისი ბალანსის საკითხისათვის

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი პროდუქტის დარგთაშორისო ბალანსის დამუშავებას, რაც კვლევის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და უახლესი გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ გამოყენებას ემყარება. პირველად სსრკ სახალხო მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ანგარიშგებით დარგთაშორისი ბალანსი შედგენილ იქნა სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1959 წ. დარგთაშორისი ბალანსი ახასიათებდა სახალხო მეურნეობაში პროდუქციის წარმოებასა და განაწილებას წარმოების 83 დარგის მიხედვით, მათ შორის მრეწველობის 75 დარგის, სოფლის მეურნეობის 2, სატყეო

მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, დამზადების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და მატერიალური წარმოების სხვა დარგებისას. ამავე წელს სსრკ ცსს შეადგინა მრეწველობის 157 პროდუქტის (ნატურალური გამოხატულებით) დარგთაშორისი ბალანსი. ამჟამად სტატისტიკურმა ორგანოებმა დაამუშავეს სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების ანგარიშგებითი დარგთაშორისი ბალანსები.

პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსი შედგება ოთხი კვადრანტისაგან, რომლის თითოეულ ნაწილშიც აისახება სოციალისტური აღწარმოების პროცესის სხვადასხვა მხარე. პირველ კვადრანტში ასახულია მატერიალურ-წარმოებრივი დანახარჯები, მეორეში — ნაციონალური შემოსავლის გამოყენება მოხმარებისა და დაგროვების ფონდად, მესამეში — ნაციონალური შემოსავლის შედგენილობა ღირებულების მიხედვით, მეოთხეში — წარმოებრივ და არაწარმოებრივ სფეროებს შორის ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება ცალკეული ელემენტების მიხედვით[37].

ყველა ეს ნაწილი ქმნის ერთიან ორგანულ მთლიანობას, რაც გვაძლევს საზოგადოებრივი პროდუქტის აღწარმოების პროცესის სრულ დახასიათებას.

დარგთაშორისი ბალანსის ეკონომიკური კავშირები შეიძლება წარმოდგენილ იქნას მათემატიკური განტოლებების სახით, რომელთა სისტემა ქმნის დარგთაშორისი ბალანსის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს, რაც სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების და სტრუქტურის დაგეგმვის მძლავრ იარაღს წარმოადგენს. თუ დარგთაშორისი ბალანსის მონაცემებს სტრიქონების მიხედვით განვიხილავთ, მაშინ წრფივ განტოლებათა სისტემა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$Xi = \sum_{j=1}^{n} \cdot Xij + yi$$

$$\text{ანუ } Xi = \sum_{j=1} xij + ei + \hat{a}_1 \qquad (i = 1, 2, 3 \ldots n), \qquad (1)$$

სადაც Xi — i დარგის მთელი პროდუქციაა; i — წარმოებრივი სფეროს დარგის ნომერი დარგთაშორისი ბალანსის სტრიქონების მიხედვით: j — წარმოებრივი სფეროს დარგის ნომერი დარგთაშორისი ბალანსის სვეტების მიხედვით; xij — პროდუქცია i — დარ-

[37] М. Р. Эйдельман, Межотраслевой баланс общественного продукта, М., 1966, стр. 81.

გის, რომელიც დახარჯულია j დარგის პროდუქციის წარმოებაზე; yi — პროდუქცია i — დარგის, რომელიც გამოყენებულია არაწარმოებრივი მოხმარებისა (e) და დაგროვებისათვის (âi) yi = ei + âi.

თუ დარგთაშორის ბალანსს სვეტების მიხედვით განვიხილავთ, მაშინ განტოლებათა სისტემა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

$$Xi = \sum_{i=1}^{n} xij + zj \text{ ანუ } xj = \sum_{i=1}^{n} xij + Vj + mj \quad (j = 1, 2..., n) \quad (2).$$

სადაც xj — i დარგის მთელი პროდუქციაა; xij — პროდუქცია i დარგის, რომელიც დახარჯულია j დარგის პროდუქციის წარმოებაზე; zj — წმინდა პროდუქცია j დარგის

$$zj = vj + mj$$

zj — შრომის ანაზღაურება j დარგში; mj — ზედმეტი პროდუქტი j დარგში[38].

აქ წარმოდგენილ განტოლებათა სისტემები ალგებრული ფორმით გამოხატავენ საზოგადოებრივი პროდუქტის მოძრაობის პროცესს ნატურალურ-ნივთობრივი შედგენილობის (განტოლებათა პირველი სისტემა) და ღირებულების მიხედვით (განტოლებათა მეორე სისტემა).

საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უკანასკნელ წლებში დაამუშავა საქართველოს სახალხო მეურნეობაში პროდუქციის წარმოებისა და განაწილების 1966 წლის საანგარიშო დარგთაშორისი ბალანსი, რომელიც პირველი სტატისტიკური დარგთაშორისი ბალანსია. იგი შედგენილია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის პროდუქციაზე დარგთა ფართო ნომენკლატურის გამოყოფით. მისი დამუშავების პროცესში გამოყენებულ იქნა მათემატიკური მეთოდები და ელექტროგამომთვლელი ტექნიკა.

დარგთაშორისი ბალანსის მონაცემებით 1966 წ. საქართველოს საზოგადოებრივ პროდუქტში (p) მატერიალურ-წარმოებრივ დანახარჯებზე (c) მოდის 52,3%, ხოლო ნაციონალურ შემოსავალზე (v+m) — 47,7%, აქედან 30,4% შეადგენს შრომის ანაზღაურებას (v), ანუ პროდუქტს თავისთავის და 17,3% ზედმეტ პროდუქტს (m) ანუ პროდუქტს საზოგადოებისათვის. საზოგადოებრივი წარმო-

---

[38] М. Р. Эйдельман, Межотраслевой баланс общественного продукта, М., 1966, стр. 255—256.

ების ქვედანაყოფების მიხედვით ეს თანაფარდობა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: I ქვედანაყოფში პროდუქციის 53,8 გამოყენებულია მოხმარებული მატერიალურ-წარმოებრივი დანახარჯების ასანაზღაურებლად, 31,2% შეადგენს პროდუქტს თავისთვის და 15% პროდუქტს საზოგადოებისათვის, II ქვედანაყოფში შესაბამისად — 50,2%, 29,2% და 20,6%. დარგთაშორისი ბალანსის მონაცემებით 1966 წ. ზედმეტი პროდუქტის ნორმამ (m:v) რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობისათვის შეადგინა 57% (ფაქტიურ ფასებში), ამასთან I ქვედანაყოფში —48%, II ქვედანაყოფში —70%. აქვე აღსანიშნავია, რომ გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების პროპორციულობის წინაპირობებმა მარქსის ცნობილი ფორმულების მიხედვით 1966 წ. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საანგარიშო დარგთაშორისი ბალანსის მონაცემებით შეადგინა:

1. I (v + m) > II c (1141 + 549) > 1344
2. I p > (I c + II c) 3655 > (1965 + 1344)
3. [I (v + m) + II (v + m)] > II p [(1141 + 549)] + (781 + 551) < 2676.

აქედან ჩანს, რომ სამივე უტოლობაში ფორმულების მარცხენა მხარე ჭარბობს მარჯვენას ერთი და იგივე სიდიდით (346 მლნ მან.), რაც შეადგენს I ქვედანაყოფის ზედმეტი პროდუქტის ნაწილს. I ქვედანაყოფის ზედმეტი პროდუქტის 63% გამოყენებულია გაფართოებული აღწარმოებისათვის, ხოლო დანარჩენი არაწარმოებრივი დარგების შენახვაზე. II ქვედანაყოფის ზედმეტი პროდუქტის დაახლოებით 13% გამოიყენება არაწარმოებრივი სფეროს მუშაკთა შენახვისათვის, ხოლო დანარჩენი — მოხმარების საგნების დაგროვებისათვის[39].

უნდა აღინიშნოს, რომ დარგთაშორისი ბალანსის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შედგენას და მის გაანგარიშებას სახალხო მეურნეობის გეგმის დაბალანსებისათვის და მის სხვადასხვა ვარიანტებში გადაწყვეტისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს მთლიანად სახალხო მე-

---

[39] ნ. სულავა, ეკონომიური კავშირები და პროპორციები დარგთაშორის ბალანსში, ჟურ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", № 8, 1969, გვ. 47—50.

ურნეობაში და მის ცალკე დარგებში წარმოებული პროდუქტების ურთიერთკავშირი და პროპორციები[40].

საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ 1975 წელს დაასრულა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის მეორე საანგარიშო დარგთაშორისი ბალანსის შედგენა. 1966 და 1975 წლების დარგთაშორისი ბალანსების მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებასა და განაწილებაში მომხდარი ცვლილებათა კანონზომიერებანი, განისაზღვროს სახალხო-სამეურნეო, დარგთაშორისი და ტერიტორიული პროპორციები.

საქართველოს სსრ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში 1972 წელს წარმოების საშუალებებმა 54,2% შეადგინა, მოხმარების საგნებმა 45,8%, მრეწველობაში წარმოების საშუალებათა წარმოებაზე მოდის 49,9%, სოფლის მეურნეობაში — 62,5%, მშენებლობაში — 66,8%. რესპუბლიკაში პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული წარმოების საშუალებებიდან 56% შეადგინა წარმოების საშუალებებმა წარმოების საშუალებათა წარმოებისათვის და 44% — წარმოების საშუალებებმა მოხმარების საგნების წარმოებისათვის. შესაბამისი საშუალო-საკავშირო მაჩვენებელი ამავე პერიოდში 64,6 და 35,4% უდრიდა. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ინდუსტრიული განვითარების დონე დაბალია საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით. ალსანიშნავია, რომ 1972 წელს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის ნახევარზე მეტი (54,2%) გამოყენებული იყო მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულების ასანაზღაურებლად, ხოლო დანარჩენი (45,8%) წარმოადგენდა ახლადშექმნილ ღირებულებას, ანუ ნაციონალურ შემოსავალს, რომელიც პირველადი განაწილების სტადიაზე იყოფა მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა შრომით შექმნილ პროდუქტად თავისთვის (27,5%) და პროდუქტად საზოგადოებისათვის (18,3%). საზოგადოებრივი წარმოების ქვედანაყოფების მიხედვით ეს თანაფარდობა შემდეგ სურათს გვიჩვენებს: I ქვედანაყოფში თავისთვის პროდუქციის ხვედრიწონა მეტია, ვიდრე II ქვედანაყოფში (30,3

---

[40] ი. ბ ე რ დ ე ლ ი, დარგთაშორისი ბალანსის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენება დაგეგმვაში, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი", № 11, 1964, გვ. 64.

პროცენტი, 24,2 პროცენტთან შედარებით); სამაგიეროდ, საზოგადოებრივი პროდუქტის ხვედრიწონა I ქვედანაყოფში უფრო ნაკლებია, ვიდრე II ქვედანაყოფში (13,2 პროცენტი, 24,3 პროცენტთან შედარებით). ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ფასების მოქმედი სისტემის შესაბამისად მატერიალურ წარმოებაში შექმნილი საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილი ბრუნვის გადასახადის რეალიზაცია უმთავრესად II ქვედანაყოფის პროდუქციის მეშვეობით ხდება. ამასთან დარგთაშორისი ბალანსის მონაცემებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ზედმეტი პროდუქტის ნორმა 1972 წელს 1966 წელთან შედარებით 57%-დან 67%-მდე გაიზარდა, რაც გარკვეულ წილად საბითუმო ფასების შეცვლითაა განპირობებული[41].

---

[41] ნ. ს უ ლ ა ვ ა, ძირითადი ეკონომიკური პროპორციები დარგთაშორისი ბალანსის მიხედვით, ჟურ. „ეკონომისტი", № 9, 1975, გვ. 52—53.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი V

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების საკითხისათვის

1. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების შესახებ

ნაციონალური შემოსავალი სსრ კავშირისა და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური განვითარების განმაზოგადებელი სინთეზური მაჩვენებელია. საქართველოში ნაციონალური შემოსავლის აღწარმოება ხორციელდება განუწყვეტლივ და მაღალი ტემპებით.

საქართველოს ნაციონალური შემოსავლის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია კონკრეტულად გამოვიკვლიოთ მისი აღწარმოების კანონზომიერებანი, კერძოდ, ნაციონალური შემოსავლის სტრუქტურა და ზრდის ფაქტორები, აგრეთვე, მისი განაწილებისა და გამოყენების საკითხები.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის შესწავლისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს ბრუნვის გადასახადის ამოღებისა და მისი აღრიცხვის საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ ბრუნვის გადასახადით დაბეგვრა და მისი აღრიცხვის არსებული სისტემა მოითხოვს შემდგომ სრულყოფას. საჭიროა ეს დაბეგვრა საქონლის წარმოების ადგილზე მოხდეს. ამ გარემოებას საქართველოს რესპუბლიკისათვის აქვს ზოგიერთი სპეციფიკური მომენტი.

ბრუნვის გადასახადით დაბეგვრა საქონლის წარმოების ადგილზე შესაძლებლობას მოგვცემს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებში გაადგილებული საწარმოების პროდუქციის ბრუნვის გადასახადი ამოვიღოთ შესაბამის ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით, საკითხი ისმის იმ პროდუქციის დაბეგვრის შესახებ, რაც თავის საბოლოო სახეს სხვა, დაშორებული ქალაქების ქარხნებში იღებს. მაგალითად, ცნობილია, რომ ჩაის მწვანე ფოთლის ძირითადი გადამუშავების პროცესი წარმოებს დასავლეთ საქართველოს რაიონების ჩაის ფაბრიკებში. გადამუშავებული ჩაი ეგზავნება გადამწონ ფაბრიკებს მოსკოვში, ლენინგრადში, ოდესაში, თბილისსა

და სხვა ქალაქებში, სადაც წარმოებს მისი კუპაჟი და შეფუთვა. ზოგიერთ ასეთ ოპერაციას ჩაის წარმოების მთლიან პროცესში მცირე ხვედრიწონა უკავია. მიუხედავად ამისა, ბრუნვის გადასახადი სწორედ ამ გადამწონი ფაბრიკების ადგილმდებარეობის მიხედვით შემოდის. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ჩაის წარმოებიდან მიღებული სოციალისტური დაგროვების ნაწილი ბრუნვის გადასახადის სახით, რაც ჩაის ფოთლის გადამუშავების ძირითად პროცესში იქმნება, ამოღებულ იქნეს ამ ფაბრიკების ადგილმდებარეობის მიხედვით, ამისათვის საჭიროა ფაბრიკების მიერ გამოშვებულ პროდუქტზე საბითუმო ფასის გადასინჯვა და მისი გაზრდა. იგივე შეიძლება ითქვას ღვინოზე, რომელიც აგრეთვე მიზანშეწონილია იბეგრებოდეს ღვინის პირველადი გადამუშავების ქარხნებში[1].

თანამედროვე პირობებში როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად გამართლებულია, რომ ბრუნვის გადასახადი ამოღებული და გაანგარიშებული იქნეს მისი წარმოების ადგილის მიხედვით. ეს ხელს შეუწყობს მოკავშირე რესპუბლიკაში წარმოებული ნაციონალური შემოსავლის ნამდვილი მოცულობის დადგენას და შექმნის პირობებს წარმოებრივი საწარმოების ფინანსურ-ეკონომიკურ საქმიანობაში ფინანსური ორგანოების მხრივ კონტროლის გაძლიერებისა და მათ შორის კავშირის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის ზოგიერთ დარგში, კერძოდ, ღვინის მრეწველობაში („სამტრესტი") ერთი და იგივე მეთოდით არ აღირიცხება მთლიანი და საქონლური პროდუქცია და მატერიალური ხარჯები. ეს, თავის მხრივ, არასწორ სურათს იძლევა ამ დარგში შექმნილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის მოცულობის შესახებ, მეორე მხრივ, ასუსტებს მეურნეობრივი ანგარიშიანობის პრინციპს ამ დარგის საწარმოებში საერთოდ და პირველადი მეღვინეობის ქარხნებში, კერძოდ[2].

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის არსებული გაანგარიშებანი, საშუალებას იძლევა კონკრეტულად შევისწავლოთ რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების კანონზო-

---

[1] ვ. ტ რ ა პ ა ი ძ ე, ბრუნვის გადასახადის მოქმედი სისტემა და მისი გარდაქმნა მრეწველობის მართვის ახალი სტრუქტურის შესაბამისად, 1957, თბ., გვ. 30—31.

[2] ზ. ს უ ლ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის სა-

მიერებანი, ვუჩვენოთ რესპუბლიკის მეურნეობრივი განვითარების ძირეული პროცესები და ტენდენციები. ამ მონაცემთა საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს მატერიალური წარმოების თითოეული დარგის ხვედრიწონა საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში.

რევოლუციამდელ საქართველოში მრეწველობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული. ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში გადამწყვეტი ხვედრიწონა სოფლის მეურნეობას უკავია.

რევოლუციამდელ საქართველოში საერთო ეკონომიურ ჩამორჩენილობასთან შედარებით, უფრო ჩამორჩენილი იყო მრეწველობა. ასე მაგალითად, 1913 წელს ნაციონალურ შემოსავალში მრეწველობიდან შემოსავლის ხვედრიწონა ძლივს აღწევდა 18,9 პროცენტს[3].

სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები მოითხოვდა მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარებასა და მისი ხვედრიწონის მნიშვნელოვან გადიდებას საქართველოს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ნაციონალურ შემოსავალში.

საქართველო, რომელიც რევოლუციამდე მეფის რუსეთის განაპირა, ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მეურნეობრივი აღორძინების, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებითი განხორციელების შედეგად, გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად. სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა ამ პროცესმა თავისი გამოხატულება ჰპოვა საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობრივ სტრუქტურაში.

2. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორები

ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორებია: საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, მათ შორის მატერიალური დანახარჯების ეკონომია და მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებული მუშაკების რაოდენობის გადიდება.

საქართველოს ნაციონალური შემოსავლის მოცულობაზე მუშაკთა რიცხოვნობისა და შრომის მწარმოებლურობის ცვლილების

კითხისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის X სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1966, გვ. 69.

[3] ვ. მ ე ლ ქ ა ძ ე, ეროვნული შემოსავლის პირველადი გაანგარიშებანი, „მაცნე", № 4, 1965 წ.

გავლენა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება (იხ. ცხრილი 7). ცხრილი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის ნამატის (შესადარისი ფასებით) უდიდესი ნაწილი საერთოდ, ხოლო ზოგიერთი წლის მიხედვით მთლიანად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის შემცირების გათვალისწინების პირობებში, მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდების ხარჯზე.

სათანადო გაანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების დარგების წმინდა პროდუქციის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია მუშაკთა რაოდენობის გადიდება. მის წილად მოდის მრეწველობის მთლიანი და წმინდა პროდუქციის საერთო ნამატის საგრძნობი ნაწილი. ჩვენი გაანგარიშებით, ფაქტორთა გავლენის გაზომვის პროპორციული განაწილების მეთოდის ზემოთ აღნიშნული ვარიანტის გამოყენების პირობებში, მუშაკების რაოდენობისა და შრომისა მწარმოებლურობის ცვლილების გავლენა საქართველოს მატერიალური წარმოების დარგთა წმინდა პროდუქციის მოცულობის ცვლილებაზე, შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 8).

ცხრილი 7

მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა და შრომის მწარმოებლურობის ცვლილების გავლენა საქართველოს სსრ ნაციონალურ შემოსავალზე (ბრუნვის გადასახადის ჩათვლით, შესადარისი ფასებით)[4]

წლები	ნაციონალური შემოსავლის ნამატი			
	მუშაკთა რაოდენობის ცვლილების გავლენა		შრომის მწარმოებლურობის ცვლილების გავლენით	
	მლნ მან.	ხვედრიწონა %-თ ჯამისადმი	მლნ მან.	ხვედრიწონა %-თ ჯამისადმი
1959	21,2	37,4	35,5	62,6
1960	—4,3	—4,6	97,4	104,6
1961	—20,0	—19,8	120,8	119,8
1962	—36,4	—21,3	207,6	121,3
1963	44,6	103,2	—1,4	—3,2
1964	51,2	38,9	80,5	61,1
1965	77,8	25,0	233,4	75,0
1966	21,5	9,4	206,1	90,6
1967	24,5	11,5	188,7	88,5
1972	8,4	12,0	65,3	88,0

[4] ცხრილი შედგენილია და მონაცემები გაანგარიშებულია საქართველოს ცსს მასალების საფუძველზე.

ზემოთ მოტანილი მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შრომის მწარმოებლურობის გადიდების საფუძველზე მიღებული საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციისა და წმინდა პროდუქციის ნამატის მაჩვენებლები ცალკეული წლების მიხედვით, ჯერ კიდევ დაბალია. ეს გარემოება თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის მიღწეული დონე და ტემპები ჯერ კიდევ არასაკმარისია.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორების მოქმედების შესახებ ზემოთ მოტანილი ფაქტობრივი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირის მასშტაბით, საქართველოშიც ნაციონალური შემოსავლის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორია შრომის მწარმოებლურობის გადიდება და მის წილად მოდის მატერიალური წარმოების დარგთა წმინდა პროდუქციის ნამატის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამავე ანალიზიდან ჩანს, რომ შრომის მწარმოებლურობის გადიდების საფუძველზე მიღებული საქართველოს მრეწველობის და მშენებლობის წმინდა პროდუქციის ნამატის მაჩვენებლები ცალკეული წლების მიხედვით ჯერ კიდევ დაბალია. ეს გარემოება თავის მხრივ გარკვეულ გავლენას ახდენს საქართველოს ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების ჩამორჩენაზე როგორც საერთო-საკავშირო, ისე მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით. უკანასკნელ პერიოდში ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების თანაფარდობა საქართველოს სსრ-ში, მთლიანად სსრ კავშირსა და მათ შორის მოკავშირე რესპუბლიკებში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა. (იხ. ცხრილი 9).

ცხრილიდან ჩანს, რომ ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპით საქართველოს სსრ ჩამორჩებოდა როგორც საერთო-საკავშირო, ისე მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებს.

საქართველოს სსრ თავისი მრეწველური განვითარების ტემპითა და მოსახლეობის ერთ სულზე ნაციონალური შემოსავლის მოცულობითა და ზრდის ტემპით ჩამორჩებოდა როგორც საერთოსაკავშირო, ისე ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებლებს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1973—1975 წლებში შედარებით დაჩქარდა საქართველოს ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპი.

ცხრილი 8

ფაქტორების გავლენა საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების დარგთა წმინდა პროდუქტის მოცულობაზე
(ბრუნვის კოეფიციენტის ჩათვლით, შესაბამისი ფასებით, %%-ით ერთეულში)*

წლები	მრეწველობა		მშენებლობა		სოფლის მეურნეობა		ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა		დანარჩენი დარგები	
	ფონდების ნაყოფიერების ფაქტორი	ფონდების ზრდის ფაქტორი	ფონდების ნაყოფიერების ფაქტორი	ფონდების ზრდის ფაქტორი	ფონდების ნაყოფიერების ფაქტორი	ფონდების ზრდის ფაქტორი	ფონდების ნაყოფიერების ფაქტორი	ფონდების ზრდის ფაქტორი	ფონდების ნაყოფიერების ფაქტორი	ფონდების ზრდის ფაქტორი
1959	127,0	—27,0	31,4	68,6	17,7	—82,3	30,9	69,1	13,3	86,7
1960	318,2	—418,2	13,9	86,1	—2129,3	2029,4	46,5	53,5	27,4	72,6
1961	58,0	42,0	—7,4	—92,6	—95,0	195,0	375,0	—475,0	—22,4	122,5
1962	19,7	80,3	840,0	—740,0	—33,8	133,8	126,6	—26,6	—153,3	253,3
1963	42,9	57,1	—80,9	180,9	8,1	—108,1	28,0	—72,0	47,9	52,1
1964	97,0	3,0	55,5	44,5	2,3	97,7	68,6	31,4	894,7	—994,7
1965	27,0	7,30	24,8	75,2	18,0	82,0	204,7	—104,7	30,7	69,3
1966	81,9	18,1	34,0	66,0	—45,7	145,7	12,0	—112,0	8,7	91,3
1967	37,4	62,6	6,9	93,1	—63,8	—36,2	5,9	94,1	39,5	60,5
1970	6,8	93,4	9,7	80,3	15,9	84,1	6,6	44,4	7,9	93,1
1972	—23	123	7,5	91,4	—9,7	109	11,7	99,3	9,3	87,7

* ცხრილი შედგენილია და პირველად გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული შეთანხმების გამოყენებით საქართველოს სსრ ცს მასალების საფუძველზე.

ცხრილი 9

ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპი მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით (პროცენტობით 1960 წელთან)[6]

შინაარსი	1960 წ.	1965 წ.	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.	1969 წ.	1970 წ.
სსრ კავშირი	100	137	148	161	174	183	199
რსფსრ	100	135	146	160	173	180	196
უკრაინის სსრ	100	140	148	159	173	184	195
ბელორუსიის სსრ	100	141	156	172	188	201	220
უზბეკეთის სსრ	100	145	153	167	175	173	197
ყაზახეთის სსრ	100	131	171	172	189	195	214
საქართველოს სსრ	100	137	149	159	165	174	194
აზერბაიჯანის სსრ	100	125	136	141	149	152	164
ლიტვის სსრ	100	152	164	185	201	221	239
მოლდავეთის სსრ	100	162	171	184	197	216	223
ლატვიის სსრ	100	141	147	167	178	186	204
ყირგიზეთის სსრ	100	150	165	182	198	200	220
ტაჯიკეთის სსრ	100	156	165	181	187	190	213
სომხეთის სსრ	100	148	163	177	193	210	235
თურქმენეთის სსრ	100	131	137	149	157	148	166
ესტონეთის სსრ	100	143	148	167	181	191	206

ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების, აგრეთვე რესპუბლიკის მრეწველური წარმოების განვითარების ტემპებისა და მოსახლეობის ერთ სულზე ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების მიხედვით, საქართველოს ჩამორჩენა როგორც საერთო-საკავშირო, ისე ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით, როგორც უკვე აღინიშნა, განპირობებული იყო, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებებითა და აგრეთვე, შემდეგი ძირითადი მიზეზებით: 1. საქართველოს მატერიალური წარმოების დარგებში და განსაკუთრებით მრეწველობაში შრომის მწარ-

[6] Народное хозяйство СССР в 1970 году, стр. 558.

მოებლურობის ზრდის ნელი ტემპით და დაბალი დონით, 2. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა ზრდის შედარებითი ჩამორჩენით, 3. საქართველოს სსრ შრომითი რესურსების გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებებით, 4. საქართველოს სსრ მრეწველობის არსებული დარგობრივი სტრუქტურით, რაც იმით გამოიხატება, რომ საქართველოს მრეწველობის დარგებიდან მთლიანი პროდუქციის მიხედვით დიდი ხვედრიწონითაა წარმოდგენილი კვების მრეწველობა, რომელიც წარმოადგენს მასალატევად დარგს და მისი მონაწილეობა რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის შექმნაში შედარებით მცირეა, რაც ამ სტრუქტურის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია. 5. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების არსებული მეთოდიკა საჭიროებს შემდგომ დამუშავებასა და სრულყოფას. ეს გარემოება განსაკუთრებით შეეხება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბრუნვის გადასახადის განაწილების საკითხს (რაც შემდგომ შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს) და ფასქმნადობის არსებულ სისტემას. 6. აღნიშნული ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად განაპირობა რესპუბლიკის ძველი ხელმძღვანელობის მიერ სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა და დარღვევებმა.

საქართველოს მრეწველური განვითარების ტემპების ჩამორჩენის ანალიზის დროს ზოგიერთი ავტორი მხედველობის გარეშე სტოვებს ჩვენს მიერ აღნიშნულ პირველ და მესამე ფაქტორს, რაც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. საქართველოს მატერიალური წარმოების ზრდა-განვითარების, წარმოების ზრდის ტემპების გამოკვლევა მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის ფაქტორების მოქმედების შესწავლას.

ვინაიდან საქართველოს მრეწველობის წმინდა პროდუქციის ნამატიდან ცალკეულ წლებში შრომის მწარმოებლურობის ხარჯზე მიღებული შედარებით დაბალი მაჩვენებლის მიზეზია საქართველოს მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის შედარებით დაბალი დონე და ტემპები, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების დარგებსა და კერძოდ, მრეწველობაში თვით შრომის მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორების გამოკვლევა, შრომის მწარმოებლურობის არსებული დონისა და ზრდის ტემპების ანალიზი. საჭიროა საქართველოს მატერიალუ-

რი წარმოების დარგებში შრომის მწარმოებლურობის გამოკვლევა მისი გადიდების ცალკეული ფაქტორების — ტექნიკური პროგრესის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა ფაქტორების მოქმედების კონკრეტული ანალიზის საფუძველზე, რაც შრომის მწარმოებლურობის ზრდის რეზერვების გამოვლენის საშუალებას იძლევა. ჩვენი აზრით, **მიზანშეწონილია, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოების დაგეგმვისას ცალ-ცალკე იქნეს გათვალისწინებული შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და წარმოების მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის ფაქტორების ხარჯზე მიღებული წმინდა პროდუქციის ოდენობა მატერიალური წარმოების დარგების, ქვედარგების და საწარმოების მიხედვით.** ამასთან საჭიროა, რომ სათანადო ინსტრუქციებში განისაზღვროს ცალკეული ელემენტების მიხედვით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორების ანალიზის მეთოდიკა.

ნაციონალური შემოსავლის ფიზიკური მოცულობის ზრდის ფაქტორებიდან მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორია საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის განუხრელი ზრდა. ამასთან ერთად, ნაციონალური შემოსავლის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის გადიდებას, მაგრამ ამ ფაქტორის მოქმედება ზღვარდებულია, ჯერ ერთი, მოსახლეობის რიცხოვნობის ბუნებრივი ზრდის ფარგლებით, მეორეც, არაწარმოებრივი სფეროს უფრო სწრაფი განვითარების აუცილებლობით. აქედან გამომდინარეობს, რომ ნაციონალური შემოსავლის ზრდისათვის ამ ფაქტორის მნიშვნელობა შემდეგში თანდათანობით შემცირდება.

სათანადო მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის ზრდის დიდი რეზერვებია მატერიალური წარმოების დარგებში მატერიალურ-წარმოებრივი დანახარჯების შემცირების მიმართულებით. მატერიალური დანახარჯების ხვედრიწონა რომ 1958 წლის დონეზე დარჩენილიყო, მაშინ, ბუნებრივია, რომ რესპუბლიკა დამატებით ნაციონალურ შემოსავლის საგრძნობ რაოდენობას მიიღებდა. მატერიალური წარმოების დარგებში მატერიალური დანახარჯების შემცირების უმნიშვნელოვანესი გზებია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველი ღონისძიებით დაჩქარება, შრომის იარაღებისა და ტექნოლოგიური პრო-

ცესების სრულყოფა, მაღალხარისხოვანი, ეკონომიური მასალების მასობრივი დანერგვა წარმოებაში, საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა. მატერიალური დანახარჯები ცვლილებას სხვადასხვა მიმართულებით განიცდიან — მატერიალური დანახარჯების ნორმისა და საზოგადოებრივი წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებათა შედეგად. აქედან გამომდინარეობს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს საზოგადოებრივი წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებასა და შემდგომ სრულყოფას, რაც დადებით გავლენას მოახდენს რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის მოცულობის გადიდებაზე.

* * *

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ნამატის ფაქტორების მიხედვით გაანგარიშების მეთოდიკა საერთო უნდა იყოს როგორც მთლიანად სსრ კავშირის, ისე ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკისათვის. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ გაანგარიშების დროს გამოვიყენოთ ზოგიერთი პირობითი დაშვება.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ნამატის ცალკეული ფაქტორების მიხედვით გაანგარიშებისას შეიძლება გვქონდეს სხვადასხვა მდგომარეობა. იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ნამატის ფაქტორების გაანგარიშებისას, მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის ზრდაში სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობის შემცირებას იმგვარად ავსახავთ, რომ მას დავტოვებთ წინა წლის დონეზე (ე. ი. თუ ვიგულისხმებთ, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობა არ მცირდებოდა და, ამგვარად, მუშაკთა რაოდენობა რჩებოდა წინა წლის დონეზე და, მაშასადამე, მუშაკთა რიცხოვნობის ცვლილება ეთანაბრებოდა 0-ს), მაშინ ჩვენ განსხვავებულ და საინტერესო მონაცემებს მივიღებთ.

ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორების მოქმედების ანალიზის დროს, ელიმინირების მეთოდის ასეთ პირობებში გამოყენება გამართლებულია იმით, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს

ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ნაციონალურ შემოსავალში, როგორც საერთო განმაზოგადოებელ სინთეზურ ნაგებ-ნებლებში, რეალურად აისახება მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე მიღებული მთლიანი პროდუქციისა და წმინდა პროდუქციის ნამატის ოდენობა.

ამ შემთხვევაში მიჩნეული იქნებოდა აგრეთვე, რომ სოფლის მეურნეობაში მთლიანი და წმინდა პროდუქციის ნამატი მთლიანად მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდებით (ცალკეული გამონაკლისის გარდა, ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც სოფლის მეურნეობის მთლიანი და წმინდა პროდუქციის ნაწილი ზოგიერთ წელს მიიღება მუშაკთა რიცხოვნობის ზრდით) და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის შემცირებები არ მოახდენდა მატერიალური წარმოების დარგებში — მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სხვა დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზრდის ნიველირებას — მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობის ზრდის შედეგად მიღებული საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ნამატის მაჩვენებლის გაანგარიშებისას. თუ მივიღებთ ასეთ პირობით დაშვებას (როდესაც სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობის შემცირებას საერთო მაჩვენებელში მინუსებით არ ავსახავთ, და, ამგვარად, მის ელიმინირებას მოვახდენთ), რაც, ჩვენი შეხედულებით, გარკვეულ ფარგლებში რეალობას დაშორებული არ უნდა იყოს, მაშინ შესაბამისი გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ნამატის ძირითადი ნაწილი მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდებით, ხოლო ნამატის გარკვეული ნაწილი — მატერიალურ წარმოებაში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე. ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით საქართველოს ნაციონალური შემოსავლის ნამატის ფაქტორების მიხედვით გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ 1960 წელს ნაციონალური შემოსავლის ნამატის დაახლოებით 63,8% მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდებით, ხოლო 36,2% — მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზრდით; 1961 წ. ნაციონალური შემოსავლის ნამატის დაახლოებით 82% მოდის შრომის მწარმოებლურობის გადიდებაზე, ხოლო 18%

მუშაკთა რიცხოვნობის ზრდაზე, 1962 წლის შესაბამისად — 92% და 8%. ამის შესაბამისად მატერიალური წარმოების ცალკეული დარგების — მრეწველობის, მშენებლობის და სხვათა მიხედვით, რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის ნამატის ძირითადი ნაწილი ასევე მიღებულია შრომის მწარმოებლურობის გადიდებით, ხოლო კერძოდ, სოფლის მეურნეობაში წარმოებული წმინდა პროდუქციის მთელი ნამატი აღნიშნულ წლებში მიღებულია მხოლოდ ერთი ფაქტორის შრომის მწარმოებლურობის გადიდებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში, ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების გაფართოების კვალობაზე, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, ფაქტორთა ურთიერთკავშირისა და გავლენის შესწავლისათვის კიდევ უფრო ფართოვდება მათემატიკური მეთოდების, მათ შორის კორელაციის მეთოდის გამოყენება[8].

აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის მოცულობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გაზომვასთან ერთად, რაც ნაშრომის ამ თავში იყო ჩატარებული, შესაძლებელია, აგრეთვე, თვით შრომის მწარმოებლურობაზე მოქმედი ქვეფაქტორების — ტექნიკური პროგრესის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის და სხვა ფაქტორების გავლენის გაზომვა კორელაციის მეთოდის გამოყენებითაც. ამასთან, ეს საკითხი, ბუნებრივია, ცალკე და სპეციალურ განხილვას მოითხოვს, რაც წინამდებარე ნაშრომის მიზანს სცილდება.

3. საქართველოს ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურა

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურა 1956—1973 წლებში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 10).

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის შექმნაში წამყვან როლს ასრულებს მრეწველობა, რაც გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის ეკონომიკა განვითარებული ინდუსტრიული დონით ხასიათდება. ცხრილში მოტანილი მონაცემების

[8] Применение методов корреляции в экономических исследованиях, под редакцией В. Т. Рябушкина, М., «Наука», 1969; А. А. Френкель, Математический анализ производительности труда, М., «Экономика», 1968; Эльгорт Е. Г., Исследование некоторых факторов производительности труда в строительстве методами корреляции. Ученые записки по статистике, т. VIII, М., «Наука», 1964.

ცხრილი 10

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურა 1956 — 1973 წწ.
(პროცენტობით ჯამთან, შესაბამისი წლების ფასებით)*

მაჩვენებლები	1956 წ.	1957 წ.	1958 წ.	1959 წ.	1960 წ.	1961 წ.	1962 წ.	1963 წ.	1964 წ.	1965 წ.	1970 წ.	1971 წ.	1973 წ.
მთელი ნაციონალური შემოსავალი	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
მათ შორის													
მრეწველობა	46,1	44,8	41,9	44,1	41,5	41,5	40,9	43,9	43,1	42,2	40,7	41,4	43,9
მშენებლობა	7,9	7,8	7,4	8,2	10,2	9,5	9,0	8,9	9,3	10,7	11,6	11,4	9,5
სოფლის მეურნეობა	33,4	35,1	37,0	33,1	31,8	32,1	34,2	31,2	31,8	32,5	32,6	31,6	29,8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1,0	1,3	1,5	1,7	2,3	2,4	2,5	3,0	3,1	2,9	3,2	3,3	3,5
ვაჭრობა, დაზღვევები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვ.	11,6	11,0	12,2	12,9	14,2	14,5	13,4	13,0	12,7	11,8	11,9	12,3	12,9

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში გარკვეული ცვლილებები განიცადა საქართველოს ნაციონალური შემოსავლის დარგობრივმა სტრუქტურამ, რაც იმით გამოიხატა, რომ ნაციონალურ შემოსავალში რამდენადმე ამაღლდა ინდუსტრიული დარგების — მრეწველობისა და მშენებლობის ხვედრიწონა.

საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში რამდენადმე შემცირდა სოფლის მეურნეობის ხვედრიწონა. ამავე პერიოდში რესპუბლიკის ნაციონალურ შემოსავალში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხვედრიწონა რამდენადმე ამაღლდა.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზისას ნაციონალურ შემოსავალში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხვედრიწონების თანაფარდობის შესწავლის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ბრუნვის გადასახადი, როგორც წმინდა შემოსავლის ნაწილი, რომლის რეალიზაციაც მრეწველობის პროდუქციის ფასებით ხდება, მთლიანად მიეკუთვნება მრეწველობას. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუ ბრუნვის გადასახადს გავანაწილებთ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის, მაშინ ნაციონალური შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც შექმნილია სოფლის მეურნეობაში, შესაბამისად გაიზრდება, ხოლო მრეწველობაში კი შემცირდება.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურის შედარება საშუალო, საერთო-საკავშირო და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებთან გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის მოცულობაში, საერთო-საკავშირო და ზოგიერთი რესპუბლიკის მაჩვენებლებთან შედარებით, დაბალია მრეწველობის ხვედრიწონა და მაღალია სოფლის მეურნეობის ხვედრიწონა. 1974 წელს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში მრეწველობის ხვედრიწონა (ფაქტიური ფასებით) 52,4% შეადგენდა, სოფლის მეურნეობისა — 18,5%, უკრაინის სსრ ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში შესაბამისად — 49,1% და 24,0%. ლატვიის სსრ ნაციონალურ შემოსავალში —54,0% და 23,1%, ესტონეთის სსრ ნაციონალურ შემოსავალში — 51,8% და 20,1%, სომხეთის სსრ ნაციონალურ შემოსავალში — 56,0% და 16,2%, აზერბაიჯანის სსრ ნაციონალურ შემოსავალში შესაბამისად —47,5% და 24,2%, ხოლო საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულო-

ბაში მრეწველობის ხვედრიწონა შეადგენდა — 43,7%, სოფლის მეურნეობისა — 30,6%[10].

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურის ეს თავისებურება — საერთო-საკავშირო და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით საქართველოს სსრ ნაციონალურ შემოსავალში მრეწველობის შედარებით დაბალი, ხოლო სოფლის მეურნეობის მაღალი ხვედრიწონა — ძირითადად განპირობებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურის თავისებურებებით, კერძოდ, იგი განპირობებულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით, ჯერ ერთი, საქართველოს სსრ სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციფიკით, რამდენადაც რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში დიდი ხვედრიწონითაა წარმოდგენილი ისეთი მრავალწლიანი, შრომატევადი და მაღალშემოსავლიანი კულტურები, როგორიცაა ვაზი, ხეხილი, ჩაი და აგრეთვე ზოგიერთი სხვა (ციტრუსები და სხვ.) კულტურები. აღნიშნული მრავალწლიანი კულტურები უაღრესად შრომატევადია და ცოცხალი შრომის დიდ დანახარჯებს, უაღრესად მაღალკვალიფიციურ შრომას მოითხოვს, რის გამოც ამ დარგებში შესაბამისად მეტი ახალი ღირებულება იწარმოება, ხოლო ვინაიდან მხოლოდ ცოცხალი შრომა ქმნის ახალ ღირებულებას და საერთოდ ნაციონალურ შემოსავალს, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში სოფლისმეურნეობრივი წაროების დასახელებულ დარგებში წარმოებული ნაციონალური შემოსავალი (წმინდა პროდუქცია), სხვა თანაბარ პირობებში, მნიშვნელოვნად მეტი უნდა იყოს. ეს გარემოება კი საგრძნობლად ზრდის საერთოდ სოფლის მეურნეობის ხვედრიწონას რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში და საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს.

მეორე, აქ ცალკე მომენტად უნდა აღინიშნოს საქართველოს სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში აღნიშნული მრავალწლიანი კულტურების სამუშაოთა მექანიზაციის შედარებით დაბალი დონე, რაც ცოცხალი შრომის ფართოდ გამოყენებასა და წარმოებულ პროდუქციაში შესაბამისად განივთებული შრომის მცირე ხვედრიწონას განაპირობებს.

---

[10] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო მრავალწლიან ნარგავთა კლასიკური ქვეყანაა[11]. მრავალწლიან ნარგავებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მეოხებით მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და შემდგომი განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს, ამიტომ საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში სოფლის მეურნეობის ხვედრიწონა შემდეგშიც შედარებით მაღალი იქნება საერთო-საკავშირო და იმ მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით, სადაც მსგავსი მომენტები არ მოქმედებენ.

მესამე, საქართველოს სსრ ნაციონალურ შემოსავალში მრეწველობის შედარებით დაბალი და სოფლის მეურნეობის რამდენადმე მაღალი ხვედრიწონა გარკვეული ზომით განპირობებულია თავისთავად არა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონით, არამედ თვით მრეწველობის განვითარების არასაკმაო დონით, რესპუბლიკის მრეწველობის წამყვანი და პროგრესული დარგების, განსაკუთრებით კი შრომატევადი დარგების არაჯეროვანი განვითარებით. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია კვების მრეწველობა, რომელიც წარმოადგენს მასალატევად დარგს და იძლევა საქართველოს მრეწველობის პროდუქციის უდიდეს ნაწილს (დაახლოებით 38,5%-ს), მაგრამ ამ დარგის მონაწილეობა მრეწველობის წმინდა პროდუქციის შექმნაში შედარებით მცირეა.

მეოთხე, აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების არსებული მეთოდიკა საჭიროებს შემდგომ დამუშავებასა და სრულყოფას. ეს გარემოება განსაკუთრებით შეეხება ბრუნვის გაგასახადის განაწილებას მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. ეს საკითხი მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რამდენადაც აქ დიდი რაოდენობით იწარმოება ბრუნვის გადასახადით დასაბეგრი პროდუქცია და არსებობს მაღალგანვითარებული კვების მრეწველობა (ჩაის, ღვინის და სხვ.), რომლებიც საგრძნობი რაოდენობით ქმნიან წმინდა პროდუქციის იმ ნაწილს, რომელიც გამოდის ბრუნვის გადასახადის ფორმით.

---

[11] პ. გუგუშვილი, საბჭოთამდელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მომენტები, „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ.," პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 56.

მეხუთე, აღნიშნულ მიზეზთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სსრ მრეწველური წარმოების გახვითარების ტემპების ჩამორჩენა საერთო-საკავშირო და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. ეს კი, თავის მხრივ, გამოწვეული იყო რესპუბლიკის ძველი ხელმძღვანელობის მიერ სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებული სერიოზული შეცდომებითა და დარღვევებით.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხვედრიწონის ცვლილებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს, აგრეთვე, მატერიალური წარმოების დანარჩენი დარგების — მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგამბულობის, ვაჭრობის, დამზადების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სხვ. დარგების წმინდა პროდუქციის ზრდის ტემპების დაჩქარება ან შენელება ან შესაბამისად ამ დარგების ხვედრიწონის ცვლილება ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის პროცესი 1956—1975 წლების განმავლობაში ხასიათდებოდა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობის როგორც აბსოლუტური ზრდით, ისე ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მისი ხვედრიწონის შეფარდებითი გადიდების, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობის აბსოლუტური ზრდისა და გარკვეული ზომით ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მისი ხვედრიწონის შეფარდებითი შემცირების ტენდენციით.

საქართველოს სსრ ნაციონალრი შემოსავლის ზრდისა და მის საერთო მოცულობაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხვედრიწონის ცვლილება 1956—1975 წლების განმავლობაში ხასიათდებოდა მრეწველობის წმინდა პროდუქციის მოცულობის აბსოლუტური ზრდითა და ძირითადად ნაციონალურ შემოსავალში მისი ხვედრიწონის გადიდების, ხოლო სოფლის მეურნეობის წმინდა პროდუქციის მოცულობის აბსოლუტური ზრდისა და ნაციონალურ შემოსავალში მისი ხვედრიწონის შეფარდებით შემცირების ტენდენციით.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობრივ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა გვიჩვენებს, რომ საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში მრეწველობის

წმინდა პროდუქციის ხვედრიწონის შესამჩნევი ზრდა ძირითადად განპირობებულია სოფლის მეურნეობასთან შედარებით მრეწველობის უფრო სწრაფი ზრდით. საქართველოს ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებებზე გარკვეულ გავლენას ახდენდა აგრეთვე ფასების არსებული თანაფარდობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მატერიალური წარმოების სხვა დარგების პროდუქციაზე.

საქართველოს სსრ ნაციონალურ შემოსავალში სოფლის მეურნეობის წმინდა პროდუქციის ცვლილება ხასიათდებოდა წმინდა პროდუქციის მოცულობის აბსოლუტური ზრდითა და მისი ხვედრიწონის შეფარდებითი შემცირების ტენდენციით.

რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვანი ხვედრიწონითაა წარმოდგენილი მშენებლობა, რაც განპირობებულია იმით, რომ მშენებლობის პროცესში მიმდინარეობს ძირითადი წარმოებრივი ფონდების შექმნა და აღწარმოება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მშენებლობის მთლიანი პროდუქციის მოცულობის აბსოლუტურ ზრდასთან ერთად იზრდებოდა მისი ხვედრიწონა საქართველოს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში. ასევე, მშენებლობის წმინდა პროდუქციის მოცულობის აბსოლუტურ ზრდასთან ერთად შესაბამისად იზრდებოდა მშენებლობის წმინდა პროდუქციის ხვედრიწონა რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში.

საქართველოს სსრ ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, დამზადების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სხვ. დარგების მთლიანი პროდუქციისა და წმინდა პროდუქციის აბსოლუტური სიდიდის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს გარკვეული ზომით მთლიანი პროდუქციის ხვედრიწონის ზრდას საქართველოს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში, ხოლო წმინდა პროდუქციისა — ნაციონალურ შემოსავალში. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მთლიანი პროდუქცია ამჟღავნებს პროდუქციის როგორც მოცულობის აბსოლუტური ზრდის, ისე გარკვეული ზომით ხვედრიწონის შეფარდებითი ზრდის ტენდენციას.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის წმინდა პროდუქციის ცვლილება საქართველოს სსრ ნაციონალურ შემოსავალში ხასიათ-

დება მოცულობის აბსოლუტური ზრდით და გარკვეული ზომით ხვედრიწონის შეფარდების გადიდებით ნაციონალურ შემოსავალში.

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება გამოიხატება იმით, რომ ტრანსპორტის ხვედრიწონა საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში მნიშვნელოვნად დაბალია, ხოლო სსრ კავშირის ნაციონალურ შემოსავალში ტრანსპორტის ხვედრიწონა შედარებით მაღალი. ამ გარემოებას აღასტურებს საქართველოსა და სსრ კავშირის ნაციონალურ შემოსავალში ტრანსპორტის ხვედრიწონის შესახებ არსებული სათანადო მონაცემები. საქართველოს ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურის ეს დამახასიათებელი თავისებურება უნდა აიხსნას იმით, რომ საქართველოს სსრ-ში, სსრ კავშირთან შედარებით, სხვა თანაბარ პირობებში, უფრო ნაკლებადაა განვითარებული სარკინიგზო ტრანსპორტი და საერთოდ სატრანსპორტო მეურნეობა და განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის განფენილობაც ამ მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღნიშნულ თავისებურებაზე.

საქართველოს მატერიალური წარმოების დარგების — ვაჭრობის (როგორც მატერიალური წარმოების დამხმარე დარგის), დამზადების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სხვა დარგების ხვედრიწონის ცვლილება ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ნაციონალურ შემოსავალში გარკვეულ გავლენას ახდენს მატერიალური წარმოების დარგების — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის ხვედრიწონის ცვლილებაზე ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ნაციონალურ შემოსავალში. შესაბამისი მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს მატერიალური წარმოების დარგების — ვაჭრობის, დამზადებების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სხვ. მთლიანი პროდუქცია ხასიათდება მოცულობის აბსოლუტური ზრდითა და ზოგიერთ წელს ხვედრიწონის რამდენადმე გადიდებით ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში, ხოლო აღნიშნული დარგების წმინდა პროდუქცია მოცულობის აბსოლუტური ზრდით, რომელიც რიგი წლების მიხედვით ამჟღავნებდა საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში ხვედრიწონის შეფარდებითი გადიდების ტენდენციას.

4. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის სოციალური სტრუქტურა

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის სტრუქტურის ანალიზისას მნიშვნელოვანია მათი განხილვა საკუთრების ფორმების მიხედვით, ე. ი. სოციალური სტრუქტურის ანალიზი, რათა მის საფუძველზე დადგინდეს წარმოებული პროდუქციის სოციალური ბუნება და შინაარსი, განისაზღვროს მატერიალური წარმოების დარგების მთლიანი პროდუქციისა და წმინდა პროდუქციის გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების კანონზომიერებანი მეურნეობრივი ფორმების მიხედვით.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის სოციალური სტრუქტურა საკუთრების ფორმებისა და მეურნეობის ცალკეული კატეგორიების მიხედვით 1961—1972 წლებში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 11).

ცხრილი 11

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის სოციალური სტრუქტურა 1961—1972 წწ. (ბრუნვის გადასახადის ჩათვლით, ფაქტიური ფასებით, პროცენტობით ჯამისადმი)

საკუთრების ფორმები	ნაციონალური შემოსავალი		
	1961 წ.	1967 წ.	1972 წ.
სულ	100	100	100
მათ შორის:			
1. სახელმწიფოებრივი საწარმოები	61,4	67,4	69,7
2. კოოპერაციული საწარმოები (კოლმეურნეობების გარეშე)	2,5	2,9	2,9
3. კოლმეურნეობები	10,4	9,5	9,2
4. კოლმეურნეთა დამხმარე მეურნეობა	19,8	18,2	16,7
5. მუშათა და მოსამსახურეთა დამხმარე მეურნეობა	5,9	2,0	1,8

ცხრილში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფოებრივი საწარმოები და კოლმეურნეობები,

ხოლო კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა დამხმარე მეურნეობებს ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში მცირე ხვედრიწონა უკავიათ. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მეურნეობათა ხვედრიწონა რესპუბლიკის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ნაციონალურ შემოსავალში შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის პირადდამხმარე მეურნეობას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიან და წმინდა პროდუქციაში მთელი რიგი დარგების — მევენახეობის, მეხილეობის, მეცხოველეობის და სხვ. მიხედვით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

სხვა მიზეზებთან ერთად ეს აიხსნება, ჯერ ერთი, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების არსებული დონით და, მეორეც, ნაწილობრივად ნაციონალური შემოსავლის არაზუსტი გაანგარიშებით. საქმე ისაა, რომ სოფლის მეურნეობაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულება ფაქტიურ ფასებში გაიანგარიშება ყოველი პროდუქტის ფასების მიხედვით, ამასთან პროდუქციის საქონლური ნაწილი ფასდება რეალიზაციის ფაქტიური ფასებით, ხოლო პროდუქციის არასაქონლური ნაწილი — სახელმწიფოებრივ მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ამ პროდუქტების წარმოების თვითღირებულების მიხედვით, ხოლო მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობაში კი კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის საქონლური პროდუქციის საშუალო ფასებით[12]. ჩვენი აზრით, კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის პროდუქციის შეფასების ეს წესი არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. ამ წესის გამოყენების შედეგად პირად დამხმარე მეურნეობის ხვედრიწონა სოფლის მეურნეობის მთლიანი და წმინდა პროდუქციის წარმოებაში და შესაბამისად რესპუბლიკის ნაციონალურ შემოსავალში ხელოვნურად იზრდება.

კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის პროდუქციის შეფასების ზემოთ აღნიშნულ წესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მეურნეობის დარგში წარმოებული მთლიანი და წმინდა პროდუქცია გაიანგარიშება ერთიანი ფასებით, მაშინ მოსახლეობის დამხმარე მეურნეობათა ხვედრიწონა გარკვეულად შემცირდება.

---

[12] Инструкция по исчислению общественного продукта и национального дохода союзных республик за 1965 год, М., 1966, стр. 48—49.

კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის შედარებით დიდი ხვედრიწონა უნდა აიხსნას აგრეთვე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სპეციფიკური პირობით, სახელდობრ იმით, რომ საქართველოში პირადდამხმარე მეურნეობაში დიდი ადგილი უჭირავს მრავალწლიან ნარგავებს — ვაზს, ხეხილს, ციტრუსოვან კულტურებს, რაც მაღალი ღირებულების მქონე პროდუქციას იძლევა[13].

5. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის განაწილება და გადანაწილება

ნაციონალური შემოსავალი წარმოების, განაწილებისა და გამოყენების სტადიებს გაივლის. განაწილების სტადია გულისხმობს მატერიალური წარმოების სფეროში ნაციონალური შემოსავლის განაწილებას უშუალო მწარმოებელთა შორის. განაწილებისაგან განსხვავებით, ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება, სხვა მიზეზებთან ერთად, განისაზღვრება არაწარმოებრივი სფეროს არსებობით, სადაც მუშაკთა შრომა ნაციონალურ შემოსავალს არ ქმნის და ამ სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურება ხდება მატერიალური წარმოების დარგებში შექმნილი ნაციონალური შემოსავლის გადანაწილებით. ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება ძირითადად დაკავშირებულია საკუთრების ფორმის შეცვლასთან, რაც გულისხმობს მისი ერთი მესაკუთრიდან მეორის მფლობელობაში გადაცემას. აქედან გამომდინარე, სოციალისტურ საზოგადოებაში ნაციონალური შემოსავლის გადანაწილება მიმდინარეობს სახელმწიფოსა და კოლმეურნეობრივ-კოოპერაციულ საწარმოებს, აგრეთვე სახელმწიფოსა და მოსახლეობის ცალკეულ ფენებს შორის. ჩვენი აზრით, მართებულად უნდა მივიჩნიოთ იმ საბჭოთა ეკონომისტების მოსაზრება, რომლებიც ნაციონალური შემოსავლის გადანაწილებით ურთიერთობებს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მიაკუთვნებენ აგრეთვე მეურნეობის ცალკეულ დარგებს, მოკავშირე რესპუბლიკებსა და ეკონომიკურ რაიონებს შორის არსებულ კავშირურთიერთობებს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილების სფეროში. ეს გარემოება გულისხმობს ნაციონალური შემოსავლის გადანაწილებაში დარგთაშორისი და ტერიტორიული გადანაწილების ასპექტების ასახვას, რასაც მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალური შემოსავ-

[13] დ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში საზოგადოებრივი პროდუქტის აღწარმოების შესახებ. ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი", 1964, № 10, გვ. 18.

ლის გადანაწილებისა და გამოყენების პრობლემების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავალი თავის მოძრაობაში გაივლის აღწარმოების სტადიებს — წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას (ანუ გამოყენებას). საქართველოს ნაციონალური შემოსავლის განაწილება, ისევე როგორც მთლიანად სსრკ მასშტაბით, მოიცავს პირველადი განაწილებისა და გადანაწილების პროცესს, რის შედეგადაც წარმოიქმნება მატერიალური წარმოების სფეროს მუშაკთა, სახელმწიფოებრივი საწარმოებისა და კოლმეურნეობრივ-კოოპერაციულ საწარმოთა და აგრეთვე სახელმწიფოს შემოსავლები.

უკანასკნელ პერიოდში სსრკ ნაციონალური შემოსავლის განაწილების სფეროში სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობდა, რაც იმით ხასიათდებოდა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასები და შემცირდა განსხვავება ხელფასის მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას შორის. ამასთან, ნაციონალური შემოსავლის პირველად განაწილებაში მომხდარი ცვლილებები გამოიხატა იმითაც, რომ უკანასკნელ წლებში ნაციონალურ შემოსავალში მოგებისა და კოლმეურნეობათა შემოსავლების ხვედრიწონა ამაღლდა, ბრუნვის გადასახადისა კი შესაბამისად შემცირდა.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის პირველადი განაწილების შესახებ არსებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1960—1973 წლებში რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის შემადგენლობაში მიმდინარეობდა მოგების ხვედრიწონის ამაღლება, ხოლო ბრუნვის გადასახადის ხვედრიწონის შემცირება (მისი აბსოლუტური ზრდის პირობებში). საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში მოგების ხვედრიწონა შეადგენდა 1960 წელს 11,4, 1965 წ. —12,9, 1966 წ. —13,9, 1967 წ. —13,8, 1972 წ. — 14,7 პროცენტს, ხოლო ბრუნვის გადასახადის ხვედრიწონა 1960 წ. 20,0, 1965 წ. — 14,9, 1966 წ. 16,6, 1967 წ. — 15,2, 1972 წ. — 14,5 პროცენტს. რესპუბლიკის ნაციონალურ შემოსავალში წმინდა შემოსავლის სხვა ფორმების ხვედრიწონა შეადგენდა 1960 წ. — 9,3, 1965 წ. — 13,0, 1966 წ. — 12,4, 1967 წ. —10,7, 1972 წ. —9,6 პროცენტს. აღნიშნულ წლებში ბრუნვის გადასახადთან და სხვა წმინდა შემოსავლებთან შედარებით მოგების უფრო სწრაფი ტემპებით ზრდა და შესაბამისად საქართველოს ნაციონალურ შემოსავალში მისი ხვედრიწონის გადიდება განპირობებულია მატერია-

ლური წარმოების დარგებში პროდუქციის თვითღირებულების საგრძნობი შემცირებით.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის პირველადი განაწილება მატერიალური წარმოების სფეროს წმინდა შემოსავლად და მატერიალური წარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფონდად შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 12).

ცხრილი 12

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის პირველადი განაწილება მატერიალური წარმოების სფეროს წმინდა შემოსავლებად და წარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფონდად 1961—1972 წწ. (ფაქტიური ფასებით, პროცენტობით ჯამისადმი)[14]

მაჩვენებლების დასახელება	1961 წ.	1965 წ.	1966 წ.	1967 წ.	1972 წ.
საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების დარგების წმინდა პროდუქცია სულ	100	100	100	100	100
მათ შორის:					
I. მატერიალური წარმოების სფეროს პირველადი წმინდა შემოსავალი	43,6	40,8	42,8	39,7	39,8
II. მატერიალური წარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურება	56,4	59,2	57,2	60,3	60,2

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის პირველადი განაწილების შესახებ ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1961—1972 წლებში რესპუბლიკის ნაციონალურ შემოსავალში რამდენადმე ამაღლდა მატერიალური წარმოების მუშაკთა ანაზღაურების ფონდის ხვედრიწონა (მატერიალური წარმოების სფეროს წმინდა შემოსავლის აბსოლუტური ზრდის პირობებში), რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ძირითადად განპირობებული იყო, ჯერ იმით, რომ აღნიშნულ პერიოდში წარმოების მუშაკთა, განსაკუთრებით დაბალი ანაზღაურების მქონე მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი სწრაფი ტემპებით იზრდებოდა; მეორეც, განსა-

[14] ცხრილი შედგენილია და მონაცემები გაანგარიშებულია ჩვენ მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პირველადი მასალების საფუძველზე.

კუთრებით უკანასკნელ პერიოდში მიმდინარეობდა კოლმეურნეთა შემოსავლების ზრდის ტემპების დაჩქარება და კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების ახალი ფორმების განვითარება: კოლმეურნეობები გადავიდნენ შრომის გარანტირებულ ფულად ანაზღაურებაზე, რამაც განაპირობა კოლმეურნეთა შემოსავლების ზრდა. უკანასკნელ წლებში პირადდამხმარე მეურნეობის ხელოვნური შეზღუდვის გაუქმებამ დადებითი გავლენა მოახდინა სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გადიდებაზე. მესამე, ნაციონალური შემოსავლის პირველადი განაწილების მონაცემების შესწავლა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული წლების მანძილზე შეიმჩნეოდა ჩვენ რესპუბლიკაში ბრუნვის გადასახადის ზრდის ტემპების ერთგვარი შენელება, რაც, ბუნებრივია, სხვა თანაბარ პირობებში, გავლენას ახდენდა ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობაში მატერიალური წარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფონდის ხვედრიწონის რამდენადმე გადიდებაზე.

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის პირველადი განაწილება და გადანაწილება შესაბამისად აისახება მოსახლეობის საბოლოო შემოსავლების სტრუქტურაში და გავლენას ახდენს მის ფორმირებაზე. მოსახლეობის ფულად შემოსავლებში გარკვეულად გაიზარდა სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული საწარმოებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრიწონა და ამავე დროს შესაბამისად შემცირდა კოლმეურნეობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ხვედრიწონა. უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა პენსიების, დახმარებებისა და სტიპენდიების ოდენობა, რამაც შესაბამისად აამაღლა მათი ხვედრიწონა საქართველოს მოსახლეობის ფულად შემოსავლებში.

2. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის გამოყენება

სოციალიზმის დროს ნაციონალური შემოსავალი გეგმიანად გამოიყენება მთელი საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების განხორციელებისათვის. დაგროვების ფონდი, რომელიც ზედმეტი პროდუქტის ხარჯზე იქმნება, ნატურალურ-ნივთობრივი ფორმის მიხედვით წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნებისაგან

შედგება. დაგროვების ფონდი გამოიყენება ძირითადი და საბრუნავი წარმოებრივი ფონდების სრულყოფისა და გაფართოებისათვის, აგრეთვე არაწარმოებრივი ფონდების გადიდებისათვის.

დაგროვებისა და მოხმარების ფონდებს შორის თანაფარდობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სახალხომეურნეობრივ პროპორციას. წარმოების განვითარების მაღალი ტემპებით უზრუნველყოფა გულისხმობს დაგროვების მაღალ ტემპს. სსრკ დაგროვების ფონდი (რეზერვების ჩათვლით) მთელი ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით 25%-ს შეადგენს. ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა. სათანადო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაგროვებისა და მოხმარების ფონდებს შორის არსებული თანაფარდობა ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით მნიშვნელოვნად იხრება საერთო-საკავშირო პროპორციიდან. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის განაწილება დაგროვებისა და მოხმარების ფონდებად შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 13).

ცხრილში მოტანილი მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოს სსრ გამოყენებულ ნაციონალურ შემოსავალში დაგროვების ფონდის ხვედრიწონის ცვლილება ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით, რაც განსაკუთრებით ბოლო წლებში შეიმჩნევა. აქვე ჩანს, რომ რესპუბლიკის ნაციონალურ შემოსავალში დაგროვების ფონდი შედარებით მაღალი იყო — 1965 წ. — 27,2, 1967 წ. — 26,4%. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გამოყენებულ ნაციონალურ შემოსავალში დაგროვების ფონდის წილი მთელი რიგი წლების (1961, 1962, 1963 წწ.) მიხედვით დაბალია შესაბამის საერთო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით. საერთო-საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით, ჩვენი რესპუბლიკის ნაციონალურ შემოსავალში დაგროვების ფონდის წილის ეს განსხვავება ძირითადად განპირობებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების თავისებურებებითა და დარგობრივი სტრუქტურით, მწარმოებლური ძალების განვითარების მიღწეული დონით. ამავე დროს აღნიშნული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საჭიროა შემდგომ გაიზარდოს დაგროვების ფონდის წილი რესპუბლიკის ნაციონალურ შემოსავალში, რაც ნაკარნახევია რესპუბლიკის შრომითი რესურსების უფრო რაციონალური და მიზანშეწონილი გამოყენებით, გადამმუშავებელი მრეწველობის მთა-

ცხრილი 13

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის გამოყენება დაგროვების ფონდად და მოხმარების ფონდად (ფაქტიური ფასებით, პროცენტობით ჯამთან)[15]

მაჩვენებლები	1961 წ.	1965 წ.	1967 წ.	1970 წ.	1972 წ.
მთელი გამოყენებული ნაციონალური შემოსავალი	100	100	100	100	100
მათ შორის					
1. მოხმარება — სულ	78,6	72,8	73,6	76,0	79,5
აქედან:					
ა. მოსახლეობის პირადი მოხმარება	70,8	65,3	66,3	68,4	71,4
ბ. მატერიალური დანახარჯები მოსახლეობის მომსახურე დაწესებულებებში	6,5	5,9	6,0	6,2	6,6
გ. მატერიალური დანახარჯები სამეცნიერო დაწესებულებებში და მმართველობაში	1,3	1,6	1,3	1,4	1,5
2. დაგროვება და სხვა გასავლები—სულ	21,4	27,2	26,4	24,0	20,5
აქედან:					
ძირითადი ფონდების მატება (პირუტყვის ჩათვლით)	10,2	13,0	14,3	13,1	11,8
ა. ძირითადი წარმოებრივი ფონდების მატება (პირუტყვის ჩათვლით)	5,2	9,2	7,6	8,4	7,7
ბ. ძირითადი არაწარმოებრივი ფონდების მატება	5,0	3,8	6,7	4,7	4,1
საბრუნავ მატერიალურ საშუალებათა და რეზერვების მატება	11,2	14,2	12,1	10,9	8,7

ვარი და პროგრესული დარგების — ელექტროტექნიკური, ხელსაწყომშენებელი, ქიმიური, აგრეთვე კვებისა და მსუბუქი მრეწველობის და სხვ. შემდგომი სწრაფი ტემპებით განვითარების საჭიროებით. ამ ამოცანის განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებას და შექმნის დაგროვებისა და მოხმარების ფონდებს შორის ოპტიმალური პროპორციების დამყარებისა და რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების პირობებს.

[15] ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VI

საქართველოს სსრ ძირითადი ფონდების აღწარმოების საკითხები

სოციალიზმის დროს საწარმოთა მატერიალური და ფულადი საშუალებები ამ საწარმოთა ფონდებს შეადგენენ[1]. წარმოების საშუალებები, რომლებიც სოციალისტურ საწარმოებს აქვთ, წარმოადგენენ წარმოებრივ ფონდებს. წარმოებრივი ფონდები გამოდიან როგორც ნატურალური, ნივთობრივი, ისე, ღირებულებითი, ფულადი ფორმით.

სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოებრივი ფონდები თავისი აღწარმოების პროცესში გეგმიანი წესით ასრულებენ განუწყვეტელ ბრუნვას, რომლის დროსაც თანმიმდევრულად გადიან წარმოების და მიმოქცევის სტადიას, რომლის შესაბამისადაც იცვლიან თავიანთ ფორმას: ფულადი ფორმა გადადის მწარმოებლურ ფორმაში, მწარმოებლური — საქონლურ ფორმაში, საქონლური — ფულად ფორმაში და ა. შ.

ძირითადი ფონდების აღწარმოება წარმოადგენს ძირითადი ფონდების წარმოების მუდმივ განახლებას, ძირითადი ფონდების

---

[1] ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითადი ფონდების აღწარმოებისა და გამოყენების საკითხების სპეციალურ განხილვას ეძღვნება ნაშრომები: გ. მშვილდაძე, ძირითადი ფონდების აღწარმოების საკითხები, 1969; მისივე, ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები საქართველოში, 1973; ს. სოსელია, სოციალისტური მრეწველობის ძირითადი ფონდები, 1962; ვ. ომიაძე, ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობა საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობაში, 1965; კ. ელიზბარაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები, თბ., 1975; დ. დარსაველიძე, ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების გზები, საკანდიდატო დისერტაცია, 1972; ლ. მახარაძე, ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების გზები მრეწველობაში, ჟურ. „ეკონომისტი", № 9, 1974 და სხვ.

წრებრუნვას, ფონდების ერთი ფორმიდან მეორე ფორმაში გადასვლას, მათ მიერ წარმოებისა და მიმოქცევის სტადიის გავლას.

ძირითადი ფონდების აღწარმოება ხორციელდება სოციალისტური აღწარმოების საერთო კანონზომიერებათა საფუძველზე, მაგრამ ძირითადი ფონდების აღწარმოებას თავისი, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანიც გააჩნია. ძირითადი ფონდების აღწარმოების თავისებურებანი მდგომარეობს იმაში, რომ, ჯერ ერთი, ძირითადი ფონდები აღწარმოების პროცესში მატერიალური დოვლათის შექმნაში მონაწილეობს როგორც ღირებულებით, ისე ნივთობრივად, მაგრამ შექმნილ პროდუქტზე მას გადააქვს მხოლოდ მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულება და მატერიალურად არ შედის მის შემადგენლობაში. მეორე, ძირითადი ფონდების აღწარმოების თავისებურება გამოიხატება აგრეთვე იმით, რომ ძირითადი ფონდების აღწარმოება მათი ღირებულებითი ფორმის მიხედვით შორდება ნატურალური ფორმის მიხედვით აღწარმოებას[2]. ეს განპირობებულია იმით, რომ წარმოებაში ძირითადი ფონდები იმყოფებიან სრულ გაცვეთამდე და განაგრძნობენ ფუნქციონირებას, მაშინ, როდესაც ყოველ საწარმოო ციკლში მათი ღირებულება გადაიტანება ახლად შექმნილ პროდუქტზე და შესაბამისად აღდგება.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების როგორც სოციალისტური საზოგადოების წარმოებრივი აპარატის რაოდენობრივი ზრდა და განუწყვეტელი ხარისხობრივი სრულყოფა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოფს მთელი წარმოების მაღალტექნიკურ დონეს, რაც შრომის მწარმოებლურობის ზრდისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების საფუძველია.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება იმ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წარმოებრივი ფონდების უკუგების გადიდებაზე. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირს ახლა უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი აქვს და ჩვენი მეურნეობის ეფექტიანობა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რო-

---

[2] გ. მ შ ვ ი ლ დ ა ძ ე, ძირითადი ფონდების კვლავწარმოების საკითხები, თბ., 1970, გვ. 46.

გორ იყენებენ ამ პოტენციალს და უწინარეს ყოვლისა მოქმედ საწარმოო ფონდებს. მათი გამოყენების გაუმჯობესება, ფონდუკუგების გადიდება — თუმცა ჩვენმა მრეწველობამ კიდევაც მიაღწია ერთგვარ ძვრებს ამ საქმეში ხუთწლედის მანძილზე — ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება"[3].

წარმოებრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის დაჩქარების დიდმნიშვნელოვანი რეზერვია. ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა ბევრად განსაზღვრავს მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას. ძირითადი წარმოებრივი ფონდების უკეთ გამოყენების დროს უფრო ეფექტიანად გამოიყენება მათში განხორციელებული შრომა და იზრდება პროდუქციის გამოშვება, მაშასადამე, მცირდება განივთებული შრომის რაოდენობა, რომელიც იხარჯება პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე. გაწყობილობათა გამოყენების გაუმჯობესება იწვევს აგრეთვე ცოცხალი შრომის ეკონომიას. საბოლოო ჯამში იზოგება საზოგადოებრივი შრომა და იზრდება პროდუქციის გამოშვება საზოგადოებრივი შრომის ერთეულზე.

ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება ნიშნავს მათი ბრუნვადობის დაჩქარებას. ამის შედეგად იზრდება იმ პროდუქციის რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად მიიღება ძირითადი ფონდების ერთეულიდან, რაც წარმოებრივი სიმძლავრეების გადიდების თანაბარმნიშვნელოვანია.

ამასთან ერთად ძირითადი ფონდების ბრუნვადობის დაჩქარება იწვევს მათი ფიზიკური და მორალური გაცვეთის ვადების დაახლოებას და, ამგვარად, ძირითადი ფონდების განახლების ტემპების დაჩქარებას.

ცოცხალი და განივთებული საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების შემცირება პროდუქციის ერთეულზე, რაც მიიღწევა ძირითადი წარმოებრივი ფონდების უკეთ გამოყენებით, იწვევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და შესაბამისად ნაციონალური შემოსავლის გადიდებას.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის განმაზოგადებელ მაჩვენებელს მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით წარმოადგენს ფონდუკუგება, რომელიც გაიზომება

---

[3] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 79.

როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ან ნაციონალური შემოსავლის შეფარდება ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალოწლიურ ღირებულებასთან. იგი გვიჩვენებს, რამდენი პროდუქციაა გამოშვებული წელიწადში ძირითადი წარმოებრივი ფონდების ერთ მანეთზე. სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით 1974 წელს ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების ერთ მანეთზე გამოშვებულ იქნა 1,2 მან. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი.

სახალხო მეურნეობის დარგებისა და საწარმოების მიხედვით ფონდუკუგების მაჩვენებელი გაიანგარიშება როგორც წლის მანძილზე წარმოებული მთლიანი პროდუქციის ღირებულების შეფარდება ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებასთან.

ფონდუკუგების შებრუნებული მაჩვენებელია პროდუქციის ფონდოტევადობა, რომელიც განისაზღვრებოდა ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების შეფარდებით წარმოებული პროდუქციის ღირებულებასთან.

ფონდუკუგების ზრდას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სოციალისტური საზოგადოებისათვის. იგი საშუალებას იძლევა მიღებული იქნეს მეტი პროდუქცია უკვე არსებული ძირითადი წარმოებრივი ფონდებიდან დამატებითი კაპიტალური დაბანდებების გარეშე. ეს კი ნიშნავს, რომ პროდუქციის საჭირო ნამატის მიღება განხორციელდეს ახალი წარმოებრივი მშენებლობის ნაკლები მოცულობით, რაც საშუალებას იძლევა მეტი სახსრები იქნეს გამოყოფილი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. მოქმედ საწარმოებში ფონდუკუგების გადიდება უზრუნველყოფს პროდუქციის დამატებით ნამატს მშრომელთა მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

ფონდუკუგების დონეზე გავლენას ახდენენ მთელი რიგი ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ფაქტორები. საწარმოებში ფონდუკუგების დონე და დინამიკა ყალიბდება როგორც იმ ფაქტორების ურთიერთმოქმედების შედეგად, რომლებიც ქმნიან წარმოების სტრუქტურასა და მოცულობას, ისე იმ ფაქტორების გავლენით, რომლებიც განსაზღვრავენ ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების მასშტაბსა და დონეს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ფონდუკუგების მაჩვენებლის დინამიკა და მისი ცვლილებების ტენდენცია შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 14).

ცხრილი 14

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების თანაფარდობა 1965—1974 წწ.[4]

წლები	ზრდის ტემპი (%%-ით 1965 წელთან)				
	ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	ნაციონალური შემოსავალი	სახალხო მეურნეობის ძირითადი წარმოებრივი ფონდები	მრეწველ. მთლიანი პროდუქცია	მრეწველ. ძირითადი წარმოებრივი ფონდები
1965	100	100	100	100	100
1970	143	145	148	150	152
1971	153	153	161	162	165
1972	160	159	175	173	179
1973	173	174	190	186	195
1974	183	183	207	200	210

ცხრილიდან ჩანს, რომ უკანასკნელი წლების განსაკუთრებით 1970—1974 წლების მანძილზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი წარმოებრივი ფონდები იზრდებოდა შედარებით უფრო სწრაფად, ვიდრე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ნაციონალური შემოსავალი, რაც იმას ადასტურებს, რომ მიმდინარეობდა ფონდუკუგების გარკვეული შემცირება.

ძირითადად ანალოგიური ტენდენცია ახასიათებდა ფონდუკუგების ცვლილებას სსრ კავშირის მრეწველობაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1940—1955 წლებში სსრ კავშირის მრეწველობაში მიმდინარეობდა ფონდუკუგების ზრდა, ხოლო შემდგომ წლებში დაიწყო მისი შემცირება, 1967—1968 წლებში კვლავ შესამჩნევი გახდა ფონდუკუგების გადიდება, 1970—1974 წლებში კი ფონდუკუგება რამდენადმე შემცირდა.

[4] ცხრილი შედგენილია სტატისტიკური წელიწდეულის — «Народное хозяйство СССР в 1974 году» (М., 1975, стр. 53—59) — საფუძველზე.

ფონდუკუგების აღნიშნული შემცირებები განპირობებული ფაქტორთა ერთობლიობის მოქმედებით, კერძოდ, იგი მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია იმით, რომ ადგილი ჰქონდა მრეწველური ობიექტების მშენებლობის ვადების გახანგრძლივებასა და გაძვირებას, ახალი სიმძლავრეების ნელ ათვისებას, საწარმოთა ნედლეულით მომარაგების ცუდ ორგანიზაციას. იგი გამოწვეული იყო აგრეთვე ნაკლოვანებებით წარმოების ორგანიზაციაში, ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ეკონომიკური სტიმულირების არასაკმარისობით. ამ ფაქტორებიდან აღსანიშნავია აგრეთვე არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები, რომელმაც გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირება.

ფონდუკუგების შემცირების დონეზე არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა აგრეთვე მწარმოებლური ძალების სწრაფ განვითარებას ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში და სხვა რაიონებში, სადაც საწარმოთა მშენებლობის ღირებულება 10—15%-ით მეტია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონში, რაც გამოწვეულია მკაცრი კლიმატური პირობებით, საშენი მასალებისა და მოწყობილობების გადატანის დიდი სატრანსპორტო ხარჯებით, გადიდებული ხელფასით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფონდუკუგების დინამიკა და მისი ცვლილების ტენდენცია შეიძლება დადგენილ იქნეს ძირითადი წარმოებრივი ფონდებისა და წარმოებული პროდუქციის (ან ნაციონალური შემოსავლის) დაპირისპირების გზით. ეს მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრილი 15).

ცხრილიდან ჩანს, რომ როგორც მთლიანად მატერიალური წარმოების დარგების მიხედვით, ასევე მრეწველობის როგორც მატერიალური წარმოების დარგის მიხედვით ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპი ძირითადად წინ უსწრებდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის (მრეწველობაში მთლიანი პროდუქციის) და ნაციონალური შემოსავლის ზრდას. მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ წლებში რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდასთან შედარებით ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობის ზრდის წინგამსწრები (გარდა ზოგიერთი წლისა) ტემპი და, შესაბამისად ფონდუკუგების ძირითადად შემცირების ტენდენცია, გამოწვეული იყო მთელი რიგი ფაქტორებით, კერძოდ, იგი გამოწვეული იყო,

ცხრილი 15

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების თანაფარდობა 1960—1973 წწ.

წლები	ზრდის ტემპი (%-ით 1960 წელთან)				
	ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	ნაციონალური შემოსავალი	ძირითადი წარმოებრივი ფონდები	მრეწველობის მთლიანი პროდუქცია	მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდები
1960	100	100	100	100	100
1965	134	137	143	141	154
1970	196	197	197	216	211
1971	202	200	211	226	225
1972	204	204	224	227	238
1973	217	220	239	244	250

ჯერ ერთი, იმით, რომ აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა კაპიტალური დაბანდებანი ისეთი დარგების განვითარებისათვის, რომლებშიც მაღალია ფონდოტევადობა. განსაკუთრებით დიდი კაპიტალური დაბანდებები იქნა გაწეული სოფლის მეურნეობის, ქიმიური მრეწველობის, ელექტროენერგეტიკისა და სხვა დარგების განვითარებისათვის, რომელთა პროდუქციაც შედარებით უფრო ფონდოტევადია. ამ გარემოებამ განაპირობა ფონდუკუგების შესაბამისი შემცირება. მეორე, ფონდუკუგების შემცირება განაპირობა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთი დარგის, კერძოდ მშენებლობის მასობრივად აღჭურვამ ახალი ტექნიკით გამოიწვია ფონდუკუგების რამდენადმე შემცირება. მესამე, ფონდუკუგების შემცირებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ისიც, რომ მატერიალური წარმოების მთელი რიგი დარგების — მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და სხვათა მიხედვით ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენებაში, რაც გამოიხატა იმით, რომ რესპუბლიკის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ იქნა სერიოზული შეცდომები და დარღვევები სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში.

[5] ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

ფონდუკუგების გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოწყობილობის ინტენსიურ გამოყენებას, ე. ი. მისი სიმძლავრის სრულ გამოყენებას სამუშაო დროის ყოველ ერთეულში. ეს იმას ნიშნავს, რომ ფონდუკუგების გადიდების ყველაზე ეფექტიანი გზებია: საწარმოთა რეკონსტრუქცია და ხელახალი ტექნიკური აღჭურვა; ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის გადიდება; ახალი ფონდების ამოქმედების დაჩქარება, მათი საპროექტო სიმძლავრის სწრაფად მიღწევა; მოწყობილობის პარკის სტრუქტურის სრულყოფა; მოძველებული ჩარხების, მანქანებისა და აპარატების შეცვლა და მოდერნიზაცია; მოწყობილობის თითოეული ერთეულის მწარმოებლურობის გადიდება ტექნიკური პროგრესის, პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენების, მოწინავე გამოცდილების გავრცელების, ტექნიკისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების საფუძველზე.

მეტად მნიშვნელოვანია მოწყობილობის ექსტენსიური (დროის მიხედვით) გამოყენების რეზერვებიც. მათ მიეკუთვნება: მოცდენათა ლიკვიდაცია ორგანიზაციული და ტექნიკური მიზეზების გამო, მოწყობლობის მთელი არსებული პარკის გამოყენება, მუშაობის უფრო რაციონალური რეჟიმის შემოღება, კერძოდ ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდება; გაწყობილობის რემონტის ხარისხის გაუმჯობესება და მისი ვადების შემცირება და ა. შ.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როგორც წესი, ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელია პროდუქციის მატება უზრუნველვყოთ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური მოდერნიზაციის გზით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VII

მუშაძალის აღწარმოების ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ-ში

მუშაძალის აღწარმოება და მისი ფუნქციონირება წარმოადგენს წარმოებისა და აღწარმოების განუყოფელ ელემენტს. სოციალიზმის დროს ძირეულად იცვლება მუშაძალის აღწარმოების ბუნება, რაც იმით განისაზღვრება, რომ მუშაძალის შეერთება წარმოების საშუალებებთან ემყარება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას და საზოგადოებრივი შრომის გეგმაზომიერ ორგანიზაციას. სოციალისტური საზოგადოება გეგმაზომიერად წარმართავს მუშაძალის აღწარმოების პროცესს, სისტემატურად ზრუნავს მოსახლეობის ზრდისათვის, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის განუხრელი ამაღლებისათვის.

სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე, მოსპობილია მშრომელი მასების უმუშევრობა, რაც განაპირობებს შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულ დასაქმებას. სოციალიზმის დროს წარმოიშობა მუშაძალის აღწარმოების ახალი კანონზომიერებანი, რომლებიც გულისხმობენ შრომითი რესურსების გეგმაზომიერ და რაციონალურ გამოყენებას, კადრების გეგმიან მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის სისტემატურ ზრდას.

სოციალისტური საზოგადოების წევრთა მიერ მიღებული მატერიალური დოვლათისა და მომსახურების მოცულობა მთლიანად შრომის მიხედვით განაწილებით არ განისაზღვრება. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება იმ პროდუქტებსა და მომსახურებაზე, რომელსაც ინდივიდი მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან იღებს. ჩვენი აზრით, მართებულად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება,

რომელიც თვლის, რომ შრომის მიხედვით განაწილება ხელფასის აბსოლუტურ მოცულობას კი არ განსაზღვრავს, არამედ მისი დიფერენციერების საფუძველია. აქედან გამომდინარე, სოციალისტურ საზოგადოებაში მუშაძალის ღირებულების კანონის ნაცვლად წარმოიშვა აუცილებელი პროდუქტის კანონი, რომელიც სხვა კანონებთან ურთიერთკავშირის საფუძველზე განსაზღვრავს მატერიალური დოვლათისა და მომსახურების იმ ოდენობას, რაც აუცილებელია მუშაძალის აღწარმოებისათვის[1].

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პროცესში მიმდინარეობს მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის გადიდება, მათი წარმოებრივი კვალიფიკაციის განუხრელი ამაღლება.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხოვნობა შეადგენდა (ათასობით) 1940 წელს—494 კაცს, 1950 წ.—629, 1955 წ.—744, 1960 წ.—940, 1965 წ.—1202, 1970 წ.—1490, 1971 წ.—1546, 1972 წ.—1576, 1973 წ.—1608, 1974 წ.—1643 კაცს[2], ე. ი. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობის ზრდის ტემპი 1974 წელს 1940 წელთან შედარებით 285% შეადგენდა, ხოლო 1960 წელთან შედარებით 165%.

აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხოვნობის ზრდის ტემპი შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 16).

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგებში მიმდინარეობდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობის მნიშვნელოვანი გადიდება.

სათანადო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ ომისშემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის დამახასიათებელია მრეწველობის მუშაკთა რიცხვის შედარებით უფრო სწრაფი ტემპებით ზრდა სსრ კავშირის მრეწველობის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით.

---

[1] გ. ადეიშვილი, შრომითი რესურსების კვლავწარმოების შესახებ სოციალიზმის დროს, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", № 11, 1969, გვ. 16.

[2] საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხოვნობის ზრდის ტემპი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით 1965—1973 წწ.[3]

(პროცენტობით 1965 წელთან)

დარგები	1965 წ.	1970 წ.	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.
სულ სახალხო მეურნეობაში	100	124	129	131	134
მრეწველობა (მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალი)	100	117	118	117	118
მშენებლობა (სამშენებლო-სამონტაჟო საქმეზე დასაქმებული პერსონალი)	100	124	132	128	124
სოფლის მეურნეობა	100	138	148	157	161
მათ შორის საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა წარმოებრივი სოფლის მეურნეობრივი საწარმოები	100	141	149	157	161
სატყეო მეურნეობა	100	171	167	171	186
ტრანსპორტი	100	122	122	127	128
კავშირგაბმულობა	100	150	160	166	167
ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, დამზადებები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება	100	123	129	134	137

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ხვედრიწონის ცვლილების პროცესის ძირითადი კანონზომიერება 1958—1974 წლების განმავლობაში ხასიათდებოდა მუშაძალის რიცხოვნობის აბსოლუტური ზრდით და ხვედრიწონის შეფარდებითი შემცირებით მატერიალური წარმოების დარგებში, ხოლო მუშაძალის რიცხოვნობის აბსოლუტური ზრდითა და ხვედრიწონის შეფარდებითი გადიდებით არაწარმოებრივ სფეროში.

ამ გარემოებაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 17).

[3] საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

ცხრილში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა ხვედრიწონა 1958 წელს 82,6%-დან შემცირდა 74,4%-მდე 1974 წლისთვის და ამავე პერიოდში არაწარმოებრივ სფეროში დასაქმებულთა ხვედრიწონა შესაბამისად გაიზარდა 1958 წლის 17,4%-დან 25,6%-მდე 1974 წლისათვის.

სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებულთა ხვედრიწონის ცვლილება სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 18).

ცხრილში მოტანილი მონაცემების განხილვა გვიჩვენებს, რომ 1958—1974 წლებში ხვედრიწონა იმ მუშაკებისა, რომლებიც დასაქმებულნი არიან მრეწველობასა და მშენებლობაზე, 1958 წლის 21%-ღან 1974 წლისათვის 26%-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში შესაბამისად გაიზარდა იმ მუშაკების რიცხოვნობის ხვედრიწონა, რომლებიც დასაქმებულნი არიან ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, კერძოდ, იგი 1958 წლის 5%-დან 1974 წლისათვის 8%-მდე გაიზარდა. ამავე წლებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის ხვედრიწონა 51%-დან 36%-მდე შემცირდა.

ზემოთ მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ხვედრიწონის შეფარდებითი შემცირება და შესაბამისად არაწარმოებრივ სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობის ხვედრიწონის გადიდება გამოწვეულია სოფლის მეურნეობრივ სამუშაოთა მექანიზაციისა და მის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის საგრძნობი შემცირებით და აგრეთვე არაწარმოებრივი სფეროს მუშაკების რიცხოვნობის მნიშვნელოვანი ზრდით. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრიწონა მთლიანად სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 1958—1974 წლების მანძილზე 51%-დან 36%-მდე შემცირდა.

საქართველოს სსრ მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობა 1950 წლის 175 ათასი კაციდან 1973 წლისათვის 388 ათას კაცამდე გაიზარდა. რესპუბლიკის მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ზრდასთან ერთად განხორციელდა

ცხრილი 17

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის განაწილება წარმოებრივ და არაწარმოებრივ სფეროებს შორის (მოსწავლეთა გარეშე, პროცენტობით)[4]

მაჩვენებლები	1958 წ.	1960 წ.	1961 წ.	1962 წ.	1963 წ.	1965 წ.	1970 წ.	1973 წ.	1974 წ.
მთელ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულნი	100	100	100	100	100	100	100	100	100
მათ შორის:									
მატერიალური წარმოების სფეროში (სატვირთო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, რომელიც წარმოებას ემსახურება, ვაჭრობისა და პირადდამხმარე მეურნეობის ჩათვლით)	82,6	82,1	81,0	80,2	80,0	79,4	76,2	75,0	74,4
არაწარმოებრივ დარგებში	17,4	17,9	19,0	19,8	20,0	20,6	23,8	25,0	25,6
მათ შორის:									
ჯანმრთელობის დაცვაში, სოციალურ უზრუნველყოფაში; განათლებასა, კულტურასა და ხელოვნებაში; მეცნიერებასა და მეცნიერულ მომსახურებაში.	12,1	12,5	13,3	13,8	14,2	14,5	16,3	17,1	17,6
დანარჩენ არაწარმოებრივ დარგებში (საბინაო-კომუნალური მეურნეობა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, სახელმწიფოებრივი მმართველობის აპარატი, კოოპერატიული და საზოგადოებრივი მართვის ორგანოები და სხვ.)	5,3	5,4	5,7	6,0	5,8	6,1	7,5	7,9	8,0

აგრეთვე მუშაძალის მიხედვით რესპუბლიკის მრეწველური წარმოების კონცენტრაციის დონის შემდგომი ამაღლება, რომელმაც დააჩქარა სპეციალიზაციისა და კოოპერირების პროცესი და შესაბამისად მრეწველობის მთლიანი პროდუქციისა და წმინდა პროდუქციის წარმოების გადიდება.

[4] ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

ცხრილი 18

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის განაწილება დარგების მიხედვით (მოსწავლეების გარეშე, პროცენტობით) 1958—1974 წწ.[5]

დარგების დასახელება	1958 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1973 წ.	1974 წ.
სახალხო მეურნეობაში დასაქმებული სულ	100	100	100	100	100	100
მათ შორის:						
მრეწველობასა და მშენებლობაზე	21	23	25	27	27	26
სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში (პირადდამხმარე სოფლის მეურნეობის ჩათვლით)	51	48	43	38	36	36
ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში	5	6	6	7	8	8
ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, დამზადებებსა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში	5	5	5	6	6	6
ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზკულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაში, განათლებასა, კულტურასა და ხელოვნებაში; მეცნიერებასა და მეცნიერულ მომსახურებაში	12	12	15	16	17	18
სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოების აპარატში, კოოპერატიული და საზოგადოებრივი მართვის ორგანოებში, საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულებებში	2	2	2	2	2	2
სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში (საბინაო-კომუნალური და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვ.)	4	4	4	4	4	4

სათანადო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდებოდა მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა და შესაბამისად იცვლებოდა მისი განაწილება მრეწველობის დარგების მიხედვით.

საქართველოს სსრ მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის სტრუქტურა დარგების მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 19):

[5] ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

ცხრილი 19

საქართველოს სსრ მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის სტრუქტურა დარგების მიხედვით[6] (პროცენტობით ჯამთან)

დარგების დასახელება	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.
მთელი მრეწველობა	100	100	100	100	100	100
მათ შორის:						
1. ელექტროენერგეტიკა	2,4	2,4	3,2	3,4	3,4	3,2
2. სათბობის მრეწველობა	4,3	3,0	2,3	2,2	2,1	2,0
3. შავი მეტალურგია	7,6	7,2	5,8	5,6	5,5	5,4
4. ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	3,4	5,0	5,7	5,6	5,6	5,4
5. მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	19,8	21,1	20,8	21,7	22,2	22,2
6. ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობა	7,7	6,3	5,8	6,3	6,5	6,5
7. საშენ მასალათა მრეწველობა	8,6	7,5	8,5	8,7	8,8	9,1
8. მსუბუქი მრეწველობა	23,9	24,2	24,8	23,9	24,1	24,1
აქედან:						
შალეულის	11,4	11,9	11,3	10,9	10,7	11,2
სამკერვალო	6,8	8,6	10,2	9,7	10,2	10,2
ტყავის, ბეწვეულის და ფეხსაცმლის	5,1	3,7	3,1	3,0	3,03	3,1
9. კვების მრეწველობა	15,6	15,6	15,9	15,9	16,4	16,0
აქედან:						
ღვინის	2,1	2,2	2,8	2,7	2,4	2,2
საკონსერვო	1,5	1,9	1,8	1,7	1,7	1,7
ჩაის	2,7	2,3	2,2	0,7	0,7	2,2
თამბაქო წეკოს	1,0	1,0	0,7	0,7	0,7	0,7

ცხრილში მოტანილი მონაცემების განხილვა გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობის დარგებიდან მუშა-მოსამსახურეთა შედარებით მეტი რაოდენობა დასაქმებულია მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში (22,2%), შემდეგ საშენ მა-

[6] საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

სალათა მრეწველობაში (9,1%), შავ მეტალურგიაში (5,4%), ხეტყის, ხის დამუშავების და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში (6,5%), ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში (5,4%), ელექტროენერგეტიკაში (3,2%) და ა. შ.

საკუთრივ მსუბუქი მრეწველობის დარგებიდან მუშაკთა უფრო მეტი რიცხოვნობა იყო დასაქმებული შალეულის მრეწველობაში (11,2%), ხოლო კვების მრეწველობიდან ჩაის მრეწველობაში (2,2%).

უნდა აღინიშნოს, რომ თუ შევადარებთ მძიმე მრეწველობის ხვედრიწონის დინამიკას ძირითადი წარმოებრივი ფონდებისა და სამრეწველო მუშათა რიცხვის მიხედვით დავინახავთ, რომ პირველის მიხედვით იგი უფრო მცირედ გაიზარდა და მაღალი იყო, მეორეს მიხედვით კი ნაკლები იყო და მცირდებოდა კიდეც 1950 წლის შემდეგ. ეს ნიშნავდა ამ დარგების შრომატევადობის შემცირებას, მაშინ, როცა შრომის ფონდოშეიარაღება მაღლდებოდა და, მაშასადამე, ამის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობა იზრდებოდა[7].

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში მრეწველობაში მუშაკთა რიცხოვნობის შეფარდებითი უფრო დაბალი ზრდის ტემპების პირობებში როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით საგრძნობლად გაიზრდება მრეწველობის მთლიანი პროდუქცია და შრომის მწარმოებლურობა. მთლიანი პროდუქციისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები საგრძნობლად გაუსწრებს მრეწველობაში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობის ზრდის ტემპებს[8].

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პროცესში 1950—1975 წწ. შრომითი რესურსების აღწარმოებისათვის დამახასიათებელია არაწარმოებრივი სფეროს დარგებიდან ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაში, მეცნიერებასა და მეცნიერულ მომსახურებაში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდის უფრო სწრაფი ტემპი, ვიდრე მატერიალური წარმოების სფეროს ისეთი დარგებში, როგორიცაა მშენებლობა, ვაჭრობა, დამზადებები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ამასთან თვით არაწარმოებრივი სფე-

---

[7] ვ. ადვაძე, საქართველოს სსრ მრეწველობის ზრდის ტემპები და სტრუქტურა ომისშემდგომ პერიოდში, თბ., 1971, გვ. 155.

[8] А. Л. Гуния, Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР, Тбилиси, 1961.

როს სხვა დარგებთან შედარებით განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვასა და მეცნიერებაში დასაქმებულთა რიცხოვნობა განსაკუთრებით სწრაფად იზრდება. 1958 წ. საქართველოს განათლების და ჯანმრთელობის დაცვისა და მეცნიერების და მეცნიერული მომსახურების დარგში დასაქმებულთა ხვედრიწონა 12,1 პროცენტიდან 1974 წლისათვის 17,6 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო არაწარმოებრივი სფეროს დანარჩენ დარგებში დასაქმებულთა ხვედრიწონა შესაბამისად 5,3 პროცენტიდან 8,0 პროცენტამდე გადიდდა.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების დაჩქარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, წარმოებრივ და არაწარმოებრივ სფეროებს შორის მათი განაწილების სრულყოფა, ამ სფეროების თანაფარდობაში ოპტიმალური პროპორციების მიღწევა.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრიწონა 11 პროცენტით აჭარბებდა შესაბამის მაჩვენებელს მთლიანად მთელი ქვეყნის მასშტაბით. დასაქმებულობის სტრუქტურის ამ თავისებურებამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის მოცულობაზე[9].

სათანადო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობასა და ხვედრიწონას ახასიათებდა ზრდის ტენდენცია და შეადგენდა 1926 წლის მთელი მოსახლეობის რიცხოვნობის 49,0%, 1939 წელს 50,3% და 1959 წელს 56,1%, ხოლო 1970 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ეს მაჩვენებელი 52,6%-მდე შემცირდა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 1959 წელთან შედარებით შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა 30,2%დან 32,7%-მდე გაიზარდა და ამავე დროს განუხრელად იზრდებოდა აგრეთვე შრომისუნარიან ასაკის გადაცილებითი მოსახლეობის ხვედრიწონა —10,0 %-დან 1926 წლის გადიდდა 14,7%-მდე 1970 წლისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 60-იან წლებამდე უფრო ინტენსიურად იზრდებოდა შრომისუნარიანი ასაკის მქონე ქალთა ხვედრიწონა. საერთოდ 50-იან წლებამდე მთელი მოსახლეობის ზრდის ტემპი წინ

---

[9] В. И. Мелкадзе, Закономерности воспроизводства национального дохода в Грузинской ССР, Тб., 1974, стр. 129—130.

უსწრებდა შრომითი რესურსების ზრდის ტემპს, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელის ზრდის ტემპი ხდება ნაკლებ ინტენსიური, ვიდრე მოსახლეობის ზრდის ტემპი მთლიანად[10].

საქართველოს სსრ შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებას.

---

[10] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, თბ., 1973, გვ. 206—207.

თავი VIII

სოციალისტური აღწარმოება და სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ეკონომიკაში

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესი ხასიათდება ქვეყნის სხვადასხვა რაიონების ეკონომიკური განვითარების დონეთა განუხრელი ამაღლებით და საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის სრულყოფით. ამავე დროს მიმდინარეობს მოკავშირე რესპუბლიკებისა და რაიონების განვითარების ეკონომიკურ დონეთა გამოთანაბრება, რაც სოციალისტური სახალხო მეურნეობის ობიექტური კანონზომიერებაა. სკკპ პროგრამაში მითითებულია, რომ „პარტია კვლავაც განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ფაქტიურ თანასწორობას მათი ინტერესების სრული გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ჩვენი ქვეყნის იმ რაიონებს, რომლებსაც უფრო სწრაფი განვითარება ესაჭიროება"[1]. სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად, რომელსაც განვითარებული მრეწველობა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, მაღალგანვითარებული მეცნიერება და კულტურა აქვს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა და განვითარდა მრეწველობის ისეთი ახალი დარგები, როგორიცაა შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური, საავტომობილო, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებელი და გემმშენებელი, მნიშვნელოვნად განვითარდა კვებისა და მსუბუქი მრეწველობა.

ძირეული ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. საგრძნობლად გაიზარდა ძვირფასი მრავალ-

---

[1] სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბ., 1962, გვ. 503—504.

წლიანი კულტურებით დაკავებული ფართობები, ფართოდ განვითარდა ჩაის, ყურძნის, ციტრუსებისა და სხვ. წარმოება.

მიახლოებითი გაანგარიშებით დადგენილია, რომ რესპუბლიკაში წარმოებული ნაციონალური შემოსავლის მოცულობა 1973 წელს, 1913 წელთან შედარებით, 74-ჯერ გადიდდა, ხოლო 1970 წელს, 1922 წელთან შედარებით, 102-ჯერ[2].

ამასთან ერთად, სათანადო მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი 15—20 წლის განმავლობაში, საშუალო-საკავშირო და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით, შენელდა ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული და საერთო ეკონომიკური განვითარების ტემპი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნა, რომ „უკანასკნელი 15—20 წლის მანძილზე, მათ შორის მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში, სამრეწველო პოტენციალის ზრდის ტემპი შემცირდა და მნიშვნელოვნად ჩამორჩა ანალოგიურ საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს. არ სრულდებოდა პარტიული ყრილობების გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, რომ უფრო სწრაფი ტემპით განევითარებინა დარგები, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. მაგალითად, ქიმიური მწერველობის განვითარება არა მარტო შენელდა, არამედ მიღწეული მიჯნებიც კი დათმო.

ასეთი ფაქტები არის მანქანათმშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობაში და სხვა დარგებში“[3].

1940—1972 წწ. განმავლობაში მთლიანად სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 13,7-ჯერ გაიზარდა, საქართველოში —8,8-ჯერ, 1960-1972 წწ. შესაბამისად, 2,6-ჯერ და 2,3-ჯერ. სათანადო გაანგარიშებებით ირკვევა, რომ 1970 წელს საქართველოში ინდუსტრიული განვითარების დონე საერთო-საკავშირო მაჩვენებლის 65 პროცენტს შეადგენდა. რესპუბლიკის საერთო-ეკონომიკური განვითარების ინდექსი, რომელიც ერთდროულად ითვა-

---

[2] ვ. მ ე ლ ქ ა ძ ე, საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების კომპლექსური პროგრამა, თბ., 1975, გვ. 14.

[3] ე. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 17.

ლისწინებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების დონეს, როგორც 1965 წელს. ისე 1970 წელს შეადგენდა 76%, ე. ი. საშუალო-საკავშირო მაჩვენებელზე 24%-ით ნაკლები იყო, რესპუბლიკა დაახლოებით 2-ჯერ ჩამორჩებოდა სსრ კავშირის ყველაზე მეტად განვითარებულ ეკონომიკურ რაიონს და 26%-ით აღემატებოდა საერთო-ეკონომიკური განვითარების მინიმალური დონის მქონე რაიონს[4].

ეკონომიკური განვითარების შედარებითი დონის დამახასიათებელ ურთიერთდაკავშირებულ განმაზოგადებელ მაჩვენებელთა უმეტესობა ჩვენს რესპუბლიკაში საშუალო-საკავშირო დონის ორი მესამედის ფარგლებში მერყეობდა. მაგალითად, 1970 წელს საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის სულადობრივი წარმოების მოცულობა ანალოგიური საკავშირო მაჩვენებლების 71,3% შეადგენდა, კაპიტალდაბანდებანი—68,5%, მატერიალური წარმოების მუშაკთა ფონდოაღჭურვილობა—70,1%, მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა—68%, ელექტროაღჭურვილობა მრეწველობაში—77,4%, შრომის მწარმოებლურობა მრეწველობაში (კვების მრეწველობის მასალა ტევადი დარგის გავლენის გამოთიშვით)—88,3%, სოფლის მეურნეობაში—53,6%[5].

ნაციონალური შემოსავლის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე, რაც რესპუბლიკებისა და რაიონების ეკონომიკური განვითარების დონეთა შედარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, საქართველოს სსრ-ში საშუალო-საკავშირო დონის 72,9% შეადგენდა.

საქართველოს სსრ მატერიალური წარმოების დარგებში მთლიანად და წარმოებისა და მიმოქცევის სფეროებში ერთ დასაქმებულზე როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ისე ნაციონალური შემოსავლის გამომუშავების დონის მიხედვით ადგილი ჰქონდა შემცირების ტენდენციას შესაბამის საერთო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით. ამასთან ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მიმოქცევის სფეროში[6].

---

[4] В. И. Мелкадзе, Закономерности воспроизводства национального дохода в Грузинской ССР, Тб., 1974, стр. 254—255.

[5] ჟურ. „ეკონომისტი", № 4, 1974, გვ. 4.

[6] А. Л. Гуния, К вопросу о темпах и пропорциях воспроизводства в экономике Грузии, Тб., 1969, стр. 353—355.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ გამოავლინა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სერიოზული ნაკლოვანებები, დასაბამი მისცა ჩვენს რესპუბლიკაში ნეგატიური ტენდენციების წინააღმდეგ უკომპრომისო და გადამწყვეტ ბრძოლას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით თბილისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ეყო ძალები და ვაჟკაცობა დაეგმო, როგორც ეკონომიკის ხელმძღვანელობის სტილი, ისე მეთოდები და შინაარსი, რომლებიც საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყო[7].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ნოემბრისა და შემდგომი წლების პლენუმებზე, პარტიული და სამეურნეო აქტივის რესპუბლიკურ კრებებზე ხაზგასმით იქნა მითითებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები, ხუთწლედის დავალებათა არადამაკმაყოფილებელი შესრულების მიზეზები, რამაც თავისი გამოვლენა ჰპოვა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების შენელებით.

ამ პლენუმებზე, რომლებსაც საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, შემუშავებულ იყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაზე პარტიული გავლენის გაძლიერების, სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის კომპლექსური ღონისძიებები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ მეცხრე ხუთწლედში საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მკაფიოდ გამოიყოფა ორი ეტაპი: პირველი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული

---

[7] გაზ. „კომუნისტი“, 23 იანვარი 1976 წ., № 23 (16449).

და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღებამდე. და მეორე ამ დადგენილების მიღების შემდეგ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციისათვის. პირველ ეტაპზე პოლიტიკური ასპექტით სერიოზული გადახვევები იყო დემოკრატიული ცენტრალიზმის ცალკეული პრინციპებიდან, ჯეროვანი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. ეკონომიკური ასპექტით ამ პერიოდს ახასიათებდა ხუთწლედის დავალებებისაგან, საერთო-საკავშირო მაჩვენებლებისაგან ჩამორჩენის გაღრმავების ტენდენცია, წარმოების ზრდის ტემპების შენელება. ეკონომიკის განვითარების თვისებრივი მაჩვენებლების გაუარესება, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ელემენტები სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობაში. ხელმძღვანელობდა რა პარტიის ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში ჩამოყალიბებული ამოცანებით, მეორე ეტაპზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით განამტკიცებდა პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, სოციალისტურ დემოკრატიას, ყოველმხრივ იღვწოდა რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. ეკონომიკის დარგში ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია წარმოების ტემპების მნიშვნელოვანი ზრდა, საერთო-საკავშიროსაგან ზოგიერთი რესპუბლიკური მაჩვენებლის ჩამორჩენის შემცირება, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ხარისხობრივი ფაქტორების გაუმჯობესება[8].

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების ლოგიკური განგრძობა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1974 წლის იანვარში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებული დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც მოცემულია ნაკლოვანებათა პრინციპული შეფასება, დასახულია საქართველოს ეკონომიკის განმტკიცების ახალი მიჯნებისაკენ წინსვლის გრანდიოზული პერსპექტივა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების კომპლექსური პროგრამა. ეს ისტორიული დადგენილება ლენინური

---

[8] დადგენილება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, გაზ. „კომუნისტი“, 6 თებერვალი 1976 წ., № 31 (16463).

ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების ნათელი მაგალითია.

ამ დადგენილებაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეულ უდიდეს წარმატებებთან ერთად, აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელ წლებში შენელდა რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები და შემცირდა მათი ხვედრიწონა საერთო-საკავშირო წარმოებაში. არასაკმარისად ვითარდებოდა მანქანათმშენებლობის შრომატევადი დარგები, არსებული ბუნებრივი პირობები არასრულად გამოიყენებოდა მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის, ბევრ საწარმოში არადამაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა წარმოებრივი სიმძლავრეები, არასაკმარისი იყო მათი ტექნიკური აღჭურვილობა, ადგილი ჰქონდა არსებით ნაკლოვანებებს სახალხო მეურნეობის მართვაში. დადგენილებაში მითითებულია აგრეთვე შრომის მწარმოებლურობის ზრდის არასაკმაო ტემპი, კვალიფიციური მუშების ნაკლებობა და სხვ.

ამ დადგენილებამ დასახა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის, რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის მკვეთრი ზრდის კონკრეტული მიმართულებები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩანაფიქრის სიღრმისა და ურთიერთდაკავშირებულ გადაწყვეტილებათა კომპლექსურობით ამ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ მთელი სამეურნეო მშენებლობის ისტორიაში.

საქართველოს სსრ საერთო ეკონომიკური ჩამორჩენილობის ერთ-ერთ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების არასაკმაო დონე, რაც გამოიხატება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობაში მრეწველური და სამშენებლო წარმოების დაბალი ხვედრიწონით. ფასწარმოქმნის თანამედროვე სისტემის პირობებში მრეწველობაში საშუალოდ ერთ მომუშავეზე 3-ჯერ მეტი მთლიანი და 2,2-ჯერ მეტი წმინდა პროდუქცია იწარმოება, ვიდრე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დანარჩენ დარგებში. ამჟამად რესპუბლიკის მრეწველობასა და მშენებლობაში მუშაობს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა 27%, მთლიანად სსრ კავშირში ანალოგიური მაჩვენებელი კი 37% უდრის. საქართველოს სსრ მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებულთა ხვედრიწონა საკავშირო მაჩვენებლის ტოლი რომ ყოფილიყო, მაშინ საგრძნობ-

ლად უფრო დიდი იქნებოდა რესპუბლიკაში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის მოცულობაზ.

როგორც ზემოთ (იხ. თავის III) უკვე აღინიშნა, საქართველოს სსრ მრეწველური განვითარების ტემპების და საერთოდ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპების მიხედვით ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების დაბალი ტემპი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ 1973 წლიდან იმის შედეგად, რომ ხელსაყრელი პოლიტიკური წინაპირობები შეექმნა სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ფართოდ გაიშალა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება, კარგი საძირკველი ჩაეყარა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას. ამან საშუალება მოგვცა თანდათანობით შეგვემცირებინა ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე შექმნილი სხვაობა მრეწველური წარმოების ზრდის ტემპებში და წარმატებით გადავსულიყავით დასახულ მიჯნებზე. ამ პერიოდში აქტიურად ვითარდებოდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, განხორციელდა საწარმოთა შემდგომი ტექნიკური განახლების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებები. ყოველივე ამის შედეგად რესპუბლიკის მშრომელებმა ჭეშმარიტად უდიდეს წარმატებას მიაღწიეს — მათ არა მარტო უზრუნველყვეს მეცხრე ხუთწლედის ბოლო სამი წლისათვის გათვალისწინებული სახალხო მეურნეობრივი გეგმების შესრულება, არამედ მთლიანად დაძლიეს ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე შექმნილი ჩამორჩენა, წარმატებით შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის საგეგმო დავალებანი და გავიდნენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულ მიჯნაზე.

აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ის, რომ ვადამდე, 1975 წლის 2 დეკემბერს შესრულდა ჩვენს რესპუბლიკაში მრეწველობის პროდუქციის წარმოების მეცხრე ხუთწლედის დირექტიული დავალება. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე მრეწველური წარმოების ზრდის ტემპმა შეადგინა 40,1%. ამასთან მთელი მატების 85 პრო-

---

[9] ვ. მ ე ლ ქ ა ძ ე, საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების კომპლექსური პროგრამა, თბ., 1975, გვ. 24—25.

ცენტზე მეტი უზრუნველყოფილია შრომის მწარმოებლურობის გადიდების გზით. აღსანიშნავია, რომ მარტო 1975 წელს, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა თითქმის 227 მილიონი მანეთის პროდუქცია, სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული 200 მილიონი მანეთის ნაცვლად, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ დაგვეფარა გასული ხუთწლეულის პირველ ორ წელიწადში წარმოქმნილი დანაკლისი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მიმდინარე პოზიტიური ძვრების გამოხატულებაა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. მეცხრე ხუთწლედის ბოლო სამი წლის მანძილზე მრეწველური და სოფლის მეურნეობრივი წარმოების მოცულობა, აგრეთვე შრომის მწარმოებლურობა უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. 1973 წელს მრეწველური წარმოების ზრდის ტემპი, გეგმით გათვალისწინებული 4,4% ნაცვლად 7,0%-ით გაიზარდა, 1974 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა 9,0% და 11,4% შეადგინა, 1975 წლის კი 8,1 და 11,2%. მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელი სამი წლის მანძილზე შრომის მწარმოებლურობის გადიდების საშუალო წლიურმა ტემპმა მრეწველობაში 8,1% შეადგინა, 1971—1972 წლებში კი მხოლოდ 2,2% იყო.

აღსანიშნავია, რომ თუ 1971—1972 წლებში რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 1,2% იყო, 1973—1975 წლებში შესაბამისი საშუალო წლიური მაჩვენებელი 8,7% შეადგენდა.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში უპირატესი ტემპით ვითარდება ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგები — ელექტროტექნიკური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა წარმოება და სხვ.

მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის ინდუსტრიის განვითარებაში რაოდენობრივ ცვლილებებთან ერთად მოხდა დიდმნიშვნელოვანი თვისებრივი სტრუქტურული ძვრებიც. პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მადნეულის სპილენძის მადნის გამამდიდრებელი კომბინატი. ამით შეიქმნა საქართველოს მრეწველობის ახალი დარგი — ფერადი მეტალურგია. ამოქმედდა მეცხრე ხუთწლედის მეორე დირექტიული მშენებლობაც — ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა, რო-

მელმაც აგრეთვე დასაბამი მისცა რესპუბლიკაში ახალი დიდმნიშვნელოვანი სახეობის მრეწველობის პროდუქციის წარმოებას.

მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელი წლები აღინიშნა ნავთობის საბადოთა აღმოჩენით აღმოსავლეთ საქართველოში. აღსანიშნავია, რომ სპეციალისტთა პროგნოზებით საქართველოში ნავთობის მოპოვება 1977 წელს მიაღწევს 1 მილიონს, 1980 წლის დამლევისათვის კი თითქმის 3 მილიონ ტონას. ამის შედეგად ჩვენს რესპუბლიკაში ისახება ნავთობმომპოვებელი მრეწველობის განვითარებისა და ნავთობქიმიური მრეწველობის შექმნის პერსპექტივა.

მეცხრე ხუთწლედში გარკვეული თვისებრივი ძვრები მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. მიღწეულია სოფლის მეურნეობის მთლიანი და წმინდა პროდუქციის საგრძნობი ზრდა, შრომის მწარმოებლურობის გადიდება, რასაც ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თანამიმდევრულად ხორციელდება და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლისმეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაციას, კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას.

მეცხრე ხუთწლედის მთავარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანა — მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება — საქართველოში ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით შესრულდა. ნაციონალური შემოსავლის ზრდის საფუძველზე გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი და კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობებისაგან, 33 პროცენტით გაიზარდა მოსახლეობის ერთ სულზე მისაცემლები და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან და შესაბამისად ამაღლდა სახალხო განათლების, სამედიცინო, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა მოითხოვს შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას. საჭიროა რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში შემდგომ ამაღლდეს ინდუსტრიული დარგების, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობის ხვედრიწონა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„რესპუბლიკის ეკონომიკის დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა სახალ-**

ხო სამეურნეო კომპლექსში დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება და პროპორციათა ოპტიმიზაცია.

მთლიანად მეცხრე ხუთწლედის მანძილზე მთელი რიგი ფაქტორების მოქმედებისა და უწინარეს ყოვლისა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, აგრეთვე პროგრესული დარგების დაჩქარებული განვითარების შედეგად შეიმჩნეოდა სახალხო მეურნეობის სტრუქტურის ერთგვარი გაუმჯობესება — გაიზარდა მრეწველობის წილი საზოგადოებრივ წარმოებაში. მაგრამ საქართველოს სს რესპუბლიკის საზოგადოებრივი წარმოების ახლანდელი სტრუქტურაც ვერ უზრუნველყოფს საშუალო საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების ჩამორჩენის შემცირებასა და ლიკვიდაციას: 1974 წელს მრეწველობის წილი რესპუბლიკის ეროვნულ შემოსავალში 9,4 პუნქტით დაბალი იყო, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში"[10].

აუცილებელია მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა იმ მხრივ, რომ მასში შემდგომ ამაღლდეს მანქანათმშენებლობის ხვედრიწონა და დაძლეულ იქნეს ამ დარგის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან. საჭიროა მრეწველური წარმოების სტრუქტურის სრულყოფა, მანქანათმშენებლობის ისეთი არალითონტევადი და შრომატევადი დარგების განვითარება, რომლებიც მოითხოვენ მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, კერძოდ, დაჩქარებული ტემპით უნდა განვითარდეს ისეთი დარგები, როგორიცაა ელექტროტექნიკური, ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობა და ხელსაწყოთმშენებლობა, რაც მკვეთრად აამაღლებს წარმოების ტექნიკურ დონეს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები მოითხოვს ელექტროენერგეტიკის განვითარების ტემპების შემდგომ დაჩქარებას ჰიდროენერგეტიკული რესურსების უფრო სრულად გამოყენების გზით. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ელექტროენერგეტიკის განვითარება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა.

---

[10] ე. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, გაზ. „კომუნისტი", 23 იანვარი 1976 წ., № 19 (16449).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების დასახვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რესპუბლიკაში მრეწველური წარმოების შედარებით თანაბარზომიერი გაადგილების უზრუნველყოფას[11], პატარა და საშუალო ქალაქებში ახალ საწარმოთა მშენებლობის გაფართოებას. აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების მრეწველური განვითარების დონე საგრძნობლად დაბალია და ისინი ბევრად ჩამორჩებიან ცენტრალურ, მრეწველურად განვითარებული რესპუბლიკების რაიონებს, რის გამოც საჭიროა მომავალში ეკონომიკური განვითარების დონის მხრივ შედარებით ჩამორჩენილი რაიონების მრეწველური განვითარების ტემპების დაჩქარება და ამ გზით ეკონომიკური განვითარების დონეთა დაახლოება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის რაიონების ეკონომიკური განვითარების დონის ანალიზის და საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დაგეგმვისათვის, ეკონომიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშებასა და განსაზღვრას რესპუბლიკის რაიონების მიხედვით[12].

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სსრ წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება, სახალხო მეურნეობის უფრო დაბალანსებული, დინამიკური და პროპორციული განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლება.

სოციალისტური აღწარმოების კანონზომიერებათა შესაბამისად მიღწეულ უნდა იქნეს, რესპუბლიკის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტთან შედარებით, ნაციონალური შემოსავლის უფ-

---

[11] ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. Г. Г. Гвелесиани, Развитие и размещение социалистического производства в Грузинской ССР, Тб., 1965.

[12] საქართველოში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის რეგიონალური სტრუქტურის გამოკვლევისათვის ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა (იხ. В. И. Мелкадзе, Закономерности воспроизводства национального дохода в Грузинской ССР, 1974, Тб., стр. 219—241).

რო სწრაფი ზრდა, რათა ამ გზით უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების ასეთი თანაფარდობა მიიღწევა მატერიალური წარმოების დარგებში ნედლეულისა და მასალების უფრო რაციონალური გამოყენებით, საზოგადოებრივი წარმოების დარგობრივი სტრუქტურის შემდგომი სრულყოფით.

არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების, საერთოდ რესპუბლიკის ინდუსტრიული დონის ამაღლებისა და გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ინტერესები მოითხოვენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის შემდგომ სრულყოფას, კერძოდ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის წარმოებაში მრეწველობის ხვედრიწონის ამაღლებას, წარმოების საშუალებათა წარმოების შემადგენლობაში შრომის იარაღების ხვედრიწონის შემდგომ გადიდებას, რესპუბლიკის მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის დაჩქარებული ტემპებით განვითარებას და მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მისი ხვედრიწონის გადაჭრით ამაღლებას.

მეათე ხუთწლედში დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დამტკიცებული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები" ითვალისწინებს მეათე ხუთწლედში საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 37—41 პროცენტით გავადიდოთ მრეწველობის პროდუქციის მოცულობა. გათვალისწინებულია განხორციელდეს ელექტროტექნიკური, ჩარხსამშენებლო და საინსტრუმენტო და ქიმიური მრეწველობის უპირატესი ზრდა, ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარება ძირითადად ჰიდროენერგორესურსების გამოყენების გზით. მეათე ხუთწლედში უნდა გავადიდოთ ელექტროენერგიის გამოშვება 1,5-ჯერ. დაგეგმილია დავამთავროთ ენგურის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა, განვავითაროთ მსუბუქი და კვების მრეწველობა, განსაკუთრებით მეღვინეობა, გავითვალისწი-

ნოთ მოქმედ საწარმოთა ფილიალების განლაგება მთის და მთისწინეთის რაიონებში შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენების მიზნით. გათვალისწინებულია მეათე ხუთწლედში 21—24 პროცენტით გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა. უზრუნველვყოთ ტექნიკური და მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურების ნარგავების შემდგომი გაფართოება და მოსავლიანობის ზრდა. 1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება გაიზრდება 355 ათას ტონამდე. ყურძნის საშუალო წლიური მოსავალი უნდა გადიდდეს დაახლოებით 1,5-ჯერ. გათვალისწინებულია განვახორციელოთ მიწების სარწყავი სამუშაოები 60 ათას ჰექტარ ფართობზე და კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა 40 ათას ჰექტარზე, გავაუმჯობესოთ მელიორირებული მიწების გამოყენება. ამავე დროს გათვალისწინებულია უზრუნველვყოთ შავი ზღვის სანაპიროზე და მთის რაიონებში საკურორტო ზონებისა და ტურისტული ბაზების შემდგომი განვითარება[13].

მთავარი და გადამწყვეტი, რამაც უნდა უზრუნველყოს მეათე ხუთწლედში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარება, ესაა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართოდ დანერგვა წარმოებაში, მუშაობის ხარისხის განუხრელი ამაღლება.

მოპოვებული შედეგები, საყოველთაო-შრომითი ენთუზიაზმი იმისი უდავო გარანტიაა, რომ საქართველოს სსრ მშრომელები წარმატებით გაართმევენ თავს მათ წინაშე დასახულ ამოცანებს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

---

[13] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები, გაზ. „კომუნისტი", 7 მარტი 1976 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი 3

თავი I. გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების კანონზომიერებანი 16

1. გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების არსი 16
2. მატერიალური წარმოების დარგთა კლასიფიკაციის საკითხისათის 40
3. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და მისი სტრუქტურა 55
4. საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქტის საკითხისათვის . . . 64
6. სოციალისტური დაგროვების ეკონომიკური კანონის საკითხისათვის 68

თავი II. გაფართოებული სოციალისტური აღწარმოება და სახალხო მეურნეობის ბალანსი . . 79

1. აღწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორია, როგორც სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის საფუძველი 79
2. სახალხო მეურნეობის ბალანსის განვითარების ისტორიიდან . . 81
3. სახალხო მეურნეობის ბალანსის სქემის შინაარსი 83

თავი III. გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიური საკითხები საქართველოს სსრ-ში 87

1. სოციალისტური აღწარმოების რეგიონალურ თავისებურებათა საკითხისათვის მოკავშირე რესპუბლიკებში . . . . . .
2. მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის საკითხისათვის 94
3. მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების თავისებურებათა საკითხისათვის 101

თავი IV. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის აღწარმოებისა და ბალანსის საკითხები 110

1. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გაანგარიშებისათვის 110
2. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ფაქტორები 113
3. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 125

4. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის სოციალური სტრუქტურა 140
5. საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებითი სტრუქტურა 142
6. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგთაშორისი ბალანსის საკითხები 147

თავი V. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის აღწარმოების საკითხისათვის 153
1. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების შესახებ 153
2. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორები 155
3. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურა 164
4. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის სოციალური სტრუქტურა 172
5. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის განაწილება და გადანაწილება 174
6. საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის გამოყენება 177

თავი VI. საქართველოს სსრ ძირითადი ფონდების აღწარმოების საკითხები 180

თავი VII. მუშაძალის აღწარმოების ზოგიერთი საკითხები საქართველოს სსრ-ში 188

თავი VIII. სოციალისტური აღწარმოება და სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ეკონომიკაში 198

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ა. გუნია
გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ლ. ჯაში

გადაეცა წარმოებას 20.3.1976; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.11.1976;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 13.50;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.34;

უე 01596; ტირაჟი 600; შეკვეთა № 1998;

ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Тетраули Арчил Иосифович

ПРОБЛЕМЫ РАСШИРЕННОГО СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ВОСПРОИЗВОДСТВА И БАЛАНСА НАРОДНОГО ХОЗЯЙСТВА В ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1976 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა
შემდეგი დასახელების წიგნები:

1. დ. ონიანი, სვანეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარება 1850—1921 წლებში.

2. ი. ფუტკარაძე, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, II.

ფასი 1 მან. 10 კაპ.

Ъ. 59/1